

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტი

ნინო ბერაძე

ეროვნული იდენტობის საკითხები მიხეილ ჯავახიშვილის
შემოქმედებაში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ლუიზა ბოჩკოვა -ხვიჩია
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საპატიო პროფესორი
ნინო კოჭლოშვილი-
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია-----	3-4
ANOTACIA-----	5-6
შესავალი-----	7-8
თავი I. მიხეილ ჯავახიშვილის ფსიქოპორტრეტი-----	9-18
თავი II. საკითხის შესწავლის ისტორია -----	19-31
თავი III. იდენტობის გაგება და მისი მნიშვნელობა-----	32-39
ა) ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის საკითხის შესწავლისთვის----	39-52
ბ) ეროვნული იდენტობის გააზრება მიხეილ ჯავახიშვილთან-----	52-67
გ) ქალის როლი და მისი ფუნქცია ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხში - ჯავახიშვილის შემოქმედებაში-----	67-82
დ) ენა და სარწმუნოება - ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი-----	82-118
თავი IV. ნიჰილიზმი, - როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელის შეშლელი ფაქტორი-----	119-147
დასკვნები-----	148-151
დამოწმებული ლიტერატურა-----	152-160

ანოტაცია

ნაშრომში „ეროვნული იდენტობის საკითხები მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში“ განხილულია ეროვნული იდენტობის მნიშვნელობა და შესწავლილია მისი სხვადასხვაგვარი გამოვლინება მწერლის შემოქმედებაში.

ძირითადი საკვლევია საკითხებია: 1. ეროვნული იდენტობის მნიშვნელობა, როგორც ავტორის მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი ფაქტორი; 2. ენა და სარწმუნოება, როგორც ერის იდენტობის განმსაზღვრელი ტრადიციული ფაქტორი; 3. ეპოქისთვის დამახასიათებელი ეროვნული ნიჰილიზმისადმი ჯავახიშვილის დამოკიდებულება და მასთან ბრძოლის გზები მის შემოქმედებაში; 4. ქალის როლი და ფუნქცია ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხში.

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს, როგორ იქცა საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკა მიხეილ ჯავახიშვილის ანტიუტოპიური თვალთახედვის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორად; როგორ აისახა ეროვნული იდენტობის საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ამასთან, შეაფასოს მისი დამოკიდებულება რწმენის, როგორც ერის იდენტობის განმსაზღვრელ ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორისადმი. განსაზღვროს რაში იყო მისი მიდგომა ტრადიციული და რა იყო მწერლის მოქალაქეობრივ პოზიციაში ნოვატორული. იკვლევს მ. ჯავახიშვილის მემკვიდრეობისადმი მაშინდელი სალიტერატურო კრიტიკისა და ოფიციალური წრეების უმართებულო, ტენდენციური დამოკიდებულების განმაპირობებელ მიზეზებს, მწერლის მოქალაქეობრივ-ესთეტიკური პრინციპების დამახინჯებულად წარმოჩენის განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძველს წარმოადგენს მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული პროზის, პუბლიცისტიკისა და ესეისტიკის შესახებ თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული მეთოდოლოგიებით (იგულისხმება ნარატოლოგიის, რეცეფციული ესთეტიკის) ოპერირება. მწერლის შემოქმედებას ვიკვლევთ კომპლექსურად. ძირითადად ვიყენებთ ბიოგრაფიზმის, ისტორიზმის, კრიტიკულ-ანალიტიკური, კულტურულ-შედარებითსა და კომპარატივისტულ მეთოდებს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება - იგი სათანადო წვლილს შეიტანს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების მეცნიერულად შესწავლის საქმეში. დახმარებას გაუწევს ქართული ფილოლოგიის ბაკალავრებსა და მაგისტრებს ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შესწავლისას, ქართული ლიტერატურის მეცნიერული კვლევით დაინტერესებულ სპეციალისტებს. ზოგადად, მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს, რათა უფრო ნათელი, მკაფიო წარმოდგენა იქონიონ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და მის მოქალაქეობრივ პოზიციაზე.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება განხილული და შეფასებულია ახლებური კუთხით . შესაბამისად, ნაშრომში ვხვდებით არაერთ საინტერესო დასკვნას. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი პუბლიცისტიკის შესწავლის მცდელობა. რომელშიც, ჟანრიდან გამომდინარე, ნათლად ვლინდება მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია. ეს კი, თავის მხრივ, იდენტურია მის პროზაში გამოვლენილ ძირითად სათქმელთან.

ნაშრომში გამოვლენილია ეროვნული იდენტობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯავახიშვილის შემოქმედებაში, გამოყოფილია ის ძირითადი საკითხები, რომლებშიც ვლინდებოდა ავტორის პოზიცია. ერთი მხრივ, ეს გახლდათ მისი პუბლიცისტიკა, რომელიც გამუდმებით უტრიალდებდა ჩვენი ქვეყნისთვის ამ საჭირობოროტო საკითხს და, მეორე მხრივ, პროზა, რომელიც ამ მიმართულებითაა შესწავლილი.

Annotation

The thesis work - “The issues about national identity in Mikheil Javakhishvili’s literary writings” reviews the significance of the national identity and studies the various types of its revelations in Mikheil Javakhishvili’s creative works.

The major issues to be studied are the following: 1. The importance of the national identity as the factor determining the author’s world view; 2. The language and religion as the traditional factor defining the identity of nation; 3. Javakhishvili’s attitude towards the national nihilism characteristic of the epoch and the ways of struggle against it illustrated in his creative works. 4. The role and function of a woman in the maintenance of national identity.

The aim of the thesis is to demonstrate how the governance policy of the soviet power became the main determining factor of Javakhishvili’s anti-utopian outlook; how the issue about the national identity was reflected in Mikheil Javakhishvili’s life and literary writings. At the same time, it focuses on evaluating the writer’s attitude towards the belief as one of the salient factors determining the identity of nation. In addition, it defines the traditional points of his approach and the innovations in his civil stand. The work also researches the grounds conditioning the unjust, biased attitude of the literary critics and officialdom of that time towards Mikheil Javakhishvili’s legacy and the factors determining the distorted representation of the writer’s civil-aesthetic principles

The methodological and theoretical basis of the thesis work is the contemporary literary-theoretical methodologies (implying narratology, receptive aesthetics) employed in studying Mikheil Javakhishvili’s literary prose, publications and essays. We conduct the complex research of the writer’s creative works and mainly apply the biography, history, critical-analytical, cultural-relative and comparative methods.

The practical value of the thesis work is that it will duly contribute to the scientific study of Mikheil Javakhishvili’s literary writings. The work will also help the BA and MA students of Georgian philology to study the history of Georgian literature as well as benefit the specialists engaged in the scientific research of the Georgian literature and the reader, in general, interested in Mikheil Javakhishvili’s creative works so as to have clearer and more precise knowledge about the writer’s literary inheritance and his civil stand.

Mikheil Javakhishvili's creative works are considered and evaluated in a new light and accordingly, a number of interesting conclusions can be encountered in the thesis. In this respect, the special attention should be paid to the attempt made at studying his publications, which, based on the genre, clearly reveal the civil stand of the writer, that, in its turn, is identical to the main statement demonstrated in his prose.

The thesis clearly shows the particular importance of the national identity in Javakhishvili's literary writings, distinguishes the major issues in which the author's position was revealed. On one side, these are his publications constantly referring to this challenging problem for our country, and on the other side, his diverse literary writings which have been studied in this aspect.

შესავალი

მიხეილ ჯავახიშვილს მოღვაწეობა რთულ და წინააღმდეგობებით გამორჩეულ პერიოდში მოუხდა. ეს ის ეპოქაა, რომელმაც მწერლობა იდეოლოგიურ მარწუხებში მოაქცია, ვიწრო პარტიულ ინტერესებს დაუქვემდებარა და მწერლებს ერთადერთ შეუვალ შემოქმედებით მეთოდად აღიარებული სოციალისტური რეალიზმის მრუდი თარგით ხელმძღვანელობა დაავალა. ამან, ცხადია, შეზღუდა მწერლის შემოქმედებითი თავისუფლება, წაართვა მოვლენებისა და ფაქტებისადმი საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უფლება, იძულებული გახდა დამორჩილებოდა ოფიციალური აზრს, იმისდა მიუხედავად, ემთხვეოდა იგი საკუთარს, თუ - არა.

მთელი მისი შემოქმედება ოპტიმიზმითაა სავსე. მოვიხმობთ ერთ ამონარიდს მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი წერილიდან - „მასალები ლექციისათვის“: „ჩვენ ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელადაა ჩაღვრილი ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო ეს ერთი მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს უბერებლობას: მარტო წინა აზიაში, ჩვენს გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიღუპა. ზოგნი კი მოილივნენ და დაიშრიტნენ. ეს ერები რიგ-რიგად გვეფლობდნენ. შემდეგ ბატონები რიგ-რიგადვე დაგვეხოცნენ. ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგევართ და ჩვენი გზით მივაბიჯებთ - დინჯად, მტკიცედ და უდრეკად. ამ გზაზე მრავალჯერ ჩავვარდით სამარეში - ზოგჯერ ცალი ფეხით, ზოგჯერ კი ყელამდის. ხალხთა უღვეველ ჭიდილში ქართველ ხალხს ებრაელთა უკვდავება და ჭიანჭველის ძალა აღმოაჩნდა: ვინც ჩვენი შექმა დააპირა ჩვენი შხამით მოიწამლა“ (ჯავახიშვილი 2001: 647).

ეს გაუტეხელი იმედი, იმედი ხვალინდელი დღისა, მთლიანად მსჭვალავს მწერლის შემოქმედებას.

ეპოქის ამ თავისებურებამ მძიმე კვალი დაატყო მიხეილ ჯავახიშვილის მსოფლმხედველობასაც და მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებასაც. ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში შეგნებულად იჩქმალეოდა, კნინდებოდა მწერლის შემოქმედების მნიშვნელობა, “ანტისაბჭოურად” ცხადდებოდა მწერლის დროინდელ ლიტერატურულ კრიტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში. არასწორად შუქდებოდა და ფასდებოდა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, მისი მოქალაქეობრივ-ესთეტიკური მრწამსი. მხოლოდ მწერლის რეაბილიტაციის (1954 წ.)

შემდეგ გახდა რამდენადმე შესაძლებელი მისი შემოქმედების მართებულად წაკითხვა. გვინდა ნათელი მოვფინოთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს; კერძოდ, როგორ აისახა საბჭოთა სინამდვილე მწერლის შემოქმედებაში, რამ განაპირობა საბჭოთა პერიოდის სალიტერატურო კრიტიკისა და ოფიციალური წრეების მიერ მიხეილ ჯავახიშვილის მხატვრული შემოქმედების არაობიექტური და ტენდენციური შეფასება, მისი მოქალაქეობრივ-ესთეტიკური პრინციპების დამახინჯებულად წარმოჩენა; თავისი შემოქმედებით რა წვლილი შეიტანა მან ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ჩვენი მიზანი არ გახლავთ მწერლის თანამედროვეების შეხედულებების გადაფასება, თუნდაც იმიტომ, რომ არაერთმა კრიტიკოსმა შემდგომ პერიოდში თავად აღიარა საკუთარი შეცდომები ჯავახიშვილის შემოქმედების ტენდენციური შეფასების გამო. მწერლის ნაწარმოებების ახალი თვალთახედვით გაშუქება არ გულისხმობს სხვა ავტორებთან ჩვენს თვითმიზნურ დაპირისპირებას. ალბათ, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების ერთ-ერთ ცნობილ მკვლევარს – ტარიელ კვანჭილაშვილს, როცა წერდა: „ჩვენი ღრმა რწმენით, განსხვავებული თვალსაზრისის გამოთქმა არ ნიშნავს ერთი ავტორის დაპირისპირებას მეორესთან. ავტორებს შორის შესაძლოა მეგობრული, სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა იყოს, მაგრამ ზოგ საკითხში მათი აზრები ერთმანეთს სცილდებოდეს. ეს ბუნებრივია. სჯობს წარსულს გავატანოთ ის არაჯანსაღი პრაქტიკა, როცა განსხვავებული აზრების გამო ავტორები ერთმანეთის პირადი მტრები ხდებოდნენ“ (კვანჭილაშვილი 1991: 5).

20-იანი წლებიდან დღემდე არაერთი ლიტერატორი შეხებია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას და უხვადაც მოიპოვება როგორც მცდარი, განმაქიქებელი და ტენდენციური, იმავდროულად მართებული და ობიექტური სტატიები თუ მეცნიერული გამოკვლევები. ეს ის უმნიშვნელოვანესი მასალაა, რომელიც წლების განმავლობაში დაგროვდა მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევა-ძიების პროცესში.

თავი I. მიხეილ ჯავახიშვილის ფსიქოპორტრეტი

რაც შეეხება ცნობებს მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ, მას ასე თუ ისე იცნობს როგორც სამეცნიერო, ისე ფართო მკითხველი აუდიტორია, ამიტომ დეტალებზე იმდენად არ შევჩერდებით, უფრო იმაზე, რამაც გვგონია, რომ განსაზღვრა მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების სტილი და ასე თუ ისე საფუძველი ჩაუყარა მის მსოფლმხედველობას, გნებავთ ეროვნული იდენტობისადმი მის დამოკიდებულებას.

თვით მიხეილ ჯავახიშვილი ასე აღწერს დაბადების ადგილს: „მე ბორჩალოში დავიბადე, უწინდელი თრიალეთ-საბარათიანო ყრმობაშივე დავიარე და იქაურ თავად - აზნაურთა ოჯახებში ვტრიალებდი, რომელთაც უწინდელი ცხოვრების დაღი ჯერ კიდევ მკაფიოდ ემჩნეოდათ. ჩემი სოფელი წერაქვი ბარათაშვილს ეკუთვნოდა და ისეთ მივარდნილ ალაგას იყო გამწვანებული, რომ იქაურებს ჯერ არც კი ენახათ რკინისგზა, რუსული ფარაჯა, ნავთი, ლამპა, ჩაი, შაქარი, სალთადი და მოსამართლე (ყოველივე ეს ჩემს თვალწინ შემოდიოდა). ჩემი ბავშვობის დროინდელი იქაური ერთი წელიწადი ქალაქურ ათ წელიწადს უდრიდა“ (ჯავახიშვილი, 2000: 5).

როგორც ჩანს, წარმოშობის ადგილი, მისი ყოფა - ცხოვრება უმნიშვნელოვანეს როლს ითამაშებს სამომავლოდ მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნების ჩამოყალიბებაში . მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, წინაპართა სამკვიდრო და მათი ცხოვრების წესი მის ცნობიერებაში წარუშლელ კვალს დატოვებს.

აღსანიშნავია მისი გულისტკივილი: „დავიბადე სოფელ წერაქვში. იცი, სად არის ეს სოფელი? არც გასაკვირველია: ქართველებს არ ეხერხებათ თავიანთი პატარა მიწა-წყლის შესწავლა“ - სხვათაშორის, როცა კი შესაძლებლობა ეძლეოდა, ყოველთვის აწვდიდა საზოგადოებას საჭირო ინფორმაციას. ქეთევან ჯავახიშვილის წიგნში „მოგონებანი მამაზე“ ვკითხულობთ: „1926 წლის 26 თებერვალს, სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე ნათქვამ სიტყვაში, შეეხო რა გეოგრაფიის სახელმძღვანელოში დაშვებულ შეცდომებს, მიხეილმა თავის მშობლიური მხარის შესახებ თქვა: „ამასწინათ გეოგრაფიის ერთი სახელმძღვანელო გადავფურცლე, რადგან თვითონ ბორჩალოელი ვარ, გადავშალე ბორჩალოზე. ბორჩალოს მაზრას მიძღვნილი ჰქონდა მხოლოდ ოციოდე სტრიქონი. იქ აღნიშნულია, რომ ვითომ ბორჩალოს მაზრა მდებარეობს თრიალეთს ქედის ჩრდილოეთით, ნამდვილად კი ბორჩალო ამ ქედის

სამხრეთით მდებარეობს. იქვე წერია: ბორჩალოში სამი მდინარეაო: ალგეთი, ხრამი და ბორჩალო. მართალი გითხრათ, მდინარე ბორჩალო ჩვენში არავის გაუგონია. ავტორი ალბათ გულისხმობდა ბერდუკს, ან ბერდუჯს, რომელსაც უკვე რამდენიმე საუკუნეა დებედა ჰქვია. მესამე ცნობა: ბორჩალო უმთავრესად მთიანი ადგილიაო, არც ეს არის მართალი. მას შემდეგ, რაც მთიანი ლორე სომხეთს გადაეცა ბორჩალოს მაზრებზე აღარ ითქმის - მთიანი ადგილიაო“ (ჯავახიშვილი 2000: 4).

რაც შეეხება მის გვარს და წარმომავლობას ავტორი ამ საკითხისადმი საკმაოდ მგრძნობიარე გახლდათ, რაც, რა თქმა უნდა, საკუთარ ფესვებთან უცილობელი კავშირის სურვილით იყო განპირობებული. ჩახლართული ისტორიის შესახებ ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: „მიხეილის მამა წარმოშობით ქიზიყელი იყო... მიხეილის მამის გვართან დაკავშირებით უნდა ითქვას, ჩვენ ადრევე გაგონილი გვქონდა, რომ მწერლის წინაპრებს სხვა გვარი, კერძოდ, ტოკლიკიშვილი ჰქონიათ და შემდგომ რამდენიმეჯერ შეუცვლიათ თავიანთი გვარი. ეს მდგომარეობა სხვადასხვა ამბებთან ყოფილა დაკავშირებული. თავიდანვე კი ისინი ჯავახიშვილები ყოფილან... ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თვითონ მწერალმა კარგად იცოდა თავისი წინაპრების გენიალოგია, მისი ცხოვრების ამბავი მისმა მეგობრებმაც კარგად იცოდნენ, მაგრამ დღემდე ამის თაობაზე არაფერი დაწერილა“ (ჯავახიშვილი 2000: 10).

ცნობილია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიხეილის მამა ადამაშვილის გვარს ატარებს, ისევე როგორც თავად მწერალი. აქვე ვკითხულობთ პოეტ ალექსანდრე გომიაშვილის მოგონებას, რომელიც იხსენებს ჯავახიშვილის მონათხრობს საკუთარი გვარის შესახებ: „ჩემი ნამდვილი წინაპრები ჯავახიშვილები არიან. ჩემს წინაპარს ვინმე ჯავახიშვილს ქართლში კაცი შემოკვდომია, იქიდან გამოქცეულა, ქიზიყში გადასულა და იქაური გვარი ტოკლიკიშვილი აუღია. შემდეგ, ბორჩალოში რომ გადმოვედით, იქ ადამაშვილის გვარით ვცხოვრობდით. პაპაჩემი ხომ ადამა იყო და გვარად ადამაშვილი ავიღეთ. მე აღვადგინე და დავიბრუნე ჩვენი გვარი“ (ჯავახიშვილი 2000: 11).

იშვიათია მწერალი, რომელსაც იმდენი პირადი ტრაგედია გადაეტანოს ცხოვრებაში, რამდენიც მიხეილ ჯავახიშვილმა. დედა და და ყაჩაღებმა დაუხოცეს სახლიდან შორს მყოფს და ეს ამბავი შემთხვევით ამოიკითხა საქართველოდან ჩამოსული გაზეთის ნაგლეჯზე, რომელშიც ამანათი იყო შეხვეული. დეტალებს აღარ

მოვიხმობთ, თუმცა მწერლის ფსიქოპორტრეტისთვის საინტერესო დეტალად მიგვაჩნია მისი ქალიშვილის მოგონებებში აღწერილი ამბავი: „დილით სასწავლებელში წასვლის დროს - (ამბის შეტყობის მეორე დღეს - ხაზი ჩვენია -ნ.ბ.) არცერთი მათგანი ჯერ კიდევ კარგად გამოფხიზლებული არ იყო. სასწავლებელს კი წესად ჰქონდა შემოდებული, ყოველ დილით, სწავლის დაწყების წინ, ჯერ საღმრთო სჯულს წაიკითხავდნენ ხოლმე... იმ დილით მიხეილის ჯერი იყო, ხმამაღლა უნდა წაეკითხა „მამაო ჩვენო“. გუშინდელი ამბის შემდეგ ის შინაგანად გამოფიტული და განადგურებული იყო. უმაღლეს რწმენა დაეკარგა და ამიტომ, როცა მასწავლებელმა მიმართა მას კითხვა დაეწყო, მან უარი თქვა.... მოზღვავებულ გრძნობებს აყოლილი, ყვიროდა და მასწავლებელს, ღმერთსა და მთელ ქვეყნიერებას წყევლა-კრულვას უთვლიდა“ (ჯავახიშვილი 2000: 70).

ამ მასშტაბის პირადი ტრაგედიები სუსტი ნებისყოფის ადამიანებზე დამლუპველად მოქმედებს, როგორც წესი, ისინი სამუდამოდ ბოროტდებიან და მთელი ქვეყნიერებისადმი სამაგიეროს გადახდის გრძნობადა ამოძრავებთ მთელი დარჩენილი ცხოვრება. როგორც აღმოჩნდა, მიხეილ ჯავახიშვილი ამ მხრივაც გამონაკლისი გახლდათ, მან შეძლო ღირსეულად გადაეტანა თავს დამტყდარი უბედურება თორემ ამ ლოგიკით ცხოვრება საუკეთესო შანსს აძლევდა გამხდარიყო ჩვეულებრივი მეწვრილმანე. მისმა ადამიანურმა ბუნებამ შეძლო თავის თავში დაეთრგუნა შურის მაძიებელი და, რაც მთავარია, არასდროს ქცეულა საკუთარი ქვეყნის და რწმენის მგმობ ადამიანად.

ქ-ნი ქეთევანის წიგნიდან აშკარად იკვეთება, რომ მთელი ცხოვრება და შემოქმედება მიხეილ ჯავახიშვილისა იყო ჭეშმარიტი მამულიშვილისა და მწერლის მრწამსის აღდგინება, რომელიც მრავალსაუკუნოვან ქართულ ტრადიციას კი არ არღვევდა, არამედ მას გაბედულად ავითარებდა. ამის გამო უწერია ქ-ნ ქეთევანს წიგნში: „მიხეილი ტრიალებდა იმ გამოჩენილ და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა წრეში, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნიდან მოდიოდნენ და თან მოჰყვებოდათ გამძაფრებული პატრიოტული გრძნობა და სამართლიანობისათვის, თავისუფლებისათვის ბრძოლის უნარი. მამას, სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, ილიასა და აკაკის გვერდით, მოუხდა მოღვაწეობა და ძირითადად ამან განაპირობა მისი პიროვნების ჩამოყალიბება, გადაძწყვეტი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში... ის თავით-ფეხებამდე პატრიოტული გრძნობით იყო გამსჭვალული. თავდაპირველად, ეს იყო მიმართული მეფის რუსეთის

მჩაგვრელი და კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. თავისი მძაფრი პუბლიცისტური ხასიათის წერილებით და გამოსვლებით ის ქადაგებდა ადამიანის, პიროვნების უფლებების თავისუფლებას, ხალხის თავისუფლებას, ჩაგვრის მოსპობას და ეროვნულ დამოუკიდებლობას“ (ჯავახიშვილი 2000: 35).

გერონტი ქიქოძე ასე იგონებს : „მას გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა: რუსულ -ქართული ჟარგონი, დამახინჯებული ქართული წარწერა მაღაზიის აბრაზე ან დაწესებულების ფასადზე თითქოს პირად შეურაცხყოფას აყენებდა. შეიძლება მისი მტკივნეული პატრიოტიზმი იმითაც აიხსნებოდა, რომ საქართველოს განაპირა პროვინციიდან წარმოსდგებოდა, მარაბდის რაიონიდან, სადაც ქართველ ხალხს ყველაზე მეტი სისხლი დაუღვრია მტრის ურდოებთან ბრძოლაში“ (ქიქოძე 1975: 10).

მიხეილ ჯავახიშვილი თავისი შეგნებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნულ ტრადიციებთან. შეძლებისდაგვარად აუცილებელ კომპრომისებზეც კი მიდიოდა, „უფრო თავშეკავებული გახდა თავისი ეროვნული გრძნობების გამომჟღავნების დროს“, მაგრამ მისგან მეტს მოითხოვდნენ, რის გაკეთება მან ვერ შეძლო. „ადვილი არ იყო სულით-ხორცამდე სისხლში გამჯდარი რწმენისა და იმედების დამსხვრევა, უარყოფა და ახლით შეცვლა“ (ჯავახიშვილი 2000: 45) , – წერდა ქეთევან ჯავახიშვილი.

მისი ცხოვრების თითოეული დღე იყო ბრძოლა არამხოლოდ სულიერი, არამედ ფიზიკური გადარჩენისთვის. ნიშანდობლივია, რომ მწერალი მოწამეობრივად აღესრულა. ეს გამონათქვამი შორსაა პათეტიკურობისგან, რადგან სხვა არაფერი შეიძლება ეწოდოს იმ ყველაფერს, რაც მწერალმა პრინციპების ერთგულებისთვის გადაიტანა ციხის ჯურღმულებში წამებისას. „პოლიტიკური იდეალების დამხობამ და ახალმა სასტიკმა რეალობამ სულის გმირის გზა წარმოსახა. ეროვნულ-დემოკრატი, ილიას იდეური ტრადიციების ერთგული მიხეილ ჯავახიშვილი ერთი პერიოდი პოლიტიკამ გაიტაცა.

ეს განსაკუთრებით მძაფრად გამოვლინდა 1921 წლის თებერვლის შემდეგ. მანამდე ნაკლებად ცნობილი პატრიოტი პუბლიცისტი მოულოდნელად აღმოჩნდა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლთა სათავეში...

1923 წლის მარტში დააპატიმრეს პარიტეტული კომიტეტის სამხედრო ცენტრი, მათ შორის - ეროვნულ-დემოკრატების ცეკას თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ჯავახიშვილი.

იგი ხუთი თვე იჯდა მეტეხის ციხეში.

„ჩეკასადმი მიცემულ ჩვენებებში წამების გარეშე აიძულეს - დაეწერა ყველაფერი, რაც იცოდა, დაეგმო ქაქუცა ჩოლოყაშვილი, დაეყენებინა მის მიმდევართა ლიკვიდაციის საკითხი, დაესახელებინა ანტისაბჭოურად განწყობილი პირები, თანამოაზრეები, გამოეჩინა ლოიალობა ბოლშევიკებისადმი“ (სიგუა 2007: 240).

1937-ში მოვლენები ასე განვითარდა: ბერიამ გადაწყვიტა მეტეხის ეკლესიის დანგრევა. მიხეილ ჯავახიშვილმა, რამდენიმე ქართველ მოღვაწესთან ერთად, ბერიას მიმართა თხოვნით, არ დაენგრიათ ადრეფეოდალური ხანის ეს შესანიშნავი ქართული ძეგლი. მამის ნაამბობის მიხედვით, ეს მიღება ქეთევან ჯავახიშვილს ასე აქვს გადმოცემული: „დაგვინახა თუ არა, ბრაზის შავმა ალმურმა გადაჰკრა სახეზე. მან მკვახედ გვითხრა: ასე დელეგაციის სახით ერთად არ უნდა მოსულიყავით ჩემთან. ცალ-ცალკე რატომ არ მოხვედითო. დელეგატებმა საფუძვლიანად დაუსაბუთეს ბერიას, რომ მეტეხის ეკლესიის დანგრევა ბოროტებაა ქართველი ხალხის წინაშე, რომ ის წარმოადგენს ქართული არქიტექტურის იშვიათ ნიმუშს და მისი ხელის ხლევა ყოვლად დაუშვებელია. ბერიამ იგრძნო, რომ მას ცხადად დაუმტკიცეს უმეცრება და შეცდომა, რომელიც ჩაიდინა. მეტი გზა არ ჰქონდა, თავის გადაწყვეტილებაზე უარი უნდა ეთქვა. მან არაფერი შეიმჩნია და დელეგაციას უთხრა, რომ შეცვლიდა განკარგულებას“. იმასაც ამბობენ, რომ მიხეილ ჯავახიშვილს თავისი საუბარი ბერიასთან ასეთი სიტყვებით დაუსრულებია: „ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მეტეხის ეკლესიას კი არ დაანგრევდნენ, არამედ ოქროს სახურავქვეშ მოაქცევდნენ“. ეს იმ დროს ძალიან ვაჟკაცური ნათქვამი იყო და დელეგაციის ბევრ წევრს სიცოცხლის ფასად დაუჯდა ეს გაბედულება. შინ დაბრუნებულ მიხეილ ჯავახიშვილს თურმე ფერი არ ედო. მიხვდა, სიცოცხლე სასწორზე რომ შეაგდო. ამ მიღების შემდეგ მის ირგვლივ საბედისწერო რკალი თანდათან დავიწროვდა. „ნაცნობ-მეგობრებს აპატიმრებდნენ. არ იცის, რა ქნას. ჯანმრთელობა უკვე ღალატობს, მუხლები სტკივა, სიარული უჭირს, კუჭის ოპერაციაც ახალი გადატანილი აქვს. დრო ტყვიასავით დამძიმდა. უკვე 1937 წლის ტრაგიკული ზაფხული დადგა“ (არველაძე 1996: 4).

„მიხეილ ჯავახიშვილი დააპატიმრეს. მის სახლში ჩეკისტები ჩასახლდნენ, ცალკე ოთახი გამოყვეს „სამუშაოდ“ და შეუდგნენ „საქმეს“, საქმე ერთი ჰქონდათ - სამხილის პოვნა. ეძებდნენ სამხილს, საწერი მაგიდის უჯრებში, წიგნის კარადებში, ყველგან და ყველაფერში, რასაც ხელით და თვალით, ფეხითაც მისწვდებოდნენ. იატაკზე თანდათან დახვავდა ხელნაწერები. წიგნები, სხვადასხვა ნივთი, მაგრამ განსაკუთრებით ხელნაწერი ფურცლების სიმრავლე აღიზიანებდათ ჩეკისტებს. ნაბიჯს ვერ ინაცვლებდნენ თავისუფლად, ფეხებში ებლანდებოდათ ათასობით დღე-ღამეგამოვლილი ხელნაწერები, ბორძიკით დაალაჯებდნენ, ეძებდნენ უქჟველ სამხილს და სამხილზე (ხელნაწერებზე) მიდი-მოდოდნენ. არცერთმა თვანს არ მოსვლია აზრად, რომელიმე ფურცელი მაინც დამარცვლით ჩაეკითხა, თვალი ჩაეკრა, ერთი წინადადება მაინც „შეესწავლა“, რა ეწერა იმ ფურცლებზე, არავის აინტერესებდა, მთავარი მიზანი იყო სამხილის პოვნა, მაგრამ განა უბედურებმა იცოდნენ, რა იყო სამხილი?!..... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რასაც ისინი ეძებდნენ, ან კონტრევოლუციონერთა გეგმა იყო, ანდა თბილისიდან ლონდონამდე გასათხრელი გვირაბის სქემა. ეს წერა-კითხვის უცოდინარი ჩეკისტები ვერასოდეს წაიკითხავდნენ და ვერც თავსა და ბოლოს გაუგებდნენ იატაკზე მიმოფანტულ, მიმოყრილ, მოსროლილ ფურცლებს, მხოლოდ ეგ იყო, ფეხებში ებლანდებოდათ ქაღალდის გორაკები და თავისუფლად ვეღარ დაბორიალობდნენ ოთახიდან ოთახში. იქ, ზემოთ, განაჩენი უკვე გამოტანილი იყო და სინამდვილეში ჩეკისტები არც არაფერს ეძებდნენ. ჩხრეკის ბრძანებას ასრულებდნენ - ეგ იყო და ეგ.

ქალბატონმა ქეთევანმა, მწერლის ქალიშვილმა, სთხოვა ჩეკისტებს, ამ „ხელნაწერებს მოგამორებთ, სააბაზანოში გავიტან, ისედაც ხელს გიშლით და მოძრაობა უფრო გაგიადვილდებათო. არც დაფიქრებულან, ისე დაჰყაბულდნენ. ოჯახის წევრებმა ხელნაწერები გაზიდეს სააბაზანოში.... ჩეკისტებმაც ვიღაცის ბრძანებით ერთ მშვენიერ დღეს მიატოვეს ჩხრეკა და გაუჩინარდნენ...“ (ჯავახიშვილი 2000: 5). ეს ამონარიდი ჩანაწერების წინასიტყვაობიდან სიმბოლური დატვირთვის მქონეცაა დოკუმენტურობასთან ერთად. „სამხილი“ გადარჩა და მომავალი თაობისთვის უპირველესად ადამიანის, როგორც ინდივიდალიზმის უმაღლესი გამოხატულების და ერთი მთლიანის, ამა თუ იმ ერის წარმომადგენლის ძიების საფუძვლად იქცა.

ბერლინში 1943 წელს გამოცემულ . „ქართველ ერში“, N 3-4, დაიბეჭდა ექიმ გივი კობახიძის მოგონება - „ხმა დასახვრტოთა საკნითგან“ . სტატიაში ვკითხულობთ: „1937

წელს ერთმა ქუთაისელმა სტუდენტმა, რომელმაც თავი დააღწია, ჯურღმულებიდან გამოიტანა მწერლის მკვლელობის ამბავი „პირველად შევკრთი კუთხეში მიწობილი ძვალ ტყავად ქცეული ჩონჩხის შეხედვაზე....დიახ, ჩონჩხი, ნამდვილი ანატომიური ჩონჩხი იყო. ჩონჩხი ლაპარაკობდა, ჩონჩხი ჩურჩულებდა... აი, ამ ჩონჩხ ადამიანზედ მითხრეს მიხეილ ჯავახიშვილი არისო.....„მე ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის არ დამიზოგავს ჩემი სუსტი ძალ - ღონე, ქართველი ერისთვის არ დამიშურებია და არც დავიშურებდი არაფერს. ბევრს ვფიქრობდი მის მომავალზე და ველოდებოდი ჩვენი განთავისუფლების დღეს ბოლშევიკური და რუსული უღლისაგან. მართალია, მე ამ დროს ვერ მოვესწარი და ვერც მოვესწრები, მაგრამ, მალე, სულ მალე, ქართველო ახალგაზრდებო, დადგება ჟამი ჩვენი ერის განთავისუფლებისა, დადგება დრო სანეტარო, როდესაც ქართველი ხალხი გადაიგდებს მონობის უღელს თავის ქედიდან და იცხოვრებს ისე სახელოვნად, როგორც უცხოვრია თავისი ძლიერების ხანაში. ჩვენ აღვსდგებით!.. სულაც არ ვნადვლობ, რომ სამშობლოსათვის ასე ვკვდები, იმედად ის მრჩება, რომ ჩემს ასეთნაირად დაღუპვას ქართველები არ დაივიწყებენ“,- ლაპარაკობდა მიხეილ ჯავახიშვილი.-...ეგება რომელიმე თქვენგანს, ათასში ერთს, მაინც გაგიღიმოს ბედმა და ცოცხალი გადაურჩეთ ამ მხეცებს. ნუ დამივიწყებთ... გადაეცით ქართველ ხალხს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მისი ვიყავი, მასზედ ვფიქრობდი... გადაეცით, რომ იმედით სავსე ვკვდები სამშობლოსათვის....

.....ნელა წამოდგა მიხეილ ჯავახიშვილი, წელში მოხრილმა თვალი გადაავლო დასისხლიანებულ ხალხს... ღმერთო!.. როგორი გამომეტყველება ქონდა! ოდნავ ქვემოთ ჩამოწეული მარჯვენა ტუჩის კუთხე უცახცახებდა. სახეზედ უმწეობისა და შეურაცხყოფის ღიმილი ეკერა. რამოდენიმე წამი გვიცქირა და ის იყო რაღაცის თქმა დააპირა, რომ ამ დროს მახლობლად ისტერიული ქვითინი გაისმა. მეც ვეღარ შევიკავე თავი და ბავშვივით ავზლუქუნდი. ჩემს ქვითინს აჰყვა თითქმის ყველა. ვისარგებლე მდგომარეობით და პირველი მივიჭერი მწერალთან. გადავხვიე, დავუკოცნე გამხმარი სახე... მომყვნენ სხვებიც, მწერალს ვეხვეოდით. გულში ვიკრავდით, სამუდამოდ ვეთხოვებოდით. რეზინიანმა ჩეკისტმა მოხუცს წიხლი ჩააზილა. ჯავახიშვილი გასავალი კარების ახლოს ჩაიკეცა. ხორციელად დაუძლურებული ადამიანი მალე ზეზე აღგა, დამქვანარი ხელებით სველი თვალები ამოიწმინდა და გადმოგვძახა: „აწ გმორდებით, საყვარელო ძმებო“... მაგრამ არ დააცალეს, სიტყვა გააწყვეტინეს. ჩეკისტმა

კისერში ხელი წაავლო და კარებისაკენ წაათრია. კიდეც საკვირველება! მწერალი კვლავ დაუსხლტა ხელიდან ჩეკისტს, დაჩონჩხილი ხელი მაღლა აღმართა და არსენასებური ფოლადივით მტკიცე ხმით დაგვძახა:

„კიდევაც დაიზრდებიან
ქართველში ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან
ჯავრი შამჭამონ მტრისანი“.

ეხლა კი აღმართა ჩეკისტმა ხელი და მძლავრად დაკრა მძიმე რეზინი მხრებზედ ჯავახიშვილს. მწერალმა გონი არ დაჰკარგა. იგი კვლავ ხელს გვიქნევდა დამშვიდობების ნიშნად. მძიმე ჭრილობით მიიხურა სარდაფის კარი“ (კობახიძე 1943: 3-4).

ეს მოგონება კიდეც ერთხელ ადასტურებს აზრს, რომ მიხეილ ჯავახიშვილი იმ ადამიანთა რიგებში დგას, რომელნიც მოწამეობრივად აღესრულნენ საკუთარი სამშობლოსათვის. რაც არ უნდა მხატვრულ შედარებად ჟღერდეს, ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელზედაც იტყვის დავით მეფსალმუნე „იგინი ეტლებითა და ჰუნეებითა, ხოლო ჩვენ სახელსა უფლისასა ვხადოდით“.

არა გვგონია, შემთხვევითი იყოს უკანასკნელი სიტყვები მწერლისა, რომელმაც კარგად იცოდა სიტყვის ზემოქმედების მნიშვნელობა ადამიანებზე, სწორედ ამას ემსახურა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. სწორედ ეს გვაძლევს მყარ საფუძველს, კიდეც უფრო ღრმად ვიკვლიოთ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ეროვნული იდენტობის საკითხის გააზრება, სხვა თუ არაფერი, სწორედ ამას შეეწირა მწერლის მიწიერი სიცოცხლე, რასაც მისივე ცნობილი მიმართვა ადასტურებს: «მე უდანაშაულო ვარ, ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ თქვენთვის თუ ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო. თქვენ დღეს მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს, რაც მე დავტოვე საქართველოს მიწა-წყალზე, მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს აღმოფხვრით, მე გამანადგურებთ, იმას კი ვერასოდეს ვერ მოსპობთ“ (ჯავახიშვილი, 2000, 80).

მოგონებებიდან ვიგებთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თავის ასაკთან შედარებით გაცილებით ხანდაზმული ჩანდა: დიდმა ჯაფამ, სნეულებამ, ცხოვრების მძიმე წლებმა

ნაადრევად მოტეხა მისი ასთენიური სხეული. სათვალე, ხელჯოხი, ქუდი, ბლანჟე, მუდმივი ფიქრი და ნელი სიარული მოხუცს ამგვანებდა.

ყოველი საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი, ხალხის მიერ აღიარებული მწერლის, შემოქმედის ცხოვრებაც ისევე აინტრესებს მკითხველს, როგორც მისი შემოქმედება. მით უმეტეს, გასნაკუთრებით ცხოვრება, რაც თავისთავად ჰგავს მხატვრულ ნაწარმოებს...

მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი პირველი განაცხადი ქართულ მწერლობაში ორი ათეული წლით ადრე შეიტანა, ვიდრე ნამდვილი პროფესიული მწერლობის რთულ გზას დაადგებოდა. „კურკას ქორწილის“ ავტორი ცხრაასიან წლებშივე, პირველი მოთხრობების გამოქვეყნებისთანავე, სიჭაბუკეშივე თითქმის საბოლოოდ გაქრა ქართული ლიტერატურის ასპარეზიდან და ეს პირველი პატარა მოთხრობებიც დიდხანს არავის მოჰგონებია, ვიდრე რევოლუციის შემდეგ ქართულ მწერლობაში უეცრად ნიაღვარივით არ მოვარდა მათი ავტორის მოულოდნელი ნიჭი და შემოქმედებითი ენერჯია“ (აბაშიძე 1977: 107).

ირაკლი აბაშიძის აზრით: მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების ეს პერიოდი ჩვენი სამშობლოს რევოლუციურ გარდაქმნათა პირველი მხატვრული ისტორიაა. ჩვენს ლიტერატურაში ეს ის პერიოდია, როცა ქართული კლასიკური მწერლობის, კლასიკური რეალიზმის დიდ გზაზე უკვე თვალს ეფარებოდა უკანასკნელი ორი თეთრი მოხუცის სილუეტი, ორი დიდი შემოქმედი - დავით კლდიაშვილი და ვასილ ბარნოვი.

ტრადიციულ კლასიკურ მწერლობაზე აღზრდილი მიხეილ ჯავახიშვილი მისი, ამ კლასიკური ლიტერატურის, ნამდვილი მემკვიდრეა და კრიტიკული რეალიზმის გამგრძელებელი. მიხეილ ჯავახიშვილმა ღირსეულად და მტკიცედ დაამაგრა ჩვენს მწერლობაში ქართულ ეროვნულ ფესვებზე რეალიზმის ტრადიციები და ამით დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ლიტერატურის შემდგომ გაშლასა და აყვავებას.

მიხეილ ჯავახიშვილის რეალიზმი არ შეიძლებოდა ერთბაშად ყოფილიყო და არც იყო ის რეალიზმი, რომელსაც შემდეგ, ჩვენს დროში, სოციალისტური რეალიზმი ეწოდა; „მაგრამ თავისებური, ახლებური, თუ შეიძლება ასე ითქვას, რევოლუციის ეპოქის კრიტიკული რეალიზმი“ (აბაშიძე 1977: 108).

მიხეილ ჯავახიშვილის მწერლურ, უადრესად მახვილ თვალს პირდაპირ შიგ ეჭრებიან ცხოვრების მანკიერებანი, ნაკლოვანებანი, რაც რევოლუციურმა ეპოქამ, დიდმა გარდაქმნებმა, ახალმა სინამდვილემ ადამიანთა ცხოვრების ზედაპირზე ამოატივტივა.

მწერალი თავშეუკავებლად, თითქოს ანგარიშმიუცემლად ხარხარებს ამ მანკიერებებზე, ცხოვრების ამ ჩრდილოვან მხარეებზე, მაგრამ ეს ხარხარი სიცილი არ არის, მით უმეტეს , დაცინვა და ნიშნის მოგება; ეს ხარხარი თავისებური გამოხატვაა მწერლის გულისტკივილისა და დანაწევრებისა ზოგიერთი რისამე დაკარგულის გამო, რაც რევოლუციის ბოხოქარ ტალღებში დაიკარგა და, მწერლის ღრმა რწმენით, არ უნდა დაკარგულიყო, ზოგიერთის სხვა საკითხის ჩასახვისა და გამოვლინების გამო, რაც რევოლუციის ბოხოქარ ტალღებზე გამოვლინდა და, მწერლის ღრმა რწმენით, არ უნდა გამოვლინებულიყო.

რევოლუცია ჯერ დუღილში იყო, ძალთა ჭიდილში, უეცარი აფეთქების გამო ცხოვრების ზედაპირზე ერთადა მრავალი კარგიც და ავი ამოტივტივდა. მიხეილ ჯავახიშვილზე არ შეიძლება ითქვას, რომ მას თავდავიწყებით სძულს ერთი, მაგრამ ასევე არ შეიძლება ითქვას, რომ მას თავდავიწყებით უყვარს მეორე, მიხეილ ჯავახიშვილი რევოლუციასთან მოსული კაცია და არა „მისი ღვიძლი მონათესავე“.

მკვლევართა აზრით: განათლებით, შემოქმედებით, გემოვნებით ნამდვილი ევროპელი, მიხეილ ჯავახიშვილი, გარეგნობით, სიდინჯით, დარბაისლობით დამდვილი აღმოსავლელი იყო და კაცს ისე მოგეჩვენებოდა, თითქოს არსებობდა რაღაც უცნაური შეუგუებლობა, შეუთვისებლობა მიხეილ ჯავახიშვილის ადამიანურ ხასიათსა და მის შემოქმედებით ბუნებას შორის. ამ აუჩქარებელი, აუღელვებელი, დარბაისელი კაცის კალამი საოცრად დინამიური, გაქანებული და სხარტი იყო. თითქოს მწერალი მოზღვავებულ სათქმელს ერთს კი არა, რამდენიმე სადავეს უჭერდა და მაინც ვერ აკავებდა. ავტორი გრძნობდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოესწრო და მოასწრო კიდევ თანამედროვეობაზე, ჩვენს გმირულ წარსულზე. მიხეილ ჯავახიშვილი ერთი მეტად ნაყოფიერი მწერალია მთელს ჩვენს ქართულ ლიტერატურაში.

თავი II. საკითხის შესწავლის ისტორია

საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური პოლიტიკის მიუხედავად, რაც ეროვნულ პრობლემათა მიფუჩეჩებას, არსებითზე ხალხის ყურადღების მოწყვეტასა და რეალური საფრთხის გაქარწყლებას გულისხმობდა, მიხეილ ჯავახიშვილი თავის შესანიშნავ მხატვრულ ტილოებში, აშკარად თუ შეფარვით, მაინც წამოწევდა წინა პლანზე ცხოვრების იმ ჩრდილოვან მხარეებს, რომლებიც, ირაკლი აბაშიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „რევოლუციის ბობოქარ ტალღებში დაიკარგა და მწერლის ღრმა რწმენით არ უნდა დაკარგულიყო“ (აბაშიძე 1962: 3).

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც „პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურე ერისა“, ყალბი ილუზიებით ვერ მოატყუებდა მკითხველს. იგი ხალხის მზერას იქითკენ მიაქცევდა ხოლმე, საიდანაც ქვეყანას საშიშროება ელოდა. მართალია, მწერალი ძალზე ფრთხილად, ზოგჯერ ალევორიული ფორმით ახერხებდა თავისი დიდი სატკივრის მხატვრულ პრიზმაში გატარებას, მაგრამ მისი პოლიტიკური წარსულის გამო მუდმივი ეჭვით შეპყრობილი ხელისუფლება და მისი „ნაფიცი პროლეტკულტელები“ გამადიდებელი შუშებით ეძებდნენ მწერლის ნაწარმოებებში მათთვის მიუღებელ ქვეტექსტებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებულ მწერლის მხატვრულ პროზაში საძებარი არც ყოფილა.

მწერლის შემოქმედებისათვის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ იგი ყოველთვის ეხებოდა ცხოვრებისეულ საკითხებს. შეეძლო დროულად აერჩია და აქცენტი გაეკეთებინა აქტუალურ და საჭირობოროტო თემებზე. მისთვის მისაბადი იყო „კაცურ კაცობა, პროგრესი, ადამიანის მაღალი ზნეობა და ფაქიზი და წმინდა სული“ (ნიჟარაძე 1982: 81).

მიხეილ ჯავახიშვილი მოღვაწეობის დასაწყისშივე მხატვრული შემოქმედებით როდი შემოიფარგლება, იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს პუბლიცისტიკაში და მეფის მთავრობის საწინააღმდეგო წერილებს აქვეყნებს პრესაში, აღნიშნული ფაქტი მისი რეპრესიის მიზეზიც გახდა და იძულებული შეიქნა ემიგრაციაში წასულიყო. აღსანიშნავია, „თემატიკურ მრავალფეროვნებასთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს პერსონაჟთა მოქმედების ფართო გეოგრაფიული არე“ (ნიჟარაძე 1982: 155).

შოთა ნიჟარაძე აღნიშნავდა, რომ ემიგრაციამ, პატიმრობამ, გადასახლებამ და მოუსვენარმა ცხოვრების წლებმა მწერალს ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა და მათ საფუძველზე დაგროვილ გამოცდილებაზე აღმოცენდა შესანიშნავი რომანები და მოთხრობა- ნოველები.

მაია ძიგუა 2009 წელს დაბეჭდილ წერილში „ინტელიგენცია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში“ აღნიშნავს: „მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ ისე, როგორც სარკეში, აირეკლა ის საშინელება, რომელსაც სახელად ბოლშევიზმი ჰქვია. უფრო მეტიც, ამ ეპოქალურმა ნაწარმოებმა, უსასტიკეს წლებში, თამამად და უშიშრად გააწნა სილა არა მარტო ჯაყოს დროებას, არამედ ისიც მოურიდებლად გვიჩვენა, თუ როგორი უმწეონი არიან უხემ ძალასთან შეჯახებისას ნაწარმოების ინტელიგენტი გმირები“...(ძიგუა 2009: 44).

პროლეტარული კრიტიკის მიერ ვერ იქნა ან უფრო სწორად, არ იქნა დანახული მწერლის ის დიდი გულისტკივილი, რომელიც აშკარად გამოსჭვივის ჯავახიშვილის მხატვრულ ქმნილებებში: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „გივი შადური“, „არსენა მარაბდელი“, „ქალის ტვირთი“, „დამდნარი ჯაჭვი“, „დამპატიჟე“, „რკინის საცერი“, „ლამბალო და ყაშა“, „პაპა დიმო“ და სხვები. მათში მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაა წარმოჩენილი ყველა ის პრობლემა, რომელიც ძალზე მწვავედ დასვა საბჭოთა ეპოქამ და უმართებულოდ, ტენდენციურად გააშუქა იმდროინდელმა სალიტერატურო კრიტიკამ. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ამ მემკვიდრეობის მართებულად წაკითხვასა და ობიექტურ განსჯა-შეფასებას.

ადრინდელი ლიტერატურული კრიტიკიდან ყველაზე მეტად „კვაჭიზმზე“, როგორც საშიშ სოციალურ მოვლენაზე, დიმიტრი ბენაშვილმა გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, კვაჭი „კაცუნა იყო და გმირის როლი ითამაშა“, რაც განპირობებული იყო დროის ნიშნით. მართლაც, „კვაჭი კვაჭანტირაძე მედროვე ავანტიურისტის ზოგად ადამიანური ტიპია. შემთხვევითი არაა, რომ ავტორმა კვაჭი უეროვნო პიროვნებად, უსამშობლო და კოსმოპოლიტ ადამიანად მოიაზრა. მისი ქართველობა არსებითი არ გახლავთ და, ამდენად, ვერც „კვაჭიზმს“ ვუწოდებთ ქართულ მოვლენას. იგი, მწერლის აზრით, საშიში მსოფლმხედველობაა და საქართველოს სასიკეთოსაც არაფერს უქადდა. ამიტომაც, მისი საშიში ბუნების მხილებით, მწერალი ებრძვის და შენიღბულად, „არაპირდაპირი გზით, ახერხებს თავისი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვას

რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე დამკვიდრებული „წითელი ჯოჯოხეთისადმი“ (ნიკოლეიშვილი 2003: 53-256).

განცალკევებით მდგარი კვაჭი კვაჭანტირაძე, ავანტიურისტის ტიპი, რომელიც მწერალმა შექმნა, წინ უსწრებს ოსტაპ ბენდერსა და ყვარყვარე თუთაბერს.

„კვაჭი არის ნიჭიერი, განათლებული, მოხერხებული და ვერაგი კაცი. თავისი უნარი მან დახარჯა ფათერაკიანი დროსტარებისთვის, ფულისა და ქალისათვის. ჟამმა ისე აღაზევა, რომ რასპუტინის მეშვეობით ლამის იმპერიის სათავეში მოექცა, მაგრამ იმავე ჟამმა თავის ქვეყანას მოაშორა და ემიგრანტის სევდა არგუნა.

სტამბოლში მომწყვდეული უმოქმედო კვაჭიც ნაკაცარია“ (სიგუა 2007: 251).

მიუხედავად იმისა, რომ „კვაჭიზმი“ „დროის ნიშანია“ და ყველაზე არსებითი რომანში სწორედ ამ ფაქტის წინა პლანზე წამოწევა იყო, მაშინდელმა სალიტერატურო კრიტიკამ აქცენტი ნაწარმოების ჟანრულ თავისებურებაზე გადაიტანა.

საბჭოთა რეჟიმის მძაფრი კრიტიკაა მოცემული მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“, რომელიც 1924 წ. გამოქვეყნდა. სამართლიანად უწოდა მას გურამ ბარნოვმა „მხატვრულ პრიზმაში გატარებული ქართველი კაცის სულის ისტორია“ (ბარნოვი 1990: 7); ივანე გომართელიც მართალი იყო, როცა თქვა: „ასეთი ანალიზი ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილის სულიერი ავადმყოფობისა ჯერ არავის მოუცია ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში“ (გომართელი 1925: 28).

რამდენადაც გასაოცარი უნდა იყოს, „ჯაყოს ხიზნები“ ბესარიონ ჟღენტმა „სეზონის მოვლენად“ გამოაცხადა (ჟღენტი 1925: 42), იოსებ იმედაშვილმა – „ახალ თარიღად“ (იმედაშვილი 1925: 37), შალვა ამირეჯიბმა კი მასში ბოლშევიკურ ჩარჩოში აღწერილი ქართული ყოფა დაინახა და სწორად ახსნა მწერლის მსოფლმხედველობრივი მრწამსი, რომელიც რადიკალურად ემიჯნებოდა საბჭოთა იდეოლოგიას. მანვე უწოდა „ჯაყოს ხიზნებს“ „ბოლშევიზმის ცხვირწინ აყუდებული სასტიკი სარკე“ (ამირეჯიბი 199: 37).

„ჯაყოს ხიზნები“ თეიმურაზ ხევისთავის პიროვნების ასახსნელად არის დაწერილი, მისი თვალით არის აღქმული და განცდილი მოვლენები. ჩვენ არ ვიცით რას ფიქრობს ჯაყო, როგორ შეეგუა ღალატს მარგო. ისინი გარეგნულად მოქმედებაში არაიან დახატული. მხოლოდ ერთხელ ვეცნობით მარგოს აფორიაქებულ სულს, როცა იგი ჯაყომ გააუპატიურა.

მწერალს ჯაყო და მარგო სჭირდება, რათა აჩვენოს ხევისთავის, ანუ იმ ინტელიგენციის ტრაგედია, რომელიც სძულს თეიმურაზსაც და რომელმაც თავისი უნიათობის გამო ქვეყანაც დაკარგა და საკუთარი თავიც“ (სიგუა 2014: 236).

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ბატონი სოსო სიგუა ზემოაღნიშნული წერილის გაგრძელებაშიც: თეიმურაზი პატრიოტი კეთილშობილი მოღვაწე და მეცნიერია, მაგრამ ასეთი ადამიანი ქვეყნის წარმართველი ძალა ვერ იქნება. იგი სუსტია ფიზიკურად და ფსიქიკურადაც. მის აპოლინურ (დაცვა, გამართლება) სტიქიას ანადგურებს მძვინვარე ბოლშევიზმი, რომელიც ისევეა დიონისური სტიქია, როგორც ჯაყო ჯივაშვილი.

მიხეილ ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატი იყო, იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი “პარიტეტული კომიტეტისა”, რომელიც 1923 წელს დახვრიტეს. თვითონ აღიარა დანაშაული და შეურიგდა მოძალადე ხელისუფლებას.

„ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავი განასახიერებს საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელსაც ხელთ ჩაუვარდა ქვეყანა, მაგრამ ვერ უპატრონა.

დედისერთა მარგო ყაფლანიშვილი ძველი საქართველოა, რომელიც ჯერ თეიმურაზს ჩაბარდა, შემდეგ კი- ჯაყო ჯივაშვილს, უკეთურ და უცხო ძალას. იგი გახდა წიგნისა და აზრის მოძულე“ (იქვე).

ამგვარ მოსაზრებათა მიუხედავად, „ჯაყოს ხიზნები“ ადრინდელ სალიტერატურო კრიტიკაში უარყოფითად იქნა შეფასებული. ზოგიერთი კრიტიკოსი იმედოვნებდა, რომ იგი, როგორც უმსგავსო მოვლენა, მალე განიდევნებოდა ქართული მწერლობიდან (ჭანტურიშვილი 1927: 2).

მაშინდელ კრიტიკოსთა მიერ საქართველოში ვერ თუ არდანახული რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებს მართებულად უწოდა თანამედროვე კრიტიკამ „XX საუკუნის „ქართლის ჭირი“ და „ბედი ქართლისა“ (ვასაძე 1985: 5), „აპათიის დამლუპველი სენით შეპყრობილი“ (ნიკოლეიშვილი 2003: 268), „ეროვნულად და მსოფლმხედველობრივად დეგრადირებული, სულიერად დაავადებული ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილის „საბრალდებო დასკვნა“ (მერკვილაძე 1994: 10); მკვახე შემახილი, ერის გამოსაფხიზლებლად თქმული (აგლაძე 1991: 83); მკაცრი გაფრთხილება

– ვერიდოთ მოყვასის სტატუსით ჩვენს გადასაჯიშებლად მოსულ უცხო ძალას (მიშველაძე 1998: 185); „პუბლიცისტური შემართებით დაწერილი სრულყოფილი ნაწარმოები“ (ჭილაია 1975: 91), რომელშიც „შეუბრალებელი სატირული კალმითაა დახატული ბოროტება (ჯაყო) და უმწეობა (თეიმურაზი), მეორე მხრივ, მათი ერთობლივი მსხვერპლი (მარგო)“ (ბაქრაძე 1980: 64); ეპოქალური ნაწარმოები, რომლითაც მ. ჯავახიშვილმა „თამამად და უშიშრად გააწნა სილა ბოლშევიზმს“ (სიგუა 2005: 12).

„მიხეილ ჯავახიშვილი არ იყო მოდერნისტი, მაგრამ ეპოქის კარნახით გამოიყვანა მარტოობის გმირები, მწერლის მიერ „ნაკაცარებად“ წოდებულნი.

გავიხსენოთ თეიმურაზ ხევისთავი, ერთი მხრივ - ცნობილი მეცნიერი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მეორე მხრივ - „დამდნარი ნაკაცარი“, „წიგნის ჩრჩილი“, „ქაჩალი თაგვი“, „ბედოვლათი“ და „ნაცარქექია“ (სიგუა 2014: 235).

სხვა რომანების მსგავსად, მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადურსაც“ (1927-1928 წწ.) არ დაკლებია იმდროინდელი კრიტიკის რისხვა. ჯერ იყო და აკინძული წიგნის გამოცემა შეაჩერა და აკრძალა მ. კახიანმა, შემდგომ კი, ავტორის მიერ ხელისუფლებისა და პროლეტარული მწერლობისთვის მიუღებელი ეპიზოდების ამოღების მიუხედავად, რომანი მწვავე კრიტიკული განსჯის საგნად იქცა; იგი მწერლის მსოფლმხედველობრივი სიბეცის გამოხატულებად იქნა მიჩნეული (ვ. ლუარსამიძე, დ. დემეტრაძე, გ. ტოროშელიძე, ვ. ბახტაძე, პ. ქიქოძე, ბ. ბუაჩიძე); კერძოდ, ვ. ლუარსამიძემ «გივი შადურს» „ახალი ეთიკური ნორმების წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოები უწოდა“ (ლუარსამიძე 1928: 56), მ. ტოროშელიძემ – „რევოლუციური შინაარსისაგან დაცლილი რომანი“ (ტოროშელიძე 1934: 48), დ. დემეტრაძემ მისი გამოქვეყნება „ნაციონალურ თავდასხმად“ მიიღო (დემეტრაძე 1929: 61), ბ. ბუაჩიძემ კი „სასაფლაოს მწერლობად“ (ბუაჩიძე 1930: 153-164) მონათლა. სამწუხაროდ, ვერც გიორგი ჯიბლაძემ შეაფასა მართებულად „გივი შადური“, მისი აზრით, ნაწარმოებში საბჭოთა სინამდვილე ცალმხრივადაა დანახულიც და დახატულიც (ჯიბლაძე 1959: 107).

ადრინდელი ლიტერატურული კრიტიკა მწერალს ჩანაფიქრს ვერ მიუხვდა, რის გამოც, მას ოპონენტების დაბნევის მიზნით, გლეხკაცთა სოციალური მდგომარეობის ასახვაზე აქცენტის გადატანა შემოქმედებით წარმატებად ჩაეთვალა; თუმცა, ცოტა

მოგვიანებით, ნაწარმოებს მაინც „მძაფრად ნაციონალისტური“ რომანის სტატუსი მიენიჭა (დ. დემეტრაძე, პ. ჩხიკვაძე).

თანამედროვე ლიტერატურულმა კრიტიკამ „არსენა მარაბდელში“ დიდი ეროვნული ტკივილი დაინახა და სწორად ჩასწვდა მის დედააზრს. „მიხეილ ჯავახიშვილი სრული სისავსით ხატავს დამპყრობლის ზნესა და დაპყრობილი ხალხის ვარაძს“, – წერს ნ. გრიგალაშვილი და ხაზს უსვამს, რომ „სკვითმა წაგვართვა სამშობლო – გოდებითაა სავსე ეს წიგნი“ (გრიგალაშვილი 200: 269). ა. ნიკოლეიშვილი ყველაზე მეტად მწერლის ეროვნული თვალთახედვის გამოხატულებად ახალციხის ომსა და 1832 წლის შეთქმულების აღწერას მიიჩნევს. მისი აზრით, ავტორი ბოლომდე ამიშვლებს და სიღრმისეულად წარმოაჩენს იმ საშინელებათა არსს, ერთმორწმუნეობისა და მშველელ-მფარველის პრეტენზიით მოსული რუსეთი რომ ამკვიდრებდა მის მიერ დაპყრობილ საქართველოში (ნიკოლეიშვილი 2003: 338).

ისიც უნდა ვთქვათ, რომ კრიტიკოსის აზრით, „არსენა მარაბდელი“, სამწუხაროდ, საკმაოდ პესიმისტური და სამომავლო პერსპექტივას მოკლებული რომანია. არ გაუმართლდა ჩანაფიქრი მწერალს – კონიუნქტურული რომანით გაეჩუმებინა იმდროინდელი კრიტიკა და „ქალის ტვირთიც“ (1936 წ.), რომელსაც თავდაპირველად „სახლი № 7“ ერქვა, მძაფრი განქიქების საგნად იქცა. იგი სოციალისტური იდეოლოგიისათვის მიუღებელ ნაწარმოებად იქნა სახელდებული და, როგორც ნ. შავგულიძე წერს: „ოპერატიულადაც გაკრიტიკდა“. „ქალის ტვირთის“ განხილვა 1937 წლის 4-7 აგვისტოს მოეწყო მწერალთა კავშირში, რომლის სრული სტენოგრამა დაცულია ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფ 8-1-623, ფ 8-1-622). რომანი მწერლის კონტრევოლუციურ-მოღალატური ლიტერატურული მოღვაწეობის ღირსეულ აპოთეოზად მოინათლა და მკაცრად გაკრიტიკდა ბ. ჟღენტის, კ. ლორთქიფანიძის, ი. ტატიშვილის, კ. წულუკიძის, პ. ქიქოძისა და, ლ. ბერიას მიერ. კონიუნქტურულ ნაწარმოებად აღიარა იგი თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკამაც (ა. ნიკოლეიშვილი, რ. მიშველაძე, გ. გვერდწითელი, შ. აგლაძე).

ვინაიდან 20-30-იანი წლების სალიტერატურო კრიტიკა სოციალისტური იდეოლოგიისათვის მიუღებელი ნაწარმოებების გამო თავს ესხმოდა მწერალს, იგი ზოგჯერ კონიუნქტურულ ნიღაბს ირგებდა და საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელ მანკიერებებზე შეფარვით გვესაუბრებოდა („ფინჯანი“, „პაპა დიმო“, „ლამბალო და ყაშა“,

„დამდნარი ჯაჭვი“)... ადრინდელმა ლიტერატურულმა კრიტიკამ „ფინჯანის“ ქვეტექსტი ვერ წაიკითხა და ამიტომ ჩათვალა იგი მწერლის წინგადადგმულ ნაბიჯად (ბ. ბუაჩიძე, გ. ჯიბლაძე), ნამდვილად კი იგი, როგორც ა. ნიკოლეიშვილიწერს, – „ანტი საბჭოური სულისკვეთების გამომხატველი ქმნილებაა“ (ნიკოლეიშვილი 2003: 233). ასეთივე შეფასება მიიღო „ლამბალო და ყაშამ“ (1925 წ.). იგი სიმბოლურად ახალი რეჟიმის ამსახველიცაა და მისთვის განაჩენის გამომტანიც (გრიგალაშვილი 2004: 294), რომელშიც მკაფიოდაა წარმოჩენილი დამპყრობლის ვერაგი ბუნება. „ლამბალო და ყაშა“ იმპერიალისტური ზრახვების მამხილებული მოთხრობა, ... ქართულ სინამდვილეზე, იმპერიის კლანჭებისაგან თავგამოხსნის იდეით გაჟღენთილი ნაწარმოებია“ (მიშველაძე 1998: 172). საგნებისა და მოვლენებისადმი რევოლუციური თვალეზით ცქერას თუ რა სავალალო შედეგების მოტანა შეუძლია ადამიანისთვის, ნათლად ჩანს „დამდნარ ჯაჭვში“ (1923 წ.). მოთხრობის ლაიტმოტივი მდგომარეობს იმაში, რომ „ზნეობრივი პრინციპებისა და ეთიკური მცნებების დავიწყება ყოვლად მიუტევებელი დანაშაულია, ამ ფასეულობებისაგან განძარცვული ადამიანი, „უღირსებო კაცია“ (აკ. ბაქრაძე). მოთხრობა ერთადერთ ჭეშმარიტებად გამოცხადებული იდეოლოგიური სტერეოტიპის უბოდიშოდ მსხვერვის მაჩვენებელია (ა.ნიკოლეიშვილი), რომელშიაც „დოგმატური მარქსისტული აზროვნებისაგან მანქურთად ქცეული ადამიანებია დახატული“ (რ. მიშველაძე). ნაკაცართა ცხოვრების ტრაგიზმი მკაფიოდ ჩანს მოთხრობებში: „ხუთის ამბავი“ (1926 წ.) და „პაპა დიმო“ (1926 წ.), რომლებშიაც ავტორი გადმოგვცემს სოციალურად ფუნქციადაკარგული ადამიანების ტრაგიკულ თავგადასავალს; იმდროინდელი კრიტიკა ნაწარმოებებში რევოლუციიდან გარიყული ადამიანების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვას კრძალავდა (მებუკე, პ. ქიქოძე, ბ. ჟღენტა).

თვალსაჩინოებისათვის გავიხსენოთ გაზეთი „მუშის“ 1927 წლის 8 აპრილის ნომერში „მებუკეს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს მიხეილ ჯავახიშვილს ზემოთ დასახელებული მოთხრობებისათვის და პოლიტიკურად „ნეგრამოტნის“ უწოდებს მას რევოლუციაზე „მემჩანური და ობივატელური“ წარმოდგენისთვის (მებუკე 1927: 7). პლ. ქიქოძემ და ბ. ჟღენტმა „პაპა დიმო“ მწერლის „იდეურ ჩავარდნად“ მიიჩნიეს. სინამდვილეში კი, როგორც ა. ნიკოლეიშვილი ამბობს, „ხუთის ამბავი“ და „პაპა დიმო“ საბჭოთა ქვეყანაში დამკვიდრებული თითქოსდა ჰუმანიზმის, სულიერი სამართლიანობისა და ბედნიერი

ცხოვრების პარადია (ნიკოლეიშვილი 2003: 224). ნაწარმოებით ავტორი პროტესტანტულად განაწყობს მკითხველს იმ ყოფითი სინამდვილისადმი, რომლის წიაღშიაც ეს ტრაგედია დატრიალდა.

მიხეილ ჯავახიშვილი დაუნდობელი და უკომპრომისოა იმ სინამდვილისადმი, რომელიც დაამყარეს ბოლშევიკებმა საქართველოში. მწერალი აკრიტიკებს მარადიული სულიერი ფასეულობების ლაფში ამომსვრელთ და ხაზს უსვამს იმას, რომ ეროვნება-დაკარგული ადამიანი უფესვო ხეა („მიწის ყვილი“, „ხუთის ამბავი“). ა. ნიკოლეიშვილი ამ მოთხრობათა მთავარი გმირების ტრაგიკული ბედისწერის განმაპირობებელ უძირითადეს ფაქტორად მშობლიური ფესვებიდან მოწყვეტასა და ეროვნულ ნიჰილიზმს ასახელებს. ადრინდელი ლიტერატურული კრიტიკის თავდასხმის საგნად იქცა 1928 წელს ჟურნალ „არიფიონში“ დასტამბული მოთხრობა „დამპატიჟე“, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილმა სოციალისტურ სოფელში აღზევებული მანკიერებანი გამოამხეურა; ავტორის თვალთახედვა პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის, რამაც განაპირობა კიდევ იმდროინდელი კრიტიკის აღშფოთება და ამიტომაც ჩაითვა „დამპატიჟე“ მწერლის „იდეურ მარცხად“, „იდეოლოგიურ ჩავარდნად“, „მავნე მხატვრულ პროდუქციად“, ხოლო თავად ავტორი გამოცხადდა „ხალხის მტრად“, „რეაქციონერად“ და „პროვოკატორად“ (ბ. ჟღენტი, ფ. მახარაძე, გრ. მუშიშვილი).

საკვირველია, რომ იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკა დუმდა 1926 წელს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ სექტემბერ - ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ მიხეილ ჯავახიშვილის „ცოფიანზე“ მაშინ, როცა მწერალი გამოხატვის საგნად ყოველთვის არსებული სინამდვილის ყველაზე მწვავე პრობლემას ირჩევდა ხოლმე, რაც თავისთავად ქმნიდა საპოლემიკო განწყობილებას. ასე რომ, იმხანად მწერლის შემოქმედების ირგვლივ გამოქვეყნებულ არცერთ მონოგრაფიაში, სტატიასა თუ ესეში „ცოფიანი“ არ ფიგურირებს, გარდა ორიოდე პატარა რეცენზიისა: კერძოდ, 1926 წელს გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება ვასო გორგაძის რეცენზია, რომლის მიხედვითაც იგი სახელდება „თეთრი საყელოს“ სტილის ესკიზად.

1927 წ. ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება ვალია ბახტაძის რეცენზია, რომელშიც ძალზე მაღალი შეფასება ეძლევა „ცოფიანის“ მხატვრულ ქსოვილს; თუმცა ავტორი აღშფოთებას ვერ ფარავს ნაწარმოების „ყალბი, ხელოვნურად მოგონილი“ პათოსის გამო.

ნოველის მიმართ ინტერესი უფრო შესამჩნევი გახდა მწერლის რეაბილიტაციის შემდგომ პერიოდში. დიმიტრი ბენაშვილის აზრით, „მიხეილ ჯავახიშვილი მაღალი ადამიანური მორალით განსჯის ხირჩლას საქციელს. მოხუც ხევსურში მწერალი ხედავს ქართული ოჯახისა და ნათესაური ტრადიციების დამცველს” (ბენაშვილი 1959: 40); მორალურ ასპექტშივე განიხილავენ ნოველას ტარიელ კვანჭილაშვილი (კვანჭილაშვილი 1987: 16) და შოთა აგლაძე (აგლაძე 1991: 60). ავტორთა მართებული თვალსაზრისით, „ცოფიანის” ერთ-ერთი მთავარი ღირსება უკომპრომისო, პრინციპული იდეურ-ზნეობრივი პოზიციის გამოხატვაა; გიორგი მერკვილაძე თვლის, რომ ამ ნოველით მწერალი შეეცადა მოეცა ბოროტების ჩათესვა-გამოვლინების სხვაგვარი, ამ შემთხვევაში, სოციალურ ასპექტს გარიდებული ახსნა. იმავდროულად, მკითხველს შეახსენა ეროვნული ზნეობის ყველაზე წმინდა და უმაღლესი პრინციპების დაცვა-განმტკიცების აუცილებლობა. რ. ჩხეიძის შეხედულებით, მწერალმა, „მამის მიერ შვილის მოკვლის მოტივის მოშველიებით უკეთ შეძლო ახალი სინამდვილის არსის გამოიშვლება” (ჩხეიძე 1990: 10), მისი შინაგანი შემზარაობის სააშკარაოზე გამოტანა და, რაც მთავარია, დაგვანახა ის უდიდესი ხიფათი, რითაც ახალი წყობილება ემუქრებოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

კრიტიკოსი 2011 წელს კვლავ გამოეხმაურა ნოველას წერილით – „ამბავი „ცოფიანის” მკვდრეთით აღდგომისა”, რაც განაპირობა გამომცემლობა „არტანუჯის” მიერ 2011 წლის სანოემბროდ, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების დღისათვის ცისანა გენძეხაძის რედაქტორობით ცალკე წიგნად გამოცემულმა ნოველამ „ცოფიანი”. ანოტაციაში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ეს ბელეტრისტული ნიმუში პირველად დაიბეჭდა 1926 წელს ჟურნალში „ქართული მწერლობა” და მას შემდეგ აღარსად გამოჩენილა. იმავეს იმეორებს რედაქტორი ბოლოსიტყვაობაშიც. ამის საპასუხოდ რ. ჩხეიძე იხსენებს 1996 წელს ქუთაისში ჩვენ მიერ გამოცემულ „ცოფიანს“ და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ნოველა ავტორის შემდეგ პირველად სწორედ ჩვენ გამოვეცით და არა გამომცემლობა „არტანუჯმა”. რ. ჩხეიძის წერილში „ცოფიანი” მოხსენიებულია როგორც „პოლიტიკური მუხტით გამსჭვალული” ნოველა, „პოლიტიკური პამფლეტი” (ჩხეიძე 2011: 2).

მართლაც, „ლიტერატურული საქართველოს” 1990 წლის 16 მარტის ნომერში რ. ჩხეიძის მიერ გამოქვეყნებულმა ლიტერატურულ-პოლიტიკურმა ესეიმ „ცოფის ბუდე”

ძველ პერიოდიკაში აღმოგვაჩენინა ეს ნოველა. იმან, რომ ჟურნალ „ქართული მწერლობის“ ის სექტემბერ-ოქტომბრის გაერთიანებული ნომერი, რომელშიც „ცოფიანი“ პირველად დაიბეჭდა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ამის გამო თანამედროვე მკითხველს მასზე ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი, გადაგვაწყვეტინა ამ ნოველის ცალკე წიგნად გამოცემაც და მცირე ნარკვევის დართვაც. ტექსტი ჟურნალიდან უცვლელად გადმოვბეჭდეთ, გავასწორეთ მხოლოდ ზოგიერთი კორექტურული შეცდომა. ნარკვევში ჩვენ მიერ, ერთი მხრივ, ხაზგასმულია, რომ ძალლიკას სამხედრო ბეგარამ – რუსის ჯარში სამსახურმა დაუკარგა არამარტო ქართველის, არამედ, ზოგადად, ადამიანის სახე, რომელმაც დაუშვა საკრალურის დესაკრალიზაცია, პროფანირება და იგი ქრისტიანული მორალური კანონების, ეროვნული ადათ-წესებისა და ტრადიციების შემბილწველ, შემბლალველ ძალად აქცია. მეორე მხრივ, ძალლიკას დანაშაული ახსნილია ზ. ფროიდის ფსიქოანალიზის მეთოდის გამოყენებითაც.

რევაზ ჩხარტიშვილი, რომელიც საგანგებოდ იკვლევს ამ ეპოქის ლიტერატურულ კრიტიკას, გაცემულია 1920-21 წლის პროლეტარული მწერლობის მესვეურთა უტიფრობითა და მამლაცინწური ტონით გრიგოლ რობაქიძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიასადმი. იმდენად მიუმწყვდევიათ მიხეილ ჯავახიშვილი კუთხეში და გაუცამტვერებიათ, რომ მკვლევარი ირონიით წერს: „საბრალო მიხეილ ჯავახიშვილი. იგი თანამგზავრიც არ ყოფილა. რანაირად მიაღწევდა პროლეტლიტერატურის სადგურს, მითუმეტეს, მოკავშირეობის ბაქანიც გასავლელი ჰქონია“ (ჩხარტიშვილი 1993: 20). ოდნავ სულის მოსათქმელად კონსტანტინე გამსახურდიამ „დისტანციის თეორია“ იფარა, აქაოდა რევოლუცია ისეთი გრანდიოზული მოვლენაა, მას წლების შემდგომდა თუ შევაფასებთ და დავაფასებთ სრულადო. მაგრამ ამოდ... „შავრაზმელებად“ და „რეაქციონერებად“ მონათლულთ არაფერი შველოდათ. მით უმეტეს, როცა 1924 წლის ჯანყისადმი მათი თანაგრძნობა საყოველთაოდ იყო ცნობილი.

მიხეილ ჯავახიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა შეთქმულებაში, მას სიკვდილი მიუსაჯეს და სასწაულებრივად შეიწყალა უმოწყალო და შეუბრალებელმა სერგო ორჯონიკიძემ. გრიგოლ რობაქიძე ამ ამბებს ასე იხსენებს: „ჯავახიშვილი ერია შეთქმულებაში, რომელიც კოტე აბხაზის ჯეროული სახელით შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“ (ეს მან გამანდო პროცესის შემდგომ). იყო იგი მონაწილე სხვა

შეთქმულებისა? გადაჭრით შემძლია ვთქვა: არა! ერთხელ გადარჩენილი, შეუძლებელია ხელმეორედ გახდეს საბჭოეთში შეთქმული - მარღვეშინებულ ცხენს სადოლედ არ გაიყვანენ, ვიტყვით ქართველნი. ხოლო როგორც მამულიშვილი, ჯავახიშვილი ჩემს იქ ყოფნის დროსაც ვერ ურიგდებოდა ბოლშევიზმს შინაგანად და, ვფიქრობ, ვერც მერმე შეურიგდებოდა“ (რობაქიძე 1984: 17). ეს მოსაზრება სავსებით მართებულია, მიხეილ ჯავახიშვილი თავისი რეალისტური ქმნილებების ყველა ნიუანსში აშიშვლებდა ბოლშევიზმის ნამდვილ ბუნებას, მის სულის შემხუთველ არსს და ამის დასტურია მისი „დამპატიჟე“, რომელიც „ჯაყოზე“ არანაკლებ შეიქნა ყბადაღებული. როცა განერიდა თანადროულობას და ისტორიულ თემატიკას მიჰმართა, შეიქმნა „არსენა მარაბდელი“.

გრიგოლ რობაქიძე როცა წერს, მრავალ ნაკლს მოუძებნის „არსენა მარაბდელს“, „თეთრ საყელოს“ და „ჯაყოს ხიზნებს“, მაგრამ არასოდეს არ არის ჯიუტი და თავისნათქვამა, ხშირ შემთხვევაში გადაამოწმებს და გადააფასებს თავის შთაბეჭდილებებს და გამოყოფს სრულყოფილ პასაჟებს ჯავახიშვილის მხატვრული სამყაროდან. მიხეილის „თეთრ საყელოს“ თავისებური გავლენა მოუხდენია გრიგოლ რობაქიძეზე, რომელმაც წაწლობის თემას თავადვე მიუძღვნა მოთხრობა „ენგადი“. თუკი „თეთრი საყელო“ ხორციელ თავშეუკავებლობამდე მისულ მეტრფეებს წარმოგვიდგენს, „ენგადი“ ამ მხრივ მისტიურ-საკრალურ სიწმინდედ სახავს „წაწლობას“ და მას გამოცდად წარმოგვიდგენს.

აქ უკვე შემოქმედებითად გადაკვეთს ორი მწერალი ურთიერთს. ცნობილია ის ფაქტიც, რომ მიხეილ ჯავახიშვილი „შამილის“ დაწერას აპირებდა და ექსპედიციაც უნდა მოეწყო მის მშობლიურ მხარეში. მან ვერ განახორციელა ეს. გრიგოლ რობაქიძემ ამ თემაზე ექსპრესიულობით აღბეჭდილი მოთხრობა „იმამ შამილ“ დაწერა. როგორც ჩანს, ორივე მწერალი ხშირად ინტერესდებოდა ერთი და იმავე თემატიკით. ასევე აინტერესებდათ ერთიმეორის საზოგადოებრივი ნაღვაწი, მიზნები და მისწრაფებები. მიხეილ ჯავახიშვილმა, როცა „არიფიონის“ შექმნა განიზრახა და მოგვიანებით შექმნა კიდევ, ამის თაობაზე გერმანიაში მყოფ გრიგოლ რობაქიძეს აცნობა. მანაც, დაინტერესებულმა, მოიწერა: „ჯგუფი „არიფიონი“ რომ დააარსეთ - ამ ჯგუფის გამოვიდა რამე თუ არა: ან „გეზი“, ან ჟურნალი, ან კრებული? საინტერესო ესაა. თუ გამოვიდა - გამომიგზავნე“ (1928 წ.).

გრიგოლ რობაქიძე მეორედ 1931 წელს გაემგზავრა გერმანიაში და მაშინაც ხშირად სწერდა მიხეილ ჯავახიშვილს. ეს მიმოწერა უაღრესად აქტუალური და საქმიანია. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „აქ დიდი კრიზისი: მდგომარეობა თანდათან უარესდება, განსაკუთრებით ლიტერატურულ ფონზე. ჯერ ერთი ამერიკანიზმი სპობს ნამდვილ ლიტერატურას. პაუზა არ არის, რომ გულდასმით რაიმე იგრძნო, გამეფდა მსუბუქი ლიტერატურა; დაძინების წინ წასაკითხი - ანდა: მოდუნებული სქესის გამაღიზიანებელი. კრიტიკა თანდათან ჰქრება, რჩება მხოლოდ რეკლამა. მეორე მხრით: ყოველი მწერალი დაძაბულია - დავიწყებას არ გადაეცეს და ამისთვის სწერს, სწერს მანქანადქცეული. რა გამოდის ამ მანქანისაგან - ეს ავტორმაც იცის. ამ მხრივ ჩვენ ბევრად უფრო ბედნიერნი ვართ, პატარა ერის შვილები. არ გაგეცინოს. პატარა ერის წიაღში მწერალი ორგანიულ შედის და რჩება ცოცხალი. დიდი ერის წიაღში (ამერიკანიზმის ხანაში) საკმაოდ გამოჩენილი თხზულება მხოლოდ რამდენიმე წელი ცოცხლობს (აქ ელიან სულ ახალს და ახალს). ნურავინ იფიქრებს, რომ ევროპის სარბიელზე გასვლა მაინცდამაინც სახარბიელო იყოს. მშობელი მიწა და მისი თბილი წიაღი უშრეტია“...(რობაქიძე 1984: 5).

ამ წერილში მრავალი რამ არის საცნაური: ევროპული ცხოვრების წესი, თანდათან ამერიკულს რომ ემსგავსება; მომქანცავი დიდი მწერლობისა და ხელუხლებელი მიწის წიაღი პატარა ერისა, რომელიც ორგანულად ითვისებს მწერლებს და მათ ქმნილებებსაც. ისიც ფაქტია, რომ ასეთი აზრების მქონე გრიგოლ რობაქიძე ნებაყოფლობით არ დარჩებოდა „ამერიკანიზმის“ არეში. სწორედ 1931 წელს წყდება ყოველგვარი ურთიერთობა გრიგოლ რობაქიძესა და მიხეილ ჯავახიშვილს შორის. ამიერიდან ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს. საგულისხმოა, რომ ისინი პირში ეუბნებოდნენ ერთმანეთს სათქმელს. თუკი რამ არ მოეწონებოდათ, როდი ფარავდნენ.

„მიხეილ ჯავახიშვილი რეალისტი მწერალი იყო, შორს მდგარი სიმბოლისტური სიკვდილის ესთეტიკისაგან, როცა ტანჯვა და დაღუპვა სიხარულად უბრუნდება მკითხველს. მაგრამ თხზავდა დრამატულ სიუჟეტებს, გამოჰყავდა ტრაგიკული ბედის პერსონაჟები, რომელთაც ეპოქის ქარბორბალა თუ სულში ჩასახლებული დემონი განსაცდელს უმზადებთ.

სიკვდილზე ფიქრობდა მაშინაც, როცა წერდა პირველ მოთხრობებს.

1903-1908 წლებში შვიდი მოთხრობა დაბეჭდა. შემდეგ პუბლიცისტიკამ და პრაქტიკულმა საქმემ გაიტაცა. ამას დაერთო დევნა და ემიგრაცია.

ლიტერატურას 1923 წელს დაუბრუნდა, 43 წლისა“ (სიგუა 2007: 237).

საბჭოთა აგრესია ქართული მოდერნიზმის მიმართ ისეთივე მიზანმიმართული იყო, როგორც ქართული არისტოკრატიული გვარების და, რაც მთავარია, ქართული ქრისტიანული კულტურისა და ეკლესიის მიმართ.

„ნიშანდობლივია ისიც, 1990-იანი წლებიდანვე, საბჭოური სისტემისგან გათავისუფლების პირველივე ეტაპიდან, საქართველოში, უწინარესად, დაიწყო საზოგადოებრივ სივრცეში ქართული მოდერნისტული კულტურის დაბრუნების პროცესი. თუკი საბჭოთა პერიოდში ამ კულტურულ მემკვიდრეობასთან კავშირი არაფორმალურ, ინდივიდუალურ შემთხვევებში იყო შენარჩუნებული, პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ კავშირის აღდგენა, მოდერნისტული ლიტერატურული ფიგურების სათანადო შეფასების, ტექსტების სათანადო ინტერპრეტაციის პროცესი უფრო ფართოდ მიმდინარეობდა“ (წიფურია 2010: 17).

თავი III. იდენტობის გაგება და მისი მნიშვნელობა

ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის განსაზღვრაზე გადასვლამდე, საინტერესოა რა მიიჩნევა იდენტობად, რამდენადაც ის თავისთავში ატარებს ინდივიდუალურობის გამომხატველ შინაარსს. იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ მეზე, რომელიც ხასიათდება ინდივიდუალური თვითგაიგივებისა და მთლიანობის სუბიექტური გრძნობით; ესაა ადამიანის მიერ საკუთარ თავთან იგივეობის დადგენა (ნაწილობრივ გაცნობიერებული, ნაწილობრივ გაუცნობიერებელი) რაღაც ტიპოლოგიური კატეგორიით (სოციალური სტატუსით, სქესით, ასაკით, როლით, სახით, ნორმით, ჯგუფით, კულტურით და ა.შ.).

1905 წლის N2773, 17 მარტის „ცნობის ფურცელის“ წინასიტყვაობაში, რომელიც ეკუთვნის სილოვანს, აღნიშნულია: „დღევანდელს განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი საზოგადოების ყოველ დღეს გათვალისწინებული ჰქონდეს, თუ როგორი რეფორმები, როგორი წესწყობილებაა ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო. დემოკრატიულ ნიადაგზე აგებული ავტონომიური მართვა-გამგეობა საუკეთესო ფორმად მიგვაჩნია ყოველი ერის თავისუფალი კულტურული განვითარებისთვის.“

ვინც სამშობლო ენისა და საზოგადოთ ეროვნული თვითცნობიერების მნიშვნელობას ივიწყებს, ნება არა აქვს სთქვას, ხალხის ბედნიერებას ვზრუნავ, ხალხის ინტერესებს ვიცავ, ხალხს ვაღვიძებო... ეროვნულ თვითცნობიერებას უდიდესი ადგილი უჭირავს ხალხის ცხოვრებაში. ადამიანი ნამდვილ ადამიანს მხოლოდ მაშინ ემსგავსება, როცა ეკონომიურ საჭიროებასთან ერთად სრული შეგნებით გრძნობს სულიერ მოთხოვნილებას და მისი დაკმაყოფილება აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია; ხალხი ადამიანურად გამოღვიძებული მხოლოდ მაშინ არის, როცა შეგნებულად ესმის, რომ ყმაწვილს მხოლოდ დედა-ენაზე შეუძლია ჭეშმარიტად, ნორმალურად გონების განვითარება; ხალხი მაშინ არის ეროვნულად მომწიფებული, ადამიანურად განვითარებული, როცა სწყურია-გასწმინდოს და გაამშვენიეროს თავისი სამეტყველო დედა-ენა, ჰარმონიული, მუსიკალური იყოს მისი ენა როგორც საუბარსა, ისე მწერლობაში, გულსა და სულს ატკბობდეს უმაღლესად განვითარებული მისი მუსიკა და სიმღერა, ციური ხმა ისმოდეს მის მგოსანთა ჩანგის ჟღერაში, ღრმა აზროვნებითა და

მაღალგონიერებით აღბეჭდილი იყოს მისი მეცნიერება!.. ენის გამშვენიერება კი, მწერლობის გამდიდრება და ამადლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ხალხის ენას ფართო თავისუფლება აქვს მინიჭებული ცხოვრებაში!...დღეს ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში დაწესებულმა სასტიკმა ადმინისტრაციულმა რეჟიმმა ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა და რომ ნორმალური წესრიგის დამყარებისა და მოქალაქეობრივი განვითარებისთვის სრულიად სხვა წესია საჭირო.

აქ წინ გველოდება მეტად ძნელი საკითხი განაპირა ქვეყნებისა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ეროვნული საკითხი“ (ეროვნული თვითმართველობა 1905: წინასიტყვაობა).

ამავე წიგნში, წერილში „ავტონომია და ეროვნება“ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს: „მარტო სოციალური ცვლილება არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის. ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ეროვნული თავისუფლება, ფართო ნაციონალიზმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმს, ეროვნული პრინციპის გარეშე, არ ძალუძს ააღორძინოს ქვეყანა. აგრეთვე უძლურია ნაციონალიზმი უსოციალიზმოდ. დიდი ხანია ნათქვამია: „არა ერთი პურითა ცოცხალ არს კაციო“. საჭიროა სრული დაკმაყოფილება სულისაც. სული კი, როგორც ხორცი, ყველა ადამიანისა ეროვნულია, ნაციონალურია. ნაციონალიზმი კოლექტიური პიროვნების კოლექტიური თავისუფლებაა და როგორც კერძო პირი ვერ განვითარდება, ვერ გაიფურჩქნება, თუ მის პიროვნებას და თავისებურებას ფართო გზა არ ექნა გახსნილი, ისე ერი დაიჩაგრება, თუ მის ეროვნებას არ მიენიჭება სრული თავისუფლება, თუ არ მიენიჭება: ეროვნული სმართალი, ეროვნული შკოლა, სრული გამგეობა, ეროვნული თვითმართველობა. ამიტომ, ვინც გაიძახის: ძირს ნაციონალიზმი, ძირს ავტონომია და გაუმარჯოს მარტო სოციალიზმსაო, - აცლის ხალხს კეთილდღეობის ერთ მთავარ ბოდსა და სტოვებს მას მხოლოდ მეორე მთავარი ბოდის ამარა. მეორე მხრივ, ვინც ამბობს: გაუმარჯოს მარტო ნაციონალიზმს და ძირს სოციალიზმიო, - ჩადის იმავე ცალმხრივობას, უკუდმართობას, ჭუამოკლებას. ჯერ კაცობრიობა არ მოსწრებია იმისთანა მაგალითს, რომ ერს ელაღატების ეროვნული გზისათვის, გადასცთენოდეს მას და არ წასულიყოს უკან, არ გადაშენებულიყოს. ნაციონალიზმი, ხელიხელ ჩაკიდებული სოციალიზმთან, გახლავთ ორპირი იარაღი, რომელიც ერთი პირითაც უკაფავს ხალხს გზას ბედნიერებისაკენ და მეორე პირითაც.

ამ ნაციონალ-სოციალურ მიმართულებას თანაუგრძნობს დღეს დიდი უმრავლესობა ქართველთა შეგნებული საზოგადოებისა და დიდი უმრავლესობა თვით მდაბიო ხალხისა, ზოგი ინსტინქტიურად და ზოგი შეგნებით.

მხოლოდ ამ ფართო მიმართულებას, მოკლებულს ვიწრო დოკტრინის ცალმხრივობას, შეუძლია თავი მოუყაროს მთელ ქართველობას ერთ დროშის ქვეშ, დააყენოს კულტურის ფართო გზაზე, განავითაროს ნივთიერთაც, გონებრივად და ზნეობრივად და მომავალში მიანიჭოს კეთილდღეობა“ (ეროვნული თვითმართველობა 1905: 30).

ცნება იდენტობა მჭიდრო კავშირშია ტერმინ „ინდივიდუალურის« დადგენასთან სხვადასხვა დისციპლინარულ კონტექსტებში, ასევე ევროპულ ტრადიციებში „სხვაგვარობის“, „ავთენტურობის“, „სხვის“, (იგულისხმება არა „მე“, ანუ ნებისმიერი ჩემ გარდა), დისკურსების კონსტრუირებასთან. ჩამოყალიბდა იდენტობის სამი, დისციპლინარულად განსხვავებული და ავტონომიური, თუმც ერთმანეთთან თანაფარდობაში მყოფი, გაგება: 1) ლოგიკაში, 2) ფილოსოფიასა და 3) სოციალ-ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია).

ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინმა მიიღო უფრო ფართო მნიშვნელობა. სოციალურ ფსიქოლოგიასა და პიროვნების ფსიქოლოგიაში იდენტიფიკაცია აღნიშნავს იმიტაციას, მიბაძვით ქცევას და ემოციონალურ შერწყმას, რომელსაც განიცდის სუბიექტი ობიექტთან რაიმე ხარისხით გაიგივებისას. სოციოლოგიურ ლიტერატურაში იდენტიფიკაციის ქვეშ, ჩვეულებრივ, მოიაზრებენ პიროვნების სოციალიზაციის ერთ-ერთ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა ნორმები, იდეალები, ფასეულობები, როლები და მორალური ნიშან-თვისებები იმ სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისა, რომელსაც ეკუთვნის მოცემული ინდივიდი. ესე იგი, სოციოლოგია იდენტიფიკაციას განიხილავს როგორც გარკვეულ მექანიზმს, ნორმათა სისტემას, რომელშიც ექცევა რომელიმე სოციალური ჯგუფი. სოციალურ მეცნიერებებში განასხვავებენ სოციალურ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება სოციალურ პოზიციასთან ან სტატუსთან), კულტურულ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება კულტურულ ტრადიციასთან), ეთნიკურ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება განსაზღვრულ ეთნიკურ ჯგუფთან), ჯგუფურ იდენტობას (საკუთარი თავის გაიგივება რაიმე ჯგუფთან). ასევე გამოიყენება ტერმინი

„ფსიქოსოციალური იდენტობა“, რომელშიც ინტეგრირებულია ინდივიდუალური თვითიდენტიფიკაციის განსხვავებული ასპექტები. იდენტობა ჩნდება ადამიანის ინდივიდუალური განვითარების პროცესში და წარმოადგენს სოციალიზაციისა და პიროვნული ინტეგრაციის ფსიქოლოგიური პროცესების შედეგს. ე. ერიკსონი ერთმანეთისაგან განასხვავებს პოზიტიურ და ნეგატიურ იდენტობას.

ადამიანი არსებობს და მოღვაწეობს ადამიანთა საზოგადოებაში, ამდენად იგი იმყოფება სოციალური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ. ამავე დროს, ნებისმიერ ადამიანში არის პიროვნული, საკუთრივ მისი გრძნობები თუ ფიქრები, მისი საკუთარი მიკროსამყარო, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის შეპირობებული სოციალური გარემოს მიერ. ამიტომ ადამიანის ფსიქოსოციალური პორტრეტის დახატვა შეუძლებელია იმ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც, იმავდროულად, მისი ფსიქოსოციალური იდენტობის დადგენის პროცესში იღებენ მონაწილეობას.

ერიკსონის ნეოფსიქოანალიტიკურ კონცეფციაში ფსიქოსოციალური იდენტობა წარმოადგენს პიროვნების საბაზო ფსიქოლოგიური, სოციალურ-ისტორიული და ეგზისტენციალური მახასიათებლების ერთობლიობას. ერიკსონი ფსიქოსოციალური იდენტობის ქვეშ ერთდროულად მოიაზრებს სუბიექტურ გრძნობასაც და ინდივიდუალური მე-ს თვითიგივეობისა და მთლიანობის ობიექტურ თვისებასაც. წარმოადგენს რა პიროვნების სასიცოცხლო ღერძს და მისი ფსიქოსოციალური წონასწორობის მთავარ ინდიკატორს, ფსიქოსოციალური იდენტობა აღნიშნავს: ა) სუბიექტის შინაგან მთლიანობას მის მიერ გარე სამყაროს აღქმის პროცესში, საკუთარი მე-ს მდგრადობისა და უწყვეტელობის შეგრძნებას დროსა და სივრცეში: ბ) ამ მე-ს ჩართვას რაღაც ადამიანურ ერთობაში. ამგვარად, ფსიქოსოციალური იდენტობა მოიცავს რამდენიმე ასპექტს: 1) თვითშეგნების უწყვეტელობის კონსტატაცია ცვალებადი ობიექტების აღქმისა და გამოცდილების ფონზე (ეგო-იდენტობა); 2) ინდივიდუალური ფსიქოლოგიური განვითარებისა და სულიერი ჯანმრთელობის ნორმა (პიროვნული იდენტობა); 3) თვისება რომელიმე სოციალურ ერთობაში შემავალი ინდივიდუალური ყოფიერების მიკუთვნებულობისა (ჯგუფური ან კოლექტიური იდენტობა); 4) ისტორიული სეგმენტის განსაზღვრა (ფსიქო-ისტორიული იდენტობა); დაბოლოს, 5) არყოფნის წინაშე ეგზისტენციალური მდგრადობის მოპოვების პირობა (ეგზისტენციალური იდენტობა). ფსიქოსოციალური იდენტობის ამნაირი სახეობების

საერთო ელემენტი და მათი ფორმირების მთავარი პრინციპი ონთოგენეტიკურ სიბრტყეზე არის ყოფიერების ფსიქოლოგიური და სოციალური პარამეტრების თანაფარდობა. ზოგიერთი ერი უტყუარი პოლიტიკური ნიშნის მატარებელია. მაინეკეს აზრით, ეს ერები შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც „პოლიტიკური ერი“. „პოლიტიკურია“ ერი, რომელშიც მოქალაქეობას უფრო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკურ იდენტობას. პოლიტიკური ერები, რა თქმა უნდა, მოიცავენ რიგ ეთნიკურ ჯგუფებს და ხასიათდებიან კულტურული ჰეტეროგენურობით. სწორედ ამის გამო, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი ხშირად გვესახება პოლიტიკური ერის კლასიკურ მაგალითად. დიდი ბრიტანეთი აერთიანებს ოთხ „კულტურულ“ ერს: ინგლისურ, შოტლანდიურ, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის (ეს უკანასკნელი შეგვიძლია დავყოთ კიდევ ორ ერად: პროტესტანტ უნიონისტებად და კათოლიკ რესპუბლიკელებად). რამდენადაც არსებობს გამოკვეთილი ბრიტანული ეროვნული იდენტობა, ის ეფუძნება ისეთ პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორცაა: გვირგვინისადმი საყოველთაო ერთგულება, ვესტმინსტერის პარლამენტის პატივისცემა და ბრიტანელი ხალხის ისტორიული უფლებებისა და თავისუფლებებისადმი რწმენა. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „ემიგრანტების ქვეყანა“, ხასიათდება მულტი ეთნიკურ და მულტი კულტურულ ერად, რაც გამორიცხავს ეროვნული იდენტობის კულტურულ და ისტორიულ საწყისებზე დაფუძნებას. მიუხედავად ამისა, ამერიკული ეროვნულობის გრძნობა სულ უფრო და უფრო ვითარდება საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით და საზოგადო, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობის დეკლარაციასა და შეერთებული შტატების კონსტიტუციაში ხაზგასმული ღირებულებების პატივისცემის კულტივაციით. ამის მსგავსად, ფრანგული ეროვნული იდენტობა მჭიდროდ უკავშირდება 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციის ტრადიციებსა და პრინციპებს.

ამ ერებს ის აერთიანებთ, რომ, თეორიულად, ისინი არსებული კულტურული იდენტობისაგან განსხვავებით პრინციპებისა და მიზნების საერთო ნაკრების ნებაყოფლობითი აღიარების საფუძველზე შეიქმნა. ზოგიერთის აზრით, ასეთ საზოგადოებებში განვითარებული ნაციონალიზმი, როგორც წესი, ტოლერანტული და დემოკრატიულია. თუ ერი, პირველ რიგში, პოლიტიკური ერთობაა, ის ინკლუზიური

ჯგუფია, რომლის წევრობაც არ არის შეზღუდული ენით, რელიგიით, ეთნიკური წარმომავლობითა და სხვა მსგავსი კრიტერიუმებით.

პოლიტიკურმა ერებმა შეიძლება ვერ შეძლონ ორგანული ერთობისა და ისტორიული ფესვების განცდა, რაც დამახასიათებელია კულტურული ერებისთვის. შესაძლოა, სწორედ ამან განაპირობა შედარებით სუსტი ბრიტანული ნაციონალიზმი დიდ ბრიტანეთში, განსხვავებით შოტლანდიური და უელსის ნაციონალიზმებისგან და ინგლისური ნაციონალიზმის ჩაკეტილი ფორმა, რომელსაც ხანდახან „პატარა ინგლისურ“ ნაციონალიზმსაც უწოდებენ.

განვითარებადი სამყაროს სახელმწიფოები მთელი რიგი სირთულეების წინაშე დგანან ეროვნული იდენტობის მიღწევის თვალსაზრისით. ასეთ ერებს შეგვიძლია „პოლიტიკური“ ვუწოდოთ. უმეტეს შემთხვევაში, მათ მოიპოვეს სახელმწიფოს სტატუსი მხოლოდ კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად, ამიტომ ერის ეროვნული იდენტობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ეროვნული თავისუფლებისადმი საერთო სწრაფვა. შესაბამისად, მესამე სამყაროს ნაციონალიზმს მკვეთრად ანტიკოლონიალური ხასიათი აქვს. ასეთი ქვეყნები ხშირად იმ ტერიტორიის საზღვრებში შეიქმნა, რომელიც მემკვიდრეობით ერგოთ ყოფილი კოლონიზატორი მმართველებისგან. ეს განსაკუთრებით ეხება აფრიკის ქვეყნებს. აფრიკული „ერები“ ხშირად მოიცავს ეთნიკური, რელიგიური და რეგიონული ჯგუფების ფართო სპექტრს, რომლებიც საერთო კოლონიურ წარსულზე მეტი სხვა თითქოს არც კი აერთიანებთ. კლასიკური ევროპული კულტურული ერების შექმნის საპირისპიროდ, რომელთა სახელმწიფოებრიობა უკვე არსებულ ეროვნულ იდენტობას ეფუძნება, აფრიკაში „ერების“ შექმნა არსებული სახელმწიფოების საფუძველზე სცადეს. თუმცა, სწორედ პოლიტიკური და ეთნიკური იდენტობების შეუსაბამობამ დაუდო საფუძველი არეულობების რეციდივებს ნიგერიაში, სუდანში, რუანდასა და ბურუნდიში. ასეთი კონფლიქტების სხვა არაფერია, თუ არა ანტიკური „ტრაიბალიზმის“ ნათელი გამოვლინება, ასევე, მნიშვნელოვანწილად, კოლონიურ წარსულში გამეფებული „დაყავი და იბატონე“ პოლიტიკის შედეგი.

ვფიქრობთ, განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს, როგორ აღვიქმებოდით სხვათა თვალთ იმ დროს, როდესაც არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობა გვქონდა, როგორც სახელმწიფოს. ცნობილია, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავისი არსებობის უდიდესი

ნაწილი სხვადასხვა სამთავროებად , სხვადასხვა იმპერიის შემადგენელ ნაწილებად გააატარა. თუ არ ჩავთვლით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებსა და გიორგი ბრწყინვალის პერიოდს, ქვეყანა იშვიათად ცხოვრობდა როგორც ერთი მთლიანი სხეული.

მეთვრამეტე საუკუნის ირანის იეზუიტური წარმომადგენლობის შაჰის კართან დაახლოებული პოლონური წარმოშობის ფრანგი დიპლომატი თადეოშ კურისინსკი წერდა: ქართველები ხშირად ამბობენ - მთელ მსოფლიოში რომ დაიღუპოს ქრისტიანობა, ჩვენ მაინც შევინარჩუნებთ ნამდვილ ქრისტიანობის ყვავილს, რომელიც კვლავ აყვავდებაო. ომის დროს მათი ყველა მღვდელი და ეპისკოპოსი ისევე იბრძვის მტრის წინააღმდეგ იარაღით, როგორც საერო მოსახლეობა (თადეოშ კურისინსკი).

ჩვენი ქვეყნის მე -19 საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისაა, სხვაგვარი ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავისთავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, ვისიმე დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი მასში სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არახალხს არ შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა. ჩვენი მამულიშვილები ნატრულობენ ჩვენის ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული. როგორც წარსულში ჩვენი ერი იბრძოდა არა სხვა ხალხების დამონაგვებისათვის, არამედ თავის საკუთარს დამოუკიდებლობის დაცვისათვის, ისე ეხლა ჩვენი მამულიშვილები მოღვაწეობენ არა იმ განზრახვით, რომ სხვანი დავთრგუნოთ და მათის დამცირებით ჩვენი თავი ავიმალლოთო, არამედ იმისათვის, რომ ჩვენს ერსაც გავუკვლიოთ ფართო გზა გონების განვითარებისა, ზნეობის ამაღლებისა და კეთილდღეობისაო. ერთის სიტყვით, ჩვენში მამულის სიყვარულმა მიიღო ისეთივე წმინდა მიმართულება, რომელსაც ამ ბოლოს ჟამს დაადგა დაწინაურებული, საუკეთესო წილი ევროპის დემოკრატიისა.... წარსულში ჩვენ გვქონდა ამაზე უფრო ფართო ეროვნული ნიადაგი; მაგრამ ამ ნიადაგზედ წმინდა პურთან ხშირად ითესებოდა აზიური ღვარძლი და ჭვავი..., ამის გამო წარსულიდგან უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ნიადაგი და ევროპის ნაწარმოებში ავარჩიოთ

სათესად წმინდა პური გონების, ზნეობის და ეკონომიური სსფეროებიდგან...“
(გოგებაშვილი 2010: 36)

ა) ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის საკითხის შესწავლისთვის

ნაშრომის სათაური მიუთითებს როგორც გამოკვლევის ობიექტსა და საგანზე, ასევე განსაზღვრული პრობლემებისა და მის გადასაჭრელად დასახულ ამოცანებზეც. ჩვენი სამეცნიერო კვლევის ფოკუსშია ეროვნული იდენტობის საკითხები მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში.

კვლევის ობიექტის არჩევანის თვალსაზრისით ნაშრომი არ წარმოადგენს რაიმე უჩვეულო ფაქტს. გლობალიზაციის პროცესის და მრავალი ტრანსნაციონალური ერთობის აღმოცენების მიუხედავად, ნაციონალური იდენტობა კვლავაც მყარია.

ნაციის ფენომენის შესწავლა საკმაო წარმატებით ხორციელდება სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ჩარჩოებში. ისტორიკოსებიც ცდილობენ თანამედროვე თეორიული დისკურსის მონაპოვრები მიუსადაგონ კონკრეტულ საზოგადოებებს და ამ გზით მოაწესრიგონ მათ ხელთ არსებული ფაქტობრივი მონაცემები.

ზემოაღნიშნული პროცესების შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებს. ხელოვნების ამ დარგში ყველაზე მეტად აისახება საზოგადოებრივი ცვლილებები.

ჩვენი კვლევის მიზანიც სწორედ ესაა. კონკრეტული მწერლის შემოქმედებას დავუკვირდეთ ნაციონალური კვლევების დარგში არსებული თეორიული ცოდნის გათვალისწინებით. ძირითადი წყარო იქნება მიხეილ ჯავახიშვილის წერილები, მოთხრობები და რომანები.

„ჩვენთვის ლიტერატურა არც თვითგართობაა, არც სხვისი გასართობი. იგი არც პარნასია განდევილებისთვის, არც გახსნილი სანავარდოა უსაქმურებისთვის. იგი თავდაპირველად სოციალური საქმიანობაა, ხოლო მწერალი- პირუთვნელი და ბეჯითი მოსამსახურეა ერისა. ამიტომ დავადექით ახალს -ნეორეალისტურ გზას და ამიტომ დავწერეთ ჩვენს დროშაზე: „ახალი გზით, ერთგულებით, იმედით, შრომით და სიყვარულით“ (ჯავახიშვილი 1980: 48). ასე გამოაცხადა მიხეილ ჯავახიშვილმა ნეორეალიზმი, როგორც თავისი შემოქმედების განმსაზღვრელი.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ლიტერატურას ორი მძლავრი ნაკადი მსჭვალავდა, ერთი მხრივ, მოდერნიზმი, თავისი სხვადასხვა განშტოებით (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი...) და, მეორე მხრივ, ნეორეალიზმი-ჯავახიშვილის პროზით. ეს ორი ნაკადი ერთმანეთს ავსებდა და წარმოაჩენდა ეპოქის მაჯისცემას.

„მოდერნიზმი იყო ერთგვარი პროტესტი რეალიზმის წინააღმდეგ. ერთგვარი, რადგან ეს იყო ლიტერატურული ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელიც იმეორებდა წარსულის გამოცდილებას და ახალი კუთხით ავითარებდა. გამეორებაში ვგულისხმობთ, იმას, რომ მოდერნიზმი ითვალისწინებდა წინაპართა გარკვეულ გამოცდილებას” (ჯალიაშვილი 2016: 25).

ქალბატონ მაია ჯალიაშვილის წერილში „მიხეილ ჯავახიშვილის ნეორეალიზმი, როგორც მოდერნიზმის ალტერნატივა“ ვკითხულობთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თავიდანვე გამოირჩეოდა ყველასგან. მისი პირველი მოთხრობები ამხელდნენ სრულიად სხვაგვარ ინტერესს თემისა თუ სტილის თვალსაზრისით. ამიტომაც შეიძლება ვილაპარაკოთ მის რეალიზმზე, როგორც მოდერნიზმის ერთგვარ ალტერნატივაზე. შემდეგ, მოგვიანებით, 1926 წელს მიხეილ ჯავახიშვილმა ის ნაკადი, რომელიც მის სახელს უკავშირდებოდა, უპირველესად, შეაფასა, როგორც ნეორეალიზმი, რომლის ცალკეული პრინციპი ჩამოაყალიბა კიდევ წერილში „ჩვენი მიწა” (ლიტერატურული განცხადება) . მიხეილ ჯავახიშვილის აზრით, „მხატვრული სიტყვა მისი ჩასახვის პირველივე დღიდან უმთავრესად რეალისტური იყო - ამ ცნების უღრმესი და უფართოესი მნიშვნელობით. ასეთია იგი დღესაც და ასეთივე დარჩება მომავალშიც. ყოველივე დანარჩენი ან მისი ნაკადებია, ან შენაკადები: „რეალიზმი დედახეა მხატვრული ლიტერატურისა. იგი მიწაზე დგას და მიწიდანვე ამოდის. ორივენი ერთმანეთს ჰკვებავენ, ზრდიან და ამაგრებენ“ (ჯავახიშვილი 1980: 44).

მიხეილ ჯავახიშვილი პრობლემების მოწყვეტას ერის სულიერი ძალების მოდუნებისა და შემოქმედების დაქვეითების საფუძვლად მიიჩნევდა. იგი ფიქრობდა, რომ „ვისაც მიწის ალლო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხემალიც მოერღვა და კუნთებიც მოეშალა. ხოლო უძვლო და უსისხლო სხეული უეჭველად განწირულია. რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალლო

ხელოვნებისთვის და ხალხისთვისაც უებარი დუღაბია - მათი სულისა და სხეულის გამფოლადებელი” (ჯავახიშვილი 1980: 45).

იგი გამოკვეთდა ძირითად დებულებას: ხელოვნება მიწისთვის, ჩვენთვის, ხალხისთვის! რაც ნიშნავდა ერთგვარ მიბრუნებას ილიასეულ და აკაკისეულ პრინციპთან.

მიხეილ ჯავახიშვილი რეალიზმს მიჯნავდა ნატურალიზმისგან: „მხატვრული ლიტერატურა არც მშრალი საგაზეთო ამბავია, არც ფოტოგრაფიული სურათია. მხატვარი მეცნიერი არ არის, ხოლო მისი თავი ფაქტების ცივ საწყობად ან ქიმიურ ლაბორატორიად ვერ გადაიქცევა. მშრალმა და უსულო ნატურალიზმმა თვისი სათქმელი თქვა და წავიდა” (ჯავახიშვილი 1980: 48). იგი იმგვარ რეალიზმსაც უარყოფდა, რომელიც უნდა დამორჩილებოდა ამა თუ იმ პოლიტიკურ-სოციალურ იდეოლოგიას. „მხატვრისთვის ეს გზა, საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი, მეტად მოლიპულია. ჩვენთვის მისაღებია იდეური, უტილიტარული ხელოვნება, მოსათმენია დიდაქტიურიც, ხოლო მესამე საფეხური - უაღრესი ტენდენცია - მხატვრისთვის მეტად სახიფათოდ მიგვაჩნია” (ჯავახიშვილი 1980: 48).

როგორც ცნობილია, „არიფონის” ლიტერატურულ სკოლაში ერთი თვალთახედვის მწერლები გაერთიანდნენ (1927-1928). „არიფონის” წევრები იყვნენ: ვ. გიორგაძე, შ. დადიანი, კ. კაპანელი, ბ. მელიქიშვილი, ლ. მეტრეველი, ი. მოსაშვილი, მ. მრევლიშვილი, დ. სულიაშვილი, ი. ტატიშვილი, პ. ქავთარაძე, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ს. შანშიაშვილი, კ. ჭიჭინაძე. მ. ჯავახიშვილი. გაერთიანებამ გამოსცა ალმანახი „არიფონი” (1928), რომელსაც ნეორეალიზმის პრინციპები დაედო საფუძვლად.

მკვლევარი მაია ჯალიაშვილი კითხულობს: მწერლისთვის რას ნიშნავდა ნეორეალიზმი და რით განსხვავდებოდა იგი რეალიზმისგან? პასუხსაც თავდ ჯავახიშვილთან ვპოულობთ: „ნეორეალიზმს საფუძვლად უდევს იგივე კლასიკური რეალიზმი შემდეგი განმეორებით, დამატებითა და განმარტებებით; შესწავლა მახლობელ და შორეულ კულტურათა წარსულისა და მისი მხატვრული გამოყენება დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით. განუკვეთელი კულტურული მთლიანობა წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა. შენახვა ჯანსაღი ტრადიციებისა... კულტურა ადამიანისა და ადამიანებისა. შედუღებული მართალი მშვენიერება და მშვენიერი სიმართლე (ორივე ერთია, ფორმა და შინაარსი განუყრელია). „ვიცი” და „არ

ვიცი”, ნამდვილი და უჩინარი (პირველი მრავალჯერ სჭარბობს მეორეს)... მკაცრი დაცვა ქართული ენის ბუნებისა და ლექსიკონისა გადაგვარებისა და ამღვრევისაგან. ბეჯითი შრომა ენის გამდიდრებისათვის და გახალისებისათვის არსებულის სრული გამოყენებით და ახალის ფრთხილი შემოშვებით” (ჯავახიშვილი 1980: 46).

„როცა მხატვრული პროზის საკითხი ირჩეოდა, ტიცინ ტაბიმემ ყველაფერი ის, რაც არა გალექსით ჩვენში დაწერილა, მხატვრული პროზის ნიმუშად ჩათვალა. მის კვალს რომ გავყვეთ, ყველა საგაზეთო წერილი მხატვრულ პროზაში უნდა შევიტანოთ. ნამდვილად მხატვრული პროზა იწყება იქ, სადაც იწყება რაიმე ფაქტიური ამბის მხატვრული გარდაქმნა, ანუ მოგონილი ამბის მხატვრული გარდაქმნა, ანუ მოგონილი ამბის შეთხზვა. ეროვნული ბალეტისტიკის დამწყები ილია ჭავჭავაძე გახლავთ და სხვა არავინ. საბა-სულხან ორბელიანის პროზას დღეს ვერ გაცვებით. იგავ-არაკების ჟანრი მოკვდა და მის გამოცოცხლებას არავინ აპირებს...”-აღნიშნავდა თავის ერთ-ერთ წერილში პუბლიცისტი ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1980: 48) .

მიხეილ ჯავახიშვილი სათანადოდ აფასებდა თავისი დროის შემოქმედთა ღვაწლს (იხ. წერილი „ბარნოვის დაკმაღვაზე“), თუმცა არ ერიდებოდა მკვეთრად გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი მოდერნიზმის შესახებაც: „მხატვრულ ლიტერატურაში მძლავრად შემოიჭრა სნეული დიდაიზმი და სულის მომდუნებელი დეკადანსი. ამ მოვლენას თავისთავად მოჰყვა პარნასელობა - განდეგილობა. მწერალი მოსწყდა მიწას და ხალხს. ცხოვრების დაკვირვების ნაცვლად სიმბოლისტებმა განყენებული აზროვნება შემოიტანეს და ცხადი ქვეყანა ბუნდოვანი ნისლით დაჩრდილეს” (ჯავახიშვილი 1980: 45).

აღსანიშნავია, რომ მ.ჯავახიშვილი არ უარყოფდა მითს, ზღაპარს, მისტიკას, მაგრამ განსხვავებულ ფუნქციას აკისრებდა: „ჯანმრთელი რეალისტის თვალში გარკვეული ღირებულება აქვს ზღაპარს, მითს, ალეგორიას და სიმბოლოსაც, თუ მათ აქვთ ნათელობა, სიცხადე და მჭიდრო კავშირი მიწასთან ე.ი. თუ სიმბოლო ნათლად და მკაფიოდ არის აშენებული ამ ქვეყნის ნიადაგზე და ამავე ქვეყანას არა სწყდება” (ჯავახიშვილი 1980: 46). მის შემოქმედებაში, რა თქმა უნდა, არის ზღაპარიც, მითიცა და ალეგორიაც.

იგი ფიქრობდა, რომ მწერალი არ უნდა დამონებოდა არც თემას და არც ფორმას: „ზოგნი მხოლოდ შინაარსს ეძებენ, ზოგნი დროგადასულ ფორმებში გაიყინნენ,

ზოგიერთებმა ახალი ფორმა თვითმიზნად დაისახეს, სხვებმა კი სიტყვისა და ბგერის კულტი შემოიღეს და აზრი სიტყვას დაუმორჩილეს. ჩვენ ხელოვნებად ვერ ჩავთვლით მარტოდენ შინაარსს, თუნდაც მეტად ჯანსაღიც რომ იყოს იგი”(ჯავახიშვილი 1980: 47).

მიხეილ ჯავახიშვილი დროის მაჯისცემას მიყურადებულ მწერალი იყო, ამიტომაც ფიქრობდა, რომ „დღეს აღარც დრომოჭმულ ფორმაზე შეიძლება დასვენება. ვერც ახალი ფორმა დაგვაკმაყოფილებს, თუ მასში შესაფერი შინაარსი-ფაბულა, სიუჟეტი არ არის ჩაქსოვილი. მართალია, ფორმისა და შინაარსის განკვეთა ზედმიწევნითი სისწორით შეუძლებელია, მაგრამ ორივენი მაინც ცალ-ცალკე არსებობენ. მხოლოდ ფორმა ან მარტო შინაარსი ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს ვერ შექმნიან. ჭეშმარიტი ხელოვნება მოითხოვს ორივეს შეზავებას და შედუღებას. თუ პირველს მეორე აკლია, უსისხლო და უხერხემლო ხორცი გამოვა. თუ მეორეს პირველიც თან არ ახლავს, შეუმოსელი ჩონჩხი დარჩება. ამიტომ ჩვენ პირველობას ვერც ფორმას მივაკუთვნებთ, ვერც შინაარსს. ნამდვილი ღირებულება ცალ-ცალკე არც ერთს აქვს, არც მეორეს. ხოლო ორივენი ერთად, თანაბრად შეზავებულნი, მთლიანსა და განუკვეთელ მხატვრულ ერთეულს ჰქმნიან”(ჯავახიშვილი 1980: 46).

მწერალი აკრიტიკებდა ფუტურისტებს: „სიტყვისა და რიტმის გამოცალკევებას უაზრო და ცარიელი ბგერების ვარჯიშობა მოჰყვა. თუ ფორმა მხოლოდ გარეგანია მთლიანი მხატვრული სხეულისა, მარტო ბგერა ცარიელი და უსხეულო სამოსელია, რომელშიც არც ხორცია, არც ძვალი, არც სული”. მისი აზრით, „მხატვრული ნაწარმოები კი უნდა სავსე იყოს ერთიანი და მთლიანი რიტმით. მისი განვითარება დამოკიდებულია შინაარსის განვითარებისაგან მთლიან მხატვრულ სახეში, რომელიც, მხატვრულ სიმართლესთან ერთად, შემოქმედების დედაბოძად უნდა ჩაითვალოს”(ჯავახიშვილი 1980: 46).

მიხეილ ჯავახიშვილისთვის მიუღებელი იყო მხატვრული სახის თვითმიზნად გადაქცევა: „შემოქმედმა მარტო მხატვრულ ორნამენტზე არ უნდა დაახურდოს თვისი ნიჭი. ზომიერად ნახმარი ორნამენტი მხოლოდ შესამკობი მასალაა მხატვრული სინთეზის და მთლიანი დინამიური სახის, რომელიც დედაღერძივით უნდა იყოს შდგმული და განვითარებული მხატვრულ ნაწარმოებში ... ლირიკამ თითქმის სავსებით დაიუფლა სამწერლო არე. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია წონასწორობის აღდგენა: მხატვრული მასალის დამუშავებას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც ლირიკული,

აგრეთვე ეპიკური და დრამატიული მისვლა საგნებთან და მოვლენებთან”(ჯავახიშვილი 1980: 46).

ნეორეალიზმი არ ზღუდავდა მხატვრის ალღოსა და თვალის თავისუფლებას, „მაგრამ ჩვენ მაინც თანადროულობა გვირჩევნია - ამ ცნების ფართო მნიშვნელობით. გულწრფელობის შენარჩუნებისათვის შემოქმედი მოვალეც არის ისე დაინახოს და იგრძნოს საგნები და მოვლენები, როგორც შეუძლიან და მოჩვენება. მაგრამ ჩვენც მაინც გვირჩევნია ისეთი მასალის შერჩევა, შეგრძნობა და თვალი, რომელნიც გაამხნევებენ ხალხს და გაუღვივებენ იმედს, ენერგიას და ზნეობას” (ჯავახიშვილი 1980: 47).

მოდერნიზმმა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალ ენობრივ კონსტრუქციებს. ამის თაობაზეც გამოთქვამდა მიხეილ ჯავახიშვილი აზრს: „ორი უკიდურესობა სწეწავს ქართულს: ერთი რვალივით ამაგრებს სიტყვას (მოჰხკალ!), მეორე კი ბამბასავით არბილებს (მოკალ!). აქაც ზომიერება გვირჩევნია (მოჰკალ!). მაინც ერთი რამ უნდა გვახსოვდეს მუდამ: ქართული მაგარ ენების ჯგუფს ეკუთვნის და არ იგუებს ფრანგულ-სპარსულის სიტკბოსა და სირბილეს” (ჯავახიშვილი 1980: 129).

მას არ მოსწონდა მოდერნისტულ ნაწარმოებებში გამოყენებული ამგვარი სინტაქსური კონსტრუქცია: „კაცი მოსული მაღალი”. იგი, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებდა ვასილ ბარნოვის პროზაზე და შენიშნავდა: „ვასილ ბარნოვის სინტაქსური წყობა-„სახლები ეთამაშებოდნენ მაღალნი“-მხოლოდ საინტერესო ცდა იყო ახალი სინტაქსური ფორმების შემოღებისა და ისევ ცდად დარჩა. ასე დალაგებულს ოციოდე სტრიქონს კიდევ გაუძლებს მკითხველი, მთელი წიგნის წაკითხვა კი მეტისმეტად ძნელია”(ჯავახიშვილი 1980: 107).

ოთარ ჩხეიძემ შენიშნა და გამოკვეთა მიხეილ ჯავახიშვილის ნეორეალიზმისთვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი თვისება: „ამ რეალისტურ ნაწარმოებში (იგულისმება „ჯაყოს ხიზნები“), ამ ყოვლად რეალურ, ყოვლად ყოფითსა თუ ჩვეულებრივ სიტუაციებში, თუ გნებავთ, ყოვლად ბანალურ სიტუაციებში, ბევრი რამ უფრო სიმბოლურია, სიმბოლური და მეტაფორულია, გაზღაპრებულობაზე თუ მითოლოგიზირებაზე რომ არაფერი ითქვას; როგორღაც უცნაურად აქ თითქოს პირიქითაა ყველაფერი: თუ სხვაგან მეტაფორებსა და სიმბოლოებში, ალეგორიებსა და მითოსურ სიტუაციებში კითხულობენ რეალურ სახეებსა, აქ რეალურში, რეალურსა და შიშველ სახეებში, ნატურალისტურობამდე გაშიშვლებულ სახეებში, ამოიკითხება

პირიქითა ან თუ გაიაზრება პირიქითა, მეტაფორული და სიმბოლური სურათები გაიაზრება, - ასე პირიქითა-მეთქი ყველაფერი; ეს არაა პატარა ხელოვნება, ეს დიდი ხელოვნებაა, დიდოსტატობა სწორედაც ესაა რეალისტურ რომანში” (ჩხეიძე 2009: 1).

ოთარ ჩხეიძის აზრითვე, და რაც უნდა იყოს, თუ როგორც უნდა იყოს, ჩვენი დროის მხატვრული პროზა, ქართული ცხადია და, რაღა თქმა უნდა, განისაზღვრება ძირითადად ორი თავისებური მხატვრული სტილითა, ორი მხატვრული კონცეფციითა: ერთი ვასილ ბარნოვია, ერთიცა მიხეილ ჯავახიშვილი; თუ შეიმჩნევა კიდევ სხვა რამეცა, უფრო მოდაა, ლიტერატურული მოდაა, უფრო, სწრაფწარმავალი და უკვალო (ჩხეიძე 2009: 1).

როგორც მაია ჯალიაშვილი ზემოხსენებულ წერილში აღნიშნავს: „საგულისხმოა, რომ XX საუკუნის დასაწყისში ორივე ნაკადმა - მოდერნისტულმაც და ნეორეალისტულმაც, მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შექმნას შეუწყო ხელი. დაიწერა მოდერნისტული რომანები: გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგის“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისეს ღიმილის“, დემნა შენგელიას „სანავარდოს“ სახით, მეორე მხრივ ნეორეალისტური რომანებია: „ჯაყოს ხიზნები“, „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „გივი შადურის“, „თეთრი საყელოს“, „არსენა მარაბდელის“ სახით”(ჯალიაშვილი 2016: 33).

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება მრავალი კუთხით არის გამოკვლეული და კიდევ არაერთი კვლევა მიემდგვნება მას, მაგრამ, როგორც ეროვნული იდენტობის ამსახველი წყარო, ის სრულყოფილად არასოდეს ყოფილა შესწავლილი.

ოდითგანვე, ქართველი მწერლები ეროვნულ თვითცნობიერებას ამაღლებდნენ და აცოცხლებდნენ. ეროვნულ-ნაციონალისტური რიტორიკა კი ნაციის პრიმორდიალურ ხედვას გულისხმობს: ნაციას ახლად კი არ ქმნიან ნაციონალისტები, არამედ ახდენენ უკვე არსებულის რეგენერაციას. ქართული იდენტობის კვლევის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში მხოლოდ გასული საუკუნის მიწურულს დაისვა.

მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის დამდეგამდე საქართველოს რეალობის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება ეთმობა. ცოტაა ისეთი ნაშრომები, რომლებიც საკითხს იდენტობისა და ნაციონალიზმის კვლევების პერსპექტივიდან განიხილავს. მიუხედავად აღნიშნულისა, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს აკადემიურ წრეებში კვლევის ამ მიმართულებისადმი ინტერესი შეინიშნება.

უკანასკნელ წლებში გამოცემული ზოგიერთი ნაშრომი პირდაპირ თუ ირიბად ეხება ჩვენს საკვლევ პრობლემას. ქვემოთ ჩამოთვლილ ნაშრომებში არის მცდელობა, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში განვითარებული პროცესები განსხვავებული მიდგომებით შეისწავლონ. ამ მხრივ საყურადღებოა მარიამ ჩხარტიშვილისა და ქეთევან მანიას ორტომიანი გამოკვლევა „ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში („ივერია“ და მისი მკითხველი საქართველო)".

ნაშრომის მიზანია, ნაციონალიზმის კვლევებში არსებული თეორიული ცოდნის გათვალისწინებით, ქართული გაზეთის „ივერიის“ მაგალითზე, ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე დაკვირვება. თეორიულ ნაწილში განხილულია ნაციონალიზმის კლასიკოსთა ნაშრომების ნაწილი, დასაბუთებულია თანამედროვე თეორიული მიდგომების გამოყენების აუცილებლობა ერის ჩამოყალიბების პროცესის ანალიზისთვის.

ასევე მიმოხილულია საკითხის შესწავლის მდგომარეობა და პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა შრომები. ავტორთა აზრით, არსებული ისტორიოგრაფიული პრაქტიკა, უმთავრესად, ქართველი ერის ჩამოყალიბების ეკონომიკურ ფაქტორებზე ამახვილებს ყურადღებას, მოცემული ნაშრომის მიზანი კი „აზროვნებითი ფაქტების კვლევა: ქართული ეროვნული იდეა და მისი იმპულსი ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობაზე".

ამავე საკითხებს ეხება თინათინ ბოლქვაძის მონოგრაფია „ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“. ნაშრომის პირველ თავში „ილია და გლობალიზაცია“ ავტორი ხაზს უსვამს ილია ჭავჭავაძისა და სხვა მოაზროვნეების შემოქმედების შესწავლის მნიშვნელობას თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის ფონზე. მარიამ ჩხარტიშვილი და სოფიო ქადაგიშვილი თავიანთ სტატიაში: ქართული ნაციონალიზმის წარმოშობის გააზრებისთვის, რელევანტურ მიდგომად დენაციონალიზმის ეთნო სიმბოლისტურ თეორიას მიიჩნევენ, რომელიც ენტონი სმიტს ეკუთვნის. თეორიის მიხედვით, მოდერნულ ეპოქაში ჩამოყალიბებული ნაციები მათ წინარე „ეთნიებს" (ეთნიკურ ჯგუფებს) დაეფუძნენ. ასე მოხდა საქართველოშიც.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრებულში, „ქართველი ერის დაბადება", შესული სტატიების ავტორები მე-19 საუკუნეში განვითარებული

პროცესის გააზრებას თანამედროვე სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ჩამოყალიბებული თეორიული ცოდნის საფუძველზე ცდილობენ. გიგი თევზაძე თავის პუბლიკაციაში მიმოიხილავს ნაციონალიზმის კვლევათა კლასიკოსების: ბ. ანდერსონის, ე. გელნერის, ე. სმიტის შეხედულებებს. მისი აზრით, ერი, როგორც იდეოლოგია, შუასაუკუნეებში წარმოიშობა, ერი, როგორც იდენტობის წყარო კი - მოდერნულ ეპოქაში. საქართველოში იდეოლოგიის იდენტობად ქცევის პერიოდი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარია. თევზაძის სიტყვით, განათლებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართველი ერი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან დაიბადა.

ამავე კრებულში დაბეჭდილ ნაშრომში სერგო რატიანი საუბრობს ერის ცნების განსაზღვრის სირთულეზე და მიმოიხილავს ამ საკითხთან დაკავშირებული თეორიული ლიტერატურის ნაწილს. მისი აზრით, შუასაუკუნეებში ქართველი სარწმუნოებრივ იდენტობას წარმოადგენდა. ნაციონალური იდენტობა წინა პლანზე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, სეკულარიზაციის პროცესის დაწყების შემდეგ იწევს. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად რატიანს განხილული აქვს ილია ჭავჭავაძის წერილები „ირლანდია და ინგლისი“ და „ოსმალის საქართველო“.

გიორგი ანჩაბაძე ნაშრომში „ქართველი ხალხის ეთნიკური განვითარების ძირითადი ეტაპები უძველესი დროიდან ერის ჩამოყალიბების სტადიამდე“ ერის ჩამოყალიბების ეპოქად მე-18 საუკუნეს მიიჩნევს.

საკვლევ საკითხს არაპირდაპირ ეხება პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემული ნაშრომების ნაწილი. ზოგი მათგანი საყურადღებოა ემპირიული მასალის თვალსაზრისით, ზოგი კი გვიჩვენებს, თუ როგორია ქართველ ისტორიკოსთა ნაწილის დამოკიდებულება ჩვენთვის საინტერესო პრობლემებისადმი. დიმიტრი შველიძის ნაშრომში, გარდა სოციალ-ფედერალისტური პარტიის ჩამოყალიბებისა და განვითარებისა, გაანალიზებულია 1900-იანი წლების ქართველი მოღვაწეების „ეროვნულ-პოლიტიკური ნააზრევი და საქმიანობა“. ავტორი ეხება არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიას. მონოგრაფიაში განხილულია პუბლიკაციები გაზეთებიდან „ცნობის ფურცელი“ და „საქართველო“.

თამაზ ბერაძე 2008 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში მიმოიხილავს ქართული იდენტობის ჩამოყალიბების ძირითად ეტაპებს უძველესი პერიოდიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჩათვლით. იგი მიიჩნევს, რომ ტერმინებს - „ხალხი“ და „ერი“ - შორის

არავითარი განსხვავება არ არის და ქართველი ერი, სულ ცოტა, ფარნავაზის ხანიდან არსებობს. მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან განვითარებულ პროცესს თ.ბერამე იდენტობის ახალ ეტაპად და არათვისებრივად განსხვავებულ მოვლენად მიიჩნევს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხს არაპირდაპირ ეხება სალომე დუნდუას და ზვიად აბაშიძის გამოკვლევა . ნაშრომის მიზანია იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში „რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებად გადაქცევას, უზრუნველყოფენ სამოქალაქო ინტეგრაციის მაღალ ხარისხს და, შესაბამისად, ქვეყანაში მკვიდრი დემოკრატიის დამყარებას“. - „ერად ქმნადობის პროცესი და საქართველო“ - გამოყოფილია ქვეთავი „ისტორიული რეტროსპექტივა“, რომელშიც მიმოხილულია იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები შუასაუკუნეებიდან დღემდე. ავტორები ეყრდნობიან ნაციონალიზმის კვლევების კლასიკოსების, უმთავრესად, ბენედიქტ ანდერსონის შეხედულებებს. ავტორების აზრით, საქართველო, სადაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ეთნიკური ნაციონალიზმი ყალიბდება, დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ ევროპულ მოდელთან. ამ მსგავსებას კი, ძირითადად, იმპერიული კონტექსტი განსაზღვრავს. ავტორთა მოსაზრებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არქონამ და თვითგადარჩენისთვის ზრუნვამ ქართული ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმირება განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა ქსენოფობიური და შოვინისტური ხასიათი, აბრკოლებდა სამოქალაქო ინტეგრაციას.

დავით მალაზონიას მონოგრაფიაში გამოთქმულია აზრი, რომ „ერი, როგორც ისტორიული კატეგორია, წარსულის წიაღში აღმოცენდა“, „ერის ცნების შინაარსობრივი და პრაქტიკული მხარეებიც იცვლება - მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება“. ვახტანგ გურულის ნაშრომში „ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია“ ეხება დამოუკიდებელ საქართველოსა და მის წინა პერიოდს. ავტორის აზრით, მე-19 საუკუნის 60-იან წლებამდე არ არსებობდა ეროვნულ სახელმწიფოებრივი ცნობიერების მატარებელი პოლიტიკური ძალა. რაც შეეხება ქართველთა კონსოლიდაციის საფუძვლებს, იგი ასეთად ეროვნულ, ტერიტორიულ, ეკლესიურ და კულტურულ ერთობას მიიჩნევს.

იდენტობის კვლევებთან დაკავშირებული პროცესებისა და ცალკეული ისტორიული ფიგურების მოღვაწეობის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია აკაკი ბაქრაძის ნაშრომები: „ნიკო ნიკოლაძე“ და „ილია ჭავჭავაძე“.

საბჭოთა პერიოდში გამოცემული გამოკვლევების უმრავლესობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების მკაცრი დაცვით არის შესრულებული. ნაციონალიზმის და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა მხოლოდ ამ მიდგომის ფარგლებში იყო შესაძლებელი. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ნაშრომი ყურადღებას იქცევს და, ვფიქრობთ, რომ მათი გაცნობა საჭიროა საკვლევე საკითხის შესწავლის მდგომარეობის ანალიზისთვის.

სიმონ ხუნდაძის 1927 წელს გამოცემული მონოგრაფია მოიცავს ორ დამოუკიდებელ ნაშრომს. პირველი - „ქართველი ინტელიგენციის სოციალ-პოლიტიკური იდეალები მეცხრამეტე საუკუნეში“. ავტორის აზრით, ინტელიგენციის „სოციალ-პოლიტიკური აზროვნების შემუშავებაზე“ ძირითადი გავლენა საქართველოს ეკონომიკურმა წყობილებამ, მისმა სამეურნეო სტრუქტურამ და ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა სოციალურმა კლასებმა მოახდინეს. დიდი ყურადღება ეთმობა რუსეთის იმპერიის შემოსვლასა და საქართველოს დაახლოებას ევროპულ კულტურასთან. ავტორის მოსაზრებით, საქართველოს „კულტურულად აყვავება“ უნდა მიეწეროს არა რუსეთის ხელისუფლებას, არამედ „ქართულ ნაციონალურ კლასებს და მის წარმომადგენელ ინტელიგენციას... ქართული მწერლობის, ქართული ენის, ქართული სკოლის გამშვენიერება ქართული ნაციონალური კლასებისა და მათი ინტელიგენციის საქმიანობის ნაყოფია. რუსეთის დამკვიდრებით საქართველო კოლონიალურ ქვეყნად გადაიქცა. თუმცე ეს კოლონია თავისი კულტურული დონით არსებითად განსხვავდებოდა აზიის ჩამორჩენილი კოლონიებისაგან. რუსეთის პოლიტიკას ჩვენში კულტურული ერი დაუპირისპირდა, რომელმაც შეძლო თავისი საკუთარი კულტურული ძალების, სოციალური კლასებისა და ეკონომიკური სტრუქტურის განვითარება, მიუხედავად რუსეთის მთავრობის აგრესიული პოლიტიკისა“.

მეორე ნაშრომში - „ქართული მენშევიზმის სოციალური საფუძველი“ - საუბარია სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმართულების განვითარებაზე საქართველოში, იმ სოციალურ ბაზაზე, რომელსაც მენშევიზმი დაეფუძნა, მის წარმატებებსა და

წარმატებლობაზე. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ უყურებდნენ მენშევიკები ეროვნულ საკითხს. ხუნდაძის აზრით, ქართველი მენშევიკები სამოციანელთა მიერ ჩამოყალიბებული „ეროვნული ჰიპნოზის“ დიდ გავლენას განიცდიდნენ. თვით ნოე ჟორდანიამ საკუთარი მოღვაწეობა „ნაციონალ-დემოკრატიული“ პროექტის ჩამოყალიბებით დაიწყო. მისივე პირველი სერიოზული შრომა „კონომიური წარმატება და ეროვნება“ (1894წ.) გაჟღენთილია ნაციონალისტური კონცეფციებით .

აკაკი სურგულაძე ნაშრომში „ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“ ეხმაურება საბჭოთა პერიოდში ისტორიულ მეცნიერებაში ერის ცნების გარშემო გამართულ დისკუსიას. განხილულია ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის პროცესი და მოცემულია საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაცია. ნაშრომი წარმოადგენს მარქსისტული იდეოლოგიის საფუძველზე დაწერილ კვლევას. როგორც იმავე პერიოდის სხვა ნაშრომებში, აქაც საუბარია „ფეოდალურ“, „ბურჟუაზიულ“ და „სოციალისტურ“ ერზე. ავტორი ტერმინოლოგიურ დაზუსტებებს გვათავაზობს და აცხადებს, რომ „ბურჟუაზიული ერის“ ნაცვლად უმჯობესია გამოიყენონ „ერი კაპიტალიზმის ეპოქაში“, „კომუნისტური ერის“ ნაცვლად - „ერი კომუნიზმის ეპოქაში“. ავტორი ერის ცნების მარქსისტულ-ლენინურ გაგებას ეყრდნობა და აღიარებს, რომ ერი მხოლოდ კაპიტალიზმის შედეგია. ქართველი ერის შესახებ საუბრისას აცხადებს, რომ ერის ცნება ჩვენში ხშირად ქართველობის ცნებასთანაა დაკავშირებული. ვამბობთ, მაგალითად, ქართველი ერის ისტორიას და ვგულისხმობთ არა ერთად ჩამოყალიბებული ქართველების (რაც მე-19 საუკუნის შემდეგ ყალიბდება) ისტორიას, არამედ ისტორიას ჩვენი ხალხისა, უძველესი პერიოდიდან დღემდე.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობას და, აქედან გამომდინარე, ნაწილობრივ, ჩვენს საკვლევ პერიოდს ეხება სტივენ ჯონსის წიგნი „სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა, 1883-1917“. ავტორი ქართულ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ წარმატებულ პოლიტიკურ ძალად მიიჩნევს მაშინდელ ევროპაში, რადგან სწორედ სოციალ-დემოკრატებმა მოახერხეს საქართველოს რესპუბლიკის შექმნა და დამოუკიდებლობის გამოცხადება. ლოგიკურია, რომ სოციალ-

დემოკრატია გავლენას ახდენდა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის იდენტობის განსაზღვრაზე.

ს. ჯონსი საუბრობს როგორც ეთნიკური ქართველების, ასევე საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნოსების იდენტობის საკითხებზე, საუბრობს რეგიონალიზაციაზე, სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელ ქართველებს შორის დამოკიდებულებაზე, იმოწმებს ნოე ჟორდანიას მოსაზრებას ფრაგმენტულობისაკენ ქართველთა მიდრეკილების თაობაზე, ეხება კუთხურობას და აცხადებს, რომ კუთხური განსხვავებები, რასაც ბარსა და მთას შორის განსხვავებებიც ემატებოდა, აფერხებდა საერთო ქართული ეროვნული იდენტობის განვითარებას.

ს. ჯონსი სოციალიზმის იდეებით ქართველი ინტელექტუალების მოხიბლვის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ კუთხურობის დაძლევის პერსპექტივას ასახელებს: სოციალიზმი მათ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს შექმნის იმედს აძლევდა, სადაც მრავალფეროვნებისა და მდიდარი ხალხური კულტურის სიმბოლოებად ქცეული რეგიონები საფრთხეს ვერ შეუქმნიდა ქართულ სახელმწიფოებრივ იდენტობას.

ფართოდ გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი არის ხანა, როცა ჩამოყალიბდა ქართველი ერი. მიუხედავად იმისა, რომ ამ დასკვნას ჩვენ არსებითად სწორად ვთვლით, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პროცესის რეპრეზენტაცია არ გვეჩვენება დამაკმაყოფილებლად. ქართველი ერის წარმოშობის შესახებ მსჯელობა არ სცილდება ამ ფაქტის უბრალო აღნიშვნას. პრობლემის კვლევაში არსებული ხარვეზის მიზეზი ნაწილობრივ არის მარქსისტული სოციოლოგია, რომელსაც, როგორც თეორიულ ბაზისს, ეფუძნება საკითხის შესახებ არსებული ნაშრომების დიდი ნაწილი. ამგვარ ტენდენციას, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ცვლის ბოლო ხანებში არსებული მონაცემების თანამედროვე დასავლური თეორიების ჩარჩოებში გააზრების ცდები. ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის რეპრეზენტაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების პროცესისათვის თვალის მიდევნება. სწორედ ეს ვერ ხერხდებოდა მარქსისტული სოციოლოგიის ჩარჩოებში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად მძლავრ ამხსნელობით სისტემას წარმოადგენს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს იდენტობის შესწავლისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა: საზოგადოებრივი ღირებულებები, აღქმები, მახსოვრობები, სიმბოლოები.

ჩვენ მიზნად ვისახავთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეისათვის ჯერ კიდევ გაბატონებული ამგვარი დამოკიდებულების გადასინჯვას და ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის ისტორიის დეტალური სურათის აღდგენას მარქსიზმისაგან განსხვავებული თეორიული მიდგომის ფონზე.

კერძოდ, „ნაციისა“ და „ნაციონალიზმის“ ცნებების გაგებისას ვეფუძნებით ეთნო სიმბოლისტურ პარადიგმას, კონკრეტულად, ეთნო სიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ე. სმითის ნაშრომებს; ვიზიარებთ აღნიშნული მეცნიერის თვალსაზრისის იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, მიუხედავად ისტორიული ვითარების ნაირგვარობისა, ნაციონალისტური იდეოლოგიები ემყარებიან ერთი და იმავე ტიპის რწმენით სისტემებს და კულტურულ რესურსებს. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალიზმის ძირითად ცნებებს და ფუნდამენტურ იდეალებს აქვთ უნივერსალური ხასიათი; მართებულად ვთვლით ეთნო-ნაციონალიზმის ფენომენის სმითისეულ დახასიათებას; ვეთანხმებით მტკიცებულებებს ნაციის, როგორც კულტურის ფორმის, თაობაზე და ნაციონალიზმის ისტორიციზმის და ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში ჰუმანიტარული ინტელიგენციის განსაკუთრებული როლის შესახებ.

ბ) ეროვნული იდენტობის გააზრება მიხეილ ჯავახიშვილთან

მიხეილ ჯავახიშვილს ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა და პირდაპირი მნიშვნელობით შეეწირა კიდევ ფიზიკურად საკუთარი ქვეყნის ტრაგედიას.

მისი შემოქმედება, მხატვრობის თვალსაზრისით, არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ შედეგებს. აღიარებულია, რომ ჯავახიშვილის აზროვნების და წერის მანერა განსხვავებული საფეხურია ქართულ ლიტერატურაში. ლოგიკურია, რომ მისი შესაძლებლობების მწერალი აუცილებლად შეეხებოდა საქართველოს არსებობა - არარსებობის პრობლემას. ეროვნული იდენტობისადმი მისი დამოკიდებულება ვლინდება თითქმის ყველა პუბლიცისტურ წერილში და მოთხრობაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ რომანებზე, როგორებიცაა: „ჯაყოს ხიზნები“, „არსენა მარაბდელი“, „გივი შადური“ და სხვ. „ხალხს თავისთავად და ნებაყოფლობით არასოდეს არ ეძლევა ესა თუ ის უფლება, იგი ყოველთვის მოპოვებულია ძალით“ (ჯავახიშვილი 2001: 203). ვკითხულობთ მიხეილ ჯავახიშვილის ერთ -ერთ პუბლიცისტურ წერილში : „ასი წლის

განმავლობაში ჩვენს თავადაზნაურობას ოთხნაირი უფლება ჰქონდა: უფლება „ჩინ-მენდლების“ მიღებისა, უფლება მამულების დაგირავებისა, გაკოტრებისა და მთელი უფლების მითვისებისა!

ასი წლის განმავლობაში ჩვენი თავადაზნაურობა ამ უფლებებით მართლაც რომ გულუხვად სარგებლობდა: მსახურობდა სამაგალითოდ, მსახურობდა ისე, როგორც ნამდვილი მოხელე ბიუროკრატი და ერთგული მამულიშვილი. გამოჭიმული იდგა, „ნაპრავო და ნალევოს“ სწავლობდა და წამდაუწყუმ საჭირო იყო თუ არა, მოკრძალებითა და მორჩილებით ყვიროდა: „Слушаюсь ваше б-дие!“ „მორჩილება“ და „მუხლის მოყრა“, – აი, რა ეწერა მათ დროშას, რომელიც მათ სამშობლოს მხსნელად მიაჩნდათ, ხოლო ჩვენ სუდარად გვეჩვენებოდა...“ (ჯავახიშვილი 2001: 47). ჯავახიშვილი შეფასებებში უღმობელია.

მკითხველი მიჩვეულია, რომ მას არ ახასიათებს დანდობა და თავზე ხელის გადასმა, ამ მხრივ იგი მართებულად მიიჩნევა ილია ჭავჭავაძის უშუალო მემკვიდრედ. გვხვდება არათუ მხოლოდ გარდასულ დროთა შეფასება, არამედ შეფასება მეფის რუსეთში მოღვაწე უნიათო ქართული თავადაზნაურობისა, რასაც ნამდვილად აღარ ჩაუთვლიდნენ განსაკუთრებულ გამბედაობად. იგი ასევე დაუნდობლად აკრიტიკებდა სოციალ - დემოკრატებს : „ქართველებს ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი ერთგულება. დღემდის თავადაზნაურობა სულ იმის ცდაში იყო, რომ რუსეთის მთავრობისათვის როგორმე დაემტკიცებინა თავისი უქვეშევრდომილესი ერთგულება, ასევე იქცევიან ჩვენებური სოც. დემოკრატებიც, რომელნიც მხოლოდ იმიტომ არ თხოულობენ თვითმმართველობას, რომ ემინიათ, ვაითუ რუსეთის „ამხანაგებმა“ პროლეტარიატის ღალატი დაგვწამონო; ემინიათ და ეფიცებიან რუსეთის სოც. დემოკრატისა, რომ ისინი ერთგული „ამხანაგები“ არიან და ღალატი ფიქრადაც არ მოსვლიათ. მაგრამ როდემდის?..“ – კითხულობს გულდამწვარი მამულიშვილი და ცდილობს გააგებინოს „გზააბნეულთ“, რომ ამ ქვეყნად არ არსებობს ეროვნულ ინტერესზე უმაღლესი რამ და არ შეიძლება იგი კერძო, პარტიულ ინტერესებს შეეწიროს. საბოლოოდ კი დაასკვნის: „ ჩვენმა თავადაზნაურობამაც ერთ-ერთი გზა უნდა აირჩიოს: ან სრულიად უნდა უარჰყოს ერი და იმის ინტერესებისათვის ბრძოლა, ან უნდა სავსებით მიიღოს ხალხის პროგრამა და ამით დაამტკიცოს, რომ ჩინ-მენდლების“ ფარეშისა და მამულების დაგირავების უფლებას მასში სრულიად არ

ჩაუქრია მოქალაქეობრივი გამბედაობა და სულ უბრალო, ელემენტარული გრძნობა სიმართლისა და ხალხის ინტერესების დაცვისა. მიგრებილ - მოგრებილი ბილიკებით ფოფხვა და ცოცვა ეხლა შეუძლებელია და გვიანიცაა.სხვა რომ არა იყოს რა, ბუნების სულ უბრალო კანონია, თავის თავის დაცვის ინსტინქტმა მაინც უნდა დააყენოს ამ გზაზე ქართველი თავადაზნაურობა“ (ჯავახიშვილი 2005: 58-59).

ამიტომაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველთა მიერ წარგზავნილ სოციალ-დემოკრატებს მოუწოდებს, დაიცვან ერის ინტერესები და არ უნდა დაიჯეროს, რომ „იქ, სადაც აშკარა იქნება, რომ რომელიმე მეზობელ ერის ბურჟუაზია სხვადასხვა საშუალებით ეცდება ქართველების ეროვნულად დაჩაგვრას, ქართველთა სახელით სათათბიროში წასული სოციალ-დემოკრატები გაჩუმდებიან და ქართველებს დაჩაგვრისაგან არ დაიცავენ? ნუთუ იქ, სადაც სკოლებში გამარუსებულ პოლიტიკის მოსპობაზე და ნამდვილ ეროვნულ სკოლის შემოღებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ქართველი სოციალ-დემოკრატები ამ წინადადებას მხარს არ დაუჭერენ და გაჩუმდებიან? ან როცა კავკასიაში შუაგულ რუსეთიდან ხალხის გადმოსახლებას დაიწყებენ და ისედაც უმიწაწყლობით შეწუხებულ ქართველ გლეხობას ამ მხრივ უფრო შეავიწროვებენ, იტყვიან, ჩვენთვის სულ ერთია, ვინ იქნება კავკასიაში მიწის მფლობელიო... ან როცა მეზობელ ერთაგან ქართველების დაჩაგვრის სურვილი აშკარა შეიქმნება და ეს დაჩაგვრა ხელს შეუშლის ქართველთა კეთილდღეობას, ქართველების წარმომადგენლები პარტიულ ტაქტიკის გულისათვის თვალს აარიდებენ ამ უბედურებას?“ (ჯავახიშვილი 2001: 230).

მისი წინათგრძნობა სოციალ - დემოკრატებთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გამართლდა, სათათბიროში წარგზავნილ ერთა დელეგაციებიდან მხოლოდ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არ დაუჭირეს მხარი ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას. მათი უსუსური არგუმენტები დღეს საქვეყნოდაა ცნობილი, თუმცა მაინც მოვიხმობთ, იმდენად, რამდენადაც ჩვენი საკვლევი თემისთვის საინტერესოა მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულება მათ მიმართ - „ისინი, ვინც ტერიტორიულ ავტონომიას ითხოვენ, ჩვენი ქვეყნის ბედს კულტუროსან რუსეთს აშორებენ და ველურ აზიას უკავშირებენ“ (იქვე : 295).

აქვე მოვიხმობთ იმდროინდელ პრესაში ასახულ მწერლის პოზიციას: „გესმით? „კულტუროსან რუსეთს აშორებენო!“ თურმე რუსეთი კულტუროსანი ქვეყანა ყოფილა

და ჩვენ კი უკულტუროსნები, მას უკულტურობას ვაბრალებდით! მაშ, თუ მთვარიდან მობრძანებული სტუმარი იმის მომხრეა, რომ ჩვენი ქვეყანა კულტუროსან ქვეყანას დავუკავშიროთ, იმის მომხრეც უნდა იყოს, რომ რუსეთის მაგივრად „კულტუროსან“ ინგლისს მივუკედლოთ... თქვენს ლოდიკას რომ გავყვეთ, ჩვენ იქამდის მივალთ, რომ უნდა გავამართლოთ „კულტუროსან“ გერმანიის მიერ უკულტურო ჰერეროებისა და სხვა ხალხების დაპყრობა, უნდა გავამართლოთ ინგლისი, რომელმაც უკულტურო ბურები დაიმორჩილა, გავამართლოთ კულტუროსანი ევროპა, რომელიც ჩინეთს გაყოფას უპირებს, უნდა გავამართლოთ ევროპიელი კულტურტრეგერები, რომელთაც კულტურა შეაქვთ ველურ აზიაში“ (იქვე: 296) ... ან კიდევ: „ჩვენი“ დეპუტატების აზრით, შეუძლებელია საქართველოს ავტონომია მიენიჭოს, რადგან საქართველოში უმცირესობა დაიჩაგრებაო. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა გამოდის აქედან? ის, რომ „ამხანაგი“ დეპუტატი უმეტესობის – ქართველების ინტერესებს მსხვერპლად სწირავს უმცირესობის ინტერესებს და იმას კი არ ამჩნევს, რომ ამით ის ლალატობს სოც. დემოკრატიის პრინციპს, რომელსაც სახელად უმრავლესობის დაცვა ჰქვია“ (იქვე: 293).

„გადახედეთ საქართველოს რუკას. მისი ეკონომიკური, ტოპოგრაფიული, სტრატეგიული და ისტორიული საზღვრები ერთი და იგივე არიან. ბევრი სახელმწიფო ინატურის ასეთს მთლიანობას და მკაფიოდ გამოჭრილ-გამოკვეთილ ჩარჩოს. უდიდესი ბოროტება იქმნება წინაშე ჩვენის ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს დარღვევა და მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიან ჩარჩო-საზღვრების შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეუღვრიათ. და თუ ეხლანდელ თაობას არ დაჰკარგვია იდუმალი ალლო თავის დაცვისა და შეგნება უდიდესი ვალდებულებისა წინაშე მომავლისა, იგი ნებაყოფლობით ვერ გადაუხვევს ათასი წლობით გაკაფულ გზას, ვერ მოკლავს საკუთარს ხელით თავის თავს და ვერ დაიდებს ისეთს საზღვრებს, რომელთა დაცვას უნდა შეალიოს თავისი ძალ-ღონე და რომელიც ალაყაფის კარებებს გაუხსნიან ყველას, ვინც კი მოისურვებს ჩვენს მამულში შემოსვლას. ხოლო ყველამ იცის, რომ მოსურნე ჩვენს სახლში შემოსვლისა ათასია. ყველას უნდა ხრიოკი მთებიდან მდიდარ ბარში ჩამოსვლა. ეს უბრალო სურვილი კი არ არის, არამედ უძლეველი კანონია მიმზიდველობისა, რომლის გაქარწყლება და შეჩერება შეიძლება მხოლოდ მეორე კანონით: უხეში ძალითა და იარაღით. მუდმივი ბრძოლა ამ ორ

კანონთა შორის, სარწმუნოებრივ ბრძოლას რომ თავი დავანებოთ, – განმარტავს საქართველოს ისტორიას“ (ჯავახიშვილი 2001: 574).

მკვლევარ ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილში: „მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკა 1917 -1920 -იან წლებში“ ვკითხულობთ: „მ. ჯავახიშვილის 1917–20 წლებში დასტამბული პუბლიცისტური წერილების ძირითადი თემებია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მასთან დაკავშირებული სოციალ-პოლიტიკური პრობლემები და რუსეთის იმპერიაში დატრიალებული რევოლუციური მოვლენების განსჯა-შეფასება. მართალია, ეროვნული პრობლემატიკა არც მანამდე ყოფილა იშვიათი თემა მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკისა, მაგრამ ამ პერიოდში მწერალმა განსაკუთრებით გაამახვილა მასზე ყურადღება. იგი ღრმად და არგუმენტირებულად, გლობალური მასშტაბით მსჯელობს საქართველოს წინაშე მწვავედ წამოჭრილ მრავალ პრობლემაზე და უაღრესად საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს.

მიხეილ ჯავახიშვილის ამ წერილებისადმი ინტერესს დღესდღეობით, ვფიქრობთ, ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს: პირველი, მათში ზუსტად ირეკლება მაშინდელი საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების მისწრაფებანი და განწყობილება, შთამბეჭდავად აღიქმება იმ პოლიტიკური ვითარების მთელი სიმწვავე, როცა საფუძველი ეყრებოდა ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას: ასე რომ, მათი მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება მწერლის ეროვნულ მსოფლმხედველობაზე, მის მოქალაქეობრივ და პატრიოტულ პოზიციაზე.

მეორეც, მიხეილ ჯავახიშვილის ამდროინდელ პუბლიცისტიკას, როგორც დავინახეთ, წმინდა ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა. მწერლის ბევრი წერილი თავისი სულისკვეთებით, საკითხთა გაანალიზების სიღრმითა და მასშტაბურობით, უაღრესად თანამედროვედ აღიქმება დღევანდელ ვითარებაშიც. მათი გაცნობა ნათლად გვარწმუნებს იმაში, რომ პუბლიცისტის მიერ იმხანად დასმული და განსჯილი მრავალი პრობლემა დღესაც მწვავედ დგას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხმედგმული საქართველოს წინაშე.

„სხვის პატრონობას შეჩვეული ეხლაც ჩრდილოეთიდან მოველით შველას. ვერ შევითვისეთ ის ცხადი სინამდვილე, რომ „პატრონი“ აღარ გვყავს, რომ ჩრდილოეთიდან ნაცვლად დახმარებისა და წესრიგისა აუცილებლად გვეწვევა ღვთის რისხვა – რეაქცია

და ანარქია, ხოლო ვიდრე ქარიშხალი ჩანელდებოდეს, ქართველი ხალხი შიმშილისაგან განახევრდება“..... „...ფუჭია ლაპარაკი და ყალბია მეგობრული ხვევნა იმ დრომდის, – წერდა მ. ჯავახიშვილი 1918 წელს, – სანამ არ გადაწყდება ორივესათვის საბედისწერო საკითხი საზღვრების შესახებ. ქართველმა შეიძლება დაივიწყოს ყველაფერი, მაგრამ იგი ვერასდროს და ვერას გზით ვერ დაივიწყებს და ვერ მოინელებს ოსმალთა მიერ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებას, მის განახევრებას და მისი სამხრეთ ზღუდე-კართა აყრას, ბათომი და ქობულეთი, აჭარა და არტაანი, ჯავახეთი და ახალციხე – ჩვენი სხეულიდან ამოჭრილი ასობია, რომელიც აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდეს“ („საქართველო“, 1918 წ. 10 ოქტ.). „...ჩვენი წინაპრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ შეენახათ საქართველოს ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები და ჩაეკეტათ მისი კარები და გზები... ჩვენი უბედურება და ღვთის რისხვა ის გახლავთ, რომ რაც მაშინ მტრებმა ძალად წაგვართვეს, ასი წლის ომით წაიღეს, ცეცხლითა და მახვილით მოიპოვეს, ამას ეხლა ჩვენი სოციალისტები ნებაყოფლობით უთმობენ“ („საქართველო“, 1918 წ. 24 იანვარი).

„სომხეთი გვედავება ბორჩალოს დიდ ნაწილს, არტაანსა და ოლთისს, თორთუმისპირსა და ლაზისტანს. ოთხი თვის წინათ მან მოინდომა ჯავახეთ-ბორჩალოს წაგლეჯა და ნაწილობრივ მიადწია მიზანს. ლორი გამოგვგლიჯა და უცხო ძალას გადასცა. ამავე დროს იგი გამალეებული მუშაობს უცხოეთში და იქ ცდილობს სომხეთის აღდგენას საქართველოს ზურგზე. მათში გამოქნილმა დიპლომატიამ აქ ადვილად მოიგო ჩვილი გული ჩვენი მთავრობისა, დაადინა მისი გულისყური და ხელთ იგდო დიდი ავანსი 3 მარტის ხელშეკრულებისა“ („საქართველო“, 1919 წ. 16 აპრილი). - ასეთი „მადისა და შავის გულის ხალხია სომხებიო“, – გულისტკივილით დაასკვნის მწერალი და ერთხელ კიდევ შეახსენებს საზოგადოებას, როგორ გვესხმიან ისინი თავს სოჭში იარაღით ხელში, მესხეთში კი ოსმალებს ევაჭრებიან ჯავახეთს.

იმედიანი განწყობილებები გასაგებია დღევანდელი გადმოსახედიდან, სწორედ ამ ხასიათისაა მწერლის ეს ჩანაწერი „თუ ერი ერობს, თუ იგი არ გადაიცებულა და არ დალაჩრებულა, თუ მას შერჩენია უნარი სიცოცხლისა“, განვითარებისა და მედგარი ნებისყოფა თავის უცილობელ უფლების შენარჩუნებისა, იგი თავისას გაიტანს და თავის მოდუნებულ ბელადებს თავის სოროში არ შეჰყვება, მაგრამ თუ იმედი გაგვიცრუვდა და ჩვენი რწმენა ფუჭი ოცნება გამოდგა, მაშინ ისლა დაგვრჩენია, რომ ეხლავე

ვიგლოვოთ ჩვენი მომავალი მწარე ბედი, მაგრამ, სამწუხაროდ, თავად მწერალმა იწინასწარმეტყველა ქვეყნის მომავალი.

განმათავისუფლებელი მოძრაობით შემოფოთებული იმპერიული ძალები ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ეროვნული თვითშეგნების დამცრობას. ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ლასხიშვილი მოცემულ პერიოდს ასე ახასიათებს: „ყველაზე უდიდესი კურიოზი და თანაც სავალალო კურიოზი ის იყო, რომ ჩვენს ცენზორებს მეტად ეშინოდათ სიტყვა „საქართველოსი“. იშვიათად თუ გაუშვებდნენ ამ სიტყვას, თორემ უმეტეს შემთხვევაში წაშლიდნენ და ზედ წააწერდნენ „ჩვენი ქვეყანა“... აი, ამ პირობებს ჩვენი მაშინდელი ჟურნალისტიკისას ხშირად ივიწყებენ ჩვენი წარსულის მკვლევარნი“ (ჯავახიშვილი 2001: 71).

აღნიშნულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ „ერის“ სერიის ნომრები სხვადასხვა სახელწოდებით გამოვიდა: „ერი“- რედაქტორ-გამომცემელი პ. სურგულაძე; „ჩვენი ერი“- გამომცემელი მ. ჯავახიშვილი; „საქართველოს მოამბე“- გამომცემელი ზვ. ყიფიანი; „მოამბე“- გამომცემელი პ. სურგულაძე.

როგორც ვხედავთ, გამოცემების სათაურებში ფიგურირებს პატრიოტული ჟღერადობის სიტყვები: „ერი“, „ქართველი“, „საქართველო“, რაც რედაქტორ-გამომცემელთა თავდადებასა და გაბედულებაზე მეტყველებს.

„ერის“ სერიის ყველა აღმანახს აერთიანებს საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების იდეა. ამ იდეას ექვემდებარება მ. ჯავახიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით გამოცემული „ქართველი ერის“ ორივე ნომერი. ქეთევან ჯავახიშვილი 1989 წელს დასტამბულ წიგნში „მიხეილ ჯავახიშვილი“ მხოლოდ ერთ ნომერს მიუთითებს (გვ. 328). 20-იან წლებში გამოქვეყნებულ მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიაში კი ვკითხულობთ: „...1909 წელს დაბრუნდა ტფილისში ერთი რედაქტორთაგანი „ერის“ და „საქართველოს მოამბის“ (ჯავახიშვილი 1989: 14). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სერიის განზოგადებული სახელდებებია ფიქსირებული.

მიხეილ ჯავახიშვილის ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე დაკვირვებისას მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ის ამ საქმეში ილია ჭავჭავაძის გზას ადგას. თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა“ პროფესორი ნოდარ ტაბიძე აღნიშნავს, რომ თემატური ნომრის შედგენისას ილია ძირითადად ორი პრინციპით

ხელმძღვანელობს: 1. ყველა მასალა ერთ მიზანში ხვდებოდეს, ერთი სულისკვეთებით იყოს განმსჭვალული; 2. დაცული იყოს მრავალფეროვნება, პუბლიკაციები ინტერესით იკითხებოდეს, ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ ფაქტებით, სტილით, აგებულებით და ა. შ.

პუბლიცისტური ოსტატობის ამ ხერხთა ერთგულებით ხასიათდება ჯავახიშვილის ჟურნალიც.

საუკუნის პირველ ათწლეულში, მემატინის ცნობით, „საქართველო გაძევებული იყო თბილისიდან და ყოველგვარი ზომა იყო მიღებული, რომ თბილისს დაჰკარგოდა სრულად ქართული იერი. ქართველს ანგარიშს არ უწევდნენ. თუ რამე ოფიციალური გამოსვლა ხდებოდა, ქართველთა წარმომადგენლებს უკან აყენებდნენ“. „ერის“ სერიის დამფუძნებელთა წინაშე გაძევებული საქართველოს, უკან დაყენებული ქართველი კაცის უფლებების აღდგენა იდგა. ეს ამოცანა ჰქონდა გათავისებული „ქართველი ერის“ შემქმნელ-გამომცემელსაც. ამ მიზანს ემსახურება ალმანახში მოთავსებული მეთაური წერილები, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, მეცნიერული და პუბლიცისტური სტატიები, ნეკროლოგები.

ალმანახის პირველი ნომერი იხსნება ცნობილი საზოგადო მოღვაწის, გრიგოლ ვოლსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილით, ხოლო მეორე – თბილისში გამართული საერობო კრებების შედეგების ამსახველი მოწინავეთი. ორივეს ავტორი მიხეილ ჯავახიშვილია. მეთაურების თემატიკა განსხვავებულია, მაგრამ მათში დროის მძაფრი მაჯისცემა იგრძნობა.

1921 წლის გასაბჭოების შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილს მოუწევს მოღვაწეობა ავად თუ კარგად გააგრძელოს, ეროვნულ იდენტურობაზე საუბარები კი მხატვრულ ტექსტებში ინაცვლებს. ოღონდ, აქაც თითქმის იმავე პუბლიცისტური სიმწვავეთ. მოთხრობაში „ხუთის ამბავი“ ნათავადარ ალვა ჯავარიძის ამბავში, ნათლად ვლინდება მწერლის დამოკიდებულება: „ყმაწვილებო, ამ ქვეყნად მრავალნაირი მოვალეობა არსებობს: წინაშე მეფისა თუ სხვა რომელიმე მთავრობისა, რომელსაც შეჰფიცე, წინაშე ოჯახისა.... წინაშე მშობლებისა.... ეს, რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა... ახლმა თაობამ მრავალი ძველებური მოვალეობაც დაივიწყა, მე კი ძველი კაცი ვარ და ბავშვობიდანვე სისხლსა და სულში ძველი ზნეობრივი ნორმები მაქვს ჩასხმული“..... ამ სიტყვების ავტორად მოიაზრება თავად ჯავახიშვილი არა მხოლოდ ლიტერატურული

ავტორობის თვალსაზრისით, არამედ საკუთარი ცხოვრების სტილითაც, არაერთი „მთავრობის“ სამსახურმა მოუწია, მოვალეობებიც ჰქონდა და ვალდებულებებიც, მით უმეტეს, მისი პროფესიის ადამიანს, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, სად გადიოდა ჯავახიშვილითვის უმთავრესი პიროვნული ღირებულებები და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივი ეროვნულობისა და და საკუთარის განცდა და ამ განცდის სიმძაფრე.

ისევ იმავე პერსონაჟს მოვუსმინოთ: „დავაშავე წინაშე ჩემთა წინაპართა“ - წაიბურტყუნა მამაჩემმა და ამ სიტყვებით ბევრი რამ გამაგებინა. მეც დავაშავე. ჩვენ ჩვენი ძალ-ღონე სხვას შევწირეთ და ჩვენი ბებრუცანა მშობელი - ღარიბ-ღატაკი, მიღებული და უპატრონო მშობელი მაშინდა გავიხსენეთ, როცა იქ, სხვის ქვეყანაში, უკლებლივ ყოველივე დავკარგეთ, ლხინი სხვაგან, ჭირი კი დედასთან - ასე დაგვემართა გადახვეწილებს. ჩვენი მშობელი, ჩვენი ბებრუცანაც დედინაცვალივით დაგვიხვდა. ყმაწვილებო, ერთი რამ დამიჯერეთ, მშობელს ნურასოდეს ნუ აკადრებთ განკიცხვას, გაქირდვას და გამტყუნებას. თორემ ბოლოს და ბოლოს მწარედ ინანებთ. მას აქვს იდუმალი გონება და სამართალი. იგი ბრძენია, პირუთენელი, და ვინც მას გადაუდგება თვითონვე დაიწყევლება და დაიღუპება. ფრთხილად ყმაწვილებო, ფრთხილად იყავით“ (ჯავახიშვილი 1958: 405).

იდენტური შინაარსის მქონე ჩანაწერს ვხვდებით მის უბის წიგნაკებში, რომელიც შეიძლება ერთგვარ გეგმადაც მივიჩნიოთ, რომელმაც მსგავსი განვითარება მიიღო: „თემა: ქართველმა მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთს შესწირა, მერე უკვე ღრმა მოხუცი, სამშობლოს დაუბრუნდა... პენსიისათვის. მიხვდა და თავი მოიკლა“ (ჯავახიშვილი 2005: 203).

ეს გაფრთხილება ყველაზე მეტად თავად აუხდა ცხოვრებაში. ჩანაწერებში „უბის წიგნაკიდან“ ვკითხულობთ: „.....25 თებერვალს მე ვიგრძენი თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივი ჟრჟოლა მივლის ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასც ვერ მოვასწრებ“ (ჯავახიშვილი 2005: 47).

ეს ჩანაწერი 1929 წლით თარიღდება, სულ რამდენიმე წელია დარჩენილი, ვიდრე მწერლის თავზე მახვილი აღიმართება და უპირველესად აღიმართება აზროვნების გამო,

რომელსაც ვერაფრით მოერია იმპერიული ტერორი, ფაქტია, ვერაფრით გატეხ მოაზროვნეს, რომლის ჩანაწერებში აღმოჩნდება ერთი თითქმის შეუმჩნეველი ფრაზა, რომელშიც ზუსტად ვლინდება წყობილებისადმი დამოკიდებულება: „კომკავშირელები ჯერ არ დაბადებულიყვნენ, რომ უკვე დაბერდნენ“ ან კიდევ: „ბოლშევიზმი უმწიკვლო და უზადო სარკეა რუსის ხალხის. იგი მისი შვილიც არის, დედაც, შობილიც, მშობელიც. ორივე ერთია, განუყრელია. ვინც ეს ჭეშმარიტება გაიგო, მან ყოველივე გაიგო. დროა გათავდეს უყალბესი ზღაპარი, ვითომ ხალხი სხვა იყოს, ბოლშევიზმი კი რაღაც განყენებული, ციდან ჩამოვარდნილი რისხვა. ვინც ასე მსჯელობს, თავს ვერ დააღწევს სქოლასტიკურ პოლიტიკას ან პოლიტიკურ სქოლასტიკას“ (ჯავახიშვილი 2005: 47).

გხვდება მეტად საინტერესო მონახაზი: „თემა: შვილი კომკავშირელი. მამა მორწმუნე, ტრადიციის კაცი. შვილმა სამხედრო ტაძრის ეზოში ქართველი პატრიოტების საფლავები გაასწორა. ეკლესიას ჯვარი მოხსნა. ჩამოვარდა. ანაფორა ჩაიცვა და ანტირელიგიურ პროცესიაში დადიოდა, როგორც მასხარა. აგვისტოს აჯანყებაში თოფით ებრძოდა. კათალიკოზის გასამართლების დროს ნაძალადევეში დადიოდა და დახვრეეტას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე ოჯახში შხამი დაგუბდა.... ბოლოს მამა შემოაკვდა. გაამართლეს, თავს იცავდაო. გამოვიდა რუსმა საყვარელმაც ზურგი შეაქცია. სხვებმა არ მიიღეს. დედამ გამოაგდო. ბოლოს თავი ჩამოიხრჩო“ (ჯავახიშვილი 2005: 91). ავტორის უზადო ენობრივი სტილისა და წერის მანერის დამსახურებით ეს მცირე მონახაზი თავის თავში ატარებს უსამშობლო ადამიანის ტრაგედიის სრულ სურათს.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, უმცირესი ჩანაწერების ჩათვლით, დღემდე მძიმედ წასაკითხი და დასაჯერებელია და ჯერ კიდევ გასული საუკუნის საბჭოთა საქართველოზე ნათქვამი ფრაზა სიტყვა-სიტყვით მიესადაგება ჩვენს თანამედროვეობას: „საქართველო ისეთ დღეშია, რომ ერთი პატარა ბანკი იყიდის და გაჰყიდის ჩვენს მიწა-წყალს, ხალხსა და სინდისს“ (ჯავახიშვილი 2005: 195), ან კიდევ: „ქართველი ხალხი, მუდამ ერთმანეთის ჭამით იყო მამლარი“ (ჯავახიშვილი 2005: 46), „მთელი ჩვენი ისტორია გვიმტკიცებს, რომ ქართული ენერგია აფეთქებით თავდებოდა, ხანგრძლივობა არ გვეოფნიდა (დალლილი ერი ვართ). თითქმის ყველა ომი ასე თავდებოდა: ბრძოლაში თუ გავიმარჯვებდით, ცოტა ხანს გავყვებოდით მტერს და მეორე დღესვე გამოვწევდით შინისკენ. ეს იყო თარეში, რბევა, პარტიზანობა და არა

ფართოდ დასახული საომარი მოქმედება. ასეთი ერი მკვიდრ სახელმწიფოს ვერ ააშენებდა და აკი ვერც ავაშენეთ“ (ჯავახიშვილი 2005: 49).

ეს რამდენიმე ფრაგმენტი მისი ჩანაწერებიდან ერთ რამეს უდავოდ ადასტურებს, მიხეილ ჯავახიშვილს არ ახასიათებს პათეტიკა, მაშინაც კი, როდესაც თითქოს უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებაზე, დადებითად მიჩნეულ ქართული ხასიათის თვისებაზე საუბრობს, მაშინაც კი არ ასვენებს ეჭვი, რომ სინამდვილეში ეს ყველაფერი ურთულდება ქართველს ყოფა-ცხოვრებას: „იგი შორსაა იმ აზრისგან, რომ ყოფა, რომელშიც იმდროინდელი საქართველო იმყოფებოდა, მხოლოდ გარემო პირობებისა და მდგომარეობის ბრალი იყო. მასთან ვერ შევხვდებით წარსულის გაიდევალებასა და რომანტიზებას, რითიც გამოირჩეოდნენ საბჭოთა სისტემასთან იდეურად დაპირისპირებული სხვა მწერლები, თუმცა, კრიტიკული დამოკიდებულება არამც და არამც არ გულისხმობს ნიჰილიზმს და საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული შეხედულებების მიზანმიმართულ ნგრევას, რასაც არცთუ იშვიათად ვხვდებით დღეს ამა თუ იმ მეცნიერისა და საჯარო პირთა მოსაზრებებში.

ფილოსოფოს გიგი თევზაძის წიგნში „განჯადოება“ ვხდებით საინტერესო, მაგრამ სადავო მოსაზრებას: ციტატა საკმაოდ ვრცელია, მაგრამ მოვიხმობთ მთლიანად, რომ არ გაჩნდეს კონტექსტიდან ამოგლეჯვის და სუბიექტური ანალიზის განცდა: „რა უნდა ვუყოთ შუა საუკუნეებიდან შემორჩენილი წერილობით წყაროებს, რომლებიც დღეს მკითხველების მიერ ერთმნიშვნელოვნად გაიგება, როგორც ერის იდეის და ნაციონალიზმის ჩანასახები? ამ კითხვაზე პასუხი შუა საუკუნეების საზოგადოების სტრუქტურაში უნდა ვეძებოთ: პროცენტულად რომ გამოვსახოთ, ალბათ, განათლებული და შეძლებული ფენა, რომელმაც წერა-კითხვა იცოდა და მარტო ყოველდღიური გადარჩენა არ ჰქონდა მიზნად და საფიქრად, ყოველი საზოგადოების 5 %-ზე ნაკლებს შეადგენდა. რა თქმა უნდა, მათ ჰქონდათ საერთო იდეოლოგია, რომელიც ვარირებდა ჯგუფიდან ჯგუფში და სამთავროდან სამთავრომდე, მაგრამ ყოველთვის ბრუნავდა პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობის გარშემო. ამიტომ, მართალია, საკამათოა, ვიპოვით თუ არა იმდროინდელ წყაროებში ერის თანამედროვე ცნებას, მაგრამ, სამაგიეროდ, უხვად გვხვდება სახელმწიფოს ცნება და ერთიანი სახელმწიფოს იდეოლოგია. ეს იდეოლოგია, აქედან გამომდინარე სარგებლის და პირადი წარმატების პერსპექტივის გამო, წარმოშობდა სოლიდარობას ამ მიზნის გარშემო. თუმცა, ეს

სოლიდარობა ადვილად ირღვეოდა თუკი სხვა, უფრო მომგებიან სოლიდარობაში გაწევრიანების შანსი ჩნდებოდა. ასეთი სოლიდარობა იქნებოდა იმ დიდგვეროვნებში და სამეფო ოჯახებში, რომლებიც ავითარებდნენ იდეოლოგიას, რაც დღეს ეროვნული ცნობიერების პირველ ვერსიად აღიქმება. თუმცა, ამ იდეოლოგიას პოლიტიკური, და არაპოეტური, თვალთახედვით თუ გავაანალიზებთ, მივიღებთ, რომ ეს იდეოლოგია მათ ექსპანსიური პოლიტიკის გასამართლებლად და/ან არსებული ცენტრებიდან მეტი ავტონომიის მისაღებად სჭირდებოდათ: ცნობილი ფრაზა შუა საუკუნეების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, რომელიც ხშირად ეროვნული ცნობიერების დაბადების საბუთად მოჰყავთ (თანამედროვე ქართულ ენაზე რომ ვთარგმნოთ, ეს ფრაზა გვეუბნება, რომ იქ, სადაც ქართული წირვა-ლოცვა წარმოებს, ყველგან საქართველოა), სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს იდეოლოგების მიერ მომავალი ექსპანსიური პოლიტიკის გამართლება. ამის ირიბი დასტური თუნდაც ისაა, რომ ქართველები ახლო აღმოსავლეთში და აღმოსავლეთ ევროპაში შუა საუკუნეებში აქტიურად აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს. ძნელია ამ აქტიობის სხვა მიზეზი ივარაუდო, თუ არა მომავალი ექსპანსიისათვის ფიზიკური და მორალური დასაყრდენის შექმნა“ (თევზაძე 2007: 122).

ის, რაც პროფ. გიგი თევზაძეს ექსპანსიური პოლიტიკის გამართლებად მიაჩნია დღეს, თავის დროზე ქვეყნის სახელმწიფოებრივ იდეოლოგიურ საყრდენად მიიჩნეოდა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რა გარემო პირობებშიც უხდებოდა ქვეყანას არსებობა. ტერიტორიულ - პოლიტიკური საზღვრები მხოლოდ გარეგნული მხარეა სახელმწიფოს არსებობისა და ფაქტია, რომ მისი იდეოლოგიური მთლიანობის განსზღვრა მხოლოდ დასახელებული გარემო ფაქტორების გათვალისწინებით ვერ მოხერხდება. ასე რომ, ვფიქრობთ, ეს მიდგომა ობიექტურობასაა მოკლებული, ვარაუდი, რომ იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთში ქართული ეკლესია - მონასტრების მშენებლობით ვცდილობდით საზღვრების გაფართოებას და ჩვენთვის უცხო ტერიტორიების „ქართლად შერაცხვას“ ისტორიული რეალობის დამახინჯებაა.

მეორეც, მსჯელობა კარგავს ობიექტურობას, იმდენად, რამდენადაც უგულვებელყოფილია გიორგი მერჩულის, როგორც ჰაგიოგრაფიული ტექსტის ავტორის მიზანი, ისტორიული პირის ცხოვრების აღწერის პარალელურად აღწეროს ვითარება, რომელშიც ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა სხვა უფრო მეტად მნიშვნელოვანი, ვიდრე მხოლოდ საზღვრებია და ტერიტორიები, იმიტომ რომ ტექსტში ნათლად ჩანს,

რომ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობამ დაუდო საფუძველი სახელმწიფოს მომავალი იდეოლოგიის შექმნას. ამ ყველაფერში მთავარი ფუნქცია ეკლესიამ იტვირთა. რაც უნდა გაუმართლებლად მიიჩნეოდეს დღევანდელი გადამოსახედიდან, იმ დროს ასე იდგა საკითხი-იდენტობას ინარჩუნებდი იმით, რაც სხვისგან განგასხვავებდა და ეს, გვინდა თუ არ გვინდა, იყო რწმენა. სწორედ ამას გაიმეორებს მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს იდეოლოგი ილია ჭავჭავაძე მოგვიანებით თავის ცნობილ ფორმულაში „მამული, ენა სარწმუნოება“.

თუ რომელიმე ქართველ მოღვაწეს ჰქონდა ობიექტურობისა და სიმართლის თქმის პრეტენზია, უპირველესად ილია ჭავჭავაძე იყო, ასე რომ, რაც უნდა ვეცადოთ გადაფასებას, უპირობო ჭეშმარიტებებს ვერ შევცვლით. ამასთან, ილიამ მთელი ცხოვრება სხვა ქვეყნის იმპერიაში გაატარა, რომელშიც, სხვათაშორის, რწმენას, როგორც ასეთი, არაფერი ემუქრებოდა, საერთოდაც, ეს იყო ერთადერთი არგუმენტი რუსეთის იპერიის სასარგებლოდ - ერთმორწმუნეობა, მაგრამ რატომღაც ჭავჭავაძე მისი დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობას ისევ განიხილავს, როგორც ენისა და მამულისას. აი, მამულში კი, ის ტერიტორიები იგულისხმება, რომელიც უკვე აღარ იყო საქართველო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სხვა ქვეყნის იმპერიაში შემავალ გუბერნიებს წარმოადგენდა. სწორედ იმიტომაც, რომ გამოცლილი იყო ერთ-ერთი მთავარი საყრდენი - ენა, რომლის დაცვის აუცილებლობას გამუდმებით ქადაგებდა ჯავახიშვილი. მის დღიურებში არაერთი ჩანაწერია ამ თემაზე: „30 წელიწადში ერთიანი ქართული ენაც დაინგრა და ახალიც ვერ შემოვიდა“ (ჯავახიშვილი 2005: 217).

ან კიდევ:

„ტარტაროზი“ ხშირად დასცინის რუსულის უცოდინარ სტუდენტებს, მაგრამ თვითონ უარესი ქართულითა სწერს. ყოველივე ახალს კი მხოლოდ ის იძენს ადვილად, ვისაც საკუთარი არაფერი მოეპოვება“ (ჯავახიშვილი 2005: 223), თუნდაც: „ქართული ენის სული სულ გაჰქრა და მისი ალაგი რუსულმა დაიჭირა. დარჩა მხოლოდ გარსი - ქართული სიტყვები. ჩვენი ენის გარუსების საქმის სამი მეოთხედი უკვე შესრულებულია“ (ჯავახიშვილი 2005: 270).

რაც შეეხება რუსი მღვდელ-მსახურების მიერ აღვლენილი წირვა-ლოცვას, საეკლესიო სწავლებით ქართული და რუსული მართლმადიდებულობა ერთმანეთის იდენტურია, მაგრამ მშრალი, არსს მოკლებული რელიგია ნამდვილად ვერ გახდება

ეროვნული იდენტობის განსამზღვრელი, რადგან თავის თავში რელიგია, უპირველესად, ინდივიდუალური ურთიერთობის სფეროა. როგორც კი ამ დანიშნულებას დაკარგავს, აი, მაშინ შეიძლება იქცეს ზემოთ ხსენებული ექსპანსიის იარაღად, სწორედ ამას გულისხმობს ბატონი ლევან გიგინეიშვილი, როდესაც ამბობს: „არის რისკი, როდესაც ესა თუ ის რელიგია ეროვნულ იდენტობასთან ისეა ასოცირებული, რომ ადამიანს დაეჭვების შემთხვევაშიც კი გაუჭირდეს გაბედულად გამოიძიოს ეს ეჭვი იმის შიშით, ვაი, თუ ეროვნული იდენტობა არ შემერყესო. ამიტომ ტრადიციულ რელიგიას იღებს „სრული პაკეტი“, აპრიორულად, უკამათოდ, კრიტიკული გამოძიების გარეშე. აქ საფრთხეა, რომ რელიგია შეიძლება აღარ გამოხატავდეს თავის ნამდვილ არსს, რომელიც სულაც არ არის ეროვნული იდენტობის ნაწილად ყოფნა. რა რელიგიაა ის რელიგია, რომელსაც ადამიანი გაგების და კითხვების დასმის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ თავის საზოგადოებაში პრობლემების შექმნის, გარიყვის ან თუნდაც იდენტობის მოდიფიკაციის შიშით მისდევს? მით უმეტეს, ქების ღირსია, როდესაც ასეთი ტრადიციული რელიგიურ-ეროვნული იდენტობის მქონე ერის წარმომადგენელი გულწრფელად იტყვის თავის ფიქრებს, ეჭვებს ან თუნდაც თავის, ტრადიციის საპირისპირო პოზიციას გამოააშკარავებს. ამგვარი გულწრფელობა ბადებს ახალ რეალიებს და კაცობრიობის პროგრესიც ასეთ გაბედულ და გულწრფელ მოაზროვნეებზე დგას“ (გიგინეიშვილი, ეს ტექსტი ინტერნეტში იყო განთავსებული). სწორედ ასეთი მიდგომა შეინიშნება მიხეილ ჯავახიშვილთან, რომელიც ყოველთვის კრიტიკულია მსგავსი საკითხების შეფასებისას. მის ერთ-ერთ ჩანაწერში ვკითხულობთ: „...1929 წ. აგვისტოში ქართველი ალპინისტები ჯაფარიძის მეთაურობით ავიდნენ ბრუტ-საბძელას მწვერვალზე, სადაც „ჯერ არავინ ასულიყო“, და იქ, ოთხ ნიშას წააწყდნენ. ჩვენს წინაპრებს ამ მიუვალ მთაზე ოთხი ეკლესია აუშენებიათ. მაგონდება ბეთლემის მონასტერი ყაზბეგზე და ათასი მსგავსი ეკლესია, აშენებული მართლა ღვთისათვის და არა ხალხისთვის. როგორც ეტყობა განდეგილობა ძლიერ ყოფილა გავრცელებული. შახ-აბასმა გარეჯის უდაბნოში ერთ ღამეს 6000 ბერი გასწყვიტა. მამ საქართველოში ასი ათასი მაინც იქნებოდა. რელიგიური მწვალებლობა არ ყოფილა, ბერობას კი ქვეყანა შეუჭამია. ბრუტ-საბძელას მაგალითი კიდევ იმას გვეუბნება, რომ ჩვენს წინაპრებს მოუვლელი ერთი მტკაველიც არ დარჩენიათ და საქართველოს გეოგრაფიაც ჩვენზე უკეთ სცოდნიათ“ (ჯავახიშვილი 2005: 237).

როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილი კრიტიკულია ინსტიტუციის მიმართ, მაგრამ აღიარებს ცოცხალი რწმენის აუცილებლობას პიროვნული და ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებაში. ეს თვალსზრისი მხოლოდ ერთი ციტატის მიხედვით რომ არ ჩნდება, ფაქტია, სხვაგან ვკითხულობთ: „სატანას მხოლოდ ქრისტე მოერევა. მარქსის შხამს მხოლოდ სახარება გაჰკურნავს. ყოველივე დანარჩენი უქმი ლაყბობაა და მეტი არაფერი (ჯავახიშვილი 2005: 285), ან კიდევ: „ტფილისი უმშვენიერესი თეთრი ტაძარია, აშენებული მილიონ ქართველი წმინდანის ძვლებზე. მაგრამ ამ წმინდა ეკლესიაში ორასი ათასი ქვემძრომი ცხოვრობს. თეთრი გიორგი უნდა მოვიდეს და გაწმინდოს ეს შებილწული ადგილი. მხოლოდ მაშინ შევძლებ შევიდე შიგ და წმინდა გულით ვილოცო ქართული ღმერთი“ (ჯავახიშვილი 2005: 324).

შეგვიძლია დავასკვანთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც მოაზროვნე, მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციული ხედვის გამზიარებელია, მაგრამ ინდივიდუალურობით გამორჩეული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელიც კი, ის გარდამავალი პერიოდები, რომელშიც დაიბადა, გაიზარდა და მოღვაწეობდა მწერალი. მან თავის ქვეყანასთან ერთად გაიარა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ეტაპი, რომელზეც პირდაპირპროპორციულად იყო დამოკიდებული არსებობა- არარსებობის საკითხი.

მოესწრო რუსეთის იმპერიას.... ილია ჭავჭავაძის, ილია წინამძღვრიშვილის და სხვათადასხვათა მიერ შენარჩუნებულ სახელმწიფოს. იცხოვრა იმ დროს, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ , მართალია, მცირეხნით, მაგრამ მაინც..... და საკუთარ თავზე იწვნია წითელი ტერორი, შეეწირა კიდევ ამ რეჟიმს, რომლის შესახებაც ცოტა ხნით ადრე წერდა ჩანაწერებში: „მწერალთა სასახლეში ორი მამულიშვილის სურათი ეკიდა. ერთი მათგანი - დ. ყიფიანი რუსებმა მოჰკლეს, მეორეს კი - დიდ ილიას - ქართველებმა გაუხვრიტეს შუბლი. ბოლშევიკებს ძილი უფრთხოდათ. ყიფიანის სურათი ქურდულად გააპარეს, ილიას კი ერიდებიან, მაგრამ მისი დროც დადგება“ (ჯავახიშვილი 2005: 291).

მწერალი ვერ ეგუებოდა ადამიანის უმთავრესი უფლებებებისა და ღირებულებების უარყოფას. მისთვის მთავარი იყო ადამიანს ეცხოვრა თავისუფალ, ღირსეულ სახელმწიფოში. შემოქმედის, მწერლის ფუნქციაც ამ ღირებულებების მსახურება იყო. მისი აზრით, „ცხოვრების ერთადერთი მიზანია ბედნიერება. ყოველივე

და ყველანი მას ემსახურებიან: რელიგია და მორალი, მეცნიერება და სოციალური რეფორმაცია, ფილოსოფია და ტექნიკა, მატერიალური ზრდა და გონებრივი წარმატება. არც ხელოვნებას აქვს სხვა მიზანი. ადამიანი საწყალია, ბედშავი და ტანჯული, მისი სიცოცხლე დიდი გუბეა სამსალის, რომელსაც ათიოდე წვეთი ნექტარი ურევია. დაბადებიდან სიკვდილამდე ამ გუბეს სვამს და სცლის, ხელოვნების მიზანიც ის არის, რომ როგორმე თუნდაც ერთი წვეთი ტკბილი მაინც მიუმატო, ან ერთ წვეთი გესლისა დაუკლო და იმ გუბის დაცლა გაუადვილო....“ (ჯავახიშვილი 2005: 224).

გ) ქალის როლი და მისი ფუნქცია ეროვნული იდენტობის შენარჩუნების საკითხში - ჯავახიშვილის შემოქმედებაში

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში ქალთა საკითხი გამორჩეულ ადგილს იკავებს, შესაბამისად, მეცნიერთა ყურადღება ამ მიმართულებით არაერთგზის შეჩერებულა ლიტერატურულ კრიტიკაში. რაც შეეხება ჩვენს სადისერტაციო ნაშრომს, კველვის შედეგად, გადავწყვიტეთ ეს საკითხი ეროვნული იდენტობის ჭრილში წარმოგვეჩინა. შესაბამისად, გამოვყავით შემდეგი ძირითადი აქცენტები: როგორ ხედავს ჯავახიშვილი ქალის როლს იმდროინდელი გამოწვევების ფონზე ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში; რა მისიას აკისრებს მას და რატომ? და მეორე - როგორ იქმნებიან მისი ქალი პერსონაჟები, რომლებმაც უდავოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ მხატვრულ აზროვნებაში.

როგორც მისი პუბლიცისტიკიდან ირკვევა, მწერალი დაინტერესებულია, ზოგადად, ქალის ბედით, ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, იმ პერიოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, თანასწორობის იდეას ეხმიანება და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ჯერ კიდევ 1905-1906 წლებში გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებს წერილებს: „დედაკაცი ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში“, „ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში“, „ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯავახიშვილი საკითხის დეტალურ ცოდნას ავლენს, იმდენად, რომ არაერთგზის იმოწმებს იმ პერიოდის მნიშვნელოვან მასალას საკითხის ირგვლივ და, ამავე დროს, როგორც პუბლიცისტი ამჟღავნებს კიდევ საკუთარ

დამოკიდებულებას. წერილში „დედაკაცი ამერიკის ჩრდილოეთ შტატებში“ ვკითხულობთ: „ომი გათავდა. ამერიკამ გაიმარჯვა, თავისუფლება მოიპოვა, ახალი წეს-წყობილების დამყარებას და რესპუბლიკის მოწყობას შეუდგა. ეს დრო იყო, რომ დედაკაცს ესარგებლა ხალხის აღტაცებით და თავისი კუთვნილი უფლებანი მოეთხოვა, მაგრამ მან ხელიდან გაუშვა ეს შემთხვევა და ყველაფრის გაკეთება მამაკაცს მიანდო, რომელმაც ჩვეულებრივად დედაკაცი დაივიწყა და საზოგადოებრივი ცხოვრების გარეშე დასტოვა“ (ჯავახიშვილი 2007: 177).

ამ რამდენიმე წინადადებაშიც აშკარაა მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულება და განწყობა. მკითხველი აშკარად ხედავს მისი, როგორც მოქალაქის პოზიციას, გულისტკივილს, რომ ქალებმა შორეულ ამერიკაში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლის შანსი დაკარგეს. აქვეა მისი აღფრთოვანება ამერიკის პრეზიდენტის ჯონ ადამსის მეუღლით, რასაც, რა თქმა უნდა, უშუალო კომენტარებით არ ამჟღავნებს, მაგრამ თვალსაჩინოს ხდის მისი ქმედების დეტალური აღწერით, აცნობს რა მკითხველს ამონარიდს პრეზიდენტის პირადი კორესპონდენციიდან: „1874 წელს ახალი რესპუბლიკის პრეზიდენტმა ადამსმა კონგრესის დროს შემდეგი წერილი მიიღო თავისი ცოლისგან: „ჩვენ გვინდა, რომ თქვენ, მამაკაცებმა, თქვენს წინაპრებზე მეტი დიდსულოვნება გამოიჩინოთ, ნუ აძლევთ მამაკაცებს განუსაზღვრელ უფლებებს, თორემ ყველა მამაკაცი ჯალათად გადაიქცევაო“ (ჯავახიშვილი 2007: 177).

შემდგომ კი აღწერს იმ შედეგებს, რაც პრეზიდენტის მეუღლის მოქალაქეობრივმა პოზიციამ გამოიწვია, იმდროინდელი „ივერიის“ მკითხველი კი აშკარად გრძნობს წერილის ავტორის ქვეტექსტს, რომ იგი არა მხოლოდ ფაქტს აღწერს, რომელიც რუსეთის იმპერიისგან შორეულ ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში მიმდინარეობს, არამედ ცდილობს საზოგადოებას ემპათიის უნარის და ხალხის ერთიანობის ძალა აგრძნობინოს, ამიტომ ისევ დეტალურად აგრძელებს სიტუაციის ანალიზს: „პრეზიდენტის ცოლს მიემხრნენ განთქმული მოღვაწე ქალები ოტის ვარენი და ცნობილ გენერალ ლის და, რომელთაც ბევრი იმუშავეს ქალთა ემანსიპაციის სასარგებლოდ. მაგრამ აგიტაციის დაწყებამდის საჭირო იყო საზოგადოებრივი აზრის გაღვიძება და ქალთა საკითხის გარკვევა.... ემანსიპატორებს დიდ დახმარებას უწევდნენ ლიბერალები და ყველა პროგრესისტები.... პრესამაც ხმა ამოიღო და ჟურნალ-გაზეთების დიდი უმრავლესობა ქალებს მიემხრო“ (ჯავახიშვილი 2007: 177).

ამ ამონარიდით აშკარაა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ზუსტად გრძნობდა დროის მაჯისცემას, თუნდაც ეს მაჯისცემა წარმოუდგენლად შორეული და არაფრისმთქმელი ყოფილიყო რუსეთის იმპერიის ფარგლებში. პუბლიცისტი მიხეილ ჯავახიშვილი უტყუარი ალღოთი გრძნობდა, რომ ერთხელ დამრულ ტალღას ვედარაფერი შეაჩერებდა, რომ იგი ადრე თუ გვიან საქართველომდეც მოაღწევდა, მანამდე კი საზოგადოებრივი აზრის შექმნა იყო საჭირო.

წერილში „ქალთა მოძრაობის ისტორიიდან“ - მიხეილ ჯავახიშვილი განიხილავს ქალის მდგომარეობას ევროპის ქვეყნებში, დეტალურად აღწერს განვითარების ისტორიას, რეფორმებს და ამ რეფორმათა შედეგებს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ევროპიელი ქალი“ ამ მხრივ „გაცილებით შორს ჩამორჩა მას (ამერიკელს) და დღესაც ვერ დასწევია თავის ამხანაგს“. მკითხველს აცნობს ცალკეული ქვეყნების მდგომარეობას და ამბობს: „სამწუხაროდ, ადგილი ნებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ დედაკაცის მოქალაქეობრივი უფლებანი, რომელნიც შესამჩნევად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სხვადასხვა სახელმწიფოებში.... აგიტაცია დედაკაცის პოლიტიკურ უფლებების შესახებ ყველაზე ადრე ისევ ინგლისში დაიწყო. 1867 წელს ინგლისის პარლამენტმა განიხილა ჯონ სტუარტ მილლის მიერ შეტანილი წინადადება ქალთა პოლიტიკურ უფლებათა შესახებ.... ამ საქმეში საფრანგეთი და გერმანია ძალიან ჩამორჩნენ ინგლისსა და ნორვეგიას. გერმანიაში კანონით დედაკაცს პოლიტიკურ კრებებსა და მიტინგებზე დასწრებაც კი აკრძალული აქვს.... ქალთა უფლებების გაფართოვების მხრივ ყველა ქვეყნებს წინ გაუსწრო ავსტრალიის ფედერაციამ....“ (ჯავახიშვილი 2007: 216).

როგორც ამ ამონარიდებით ვხედავთ, ჯავახიშვილის ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც ამ საკითხს უკავშირდებოდა იმდროინდელ მსოფლიოში.

რაც შეეხება ავსტრალიის პროგრესს, მას დამოუკიდებელ წერილს მიუძღვნის - „ქალთა საარჩევნო უფლება ავსტრალიაში“. აღწერს რა ქვეყანაში მიმდინარე პროცესს, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვან კომენტარს აკეთებს საკითხთან დაკავშირებით. წერილში ვკითხულობთ: „ავსტრალიელ ქალს თავისუფლებისთვის არ უბრძოლია, არც ერთ კრებაზე და არც ერთ მიტინგზე სერიოზულად ამ საკითხზე ლაპარაკი არ ყოფილა; მთელ ავსტრალიაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი საზოგადოება, რომელსაც მიზნად

ქალებისთვის საარჩევნო უფლების მოპოვება ჰქონოდა; ქალებს საზოგადოებისთვის არ მიუმართავთ და პროტესტი არ განუცხადებიათ, მაგრამ ერთ მშვენიერ დილას საარჩევნო უფლების ვაშლი კი ჩაუვარდათ კალთაში. ავსტრალიის დედაკაცს პოლიტიკის არა ესმოდა რა, არჩევნებს გულგრილად უცქეროდა და პარტიულ და პოლიტიკურ ბრძოლაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, არც დედაკაცი იცნობდა ავსტრალიის პოლიტიკურ ცხოვრებას და არც ეს ცხოვრება იცნობდა დედაკაცს. ეს რეფორმა ახალი ხილი იყო მოუძნადებელ ქალთა სამეფოსთვის...“(ჯავახიშვილი 2007: 230). ჯავახიშვილს ამ კომენტარში კარგად ჩანს მისი დამოკიდებულება, რომ ეს „შემთხვევით კალთაში ჩავარდნილი ვაშლი“ მის თვალში აკნინებდა ფაქტის მნიშვნელობას, აშკარაა, რომ ჯავახიშვილს, როგორც მოქალაქეს, მიაჩნდა, რომ მსგავსი „საჩუქარი“ ბევრად უფრო ნაკლები შედეგების მომტანი იქნებოდა ავსტრალიის ქალთა საზოგადოებისთვის. სწორედ ამას გულისხმობს მისი ფრაზა: „არც ეს ცხოვრება იცნობდა დედაკაცს“.

ამ წერილს იმ საგულისხმო ფაქტის აღწერით ასრულებს, რომელიც კიდევ უფრო უმტკიცებს მკითხველს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას: „საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ქალების მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ქალთა საკითხის კარგ მცოდნეს ჯონ გოლს შეეკითხნენ წერილით, რა გავლენა იქონია რეფორმამ ავსტრალიის საქმეებშიო. გოლმა ერთი სიტყვით უპასუხა: „არავითარი“.

როგორც ვხედავთ, ამ წერილის მთავარი სათქმელი ის გახლავთ, რომ ჯავახიშვილის აზრით, ქალთა მიერ მოპოვებულ უფლებებს სერიოზული და პრაქტიკული ცვლილებების მოტანა შეუძლია ქვეყნის განვითარების საქმეში. მას ქალი, როგორც მოქალაქე, საკმაოდ მაღალი ღირებულების მნიშვნელოვნად მიაჩნია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სრულიად თანასწორ უფლებიანად აღიქვამს მას საპირისპირო სქესთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ იგრძნობა ავსტრალიის ვითარების აღწერის დროს მისი დამწუხრებული ტონი, რომ ეს შემთხვევით მოპოვებული უფლება, სამომავლოდაც თეორიული მნიშვნელობის მქონედ დარჩა ამ ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან იქაურმა ქალებმა ვერ შეძლეს საკუთარი პოზიციის გამოვლენა და სახელმწიფოს განვითარების საქმეში მონაწილეობა ვერ მიიღეს. მართალია, ჩვენ მიერ განხილული წერილები საქართველოში მიმდინარე მოვლენებს არ ასახავს და შესაძლებელია ამ

მხრივ არ იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას,თუ რას ფიქრობდა მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენს სახელმწიფოში არსებული მდგომარეობის შესახებ. ფაქტია, როგორც ჟურნალისტი, ისეთ ფაქტებზე ამახვილებდა ყურადღებას, რომლის მნიშვნელობაც, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის მიაჩნდა საინტერესოდ და აუცილებლად. იგი, როგორც საზოგადო მოღვაწე და აქტიური მოქალაქე, რომელიც, უპირველესად, როგორც პუბლიცისტი, ისე გაიცნო საზოგადოებამ, საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებასა და განმტიკცებას ცდილობდა ამ პუბლიკაციებით. თუმცადა, მოგვიანებით, 1917 წელს წერს წერილს „ქალთა შრომა საქართველოში“, რომელშიც ეხება საქართველოს კუთხეებში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს ქალთა ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებით. აღნიშნავს: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რომელიმე კუთხე ჩვენი ქვეყნისა კულტურულათ ითვლებოდა იმდენად, რამდენადაც იმ კუთხის ქალი თავისუფალი იყო და მამაკაცთან თანასწორ ფიზიკურ შრომისაგან“ (ჯავახიშვილი, წერილებ 2001: 558).

აღსანიშნავია, რომ პუბლიცისტი ერის კულტურას ქალთან ურთიერთობას უკავშირებს, ეს ქართული ცნობიერებისათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, უკანასკნელ ასწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა რაღაც შეცვალა ეროვნულ ცნობიერებაში. ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს მიხეილ ჯავახიშვილის პროზაც. მის ადრეულ მოთხრობებში, ძირითადად, ქალი უფუფლებო, დაუცველი არსებაა. გავიხსენოთ მისი „უპატრონო“(1904 წ), „ეკა“ (1905 წ).

ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებულია, რომ შემოქმედების ადრეულ ეტაპზე შექმნილ ტექსტებში დამცირებული, შეურაცხყოფილი და პასიური ქალების ბედია წარმოჩენილი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯავახიშვილი ამ პერსონაჟებით თითქოს საგანგებოდ აღვივებს მკითხველში პროტესტის გრძნობას. მისი აზრით, ქალური და ზოგადად ღირსების დაცვა, პიროვნული ავტონომიისთვის ბრძოლა ადამიანის უმთავრესი უფლებაა.

„მოახლე თავის უპატრონობას დარდობს და ჰგრძნობს, რომ ის მთელ ქვეყანაზე მარტოდმარტო, ზედმეტი ვინმეა ამოდენა ხალხში - დაკარგული, უპატრონო, ობოლო, ყველასაგან დატანჯული და დაჩაგრული, რომ ყველას შეუძლიან მისი დაბრიყვება, გააბუჩება და გათელვა“,- ვკითხულობთ 1904 წელს დაწერლ მოთხრობა „უპატრონოში“ (ჯავახიშვილი 1969 : 67).

აღსანიშნავია, მიუხედავად მათი დაუცველობისა, უუფლებობისა, ორივე მოთხრობაში („ეკა“, „უპატრონო“) იგრძნობა დედა,დედის ძლიერი სული და თავგანწირვა შვილისათვის. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო ქართველი ქალისათვის,მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილისათვის ქალი მხოლოდ დედის ამპლუაში საკმარისი არ იყო, მისთვის, როგორც ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლისათვის , მნიშვნელოვანი იყო ქალთა უფლებები და ქალთა განათლება.

ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „დედათა საქმე და ქალთა განათლება“ წერდა: „დედაც კაცია , ადამიანია და მარტო კაცისა და ადამიანის სახელით დედათა უფლების საქმე უნდა ჰღაღადებდეს და თხოულობდეს თავის წარმართვასა. ამ ფართო გზაზედ ჰდგას ეს საქმე ევროპაში დღეს და გვგონია ვერაფერს სამსახურს უწევენ ქალებს ისინი, ვინც ამ საქმეს მოკლე ფარგალით უზომავენ ადგილს და დედაკაცი ადამიანობიდან ჩამოჰყავთ, რომ მარტო დედობისა, ცოლობისა და ღობის უღელი გააწევიონ,ესე იგი, ბევრისაგან ცოტა უწყალობონ“(ჭავჭავაძე1991: 469). ამ წერილის პათოსი იგრძნობა ჩვენ მიერ უკვე განხილულ წერილებშიც.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია მიხეილ ჯავახიშვილის კიდევ ერთი მოთხრობა - „პატარა დედაკაცი“ (1926 წელი). თავად სახელწოდება აღძრავს ფიქრებს. დედაკაცობა ილიასათვის საპატიო იყო. ჭავჭავაძე განასხვავებდა დედაკაცსა და ქალს.,, ცოდვა არ არის, „დედაკაცი“ სათაკილო იყოს და „ქალი“ თავმოსაწონებელი!...„დედაკაცი“ - ეს ბრგე და ახოვანი ადამიანი „ქალად“ დავადნეთ! ..ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერ ჰზიდავს „კაცის“ მძიმე სახელს...ქალი შესანახია და არა შემნახველი, იგი ბარგია და არა ჭირნახული, იგი პეპელაა და არა ფუტკარი. ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის - სახლია პატიოსანის შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყანაა სამკალი, ძნაა საღეწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა“ (ჭავჭავაძე 1986: 383). დრომ ახალი ცხოვრებისეული პრობლემები და მათი გადაჭრის ახლი გზები შესთავაზა საზოგადოებას. მეოცე საუკუნის დედაკაცს ქმრის ავადმყოფობისას „მგელკაცივით შავპირა“ სპირიდონი დაეპატრონა. სოფიო მტკიცედ ვერ დადგა, ვერ ივაჟკაცა, თუმცაღა „სპირიდონმა ... მხოლოდ ერთხელ იმძლავრა, ისიც ჯადოსნობით...“ (ჯავახიშვილი1973: 116), შედეგად გაჩნდა შვილი და პატარა დედაკაცის სიყვარულით შექმნილი ოჯახიც დაინგრა. სოფიომ ვერ შეძლო დაეცვა ოჯახი - საყვარელი მეუღლე დაკარგა. წარუმატებლობამ, მარტო დარჩენამ მას ძალა მისცა, „მარტოხელა დედაკაცმა“

„მოძალადე“ მხოლოდ „თავის ოთახშიც მხოლოდ მაშინ შეუშვა, როცა რომანიძის გვარი რონველით შესცვალა“ (ჯავახიშვილი 1973: 122) და თან ექიმობაც მოიწადინა, რაც შეასრულა კიდეც. ხასიათის სიძლიერით დაკარგულის დაბრუნება შეძლო სოფიომ. მისი აღდგომით „ფეხზე წამოდგომით თითქოს მწერალმა შეუპოვარი ქალი გააცოცხლა. ახალი ეპოქის ქალს დაკარგულის დაბრუნებისაკენ მოუწოდა. მწერალს, როგორც ჩანს, ეშინოდა ქალის ფუნაჯის მოშლის. თავის „უბის წიგნაკიდან ჩანაწერებში“ ჩაუნიშნავს: „ტიპი: ქართველი ქალი, რომელსაც ტირილისა და წუწუნის მეტი არაფერი შეუძლიან (გაიშალოს)“ (ჯავახიშვილი 1973: 304) , ან კიდეც : „ერთი ქალისათვის ლოგინიდან ადგომა ნამდვილი გმირობაა“ (ჯავახიშვილი 1973: 316).

ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ ქეთევან ახატნელს, ისევე როგორც მარგალიტა ყაფლანიშვილს. ამ პერსონაჟების საშუალებით მიხეილ ჯავახიშვილმა ეროვნული ხასიათების, საქართველოს სახელმწიფოს ნგრევის პროცესი თვალნათელი გახადა.

რომანში „ქალის ტვირთი“ წამოჭრილი პრობლემები პირდაპირ ეხმიანება იმდროინდელ სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებს , ქალთა ემანსიპაციის საკითხს. ქეთევან ახატნელიცა და მართა დოვლათიშვილიც პიროვნული არჩევანის წინაშე დგანან, სწორედ ეს არჩევანი გამოავლენს მათი თვითრეალიზაციის პროცესს, პიროვნული „მეს“ დამკვიდრებას, ეს პერსონაჟები განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც სოციალური წარმომავლობით, წარსულით, ისე ქალის ბუნების, დანიშნულების შესახებ შეფასებებით და წარმოდგენებით, ამიტომ, შესაბამისად, განსხვავებულია მათ მიერ გაკეთებული არჩევანიც.

„ქალის ტვირთის“ მთავარი გმირისათვის , როგორც მწერლის უბის წიგნაკის ჩანაწერებში ჩანს, სხვა სახელი ჰქონია მწერალს შერჩეული: „ელო დიდხანს ფიქრობდა: ზურაბის ცოლო გავხდე და ავმაროვი შევიყვარო, თუ პირუკუღმა მოვიქცეო“; „ელო ყურს უგდებს ზურაბს“; „ელო რომ მისთხოვდა ავმაროვს, ზურაბმა მერმელა გაიგო, რომ ელო იმას უფრო გაჰყვებოდა ,ჰკითხა. ელომ ტირილი დაიწყო. ინანა. არ ეგონა..სხვანაირ ქალებს იყო შეჩვეული, ზემოურნი გარყვნილები ეგონა“; „ზურაბმა მართას ოთახში წრე გამართა, ელოც ჩაეწერა“; „ელომ სარკის წინ მკერდი გადაიღელა და ისე შეიკრა“; „ავმაროვი ეტყვის ელოს, რომ ჯიქი დროზე გაექცა, ახლა უდავო საბუთი აქვს საკატორლო. ისიც იცის, რომ ელომ დამალა ჯიქი /დაწვრილებით აუწერეს/“; „ავმაროვმა

ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მიუტანა ელოს“ (მიხეილ ჯავახიშვილის არქივი, უბის წიგნაკის ჩანაწერები, გამოსაცემად მოამზადებული ფილ.მეც.კანდიდატის ქ-ნ ეთერ შარაშენიძის მიერ.,/საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ტექსტოლოგიის განყოფილება 1097,1098).

მწერალს შემთხვევით არ უნდა დაერქმია სახელი ქეთევანი, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ რომანში ადამიანთა სახელებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება: „ავშაროვი, როგორც ჟანდარმის სახელი, შერჩეულია ავშარას მნიშვნელობით; დოვლათაშვილი ბოლშევიზმის დოქტრინაზე მიგვანიშნებს (რაოდენობრივი მაჩვენებლის პრიმატი, მატერიალისტური ცნობიერება). ანდრო ახატნელის ვაჟების სახელები ტექსტში საგანგებოდ განიმარტება და წინასახეებისაგან - ნათლიებისაგან მათივე განმსგავსების, ერთგვარი ანტიპოდურობის აღმნიშვნელად გვევლინება (ილია, აკაკი, ნიკო)“ (წიქარიშვილი 2004: 238).

ქეთევანი ცნობიერებაში ქეთევან წამებულთან გვაკავშირებს, გმირთან, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობისათვის მებრძოლთან. სამწუხაროდ, ახალი აზროვნებით შეპყრობილ ახატნელის ქალს არაფერი აქვს საერთო თავის სახელოვან წინაპართან, უფრო მეტიც, ის სრული ანტიპოდია იმ ქალებისა საქართველოს ისტორიიდან, რომელნიც თავის სწირავდნენ ეროვნული ღირსების დაცვას.

ერთ-ერთ წერილში „ქართველები ჟენევაში“ მიხეილ ჯავახიშვილი განსაკუთრებით გამოყოფს ქართველი ქალების დამოკიდებულებას ეროვნული საკითხის მიმართ, აღნიშნავს, რომ მათ მოსაზრებებში მკვეთრი დაპირისპირებულობა შეიმჩნევა, როგორც სოც. დემოკრატიული პარტიის მომხრეები ისინი განსაკუთრებული სიმკაცრით უარყოფენ ეროვნულობის ნებისმიერ გამოვლინებას ოფიციალურ შეხვედრებზე და საუბრებში, მაგრამ ეს საერთოდ არ უშლით ხელს პირადი კომუნიკაციისას სრულიად განსხვავებული პოზიციები გამოეხატათ. წერილში ვკითხულობთ: „ამ მხრით ქართველ ქალებში საოცარის ჰარმონიით უერთდებოდნენ ერთმანეთს უპრინციპო, შაბლონური კოსმოპოლიტიზმი და უსაზღვრო სიყვარული ქართველი ერისა, ვულგარული, დაჟინებული უარყოფა ეროვნების არსებობისა და ნამდვილი ნაციონალიზმი, რომელსაც ხშირად შოვინიზმისგან ვერც კი გაარჩევთ. ისინი ვერც კი ამჩნევდნენ ამ წინააღმდეგობას, პრინციპების არევიდარევას, წმინდა გრძნობისა

და გამოფიტული დოგმის შეურიგებლობას და გულუბრყვილოდ იყვნენ დარწმუნებული, რომ ისინი ლოდიკურ თანდათანობას არ ღალატობენ, მათი მსოფლმხედველობა გარკვეულ მეცნიერულ სისტემაზეა აგებული და არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს მათის რწმენასა და გრძნობას შორის“ (ჯავახიშვილი 2007: 241).

ქეთევანისგან განსხვავებით, მართა დოვლათიშვილი სრულიად დაცლილია ყალბი ილუზიებისგან, ეს პერსონაჟი ზუსტად აგნებს საკუთარ მთავარ დანიშნულებას - ქალური ბედნიერების მიღებით ახერხებს დაძლიოს ყოველგვარი სირთულე და მისი აღიარებით პოულობს საკუთარი არსებობის გამართლებას. საინტერესო შეფასებას აძლევს მართა დოვლათაშვილს მკვლევარი ლელა წიქარიშვილი . იგი აღნიშნავს: „მართა დოვლათაშვილი“ - ასევე ორადი ნიშანი, რომლის გაშიფვრაც შესაძლებელია სახარებისეული ლაზარეს დებიდან ერთ-ერთის - ნივთიერი საზრუნავისკენ მიდრეკილი მართას მოდელისა და თვით „დოვლათის“ სემანტიკის მოშველიებით“ (წიქარიშვილი 2004 : 244).

მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის იქმნება ახალი ტიპი ადამიანისა, მათ შორის, ქალისაც, რომელიც ემიჯნება ეროვნულობას, ერს, ისტორიულად ჩამოყალიბებულ იდეალებს.

მწერლის მხატვრულ ტექსტებში, გვინდა ერთმნიშვნელოვნად აღვნიშნოთ, რომ ქალისადმი დამოკიდებულება და ზოგადად ქალის საკითხი კომპლექსური კვლევის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი არაერთხელ განხილულა მკვლევართა მიერ, მასალა ჯერ კიდევ მრავალი კუთხითაა შესაფასებელი. ჩვენი აზრით, უპირველესად გასათვალისწინებელია ის საერთო კონტექსტი, რეალობა, რომელშიც და რომლის შედეგადაც წარმოშვნენ ჯავახიშვილის პერსონაჟები. შეფასებათა ცალმხრივობამ და სწორხაზოვნებამ შეიძლება არცთუ მართებულ, სადავო დასკვნებამდე მიგვიყვანოს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საკითხის კვლევა შედარებით ღრმა შრეებიდან უნდა დავიწყოთ და აღვნიშნოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი არამარტო კარგად იცნობს ისეთი მასშტაბის მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ ნიცშე, ვაინენგერი, ფროიდი, არამედ მათ მოსაზრებებს არცთუ იშვიათად ეყრდნობა მხატვრული პორტრეტების შექმნისას.

მიხეილ ჯავახიშვილი ყოველგვარი შელამაზების გარეშე გამოფენს ქალურ ბუნებას, სექსუალურობას და სწორედ იმას აქცევს სამწერლო მასალად, რაც საბჭოთა

ოფიციალურ და კრიტიკის მიერ მისი შემოქმედების განსაკუთრებულ ნაკლად იქნა აღიარებული.

„1923 წლიდან მოხდა დაპირისპირებული ხასიათების გამძაფრება, კორექტირება ფსიქოლოგიური, ეროვნული და სოციალური თვალსაზრისით, რომლის შედეგად მივიღეთ: ერთი მხრივ - ყოფილი თავადი, ნაკაცარი თეიმურაზ ხევსთავი, ქართველი არისტოკრატი და ინტელიგენტი, დამარცხებული ნაციონალისტი, ბიოლოგიურად დეგრადირებული, უნაყოფო აპოლონური სტიქია („ჯაყოს ხიზნები“)(სიგუა 2007: 245).

ერთის სათავეა მწერლის ფსიქიკა, ასთენიკური კონსტიტუცია, გარეგნობა და ბიოგრაფია, მეორისა - ის ურჩხული, რომელმაც ჯერ და და დედა დაუხოცა, შემდეგ კი „წითელ ეშმად“ იქცა და სამშობლო წაართვა.

„ჯაყო გმინვაა ჩემი სულისა“, - ამიტომაც ჩაუწერია უბის წიგნაკში.

მწერალი ოციან წლებში ტრაგედიათა მიზეზით - სექსის პრობლემით დაინტერესდა, რაზეც თვალსაზრისი შეიმუშავა ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზით და მისი მიმდევრების იდეებით (ერთი მხრივ - „ოქროს კბილი“, „ყბაჩამ დაიგვიანა“, „მუსუსი“, „მესამე“, „პატარა დედაკაცი“, „ცოფიანი“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, მეორე მხრივ - „კურდღელი“, „მიწის ყვავილი“) (მდრ. ფროიდი და ექიმი ფრიდონ დორაშვილი)(იქვე :249).

საინტერესოდ განსაზღვრავს ს.სიგუა მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკულ პერსონაჟთა წარმოსახვით არქექტიპულ მოდელებს:

„1. თავად ავტორი - კეთილი, პატრიოტი, დამარცხებული ანუ „ნაკაცარი“;

2. თავადი ჯავახიშვილი; დისა და დედის მკვლელი; ბოლშევიკი-მოძალადე - ბოროტი და გამარჯვებული;

3. ადამაშვილის ქალი; მწერლის და სოფიო - გათელილი და წამებული.

არქექტიპულ მოდელებს აკონკრეტებდა და მიწასთან ამაგრებდა, რეალური ცხოვრებით ავსებდა პროტოტიპების გალერეა, რასაც ხშირად იყენებდა მწერალი (მაგ.: „ტყის კაცი“, „ლამბალო და ყაშა“). ხოლო ორივეს აკავშირებდა და განავრცობდა ფანტაზია, სიტყვიერ მატერიალ ცოდვა-დანაშაულისა და ბედისწერის - „ბედი-მდევარის“-მოტივები.

პირადი, ოჯახური და გვაროვნული ტრაგედიების რესტავრაციამ, როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად, მწერლის ფიქრები წარმართა საშინელებათა

სურათებისკენ, ციხისა და სასამართლოსკენ, სექსის დემონური ძალისკენ, ტანჯვისა და სიკვდილისაკენ... მიხეილ ჯავახიშვილის პროზის სათავეა მისისვე ბიოგრაფია და ფსიქობიოგრაფია“ (სიგუა 2007: 250).

მისი შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი პერსონაჟი - მარგარიტა ყაფლანიშვილი, ერთი შეხედვით სოციალური მდგომარეობის, სიდუხჭირის, ძალადობის მსხვერპლი, უპირველესად საკუთარი ფიზიკური ინსტინქტებისა და დაფარული სურვილების მსხვერპლი აღმოჩნდა. შინაარსის გადმოცემა, რა თქმა უნდა, ჩვენს თვითმიზანს არ წარმოადგენს. ამიტომ მხოლოდ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მოვლენებზე შევაჩერებთ ყურადღებას. თეიმურაზ ხევისთავსა და მარგოს შორის პირველი კონფლიქტი სწორედ მარგოს, როგორც ქალის, უარყოფის მიზეზით იწყება. მიხ. ჯავახიშვილმა, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიის ზედმიწევნით კარგმა მცოდნემ, ზუსტად მიაგნო წერტილს, საიდანაც იწყება მისი პერსონაჟის კრიზისი და, რა თქმა უნდა, ჩვეული პირდაპირობით მიაწოდა მკითხველს.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ პერსონაჟის ალტერეგო სიუჟეტის დასაწყისში, ასე ვთქვათ, ბოლომდე ფლობს სიტუაციას. მარგარიტა ყაფლანიშვილი უმძიმეს სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა საკუთარ ხვედრს. იგი თანადროული სოციუმის ყველა საუკეთესო ნიშან-თვისების მატარებელია. აქტიურადაა ჩაბმული იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობს საქველმოქმედო ღონისძიებებში, საკმაოდ მაღალი ემპათიის გრძნობითაა დაჯილდოვებული. შესაძლებელია მკითხველს ერთგვარი ნამალადევობის განცდაც გაუჩნდეს, ჩათვალოს, რომ ახალგაზრდა ქალი მაშინდელ მოდურ ტენდენციებსაა აყოლილი, მაგრამ ვერც ამას მივიჩნევთ განსაკუთრებულ ნაკლად და ისიც უდავოა, რომ დასაწყისში მომავალი ტრაგედიის კვალიც არ ჩანს. რაც შეეხება თეიმურაზ ხევისთავით დაინტერესებას და მოხიზვლას, იგი ამჯერადაც იმ ღირებულებებს ეყრდნობა, რომელიც მკითხველისთვის კარგად გასაგებია და მისაღები, მასზე გავლენას ახდენს თეიმურაზ ხევისთავის სტატუსი, ინტელექტუალური შესაძლებლობები და ეს კავშირი უპირველესად უმაღლესი ადამიანური გრძნობის, სიყვარულის სახელით შედგება. პრობლემები შედარებით მოგვიანებით იწყება, მაგრამ ბევრად იმაზე ადრე, ვიდრე სოციალური სიდუხჭირე დაატყდება თავს ოჯახს. მარგოს ტრაგედია ის არის, რომ მას, როგორც ქალს, მეუღლეს თეიმურაზი სრულიად უარყოფს, რაც უერთიერთობებში სასტიკ

გულგრილობას გააჩენს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ამ ყოველივეს განსაკუთრებული რეალისტურობით გადმოგვცემს, ის კი არაა, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება იმ ფსიქოლოგიურ ეტაპებს, რომელიც შესაძლოა გაიაროს ამ გზაზე ადამიანი. სწორედ ამიტომ მკითხველისთვის დამაჯერებელია ჯერ პროტესტი, მართალია, არფრის მომცემი - რაკილა ვერას გახდა, შეეგუა ამ ურთიერთბას. მეტიც, მარგომ დაიჯერა, რომ ეს იყო ერთადერთი და ლოგიკური განვითარება. შემდგომ კიდევ უფრო მეტად რთულდება მდგომარეობა მარგოს დაუფლებული გულგრილობა მკითხველში ერთგვარ პროტესტსაც კი იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქოს, ანიშნებს თეიმურაზს მომავალ საფრთხეს, რომ ასე აუცილებლად დაკარგავენ მამულს, შემოსავალს და ადრე თუ გვიან მათ ქონებას ჯაყო ჯივანშილი ჩაიგდებს ხელში, მაგრამ ეს წინააღმდეგობაც უსისცოცხლოა, ინსტინქტურია. ბოლოს, ჯაყოს შემოთავაზების საწინააღმდეგოდ კიდევ ერთხელ და ალბათ, უკანასკნელად ამოქმედდება ქალში თვითგადარჩენის სურვილი, ამიტომ ცდილობს ქმარს ნაშინდარში ხიზნად წასვლა გადააფიქრებინოს, მაგრამ, როდესაც შედეგს ვერ მიაღწევს, სრულ პასუხისმგებლობას მას აჰკიდებს სიტყვებით: „როგორც გინდა“.

ამ მსჯელობით არ ვცდილობთ მარგო ყაფლანიშვილს ის ალეგორიულ-სიმბოლური გააზრება ჩამოვაცილოთ, რომელიც არაერთხელ დაუკავშირა მას ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ, რომ იგი, როგორც პერსონაჟი პატივყრილ, დამორჩილებულ და სხვის ხელში ლამის საკუთარი ნებით ჩავარდნილ საქართველოსთან იგივდება ისევე, როგორც თეიმურაზ ხევისთავი ქართულ ინტელიგენციასთან, ჯაყო მომხვედურ ძალასთან. ერთ-ერთი გამორჩეული ალღოს მქონე თანამედროვე კრიტიკოსის სოსო სიგუას შეფასებაში ვკითხულობთ: „თეიმურაზ ხევისთავის პროტოტიპია თავად მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც სავარსამიძისა - გამსახურდია. ისიც სათვალისიანია და მელოტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. მიხეილ ჯავახიშვილი ეროვნულ-დემოკრატი იყო, იბრძოდა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი „პარიტეტული კომიტეტისა“, რომელიც 1923 წელს დახვრიტეს (წევრები - ხაზი ჩვენთან.ბ) თვითონ აღიარა დანაშაული და შეურიგდა მოძალადე ხელისუფლებას. საკუთარი უმწეობის ხატია თეიმურაზ ხევისთავი, ცინიკურად დაუნდობლად დახატული ავტორის მიერ, თავისი თავისადმი გამოტანილი უღმობელი განაჩენი, რათა ასე გაესრისა უმწეობის კომპლექსი. „ჯაყოს ხიზნებში“

თეიმურაზი განასახიერებს საქართველოს დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელსაც ხელში ჩაუვარდა ქვეყანა, მაგრამ ვერ უპატრონა. დედისერთა მარგო ყაფლანიშვილი ძველი საქართველოა, რომელიც ჯერ თეიმურაზს ჩაბარდა, შემდეგ კი - ჯაყო ჯივაშვილს, უკეთურ და უცხო ძალას....“ (სიგუა 2005: 39).

ბატონ სოსო სიგუას ამ მოსაზრებას არაერთი არგუმენტი აქვს საფუძვლად, რომელსაც თავად ავტორიც ჩამოყალიბებულად გადმოგვცემს, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ნაწარმოების ზოგადად, ალეგორიული სიმბოლური გააზრებით შეფასებას, მართლაც ლოგიკურია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი საკუთარ თავს, პირად უიღბლობას, უმოქმედობას, ამასთან ერთად კი ინტელიგენციის ზოგად სახეს გადმოგვცემდეს თეიმურაზის სახეში, მაგრამ ამ ფაქტის დადასტურება, უტყუარი საბუთი, ასე ვთქვათ, არ გაგვაჩნია, რაც თავისთავად დასაშვებს ხდის სხვა მოსაზრებას, რომ პერსონაჟებში მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლური ნიშნები არ ვეძებოთ. დავუშვათ მოსაზრება, რომ მარგო იმ პერიოდის წარმომადგენელი ერთი ჩვეულებრივი ქალია, რომლის მაგვარიც ათასი იქნებოდა იმ დროს, ილია ჭავჭავაძის ლუარსაბის არ იყოს, თვითონ ბევრს ჰგავდა და ბევრი მას, მაგრამ საქართველოზე უფრო მეტად ჩვეულებრივ ქართველ ქალს განასახიერებდა. უმძიმესი შინაგანი ბრძოლების მქონე ქალს, რომელიც უპირველესად საკუთარ სურვილებთან დამარცხდა, სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული უარყოფის გამო ჩაუვარდა იგი ჯაყო ჯივაშვილს მკლავებში.

ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე მისი ეს სახე ბევრად უფრო საინტერესოდ გვეჩვენება. რამ გადააწყვეტინა შეექმნა მიხეილ ჯავახიშვილს ქართველი ქალის სახე, რომელმაც არაერთი უარყოფითი გამოხმაურება და შეფასება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. რაც ლოგიკურია, რადგან მკითხველი არ ყოფილა შეჩვეული მსგავს ტიპაჟებს. მათთვის ქართველი ქალი უპირველესად საკუთარი ოჯახის და შემდეგ ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენდა. ვინ, ვინ და ჯავახიშვილმა ეს ძალიან კარგად იცოდა. მაშინ რამ გამოიწვია მისი ამგვარი არჩევანი?

ჩვენი აზრით, მარგო ყაფლანიშვილის პორტრეტის შექმნით მიხეილ ჯავახიშვილმა უპირველესად, ზოგადად, ქალის მდგომარეობის სოციუმში ინტეგრირების პრობლემა წამოსწია წინ, რადგან უტყუარი ალღოთი იგრძნო, რომ ქართული საზოგადოება უმთავრეს საყრდენ ძალას კარგავდა ამ პრობლემების უგულვებელყოფით. ვფიქრობთ, სწორედ ამიტომაც იქცა მკითხველისთვის ეს პერსონაჟი მწარე გაკვეთილად. მაინც რა

როლი მიაჩნია მას ავტორმა საკუთარი ქვეყნის მომავალში? არის თუ არა იგი ამ მხრივ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის მემკვიდრე, რომელთათვისაც ქვეყნის იდენტობის შენარჩუნებაში გამორჩეული როლი ქართველ დედებს ეკისრებოდათ - „რა იქნებოდა რომ ჩვენ დედათაც სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ? „ან კიდევ: „ისე აღზარდე შენ შვილის სული... უკან რჩეს კვალი განათლებული?“ ამ კითხვებზე, სამწუხაროდ, გადაჭრით გვაქვს პასუხი.

„ჯაყოს ხიზნების“ უმთავრესმა პერსონაჟმა მარგომ თავი ვერ გაართვა დაკისრებულ ისტორიულ მისიას. ვერ შეძლო საკუთარ თავში სათანადო ძალების მოძიება და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მომხდურ ძალას. ღირებულ მხატვრულ ტექსტს ერთი საინტერესო თვისება გააჩნია, მკითხველს ყოველთვის აქვს შესაძლებლობა მწერლის მიერ შემოთავაზებული რეალობისგან განსხვავებული განვითარება წარმოიდგინოს. თუ ამ ვერსიას დავუშვებდით მარგო ყაფლანიშვილის შემთხვევაში, მას თითქმის ყოველ ჯერზე აძლევდა მწერალი შანსს თავადვე შეეცვალა რეალობა, არ შეპუებოდა თავს დამტყდარ უბედურებას, მაგრამ „სამწუხაროდ, ამ პერსონაჟს არ აღმოაჩნდა ძალა დაეთრგუნა საკუთარი ტრაგედია, პირიქით, ბოლომდე დამორჩილდა მას და საბოლოოდ, ისევე დაამთავრა ცხოვრება, როგორც ჯაყოს არაერთმა ცოლმა თუ ნაცოლარმა. ვფიქრობთ, ნაწარმოების უმძიმესი დადსასრულითაც ამას მიაჩნებდნენ ავტორი - ის განწირული მოლოდინი, რომელსაც თეიმურაზ ხევისთავი შეუპყრია, რომ ისევე ელოდება ნაქმარევი ნაცოლარს, ისევე და ისევე მარგოს მიერ გადადგმული ნაბიჯის მოლოდინია, მართალია, უიმედო, არაფრის მომცემი, მაგრამ მაინც მოლოდინი იმისა, რომ ქალში ყოველთვის არსებობს არსებული რეალობის შეცვლის ძალა სურვილის შემთხვევაში. მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში მარგოს გარდა არაერთი ქალი გვხვდება.

საინტერესო პერსონაჟი ჰყავს მოთხრობას „მესამე“. მწერალი ამ ურთულესი ცხოვრების მქონე ქალს - ირინეს პიროვნული არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს. ჯავახიშვილის აზრით, სიყვარული ყოველთვის ანიჭებს ადამიანს შანსს საკუთარი თავი ეძებოს და თუ გაუმართლა იპოვოს კიდევ. ბედთან უპირობო შერიგებას მწერალი აშკარად თავგანწირულ ბრძოლას ამჯობინებს და მისი აზრით, ამგვარი ადამიანები განსაკუთრებულ ბედნიერებას და პატივისცემას იმსახურებენ.

მისი მოთხოვნების უმთავრესი პრობლემა ნების თავისუფლებაა, რომელსაც თითქმის ყოველთვის თრგუნავს ისეთი მძლავრი საზოგადოებრივი ინსტიტუცია, როგორც ოჯახია. ალბათ, ამიტომაც, რომ იგი საგანგებოდ ქმნის ექსტრემალურ სიტუაციებს, რომელშიც ვლინდება მისი პერსონაჟების ბრძოლა პიროვნული თვითაღდგენისთვის, თვითიდენტიფიცირებისთვის. ბრძოლის უმთავრეს საშუალებად კი მწერალს თვითკმარი წინააღმდეგობის, დაუმორჩილებლობის განცდა მიაჩნია, რომელიც აცოცხლებს და, უფრო მეტიც, განსაზღვრავს კიდეც სიცოცხლის არსს.

ქალის პიროვნული რეალიზაციის ყველაზე ქმედით საშუალებად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიყვარულს მიიჩნევს. თუმცა, არასწორი იქნება ვიფიქროთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ოჯახის, როგორც ინსტიტუტის მნიშვნელობას აკნინებდეს. როგორც წესი, მისთვის მთვარი სიყალბის წინააღმდეგ ბრძოლაა, თორემ ოჯახი, რომელიც ისეთ მარადიულ ღირებულებებს ეფუძნება, როგორც სიყვარული და ერთგულებაა, ხელშეუხებელ სიწმინდედ რჩება. ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერსო რომანია „თეთრი საყელო“, ავტორი განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩენს იმ დაპირისპირებას, რაც ყველაზე უკეთ ორი სხვადასხვა კატეგორიის, სხვადასხვა ღირებულებების მქონე ქალებთან მიმართებით იჩენს თავს მთავარ პერსონაჟში. ელიზბარის ქალაქელი ცოლი ცუცქია იმდროინდელ საზოგადოებაში არსებული მორალურ-ეთიკური ნორმების აღრევის გამომსახველია. ეს პერსონაჟი ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეასაც იმ ფორმით იგებს, რა ფორმაც მის მედროვე ბუნებას ერგება: „ცუცქიამ თანასწორობა ასე გაიგო: ყოველგვარი ვალდებულება მე დამითმო.... ყოველი უფლება თვითონ დაისაკუთრა“. „ქალ-ვაჟის გათანსწორებისათვის საჭიროა რომ ვაჟი გაქალდეს, ხოლო ქალი გავაჟდეს. ერთიც წააგებს და მეორეც“ (უბის წიგნაკიდან ჩანაწერები 2011: 316).

სრულიად განსხვავებული მოვლენაა ხევსური ხათუთა, რომელიც არქაულობასთან, პირველყოფილებასთან, ბუნების ძალასთან, დაუშრეტელ ენერჯიასთან იგივდება ელიზბარისთვის. ცუცქიასგან განსხვავებით ხათუთას პიროვნული თავისუფლება ნამდვილია, მარადქალური მოვალეობის - სიცოცხლის მსახურების სურვილითაა ნაკარნახევი. მწერლის აზრით, სწორედ ეს ძალა თუ გადაარჩენს ელიზბარს, რომელსაც სულს „თეთრი საყელო“ უხუთავს.

უბის წიგნაკში მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს: „როგორც დედკაცია, ისეთია ოჯახიცაო, როგორც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაო“ (იქვე: 305). აღნიშნულის გათვალისწინებით ნათელი ხდება, თუ რას და რატომ განიცდის ხარჩილა ჯილახური - „უკვე შეუჩნდა შხამიანი ჭია- ...ნელცოფა, მორიელი, აგერ ის ძაღლიკა, ხარჩილას შვილი“ (ცოფიანი 2011: 11), „ორი ბოკვერი მყავდა, ორი ... მერმ ერთი გამიცოფდის...“ (იქვე: 20). გაცოფებაა ინცესტი. ოჯახის შეურაცხყოფა, გონების დაბნელება არეული დროის შედეგია. მომხდარი მოვალეობების, ტრადიციების მსხვრევაა, რაც ერის ზნეობისა და თვითმყოფადობის მსხვრევასთან მიგვიყვანს.

ასე რომ, მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ იგი საკუთარ შემოქმედებაში გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს ქალს. ქალთა საკითხის შეფასებისას - რა როლი და დანიშნულება უნდა ჰქონდეს მას მომავალი საზოგადოების განვითარებაში, აშკარაა ავტორის დამოკიდებულება, რომ თავისუფლება, ვისიც არ უნდა იყოს იგი, უპირველესად გააზრებული აუცილებლობაა ქართველი ქალის პიროვნული თვითდამკვიდრების საქმეში. მისი ეს ხედვა კი საინტერესოდ უკავშირდება ჩვენი საკვლევი თემის მთავარ საკითხს - ეროვნული იდენტობის პრობლემას. მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, ქალის როლის განუზომელობას უტყუარი ალლოთი გრძნობს და სწორედ ამიტომ, რომ ამ სუსტი სქესის წარმომადგენლის უფლებებს იცავს ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან კარგად იცის, რომ ქალის შინაგანი ძალის დათრგუნვა, ქვეყნის სასიცოცხლო ძალის დათრგუნვას გამოიწვევს, ხოლო მისი აღზევება და სწორი მიმართულების მიცემა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ იქცევა ოჯახის და სახელმწიფოს განვითარების გზაზე. სწორედ ამ მოსაზრების დადასტურებაა როგორც მისი პუბლიცისტური წერილები, ისე შემოქმედება, რომელმაც მანამდე უცნობი კუთხით წარმოაჩინა ქალი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით.

დ) ენა და სარწმუნოება - ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი

ქართული მწერლობა მარტოოდენ სიტყვაკაზმული შემოქმედებითი სფერო არასდროს ყოფილა. დროისა და სიტუაციის შესაფერისად იტვირთავდა ხოლმე ხალხის

წინამძღოლის როლს. იგი მუდამ იზიარებდა, განიხილავდა და განსჯიდა ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა პრობლემა წამოიწეოდა ხოლმე ლიტერატურაში აქტუალობიდან გამომდინარე. სოციალურ-პოლიტიკურ ტრაქტატებათაც კი შეიძლება განვიხილოთ ქართველ შემომქმედთა ნაწარმოებები, რომლებიც ქარული ეროვნული იდენტობის ფორმების განსაზღვრებას ისახავდა მიზნად.

ფოდალური საზოგადოების შედარებით მდგრად კულტურულ ერთგვაროვნებას ხელს დიდად უწყობდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, მოგვიანებით კი, მე-19 საუკუნეში, ეროვნული იდენტობის ჩამომყალიბებლის როლი იკისრა მხატვრულმა ლიტერატურამ.

აღიარებული ფაქტია, რომ ენა ერთ-ერთი უმთავრესი იდენტიფიკაციის წყაროა როგორც პიროვნებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. შეიძლება ითქვას, რომ ენა უძლიერესი იარაღია სხვადასხვა ერის ემანსიპაციის გზაზე, ასე რომ, ლოგიკურია რატომ ცდილობდა ჯერ რუსეთის იმპერია, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირი ქართული ენის შესუსტებას, საუკეთესო შემთხვევაში, ან მის საბოლოო გაქრობას, სწორედ ამას ემსახურებოდა ე.წ. „რუსიფიკაციის“ პოლიტიკა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ატარებდა დამპყრობელი.

ამავე მასშტაბის მიზანმიმართული დანაშაული გახლდათ ავტოკეფალიის გაუქმება, რუსულად მიმდინარე წირვა - ლოცვა, სწავლა - განათლება სკოლებში და ასე შემდეგ. ეს მოსაზრება ერთგვარი აქსიომაა და, ერთი შეხედვით, დასაბუთებასაც აღარ საჭიროებს, მაგრამ მაინც მოვიხმობთ მის ნათელ დადასტურებას, ამონარიდს ცნობილი ქართული წარმოშობის მწერალ გივი მარგველაშვილის წერილიდან, რომელიც რაამდენიმე წლის წინ დაიბეჭდა პრესაში. რესპოდენტი, თითქოსდა, მკითხველისთვის რთულად მისაღებ აზრს გამოთქვამს: „სამშობლო: ჩემი სამშობლო გერმანიაა, რადგან მასთან ენა მაკავშირებს... ამ ენაზე გავიზარდე, ამ ენაზე მიკითხავდნენ ზღაპრებს, ჩემი ბავშვობა ამ ენაშია მოქცეული, ამ ენაზე ვდგავარ და ვიდექი ყოველთვის... სამშობლო ჩემთვის, ალბათ, უფრო ენაა“ (მარგველაშვილი 2016: 7). როგორც ვხედავთ, ავტორი სრული გულწრფელობით იმეორებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ენა უმთავრესი ფაქტორია ეროვნული იდენტობის განსაზღვრისათვის.

ამავე მოსაზრებას ადასტურებენ საუკუნეების წინ საკუთარ ქვეყანას, მის ისტორიულ რეალობას მოწყვეტილი ქართველები, რომლებიც სხვადასხვა დროს გადაუსახლებიათ საქართველოდან და ისტორიულ სამშობლოსთან კავშირს ენის შენარჩუნებით ახერხებენ.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს, მისი ჩანაწერები არაერთ საინტერესო მასალას იძლევა ამ საკითხზე მსჯელობისთვისაც. ცალკეული ფრაზების გარდა, რომლებშიც აშკარად ვლინდება მისი, როგორც მწერლის და მოქალაქის პოზიცია, საყოველთაოდ ცნობილია მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული ენისადმი.

ენის ლექსიკის ცვალებადობის პროცესში ზოგი მოძველებული სიტყვა ძალით იცვლება, მაგრამ, როგორც მიხეილ ჯავახიშვილი შენიშნავს, ხდება ისეც, რომ „ ძველი კვდება და ახალიც აღარ იზადება . ამიტომ ცდილობენ ზოგნი ამ სიცარიელის ამოვსებას. ამისთვის სამი გზა არსებობს : 1) ან ძველი უნდა აღვადგინოთ 2) ან რუსულ-ევროპული მივიღოთ 3) ან ახალი მოვიგონოთ “.

მწერლის აზრით, „ოდნავ მიძინებული" სიტყვები უნდა აღდგეს.

„ასეთი ცოცხალი და საჭირო სიტყვები ათასობით შეიძლება ამოვკრიფოთ ლექსიკონიდან და უფრო მეტად - სოფელ-ქალაქებიდან, მაგრამ მას შრომა სჭირდება, ჩვენ კი გატკეპნილი გზებით გვირჩევნია სიარული. ლენტა, ზამში, ლიფი, ოქერელიე გადამყიდველი, შესახვევი - აი, ასეთი ლამით ივსება ჩვენივე თვალწინ ქართული ლექსიკა" (ჯავახიშვილი 1964: 352).

მიხეილ ჯავახიშვილი სათანადოდ აფასებდა ქართველი ლექსიკოგრაფების ღვაწლს განმარტებითი და სპეციალური ლექსიკონების შედგენის საქმეში. იგი წერდა : „მაინც ზოგი ქართველი მეცნიერი ამ მხრივ ათჯერ მეტს აკეთებს, ვიდრე ზოგი ლიტერატორი და ასჯერ მეტს, ვიდრე ზოგი ჟურნალისტი. გადახედეთ სპეციალურ ლექსიკონებს და უმაღვე დარწმუნდებით, მაგრამ მათი გავლენაც ასჯერ ნაკლებია ვიდრე ჟურნალისტის და ათჯერ - ვიდრე ლიტერატორის. ამიტომ მართებს ლიტერატორს, და უფრო მეტად ჟურნალისტს, გაათკეცება გულისყურის და შრომის, რათა შეერთებული ძალით გავგავოთ ჩვენი ტვინიდან უხვად შემოსული უცხო ელემენტი"... ლიტერატურა ხალხის შეგნებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა, ამიტომ, მწერლის ღრმა რწმენით, „საჭიროა მუდამ გვახსოვდეს, რომ შეუძლებელია ჩვენი სათქმელის მიტანა მშრომელ ხალხთან დამახინჯებული

სინტაქსით და უფრო მეტად ჭარბად დატვირთული, გაუგებარი უცხო სიტყვებით, არც კითხვისა და არც მოსმენის დროს გლესსა და მუშას უცხო სიტყვათა ლექსიკონი არ უჭირავს ხელში, და მგონი ინტელიგენტიც იშვიათად იხედება ამ წიგნში“ (ჯავახიშვილი 1964: 353).

გაუგებარი სიტყვებისა და გამოთქმების მოჭარბებული ხმარება, მწერლის თქმით, „მუდამ ამორებს ხალხს წიგნსაც და გაზეთსაც და აზიანებს მეტყველების ხიდს“ (ჯავახიშვილი 1964: 352).

მწერალი არც არქაიზმებს ტოვებს ყურადღების გარეშე. მისი აზრით, „არქაისტული სიტყვა-ფორმები შესაწყნარებელია მხოლოდ მხატვრული სტილიზაციისათვის“, ოღონდ, რა თქმა უნდა, ზომიერების დაცვით, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდა დიდი მწერალი. მ. ჯავახიშვილი მკვდარ ლექსიკაში განარჩევს ორ ჯგუფს: პირველი, ისეთი სიტყვები, რომლებიც „ნავლწაყრილნი“ არიან და შეიძლება აღვადგინოთ, ხოლო მეორე, რომლებიც სამუდამოდაა დამარხული.

მ. ჯავახიშვილის დასკვნით, „არქაისტულად წერა დღეს არ შეიძლება, თუ მას მხატვრული სტილიზაცია არ მოითხოვს, მაგრამ მკვდარი ან მიყუჩებული სიტყვის გაცოცხლება ფრიად სასარგებლო იქნება“ (ჯავახიშვილი 1964 : 353-354).

მწერალი იმასაც შენიშნავს, რომ ზოგჯერ თავს იჩენს საწინააღმდეგო ტენდენციაც: „თუ ქართველმა მწერალმა იხმარა ხუთიოდე ნავლწაყრილი სიტყვა და მოინდომა მისი გაცოცხლება, უმაღვე განგაში ატყდება ხოლმე. მოგანგაშენიც უნებლიეთ თუ ნებსით ქართული ლექსიკონის გადარიბებისა და გადაგვარებისათვის მუშაობენ“ (იქვე).

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვის ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია, და თუნდაც ვინმემ მოახერხოს, „სრულიად ახალი, უძირო სიტყვა თითქმის არასოდეს ფეხს არ მოიკიდებს, სამაგიეროდ მეტად გვჭირდება ახალი წარმოებული სიტყვები, აშენებული უკვე არსებული სიტყვების ძირზე და ქართული ენის მუშაკებიც სწორედ ამ გზას უნდა დაადგინენ“ (ჯავახიშვილი 1964: 354).

ენათა ურთიერთგავლენის შედეგად ლექსიკა იცვლება. ენათა გავლენას ემორჩილება სინტაქსიც. აბსოლუტურად წმინდა ლექსიკა და სინტაქსი შეუძლებელია არსებობდეს. თარგმანი ხშირად განიცდის იმ ენის სინტაქსის გავლენას, რომლიდანაც ითარგმნება ლიტერატურული ძეგლები. ლექსიკაში ითვისებს იმ ერთა ენათა მასალას, რომელთანაც მყარდება კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა.

მ. ჯავახიშვილს უცხოური ლექსიკის შესახებ წერს : „თუ ენა ცხოველ-ძალოვანია , დიდი შიში არ უნდა ჰქონდეს ბარბარიზმებისა . ქართულს მრავალი ათასი უცხო სიტყვა ჩაუსრუტავს და თავისებურად გადაუკეთებია, რადგან იგი მორფოლოგიურად სრულქმნილია, ძალოვანია, მაგალითად: სერდარ-სარდალი, კონალ-ყონალი ,კული-ყული, კაზაკ-ყაზახი, ჟამარ ---- თარი, ალექსანდროს -ალექსანდრე, ქეიხოსროვ-ქეიხოსრო, ზაჰმი-ზეიმი და ... იესო ქრისტე კი ჩვენებურად მოვნათლეთ (იეშუა-ებრაულად, ხრისტოს - ბერძნულად). ქართული ფონეტიკა და მორფოლოგია თავისებურად ხარშავს ასეთ სიტყვებს და უცხო სუფიქსების ნაცვლად საკუთარს აძლევს, აქ არის ყოველი ჯანსაღი ენის ძალაც და სათავეც “ (ჯავახიშვილი 1964: 338).

საყურადღებოა მ. ჯავახიშვილის ერთი დებულება: „უკვე დადუღებულ ენის საფუძვლებს საუკუნეთა მანძილზე ოდნავი ცვლილებადა ეტყობათ. სამაგიეროდ ლექსიკა და, საერთოდ, ენის ზედაპირი სწრაფად იცვლება “.

მწერალი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ენის საფუძველი გაცილებით ნელა იცვლება, ვიდრე ლექსიკა. შემოსულ უცხო ლექსიკას ენა თავის ცეცხლში ადნობს. „ერის ზრდას ფეხდაფეხ მოსდევს ენის განვითარებაც. შეუძლებელია მეოცე საუკუნე მეათე საუკუნის ენით მეტყველებდეს. სიტყვებიც კვდებიან - ზოგი ადრე და ზოგიც გვიან და მკვდრების ნაცვლად ახლები იბადებია - ზოგი საკუთარი და ზოგიც უცხო. გარდა ამისა, დღევანდელი ეპოქა საოცარი სისწრაფით აჩვენებს ახალ საგნებსა და მცნებებს, მაშასადამე, სიტყვებსაც, და გუბდება, იზრდება უცხო სიტყვების ლექსიკონიც, რადგან მეცნიერება უმეტესად უცხოეთიდან მოდის. ამიტომ შესაფერი სიტყვებიც მოაქვს და ჩვენს მიწაზე რგავს, ამკვიდრებს.ასე იყო უწინ, ასეა დღესაც, - მწერლის თქმით, - უცხო სიტყვა მუდამ არ ეგუება ქართულს, და რაც მოსათმენია ტექნიკოსისათვის, ზოგჯერ ყოვლად აუტანელია სიტყვის ხელოვანისათვის ,მაინც ორივეს უაღრესი სიფრთხილე მართებს, უფრო მეტად კი პოეტსა და ჟურნალისტს, რადგან მათი სიტყვა გაცილებით უფრო მჭრელია და ხმოვანი. მეცნიერული ტერმინის შეცვლა ადვილია, ხალხის ტვინში ჩაჭედილი სიტყვის ამოგდება კი მეტისმეტად ძნელია “(ჯავახიშვილი 1964: 341).

ვფიქრობთ, ჩვენი საკვლევი თემისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის შედარებით უცნობი კუთხით შეფასება. ფართო მკითხველი აუდიტორია, მას, როგორც ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს, შედარებით ნაკლებად იცნობს. შევეცადეთ, მისი შეხედულებებისათვის ამ კუთხით

კიდევ ერთხელ გადაგვევლო თვალი. როგორც ზემოთ არაერთგზის აღვნიშნეთ, მწერლისთვის ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა და ფუნქცია გააჩნდა, ამიტომ ამაზე აღარ შევჩერდებით. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ჯავახიშვილის წერილმა „ახალი სალიტერატურო ქართულისათვის“. წერილი 1927 წლის ბოლოს შეიქმნა. როგორც ჩანს, საკმაოდ მნიშვნელოვანი მიზეზით, რასაც თავადვე მიუთითებს ავტორი, მის შენიშვნაში ვკითხულობთ: „IV პლენუმზე ამხ. კახიანმა აღნიშნა, რომ ჩვენი პრესა და ლიტერატურა და სხვ. ხშირად მოიკოჭლებს ქართული ენის ცოდნის მხრივ, რომ გამომუშავებული არ არის თანადროულობისთვის შესაფერი სალიტერატურო ქართული. ამხ. კახიანმა მოითხოვა ამ ნაკლის დაკვრითი წესით გამოსწორება და ქართული ენის სისუფთავის დაცვა. „მნათობის“ რედაქცია სავსებით ეთანხმება რა ამხ. კახიანს, მიხეილ ჯავახიშვილის წერილის დაბეჭდვით იწყებს დისკუსიას ამ საკითხზე, მიხეილ ჯავახიშვილის წერილი, რასაკვირველია, რედაქციის აზრს არ გამოხატავს, მაგრამ რედაქციას ის მიაჩნია სადისკუსიო მასალად. შემდეგი სიტყვა ეკუთვნის ჩვენს მწერლებს, პუბლიცისტებს და „პირველ რიგში, ქართული ფილოლოგიის სპეციალისტებს“ (ჯავახიშვილი 2007: 76).

წერილი რამდენიმე მნიშვნელოვან ქვეთავად იყოფა, მასალა 50 გვერდამდეა. საკითხებს თავად ავტორი ასათაურებს და ყურადღებას იქცევს საკითხის ღრმა ცოდნით, ანალიზით, რაც, ჩვენი აზრით, უპირველესად სისტემატიზაციაში ვლინდება.

პირველი ქვეთავი - „ძველი და ახალი“, რომელშიც მწერალი ავლენს საქართველოს ისტორიის და ლიტერატურის სკრუპულოზურ ცოდნას. ყურადსაღებია მისი შეხედულებები და დამოკიდებულებები როგორც იმ პერიოდში მიმდინარე მოვლენებისადმი, ისე ცალკეული მოღვაწეებისადმი.

წერილში ვკითხულობთ: „მიჯნა საშუალოსა და ახალს ერისთავის „გაყრამ“ ჩაუგდო. ეს გარდატეხა დიდი ხანია მზადდებოდა, საბა - სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, სახელმწიფო აქტები, სიგელები და საერთოდ ზეპირსიტყვაობა ბეჯითად ამზადებდნენ სალიტერატურო და სახალხო ქართულის შედუღებას, მაგრამ ანტონ კათალიკოზი შავი ლანდივით ჩაუდგა შუაში და შეერთება დააგვიანა. მისი მშრალი, განყენებული და ორჩოზე შემდგარი ქართულის სუსხი აღ. ჭავჭავაძეს, ნიკო ბარათაშვილს და გრ. ორბელიანსაც კი ახმობს. თვითონ ქართული ენის გარდამტეხიც გ. ერისთავი ახალგაზრდობაში ამავე „მაღალი შტილით“ სწერდა“ (ჯავახიშვილი 2007: 76).

როგორც ვხედავთ, მიხეილ ჯავახიშვილი ამ მსჯელობას საკმაოდ შორეული მოვლენების მკვეთრი შეფასებით იწყებს. წერილში გვხვდება მის მიერ ფაქტებით გამყარებული შემდეგი განაცხადიც: „ერისთავის წიგნაკი („გაყრა“ გამოცემული 1850წ.) პლატონ იოსელიანის წინასიტყვაობით დიდი სამიჯნო ბოძია, რომელსაც ერთ მხარეს აწერია „ძველი“, მეორეზე - „ახალი“, - დეტალურად განმარტავს იქვე .

ჯავახიშვილის აზრით, პლატონ იოსელიანი ძველი ქართული სკოლის წარმომადგენელია, ამიტომაც ასეთ შეფასებას აძლევს ამ ფაქტს. ციტირება მოგვყავს სრული სახით :„ბედმაც კიდევ ერთხელ გაიცინა, ნოვატორ ერისთავს მიმრქმელად ანტონის ერთგული მიმდევარი პლატონ იოსელიანი მიუჩინა“ - აქვე მოჰყავს მისი წინასიტყვაობა, შესაბამისად, ვაგრძელებთ ციტირებას - „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბრითის ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველის ქართულისა ენაზედ კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან დაბადა ენა ქართული ახლის გვარი სამწერლობისათვის..... მაქვს იმედი, რომ ესრეთსა ჩემგან ახლისა გვარისა მოწონებას არავინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულად და თითოეული კეთილგანმზრახველი ქართველი სიხარულითა და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კომედიასა და სხვანიც ახალნი მწერალნი გაბედვით შეუდგებიან მაგალითსა მისსა“ (ჯავახიშვილი 2007: 77).

მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო , ვინც ვრცლად განიხილა „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის საკითხი და არსებითად მართებულად გააშუქა ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პრობლემა .

ავტორი თანმიმდევრულად ასახავს ენობრივ ნორმებთან დაკავშირებულ „განხეთქილებას“ მამათა და შვილთა თაობებს შორის. მისი აშკარა სიმპათია ილია ჭავჭავაძის მხარესაა, გასაგებია რატომაც. თუმცა, ამავედროულად, ამ პაექრობაში ჩართულ სხვა მოღვაწეებს არ ივიწყებს: „ორივე ძალა (ძველისა - ალ. ორბელიანი, ახლისა - დიმ. ყიფიანი) ფორმალურად საშუალო ქართულს ეძებს, არსებითად კი ამ ბანაკებს დიდი მანძილი ჰყოფს. ორბელიანი სამ საფეხურს 1. ძველი - ე.ი. საეკლესიო, 2 საშუალო ენა - დარბაისელთა, 3. გლეხური. ყიფიანიც იზიარებს ასეთ კლასიფიკაციას, მაგრამ არსებითი სხვაობა მოპირდაპირეთა შორის უმაღვე იჩენს თავს. ორბელიანს დარბაისლურის, ანუ საშუალო ენის ნიმუშებად შავთელის, რუსთაველის ენა მოაქვს.

დომ. ყიფიანი კი სწორედ ამ ენას უწოდებს ძველს, ებრძვის მას და ეძებს ახალს, სინტეტიურ ქართულს, რომელიც კლასიკური ქართულისა და ხალხურის შეერთების ნიადაგზე უნდა გაჩენილიყო“ (ჯავახიშვილი 2007: 78).

აღსანიშნავია, რომ ჯავახიშვილი დაწვრილებით იცნობს მხარეთა პოზიციებს და მკითხველს ემოციური დამოკიდებულებების გარეშე აცნობს მიმდინარე მოვლენებს. მაგრამ ვფიქრობთ, მაინც იგრძნობა საით გადაიხრება მისი როგორც სალიტერატურო ქართული ენის საუკეთესო მცოდნის და დამფასებლის შეფასება. ტექსტი შემდეგნაირად გრძელდება: „მებრძოლნი თანაბრად არ არიან აღჭურვილნი, ახალი ქართული უდროშო და უბელადო ლაშქარს ჰგავს. ორბელიანებს კი ხელთ უპყრიათ საუკუნოობით შეჭედილი გრამატიკა, ლექსიკონი, ტრადიცია. მათ წინ მიუძღვიან თითქოს უძლეველი, თილისმური სარდლები - შავთელი, ხონელი, თმოგველი, რუსთველი, ჩახრუხაძე და და საბა-სულხან ორბელიანსაც კი მიათრევდნენ, ძალით მიათრევდნენ, რადგან „სიბრძნე-სიცრუის“ დიდებული ავტორი, რა თქმა უნდა, უფრო ახლებს ეკუთვნოდა, ვიდრე ანტონ კათალიკოზის მემკვიდრეებს. უბელადო ჯარი იშვიათად იმარჯვებს, ან გამარჯვება იგვიანებს, მაგრამ ისტორია ზოგჯერ დროზე მიაშველებს ხოლმე მედროშეს, მაგრამ გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემოქმედიც, ან თავდაპირველად შემოქმედი, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისთვის“ (ჯავახიშვილი 2007: 78).

მიხეილ ჯავახიშვილს ყურადღების გარეშე არ რჩება ილიას გამონათქვამები ენის შესახებ და აღნიშნავს: „ენის ევოლუცია ლოდიკური ანარეკლია ჭავჭავაძის მთლიანი, ევოლუციონური აზროვნებისა“. იგი ღირსეულად აფასებდა იმათ ამაგს, ვინც ამ მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში მხარში ედგა ილია ჭავჭავაძეს : „რა თქმა უნდა , წინამძღოლი ილია მარტო არ იყო.მას გვერდით და ფეხდაფეხ მისდევენ ყიფიანები დიმიტრი , დავით და მიხეილი (სპირიდონ ჩიტორელიძე), გიორგი ერისთავი , ანტონოვი , არდაზიანი, რჩეულიშვილი და თანდათან ემატებიან : აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი , გიორგი წერეთელი , ანტონ ფურცელაძე , ნიკო ნიკოლაძე,ივანე მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა , ლომოური , ყიფშიძე , მაგლობლიშვილი და მრავალი სხვაც“ (ჯავახიშვილი 1964: 319-320).

მკვლევარ ზურაბ სარჯველაძის აზრით, პუბლიცისტი დაწვრილებით განიხილავს გრიგოლ ორბელიანის წერილებს. „ასეთი ცხარე კილო, რა თქმა უნდა , მარტო ენის გამო

ატეხილი ბრძოლით არ აიხსნება. ბრძოლის მთავარი მიზეზი სხვაგან იყო : მიმავლები იბრძოდნენ საერთოდ არსებულის შენარჩუნებისათვის, მიმავლები კი მისი დაპყრობა - გარდაქმნისათვის და , რასაკვირველია, ახალ პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ იდეებთან ერთად თან მოჰქონდათ ახალი მეტყველებაც - ახალი ფორმა, რითმა, ლექსიკა და სიტყვის წყობაც “... „მოხუცი პოეტი დაუახლოვდა ახალ ქართულს, მაგრამ ამავე დროს შეუპოვრად იცავდა ჭავჭავაძისაგან განდევნილ მკვდარ ასოებს და ორმაგ პრეფიქსებს : ვჰსწერ, ჰსწერს, დაჰსწმენდს და მისთანებს. ის ვერც კი ამჩნევს, რომ ამ ფორმებში უკვე მოიპოვება ჰაეს ბგერის ნაცვლად ს-ანი (სწერს, დასწმენდს,) და მაშასადამე , ჰაეს ხმარდება ლაჰსუსი იყო (ეხლა კი პირველი პირის ზმნაში , მაგ. „ვწერ“ , პრეფიქსს სულაც აღარ ხმარობენ)” (ჯავახიშვილი 1964: 328).

ცნობილია, ბრძოლა ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის ილია ჭავჭავაძისა და მისი მომხრეების გამარჯვებით დასრულდა.

1875 წელს „ცისკარმა“ გამოსვლა შეწყვიტა .

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა, როგორ აფასებს მიხეილ ჯავახიშვილი ილიას - როგორც ქართული ენის რეფორმატორის ღვაწლს. საკითხის ანალიზს ავტორი უპირველესად იწყებს ჭავჭავაძის მიერ ანბანში შეტანილი ცვლილებების მნიშვნელობის შეფასებით. მსჯელობისას ამჯერადაც უხვად იყენებს ციტირებებს, მასზე დაყრდნობით აკეთებს განზოგადებულ დასკვნებს.

წერილში ვკითხულობთ: „ამ ადამიანმა თანაბარი მიჯნები ჩაუყარა ახალ ლიტერატურას და ახალ ქართულსაც. „გაყრის“ დაბეჭდვის შემდეგ თერთმეტი წელიწადი გავიდა, ამ ხანაში მრავალი რამ დაიბეჭდა ახალი სალიტერატურო ქართულით და ძველი ორთოგრაფიით. ბევრი შეკადრეს მოძველებულს, მაგრამ ორთოგრაფიის შეცვლა ვერავინ გაბედა. ჭავჭავაძემ კი ესეც აკადრა და სხვა მრავალიც მიუმატა. მან ალფაბეტიდან შვიდი დრომოჭმული ასო ამოაგდო და განაცხადა: „ეს ასოები სულ არ გვიხმარია ჩვენს სტატიაში, თუ ვინცობაა ეს ენის წინააღმდეგად მიაჩნდეს ვინმეს , ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავცეთ პასუხი და გამოვაცხადოთ რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“.... ეს სამი სტრიქონი უფრო დეკრეტსა ჰგავს, ვიდრე შენიშვნას: „და გამოვუცხადოთ რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“ თავზე ხელაღებულ ნოვატორს მართლა დასჭირდა „გამოცხადება“, მტერი ყოველი მხრიდან აიშალა: ალ. ორბელიანი, ბარბარე ჯორჯაძისა, სპირიდონ ალექსევ-მესხევი, კიდევ ათასი და

თვითონ „ცისკრის“ რედაქტორიც, რომელმაც ჭავჭავაძეს წერილი დაუბეჭდა“ (ჯავახიშვილი 2007: 78).

მ. ჯავახიშვილმა გააანალიზა აკაკის „ჩემ თავგადასავალში“ და ილიას „ოთარანთ ქვრივში“ ს. ხუნდაძის მიერ აღმოჩენილი „შეცდომები“ და აღნიშნა ზოგი შეცდომად მიჩნეული ფორმის სისწორე და დაასკვნა, რომ თანამედროვე ქართულის თვალსაზრისით, ილიასა და აკაკის მხოლოდ ოთხ-ოთხი თუ ხუთ-ხუთი შეცდომა შეჰპარვიათ და ამიტომ მწერლის ენის ასე ზერელე, ხელაღებით დისკრეტიზაცია მიუტევებელია: „ხუთიოდე, თუნდაც ოციოდე შეცდომის გამო ლიტერატორი რომ დაეწუნათ, ჩვენამდე ერთიც ვეღარ მოაღწევდა: ჰომეროსიც და შექსპირიც, გოეთეც და პუშკინიც, ტოლსტოიც და დოსტოევსკიც, თმოგველიც, რუსთველიც, საბა-სულხან ორბელიანიც, ბარათაშვილიც, ორბელიანიც“ (ჯავახიშვილი 1964: 330).

აქვეა მისი საბოლოო შეფასება, რომელსაც დღევანდელი გადმოსახედიდან წარმოუდგენელია, უპირობოდ არ დავეთანხმით: „ენის ევოლუცია მცირე ლოლიკური ანარეკლია ჭავჭავაძის ევოლუციონური აზროვნებისა, რომელიც თუნდაც ასეთ ორიოდე ამონაწერშიც მკაფიოდ მოსჩანს“ (ჯავახიშვილი 2007: 78).

შესაბამისად, წერილის პირველი ქვეთავი, ერთგვარი ისტორიული ექსკურსიაა, რომელსაც მწერალი შეგნებულად მიმართავს, საერთო მდგომარეობის ობიექტური სურათის შესაქმენლად, ვფიქრობთ, ნათლად გამოიკვეთა, მისი, როგორც ფილოლოგიური საკითხებით დაინტერესებული მკვლევარის სტილი. ახალი, თითქოს არაფერი თქმულა, ეს მოსაზრებები მრავალგზის გაუხმინებიათ ქართული ენის მკვლევრებს და არც ილია ჭავჭავაძის შეფასებაში იყო რაიმე მოულოდნელი ჯავახიშვილის მხრიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოჩნდა მწერლის ობიექტური მიდგომა, ენის განვითარების ისტორიისადმი, ის, თუ რა მიაჩნი, მას ქვაკუთხედად ამ საქმეში და რას ანიჭებს შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას.

წერილის მეორე ქვეთავი, „კუთხური“, ენის განვითარებაში დიალექტების მნიშვნელობას ეხება. განხილვისას ავტორი ისტორიულ-შედარებით მეთოდს მიმართავს.

წერილში ვკითხულობთ: „ენის განვითარება, ცვლილება, კილოების შედუღება ერთ ენად ან მისი დაქსაქსვა კილოებად მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოგრაფიულს, სოციალურს და ისტორიულ პირობებთან. გარდა ამისა, არსებობს კიდევ

ერთი ფაქტორი - რასიული, რომელსაც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ ჯგუფის ფიზიკურ-ფსიქიკური მთლიანობა, რადგან ენა ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარების საშუალებაა, ამიტომ იგი, იმდენად უფრო მთლიანია ენაც და პირუკუღმაც; რამდენადაც სუსტია იგი, იმდენად უფრო ძლიერია კილოკავთა შორის სხვაობაც. ამ გზით და ამ კანონით ვითარდებოდა ქართული ენაც და მისი კილოებიც“ (ჯავახიშვილი 2007: 84).

ამ შესავალ აბზაცში წარმოდგენილ ძირითად დებულებას ავტორი თანდათანობით ავითარებს და ისტორიულ-ფილოლოგიურ არგუმენტებზე დაყრდნობით აგრძელებს მსჯელობას, მიუთითებს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე. დაბეჭდვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ენის განვითარებაში კილოკავებს უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს. განიხილავს განვითარების სხვადასხვა ეტაპს, ძირითადად ეყრდნობა მკვლევართა მიერ მანამდე გამოთქმულ მოსაზრებებს და ასკვნის, რომ, განუსაზღვრელი მნიშვნელობის მიუხედავად, ვერცერთი კილო მნიშვნელობით ვერ აღემატება სალიტერატურო ქართულს, რომელიც ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკურმა ცენტრმა ჩამოაყალიბა ენობრივი კანონზომიერების საფუძველზე, ეს პროცესი, მისი აზრით, ისევე განვითარდა ქართულში, როგორც ფრანგულის შემთხვევაში მოხდა საფრანგეთში, ინგლისურის - ინგლისში და ასე შემდეგ. საინტერესოდ მივიჩნევთ მის რამდენიმე არგუმენტს. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ხალი სალიტერატურო ენა საქართველოს შუაგულში, ცენტრში, ქართლ-კახეთში და თბილისში დადულდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი რამდენიმე არგუმენტი: „ქართლი რომ ვახსენე, ადმინისტრაციულს ან თუნდაც ისტორიულ ერთეულს კი არ ვგულისხმობდი, არამედ ფილოლოგიურს...“.

მიხეილ ჯავახიშვილი იყო ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი სახელმწიფო კომისიის წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობდა სადავო ფორმების განხილვაში.

საყურადღებოა მისი სტატია: „რუსთაველი თუ რუსთველი“, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა 1934 წელს. მანამდე ამ გაზეთმა გამოაქვეყნა იუსტინე აბულაძის წერილი. ავტორი მხარს უჭერდა რუსთველს; მ.ჯავახიშვილი რუსთაველს აძლევდა უპირატესობას. მისი აზრით, „რუსთველი“ ლექსის მეტრმა შემოიტანა, და თუ ორიოდ ალაგას პროზაშიც უხმარიათ, ეს ანალოგიას, მიმბაძველობას უნდა მივაწეროთ

და არა გრამატიკულ კანონს“. იგი წერს: „ვთქვათ არჩილი, თეიმურაზი და იმდროინდელი ლიტერატორები პროზაულადაც „რუსთველს“ ემხრობოდნენ (თუმცა ეს არსად არ ჩანს), მის აქეთ 150-200 წელიწადში თითქმის ყველა ლიტერატორი და უკლებლივ მთელი ხალხი „რუსთაველს“ წერს და ლაპარაკობს . ესეც საკმარისია , რათა ეს საკითხი სადავოდ აღარ ჩაითვალოს “(ჯავახიშვილი 1964: 426-427).

მიხეილ ჯავახიშვილი განიხილავდა სალიტერატურო ქართული ენისა წარმოშობის საკითხებსაც. იგი აღნიშნავდა, რომ „სალიტერატურო ქართული ერთ კუთხეს არ ემორჩილება, იგი შუაგულ ქართულს ეყრდნობა.

.....მეორე - ქართული ენა მინიმუმ 1500 წლის წინათ დადულდა და ჩამოყალიბდა....

.....მესამე - ასეთი დადუღებული ენის მნიშვნელოვანი გრამატიკული ფორმები ოციოდე წელიწადში არ იცვლება“ (ჯავახიშვილი 2007: 91-92).

მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილი ამ საკითხზე ბევრად უფრო ვრცლად საუბრობს, ფორმატიდან გამომდინარე, ამჯერად სრული ციტირებისთვის არ მიგვიმართავს, მხოლოდ ის დებულებები მოვიხმეთ, რომელშიც ავტორს მთავარი სათქმელი აქვს ჩამოყალიბებული.

საყურადღებოა მის მიერ მოხმობილი სამი ქართველი ავტორის მაგალითი, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურაში (ვაჟა, ნინოშვილი, კლდიაშვილი), მათი პრეცედენტი აღარ გამეორებულა. ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი ეს მაგალითი, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ გამონაკლისები სწორედ წესს ადასტურებენ, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს მიხეილ ჯავახიშვილის ზემოთ აღნიშნულ არგუმენტს.

შემდგომი ქვეთავი - „ვერ შემოვა ქართულში“ - ავტორს ჩამოთვლილი აქვს მის მიერ მოძიებული დიალექტური ფორმები, რომლებიც, მისი აზრით, გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოიპოვებენ ადგილს სალიტერატურო ქართულში და პირიქით. ფაქტია, რომ მისი ეს ვარაუდი ასე თუ ისე, გამართლდა. საილუსტრაციოდ მოვმიხმობთ რამდენიმე მაგალითს:

ბედუაი - ნათლია, მიმრქმელი;

ალაო - მჩატე, ნოყიერი;

ალაჟვერა - ბეჩავი;

ალურდა - ერთად აზრდილი, მაღალი ბალახი;

ბაკე - მთვარის შარავანდედი.

აქვეა, მისი აზრით, სალიტერატურო ქართულში შემოსაშვები სიტყვების ჩამონათვალიც:

ალაგე - ლობეზე გადასასვლელი მცირე კიბე;

ალაჯა - საქონლის მკერდის ქონი;

აჩხოტი - ბანი

რა თქმა უნდა, ჩამონათვალი გრძელდება, რამდენად გამართლდება ეს ვარაუდი, ამასაც დრო დაადასტურებს.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკუთარ მოსაზრებებს არც თავად მიიჩნევს უდავო ჭეშმარიტებად: „ცხადია, ფორმალური ორპირობა დამემართა, ზევით მრავალი კუთხური სიტყვა დავიწუნე, ახლა კი მოქნილი, მსუქანი, სისხლით სავსე „ფერადოვანი“ ხალხური მოვიწონე და ლიტერატურაში მოვიპატიჟე. მკითხავენ: „მაშ, სად არის ზომსადარი?“ ვუპასუხებ: უტყუარი, მათემატიკური ზომსადარი არარსებობს, მხატვრული ალლო და ენის ცოდნა, აი, ერთადერთი საზომიც და იარაღიც, სალიტერატურო ქართულის დაწმენდისა და გამდიდრებისთვის. ყოველი დანარჩენი სიტყვების უქმი ხარჯვა იქნება“ (ჯავახიშვილი 2007: 95).

შემდგომი თავი „ბარბარიზმებს“ ეთმობა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიხეილ ჯავახიშვილს განსაკუთრებული პესიმიზმი არ ეტყობა. ვვარაუდობდით, რომ მისი შეფასება ერთმნიშვნელოვნად კრიტიკული უნდა ყოფილიყო ამ მხრივ, თუმცა ჩვენი ვარაუდი ნაკლებად გამართლდა.

როგორც ჩანს, ავტორს ამ განწყობის საფუძველს ისევ და ისევ ის ტორიულ - შედარებითი მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნები აძლევს. იგი დარწმუნებით აღნიშნავს, რომ: „თუ ენა ცხოველძალოვანია დიდი შიში არ უნდა ჰქონდეს ბარბარიზმებისა. ქართულს მრავალი ათასი სიტყვა ჩაუსრუტავს და თავისებურად გადაუკეთებია, რადგან იგი მორფოლოგიურად სრულქმნილია, ძალოვანია.... ქართული ფონეტიკა და მორფოლოგია თავისებურად ხარშავს ამ სიტყვებს და უცხო სუფიქსების ნაცვლად საკუთარს აძლევს. აქ არის ყოველი ჯანსაღი ენის ძალაც და სათავეც. წყალნი მიდიოდნენ და ქვიშანი რჩებოდნენ, ქართულმა ყველას გაუძლო და თითქმის უცვლელად შეინახა თავისი საძირკველიც და ხასიათიც“ (ჯავახიშვილი 2007: 97).

საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად არაერთი ნიმუში მოჰყავს სულხან-საბას ლექსიკონიდან და ვახტანგის „დასტურ-ლამალიდან“, განიხილავს XIX საუკუნის ურთულეს პერიოდსაც, როდესაც, მისი თქმით, „ქართულს ზაფრანის ფერი დაედო“.

საბოლოოდ დაასკვნის, რომ უცხო სიტყვების შემოსვლა ენაში განვითარების იმდროინდელი ტემპებიდან გამომდინარე გარდაუვალია, მაგრამ აქვე გვთავაზობს გამოსავალს, რომელიც ვფიქრობთ, რომ დღეს კიდევ უფრო აქტუალურია. ენის დაცვის მექანიზმი ჯავახიშვილის აზრით, შემდგომ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს: „აი, ამ ზღვა სიტყვას შერჩევა სჭირდება და ამ შერჩევას სახელმძღვანელო პრინციპები უნდა დაედოს:

1. უცხო სიტყვა უეჭველად უნდა ითარგმნოს, თუ შესაფერი ქართული სიტყვა მოიპოვება;
2. თუ არ მოგვეპოვება იგი უნდა მოგონილ იქნას, ნათესაური სიტყვის წარმოებით და არა აბსტრაქტულად, არა მექანიკურად;
3. დანარჩენ სიტყვებს კარი უნდა გაეხსნას, თუ იგინი ეგუებიან ქართულის ბუნებას;
4. თუ რომელიმე საერთაშორისო სიტყვა ჩვენი ენის ბუნებას არ ეგუება, სჯობია რომელიმე სხვა ენისგან ვისესხოთ იგი, ვიდრე ქართულის ბუნება ავამღვრიოთ“ (ჯავახიშვილი 20007: 99).

მიხეილ ჯავახიშვილი წინააღმდეგი არ იყო აუცილებელი უცხო სიტყვების ქართულში შემოსვლისა, რადგან თანამედროვე ენის განვითარებისთვის ეს აუცილებელია, მაგრამ, მისი აზრით, მწერალი მაინც სულ დარაჯად უნდა ედგეს მშობლიურ ენას: „უცხო სიტყვა მუდამ არ ეგუება ქართულს და რაც მოსათმენია ტექნიკოსისთვის, ზოგჯერ ყოვლად აუტანელია სიტყვის ხელოვანისთვის, მაინც ორივეს სიფრთხილე მართებს, უფრო მეტად კი პოეტსა და ჟურნალისტს, რადგან მათი სიტყვა გაცილებით მჭრელია და ხმოვანი“, მწერალს მთლიანად ჰქონდა ჩამოყალიბებული სამწერლობო ენის ზოგადი მოთხოვნებიც და მწერლის როლიც ამ საქმეში: „გამჭვირვალეობა, მკაფიობა, უბრალოება და სინათლე - აი, სალიტერატურო ენის ძარღვიც და სიცოცხლეც: ასეთ ენას კი უმთავრესად ლიტერატორი ჰქმნის“ (ჯავახიშვილი 2007: 103) .

ამიტომაც მხატვრული სიტყვის შესანიშნავმა ოსტატმა გაბედულად მიმართა საკუთარი ყურადღება ქართულ კილოებში დაბუდებული ლექსიკური მარგალიტებისკენ. იგი აღნიშნავს, რომ პროვინცია „ნამდვილი ლექსიკოლოგიის საგანძურია, უშრეტი აუზია, რომელიც გამუდმებით ჰკვებავს და ამდიდრებს სალიტერატურო ქართულს“ (ჯავახიშვილი 2007: 102)

იგი თავადაც, ყველა საჭირო შემთხვევაში, შესანიშნავად იყენებს ცოცხალ კილოთა მონაცემებს.

შემდეგი ქვეთავი ეთმობა სინტაქსის მნიშვნელობას. მიხეილ ჯავახიშვილი ამჯერად, შეუვალი პოზიციის მქონეა, მისთვის ენის გადარაჩენის საქმეში ქართული სინტაქსის დაცვაა უმთავრესია.

შესავალშივე აცხადებს, რომ სინტაქსშია ენის ძალა და ამიტომ მისი დამახინჯება ყოვლად გაუმართლებელია, მისი აზრით, უცხო სიტყვა კიდევ შეიძლება მოითმინოს ენამ, ბოლოს და ბოლოს ან იგუებს, ან უარყოფს ადრე თუ გვიან, მაგრამ წინადადების წყობის ქართულ წესთან დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. წერილში ვკითხულობთ: „თავდაპირველად ერთი რამ უნდა აღვნიშნო: არსებობს ამერულ-იმერული კილო, დავა ფორმათა და სიტყვათა შორის, მაგრამ არ არსებობს კუთხური სინტაქსი - არც იმერული, არც ამერული, არც ფაური, გურული, მეგრული, სვანური, ან ხევსურული. ეს მაგალითი ცხადად ამტკიცებს ქართული სინტაქსის მთლიანობას“ (ჯავახიშვილი 2007: 103).

ამ ციტატიდან გამომდინარე ადვილად შეიძლება დავასკვანთ, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს მწერალი სინტაქსს, შესაბამისად, გასაგებია, რატომ არის უფრო მეტად უკომპრომისო, როდესაც საქმე მის დაცვას ეხება.

ავტორს მაგალითად მოჰყავს ნიმუშები სხვადასხვა პერიოდის ქართული ტექსტებიდან. ამბობს, რომ ქართულ წინადადებას ორი ძირითადი წყობა ახასიათებს და იგი დამოკიდებულია შემასმენლის ადგილზე, ერთს ლირიკულ წყობას უწოდებს, ხოლე მეორეს - ეპიკურ-დრამატულს. განხილვისას მოიხმობს როგორც მხატვრულ ნიმუშებს, ისე ამონარიდებს მატიანიდან. მათი განხილვის საფუძველზე ასკვნის: „ეს ამონაწერებიც საკმარისია, ეს ორი წყობა - ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ კი გადახლართული - იაკობ ხუცესიდან დღევანდელ ახალგაზრდა მწერლამდე ქართული სინტაქსის ღერძია“ (2007: 105).

მეტი სიცხადისთვის მაგალითად მოჰყავს შინაარსობრივად ერთი წინადადების ექვსი განსხვავებული ფორმა, რომელთაგან ქართული ენისთვის ბუნებრივად მხოლოდ ოთხ მათგანს მიიჩნევს:

1. მოდის კაცი მაღალი.
2. მოდის მაღალი კაცი.
3. მაღალი კაცი მოდის.
4. კაცი მოდის მაღალი.
5. მაღალი მოდის კაცი.
6. კაცი მაღალი მოდის .

ამრიგად, სინტაქსის ექვსნაირი ფორმიდან ოთხი ჩაითვლება კანონიერად.... ხოლო დანარჩენი ორი ფორმის შემოშვება ლიტერატურაში ყოვლად შეუწყნარებელია (მაღალი მოდის კაცი, კაცი მაღალი მოდის)“ (2007:107).

ქვეთავის დასკვნით ნაწილში კი ვკითხულობთ: „განზრახ ვერიდები რთულ სინტაქსურ საკითხებს - კონსტრუქციას, ლოდიკურ მახვილს, ინტონაციას, კონსტრუქციის ფსიხოლოგიურ მნიშვნელობას და სხვ., რადგან რამდენიმე მცირე მაგალითიც საკმარისად ადასტურებს მთავარ აზრს: სინტაქსი ენის გულია და თავდაპირველად მას სჭირია დაცვა და გაწმენდა“ (2007: 107).

შემდეგი ქვეთავი - არქაიზმები და ნეოლოგიზმები, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან აქ ვხვდებით ავტორის მიერ ჩატარებულ მეტად საინტერესო ექსპერიმენტს, რომელიც ნაკლებად უნდა იყოს ცნობილი, როგორც ფართო მკითხველთათვის, ისე საკითხით დაინტერესებული ვიწრო აუდიტორიისთვის.

გასულ საუკუნეში ჩატარებული ეს ექსპერიმენტი თავისუფლად შეიძლება იქცეს შემდგომი გამოკვლევების ბიძგის მიმცემად, შესაძლებელია, მისი შემოთავაზების უცვლელი სახით გამეორება და შედეგებით სათანადო დასკვნების გაკეთება.

სრული სურათის შესაქმენლად საგანგებოდ მოვიტანთ ციტირებას, რადგან ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის უკვე გამზადებული სამოქმედო გეგმა... „მოვისურვე გამეგო რა ცვლილება განიცადა ქართულმა საუკუნეთა მანძილზე. ამისთვის ასეთი ცდა მოვახდინე: სანიმუშოდ სამი ნაწყვეტი ავიღე - თითო ფორმა „წამება წმიდისა შუშანიკისა“ (იაკობ ხუცესისა, მე - VI ს.) ამირან დარეჯანიანი (მოსე ხონელის, მე -XII ს.) და „სიბრძნე -სიცრუის წიგნი“ (ს.ს. ორბელიანის მე- XVII ს. დამლევით), ეს ნაწყვეტები

მეც წავიკითხე და კიდევ ორ მკითხველს წავაკითხე: საკმაოდ განათლებულს, საშუალო მკითხველს და წერა- კითხვის მცოდნე გლეხს. თან დავნიშნე და დავთვალე გაუგებარი სიტყვები. შედეგი ასეთია: ვერ გავიგეთ:

ავტორი	მე	საშუალომ	გლეხმა	სულ
იაკობ ხუცესის	23ს.	58ს.	98ს.	179
მოსე ხონელის	19ს.	41ს.	84ს.	144
ს.ს.ორბელიანის	11ს.	21ს.	48ს.	80
სულ:	53ს.	120ს.	194ს.	367

დასკვნა: 1. რამდენადაც ახლოა ეპოქა, იმდენად უფრო გასაგებია მისი ენაც (ისედაც ცხადია);

2. კოეფიციენტი სიტყვების გაგებისა სამნაირ მკითხველს შორის ასეთია: 2:5:9;

შემდეგ ცდა მარტო ჩემს თავზე და საშუალო მკითხველზე მოვახდინე. წავიკითხეთ და დავთვალეთ ოთხი ლექსიკონი (7000 სიტყვამდე) და აღმოჩნდა:

მე გავიგე:		მკითხველმა:
1. ანთოლოგიის ლექსიკონიდან ტ. I	35 პროც.	3 პროც.
2. ვეფხისტყაოსნისა	43 პროც.	5 პროც
3. დასტურლამანის	51 პროც	7 პროც
4. ს.ს.ორბელიანისა (4 ასოზე)	66 პროც	17 პროც
საშუალოდ	49 პროც.	8 პროც.

კოეფიციენტი:

ანთოლოგიისა - 12:1

ვეფხ.ტყ-სა - 9:1

დასტურლამ. - 7:1

ორბელიანისა - 4:1

საშუალო - 6:1

თვალის ერთი გადავლებით შედეგი სამწუხაროა: მე, მწიგნობარს, უწინდელი ლექსიკონი 1/2 მაქვს დაკარგული, იმ საშუალო მკითხველსკი 9/10 -ზე მეტი. მინდოდა ის გლახიც დამესვა და დამეთვალა, მაგრამ ხელი ავიღე: თუ საშუალო მკითხველმა ლექსიკონის 90 პროცენტი დაკარგა, გლახმა შეიძლება 99 პროცენტიც ვერ გაიგოს-მეთქი.

ნამდვილად კი სურათი არც იმდენად სახიფათოა. ჯერ ერთი: ამ ლექსიკონებში (გარდა სულხან-საბა ორბელიანისა) თავმოყრილია განზრახ შერჩეული, დღევანდელ მკითხველისათვის გაუგებარი სიტყვები. ამიტომ მოხდა, რომ ჩემგან არჩეულმა ქართველმა ანთოლოგიის ლექსიკონისა მხოლოდ 3 პროცენტი გაიგო, საბა ორბელიანისა კი - 17 პროცენტი. მეორე: მთელი ეს მასალა უხვად არის დატვირთული სასულიერო, სამეცნიერო, საენციკლოპედიო და იმ დროს სატექნიკო ტერმინებით, რომელიც დღევანდელი მკითხველისათვის, რა თქმა უნდა, გაუგებარი იქნება. იგი მხოლოდ ნაწილობრივ შერჩა აქა-იქ სოფელს, სამღვდელეობას და ვიწრო სპეციალისტებს.

მესამე: ასეთი ლექსიკონის წინადადებიდან ამოყრილი სიტყვების კრებულის გაგება უწინდელ მკითხველსაც თითქმის ისევე გაუჭირდებოდა, როგორც დღევანდელს.

ცდა შევაბრუნე: ლექსიკონის ნაცვლად შესაფერი ტექსტები წავიკითხეთ, ტექსტის კითხვის დროს ამ სიტყვების უმეტესი ნაწილი სამივეს კარგად ან დაახლოებით მაინც გვესმოდა. მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დროს სხვანაირი სურათი მივიღე: მსმენელებს ბევრი რამ არ ესმოდათ. მიზეზიც უმაღვე აღმოჩნდა: პოემის ლექსიკა გენიალურად გამდიდრებულია წარმოებული სიტყვებით, ხოლო ხონელს, საბას და საერთოდ დანარჩენ პროზაიკოსებს ასეთი ლექსიკა ან არ სჭირდებათ, ან არ ეხერხებათ. ამიტომ ძნელდება ამ პოემის გაგება. მკითხველი იძულებულია თითო ტაქში რამდენიმე სიტყვას მოუძებნოს ძირი. ამას დრო და გონების ძალა სჭირდება. მკითხველთა უმეტესობას კი არც ერთი აქვს, არც მეორე. შიფრების გახსნა არც იმდენად ადვილი საქმეა. მაინც, რაც უნდა უხვად ვიანგარიშოთ, ძველი ლექსიკონი საშუალო მკითხველისთვის თითქმის განახევრდა.

მე მაინც ზედმიწევნით არ ვენდობი ჩემს ექსპერიმენტს. მგონია ძალიან საინტერესო იქნებოდა, რომ დაახლოებით ასეთივე მეთოდით მოწყობილიყო ასეთივე ან უფრო რთული გამოკველევა. მე მხოლოდ პრობლემას, იდეას ვიძლევი. ისარგებლონ

ჩვენმა მკვლევარებმა, დაიხმარონ სტუდენტები და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მსგავსი ექსპერიმენტი მოაწიონ“ (ჯავახიშვილი 2007: 108-110).

რაც შეეხება ბოლო ქვეთავს - „დღევანდელი ქართული,“ ავტორი იმ პრობლემების შესახებ საუბრობს, რომლებიც მის თანამედროვეობას ახასიათებდა. უნდა ვთქვათ, რომ შეფასებები ერთობ მძიმე წასაკითხია. როგორც მწერალს, მიხეილ ჯავახიშვილს, სხვაზე მეტად გამახვილებული ჰქონდა ნაკლოვანებების შემჩნევის და მოსალოდნელი საფრთხეების წინასწარმეტყველების უნარი, ამასთან, ახასიათებდა საკითხის ღრმა წვდომა და საინტერესო ანალიზი. მისი ტონი ერთმნიშვნელოვნად კრიტიკულია. წერილი სავსეა მის მიერ მოძიებული გავრცელებული შეცდომების მაგალითებით. ძირითადად რუსული ენიდან გადმოღებული კალკირებული ფორმებით.

განსაკუთრებით სავალალოა, რომ ეს ნაკლოვანებები მკვიდრდებოდა როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ისე - მწერლობაში. ჯავახიშვილის აზრით, „ამ ამონაწერებში ბევრია სასაცილო, სატირალი გაცილებით უფრო მეტია, ჩვენს თვალწინ, ჩვენს სულსა და შეგნებაში, ნებსით და უნებურად, დიდი ცვლილებები ხდება: ერთი კვდება, მეორე იზადება. იცვლება ქართული ენა, სიტყვა, ფონეტიკა, სიტყვის წყობა, ლექსიკა, მეტყველება, სტილი, და ქართულის ბუნებაც და არცერთ ლიტერატორს, არც ოდნავ მაინც შეგნებულ ქართველს უფლება არა აქვს გვერდი აუხვიოს ამ უდიდეს ამბავს და აქტიურად არ ჩაერიოს ახალი მეტყველების გამოკვეთაში, დავანებოთ თავი, თუ როგორ და რა გზით შემოვიდნენ ასეთი უმეცრები მწერლობაში. სახიფათო და საბედისწერო ის არის, რომ მათ სავსებით წაეშალათ ქართული ალღო. ხშირად მიბაასნია მათთან და დამწუხარებით დავრწმუნებულვარ, რომ ზოგიერთს მოსპობილი ან განახევრებული აქვს ქართული ენის გაგების უნარი“ (ჯავახიშვილი 2007: 123).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი თანამედროვე მდგომარეობის სურათს დიდი ხნის წინ ხედავდა თვალნათლივ ან დავუშვათ, რომ მდგომარეობა მას შემდეგ ოდნავადაც არ გამოსწორებულა, გამოსწორების მაგივრად, ენამ კიდევ უფრო მეტი დაკარგა და ამ საგანგაშო სიტუაციის გამოსწორება დღეს კიდევ უფრო მეტად გართულდება, ვიდრე, მაშინ, როდესაც ეს წერილი იწერებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ იმდროინდელი ქართული მწერლობის განუყოფელ ნაწილს ჯავახიშვილის მემკვიდრეობა შეადგენდა, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად უპირველესად საუკეთესო ქართულით შექმნილი ტექსტები. როგორც მოსალოდნელი იყო, ავტორი არც

ამჯერად სჯერდება მხოლოდ პრობლემის აღმოჩენას და ამ შემთხვევაშიც ასახელებს სათავეს: „ანკი რასაკვირველია! მეტად დიდი ზოგჯერ მცირედითაც გაიზომების. ყური მიუგდეთ ქართველ მოხელეს. მოანგარიშეს და ქვემო ზონის ხალხსაც: რიცხვი ქართულად ვეღარ უთქვამთ წარამარა ქართულში რუსულ ციფრებს ურთავენ და ტელეფონის ნომერსაც მუდამ რუსულად ასახელებენ, ვინც თავის ენაზე თვლასაც კი გადაეჩვია, მას ენის გარყვნის ხიფათი ოჯახის შუაგულში ჩაუსახლდა“ (ჯავახიშვილი 2007: 123).

ის, რაც გასულ საუკუნეში რუსული ენის შესახებ იწერებოდა, დღეს გასაგები პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე შეიძლება აქტუალური აღარ იყოს, ერთი შეხედვით. მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ არსებითად არაფერი შეცვლილა. მოხდა მარტივი ჩანაცვლება რუსულით გამოწვეული საფრთხეები ინგლისურმა ჩანაცვლა და შეიძლება კიდევ უფრო მეტად საშიში მოვლენის წინაშე ვიდგეთ ენობრივი თვალსაზრისით, რადგან რუსული ასე თუ ისე, იმპერიული რეჟიმით, თავსმოხვეული ენა იყო და შეიძლება ადრე თუ გვიან მის მიმართ გაჩენილიყო ხალხში ბუნებრივი წინააღმდეგობა.

რაც შეეხება ინგლისურს, აქ გაცილებით რთულად გვაქვს საქმე. პირველი, ეს ენა ჩვენში არანაირად არ ტოვებს ე.წ. აგრესორის ენის ასოციაციას, პირიქით, განწყობა დადებითია, ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ ტიპის გარემო ფაქტორებმა შეაფერხოს მისი გავლენა მშობლურ ენაზე. მეორე - გლობალიზაციის პერიოდში რთულია წინააღმდეგობა გაუწიო ენას, რომლითაც ნახევარი მსოფლიო ლაპარაკობს.

ოღონდ ისიც ფაქტია, რომ კლასიკოსები იმდენად არიან მნიშვნელოვანი მოაზროვნენი, რა კუთხითაც არ უნდა ავითარებდნენ ისინი თავიანთ შეხედულებებს, რომ საუკუნეებით წინ ხედავენ მოსალოდნელ შედეგებს და, რაც მთავარია, არასდროს არ არიან ლოკალურები.

სამწუხაროდ, თუ პრობლემა, რომლის შესახებაც გვაფრთხილებენ არ დაიძლია და არ დაიძლია იმ ფორმით, როგორითაც გვიჩვენებს, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ენა ჩანაცვლებს და შექმნის ქართულის განვითარების საშიშროებას. ამ წერილის კიდევ ერთ პლუსი ის გახლავთ, რომ ავტორი ბოლომდე მისდევს პრობლემებს. გვთავაზობს მისი წარმოქმნის და სავარაუდო გადაჭრის ხერხებს, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ. ამ წესს იგი არც ამჯერად ღალატობს. აკადემიურობის თვალსაზრისით, გაცეხას იწვევს

ჯავახიშვილის, როგორც არაპროფესიონალის მანერა ზუსტად შეფასოს მოვლენები. ახალი ქართულის შექმნა, მისი აზრით, იმდენად საპასუხისმგებლო საქმეა, რომ მასში ერთნაირი მონაწილეობა უნდა მიიღოს ინტელიგენციის ნებისმიერმა ფენამ, აქ მხოლოდ ფილოლოგები ვერაფერს გახდებიან. ამიტომაც ცალ-ცალკე გამოჰყოფს ყველას მნიშვნელობას. აკონკრეტებს იმ განსხვავებულ მიდგომებს, რომლებიც უნდა გამოიჩინონ მეცნიერებმა ახალი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში, არ ივიწყებს მათ მიერ წარსულში გაწეულ ღვაწლს. განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას კი, ამ მხრივ, ისევ და ისევ ლიტერატორებს, მწერლებს აკისრებს, რადგან მიაჩნია, რომ ის, რაც „ლიტერატორისთვის ესთეტიური ფენომომენია, ფილოლოგისთვის მეცნიერული ძიების მასალაა“ .

ამიტომაც ფიქრობს, რომ აუცილებელია ერთგვარი დიფერენცირება, მაგრამ საბოლოო სიტყვა, მაინც ქართულ მწერლობას ეკუთვნის და ამ მოსაზრებასაც, რა თქმა უნდა, სრულიად არგუმენტირებულად ასაბუთებს მსჯელობისას.

ამასთან, მოვლენას არა მხოლოდ ქართულ ჭრილში განიხილავს და არც მხოლოდ თანამედროვეობის კუთხით უყურებს. წერილში საუბარია წარსულ გამოცდილებაზე, როგორ უმკლავდებოდა მსგავს მოვლენებს ქართული ენა და ქართველი მოღვაწეები მსგავს გამოწვევებს და ამავე დროს განიხილავს ე.წ. „რუსულ - გერმანულ“ და „ფრანგულ - ინგლისურ“ მიდგომებს. აქვე ასახელებს მისთვის მისაღებ მეთოდსაც: „მე აზრადაც არა მაქვს მეცნიერის როლი შევამცირო (წედანაც აღვნიშნე მისი დიდი საქმე), მაგრამ მაინც ვიტყვი: ჩვენი მეცნიერები უფრო რუსულ - გერმანულ გზას მისდევენ, ვიდრე ფრანგულ - ინგლისურს: უდიდეს ყურადღებას აქცევენ შინაარსს და ძალიან მცირედს- ფორმას, ენას. ეს განსხვავება რუსულ - გერმანულსა და ფრანგულ - ინგლისურს შორის მუდამ არსებობდა და დღესაც არსებობს. ქართველი მეცნიერი მოვალეა ფრანგულ - ინგლისურის გზით წავიდეს, ე.ი. ფორმაზედაც იზრუნოს“ (ჯავახიშვილი 2007: 126).

ამასთან, აქვე აზუსტებს შემდგომ საკითხსაც: „ცხადია, მარტო მშრალი ცოდნა (მეცნიერი) ან უცოდნო ნიჭი (მწერალი) ენას ვერ შექმნის. ენას ის ჰქმნის, ვისაც თანაბრად მოეპოვება ნიჭიც, ცოდნაც და დიდი შრომის უნარიც. ასეთი ტრიადა აღმოაჩნდათ ილიას და აკაკის, და ახალი ქართულიც მათ შექმნეს და ერთი ფაქტიც უნდა აღვნიშნო: ყველგან ენის ავტორად უმეტესად ხალხურზე დაბჯენილი

ლიტერატორი გამოდის ხოლმე, მეცნიერი კი უფრო იკვლევს და აკანონებს მწერალთა მონაპოვარს“ (ჯავახიშვილი 2007: 126).

აღსანიშნავია მისი ალლო, ზუსტად განესაზღვრა მომავალი, აღმოეჩინა, რომ პრესა გახდებოდა მძლავრი იარაღი, მის ეპოქაში ეს ჯერ კიდევ არ იყო, ტელევიზია, მით უმეტეს, არც სოციალური ქსელები, მაგრამ უკვე არსებობდა ე.წ. „პირველწყარო“ გაზეთი, პრესა, რომელიც აუცილებლად იქცეოდა განმსაზღვრელად როგორც და რა გზით განვითარდებოდა ენა, რა თქმა უნდა, რომ წინასწარ გრძნობდა იმ საფრთხეებს, რომელთა წინაშეც დღეს ნამდვილად დგას ჩვენი საზოგადოება: „მაგრამ ზოგნი ვერ ზომავენ გაზეთის ძალას. ლიტერატორი ჰქმნის-მეთქი ქართულს, მკითხველი კი უფრო ჟურნალისტის ენით საუბრობს. გაზეთის ენის გავლენა ასჯერ სჭარბობს წიგნისას. გაზეთი ყოველდღიური საუბრით ადვილად შლის მკითხველის გონებაში სალიტერატურო ენას და საკუთარს აბატონებს.... ამიტომ აქვს საგაზეთო ენას გადაძვინებული ძალა“ (ჯავახიშვილი 2007: 126). ალბათ, ზედმეტია კომენტარი იმის შესახებ, თუ რამდენად ზუსტია მისი ეს შეფასება.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დასახელებული წერილი უმნიშვნელოვანესი მასალაა ჯავახიშვილით დაინტერესებულ მკვლევართათვის, ვფიქრობთ, ჩვენი მხრივ შევძელით, ერთ-ერთ პირველებს მიგვექცია მისი ენათმეცნიერული შეხედულებებისთვის ყურადღება. აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ ეს წერილი არაერთხელ მიიპყრობს დაინტერესებული საზოგადოების სათანადო ყურადღებას.

მიხეილ ჯავახიშვილი ენაში არსებულ პრობლემებს არაერთგზის შეხებია სხვა დროსაც და სხვა წერილებშიც. მნიშვნელოვანია ის, რომ მისთვის განსაკუთრებით საშიში მოვლენაა ე.წ. პროვინციალიზმი ენაში. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ იგი არამც და არამც არ ეწინააღმდეგება კუთხურობას, პირიქით, სათანადოდ აფასებს დიალექტის როლს ენობრივი პროგრესისთვის, რა თქმა უნდა, ზღვარდადებულს და სისტემატიზირებულს, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად მისთვის მიუღებელია პროვინციალიზმი, როგორც მოვლენა, რომელსაც, მისი აზრით, ნებით თუ უნებლიეთ ამკვიდრებდნენ მისი თანამედროვე მწერლები.

1924 წელს შექმნის თავის ცნობილ წერილს, „ქართული ენა“, რომელშიც ვკითხულობთ: „პროვინციულ კილოს ხმარება თემის საკითხია, და თუ ეს უკანასკნელი საერთო არის, ენაც ასეთი უნდა ჰქონდეს. და კურიოზია, მაშ რა არის, როდესაც

ინტელიგენტი მწერლები რადიუმზე და ეინშტეინზე სწერენ იმავე „სტილით“ , რა სტილითაც იწერებოდნენ „პროვინციული სცენები“. განა ასეთივე კურიოზი არ იქნებოდა, რომ ბლოელ აფშინას და შიოლა ლუდუშაურის დიალექტით გვეწერნა „ესთეტიკური ტრაქტატები“ ან პოემები „ასტრალურ“ ან „ურბანულ“ ქვეყანათა შესახებ? დიახ, იქნებოდა კურიოზი, ამას ადვილადაც შევამჩნევდით, მაგრამ რომ უკვე განმტკიცებული კურიოზი, მეორე მხრივ, ამას ვერ ვამჩვენვით და განვაგრძობთ ჩვენი ლიტერატურის მონაგვიანებას. ეს მტკივნეული ადგილი ყველამ უნდა დაინახოს, რომ შეჰზარდეს საკუთარი ნაწერი და ენის გაწმენდისათვის მომართოს თავისი ძალა და უნარი“ (ჯავახიშვილი 2001: 625).

წარმოდგენელია ვიფიქროთ, რომ ენის პრობლემებზე გამუდმებული წერა და მსჯელობა მიხეილ ჯავახიშვილისთვის იდეაფიქსად იყო ქცეული. ბოლოს და ბოლოს, მას თავად, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი ქართულის მქონე ავტორს, არც არაფერი რჯიდა გამუდმებულად ენის დაცვაზე, დაწმენდაზე, მის მოვლა-პატრონობაზე ეკიჟინა ჯერ ინტელიგენციისთვის და მერე უბრალო მკითხველისთვის, არადა, ფაქტია, ზემოთ ხსენებულ წერილის ამავე წელს მოჰყვება მეორე - „ისევ ქართული ენის შესახებ“, რომელშიც, სხვათაშორის, თავადვე აღნიშნავს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა თითქოს მოსაბეზრებელიც კი გახდა: „ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ეს საგანი გაცვეთილი და თავმოსაბეზრებელია, მაგრამ ჩვენი დანარჩენი ჭირ-ვარამნი და სატკივარნიც დაძველდნენ. ყველას ბავშვობიდან გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და და ატალახდა. ისიც გვახსოვს, რომ ერთ დროს გადაგვარებულს თითებზე ჩამოვთვლიდით ხოლმე. ახლა კი ანგარიში აგვერია და სათვალავი დაგვეკარგა. გვახსოვს „დროების“, „ივერიის“, „მოამბეს“ და „ცნობის ფურცლის“ ქართული, ეხლა კი - „ქართული სიტყვის“ ერთი წერილის ავტორისა არ იყოს - ნაწერზე ადვილად გამოიცნობთ დამწერის დაბადების კუთხეს. ამ მხრივ ჩვენში უსაზღვრო თავისუფლება დამყარდა. აღარაფერს ერიდებიან და ჟურნალ-გაზეთებში თამამად სწერენ: „ლაფატკა“, „ფლაგი“, „სიროტი“, „ტუმანი“ და სხვ. არ ვაჭარბებ, ეს სიტყვები მე თვითონ წამიკითხია და იმავე დროს გამხსენებია, რომ თითო ასეთ სიტყვას ჩვენ შეგვიძლიან ორი და სამი

ქართული დავახვედროთ. უკან აღარავინ იხედება. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია“ (ჯავახიშვილი 2007: 112).

1924 წლის შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა. ის, რაც მიხეილ ჯავახიშვილის ყოველდღიური რეალობა იყო, ჩვენი თანამედროვეობისთვის ისტორიაა. მხოლოდ ვიწრო, დაინტერესებულ საზოგადოებას თუ აქვს დღეს წარმოდგენა, როგორი ენით წერდა „ივერია“ ან „მოამბე“, ანდა რომელ მწერლებსა და ჟურნალისტებს უჩიოდა მიხეილ ჯავახიშვილი წერილის შექმნის დროს. ფაქტია, დღევანდელი გადმოსახედიდან ჩვენც თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ მწერლისავე განაცხადი, რომ „დაძველდა“ და „მოგვბუზრდა“ ეს თემა, მით უმეტეს, რომ ენას მაინც ვერაფერს ვშველით და ე.წ. ეროზიას ბოლო მაინც არ უჩანს. მაშ, რაშია საქმე? რატომ იჩენდნენ მსგავს სიჯიუტეს ენის დაცვის საქმეში მიხეილ ჯავახიშვილი და სხვა მწერლები? ან რატომ გადავწყვიტეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიის უახლოეს წარსულში, 1978 წელს, ცნობილი საპროტესტო გამოსვლები მოგვეწყო სახელმწიფო ენისთვის სტატუსის შენარჩუნების მიზნით? იმიტომ ხომ არა, რომ სწორედ მაშინ რეალურად ვიგრძენით, ის, რასაც დიდი ხნის წინათ გვაფრთხილებდა მწერალი: რას გვიშველის მარტო საქმის წარმოება ქართულად?! კათოლიკური ეკლესია დღესაც ლათინურ ენაზე აწარმოებს წირვას და მიწერ -მოწერას, მაგრამ ეს ენა მაინც მკვდარია. გონება და რეალობა მაინც თავისას გაიძახიან და მრისხანე მუქარას გვითვლიან“ (ჯავახიშვილი 2005: 74).

საბჭოთა რეჟიმის მიერ არაფორმალურად მიღწეული შედეგების დეკლარირებას წინ აღუდგა ქართული საზოგადოება და მაშინ თავი გადაირჩინა, მაგრამ დღეს ისე, როგორც არასდროს, ისევ ვდგავართ იმავე პრობლემების წინაშე.

შეკითხვაზე პასუხი კი, რაც არ უნდა პათეტიურად ჟღერდეს, ასეთია - ენა, როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე ერის იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ფორმაა.

არგუმენტი მრავალგვარია, გნებავთ ბიბლიური ტექსტები და გნებავთ ფსიქოანალიზის მიგნებები. ათასგზის გამეორებულა, რომ შემთხვევითი არ იყო, არც ბაბილონის გოდოლი და არც სულიწმინდის გარდამოსვლა სხვადასხვა მხარეში საქადაგებლად გამზადებულ იესოს მოსწავლეებზე. ენა - კომუნიკაციის იარაღია და კომუნიკაცია არამც და არამც არ არის მხოლოდ გარეგნული ფაქტორი. ადამიანი რთული ფსიქოლოგიური არსებაა და იმდენად, რომ ხშირ შემთხვევაში თავადაც არ

უწყის კარგად, რას შეიძლება უმზადებდეს ქვეცნობიერი, რომლის გარეშე ცნობიერის მიერ ნაკარნახევი ქმედებები ბოლომდე გაუაზრებელი რჩება.

საინტერესოა, რომ დღეისათვისაც აქტუალურია მიხეილ ჯავახიშვილის 1927 წელს გამოქვეყნებულ წერილში დასმული საკითხი. ენას განსაკუთრებული მოვლა - პატრონობა ესაჭიროება, ვინაიდან ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ერის იდენტობის წარმოჩენისათვის, ერის მიერ გარესამყაროს მისეული აღქმისათვის. თითქმის ერთი საუკუნის გასვლის შემდეგაც აქტუალურია პუბლიცისტურ წერილში წამოჭრილი პრობლემები, ვინაიდან „ენა, როგორც სამყაროს ცნობიერების ფაქტად გარდამქმნელი გონითი ძალა, დედაენა, როგორც ერის ისტორიის აგებაში თანამონაწილე გონითი ძალა და ერთიანი (დედა-)ენობრივი სოციუმის (გურამ რამიშვილი) შემქმნელი გონითი ძალა ,დედაენა, როგორც ერის კულტურის, ეროვნული კულტურული შემოქმედების დაფუძნების აუცილებელი წინაპირობა“ (ბრეგაძე 2013: 352).

სხვათა შორის არც ეს ურთულესი მოვლენა დარჩენილა მიხეილ ჯავახიშვილის ყურადღების მიღმა, მან, როგორც ადამიანის ფსიქოლოგიის ერთ-ერთმა საუკეთესო მცოდნემ, კარგად იცოდა, რომ ენას იმაზე მეტი ფუნქია გააჩნია ადამიანის სრულყოფილი არსებობისთვის, ვიდრე მხოლოდ ურთიერთობის საშუალებას.

ამ ყოველივეს ილუსტრირებას ვხვდებით „მიწის ყვილში“ - უსამშობლო ანდრო კაიშაური სიცოცხლის ბოლოს მაინც ახერხებს შინაგან მესთან „დაბრუნებას“ და, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად მისი სურვილი აუხდენელი რჩება, ის ბრუნდება „ენაში“, პროტესტი, რომელსაც უპირველესად საკუთარ განვლილ გზას უცხადებს, ფრანგულ ენის „დავიწყებაში“ ამოხეთქავს. სიცოცხლის ბოლო დღეებში იმ ენაზე საუბრობს, რომელ ენაშიც „დაიბადა“. თორემ ცხოვრებამ, სავარაუდოდ, პირველივე ათწლეულებში დააშორა მის სივრცეს და დაავიწყა იგი, შესაბამისად, მოუსპო კიდევ შინაგანი არსებობის აზრი. თითქოს, ანდრო კაიშაური გასცემს ერთგვარ პასუხს ერის ფრომის მიერ დასმულ შეკითხვას: „როგორ შევძლებ გავიგო, რომ გზა, რომელზედაც მოძრაობს მეორე ადამიანი, მის მიერ არჩეულია სერიოზულად და დიდი ხნით, და რომ იგი არ გადაუხვევს ამ გზიდან რაიმე გარემოებათა ზეგავლენით? განა არის სიცოცხლის პროცესში ისეთი წამი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მწვერვალად, კულმინაციად პიროვნების ფორმირებაში, რომლის შესახებაც სრული უფლებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ იმ წამში ადამიანი არის სწორედ ის, რაც არის, და უკვე აღარასდროს

გახდება სხვაგვარი? სტატისტიკის თვალსაზრისი მრავალი ადამიანის შესახებ შეიძლება ამგვარი მტიცება, მაგრამ შეიძლებაა კი ვამტკიცოთ ეს თითოეული ადამიანის შესახებ მის სიკვდილამდე და თვითონ მას შეუძლია კი თქვას საკუთარი თავის შესახებ, რომ არ გახდება სხვანაირი თუკი ამ ქვეყანაზე კიდევ დიდხანს იცოცხლებს?“ (ფრომი 2015: 7-8).

ნიშანდობლივია, რომ ჯავახიშვილის ეს პერსონაჟი თითქოს მხოლოდ იმიტომ შეინარჩუნებს საფრანგეთის შორეულ მიწაზე ფიზიკურ არსებობას, რომ საქართველოდან ჩასულ სტუდენტს შეხვდეს შემთხვევით და ასევე შემთხვევით მოჰკრას თვალი „ვეფხისტყაოსანს“.... რატომ მაინცდამაინც ეს პოემა? ამის განხილვას აღარ შევუდგებით, ისედაც ცხადია, რატომ აკეთებს მწერალი ამ არჩევანს.

მიხეილ ჯავახიშვილისთვის ეს მხოლოს გარეგნული საშუალებაა, სხვა უფრო მნიშვნელოვან ასპექტზე გაამახვილოს ყურადღება. ამ ყველაფერს მხატვრულობის საფუძველს თუ შემოვაცლით, მარტივ რეალობას მივიღებთ ადამიანის შესწავლის ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

ქართული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტი, დიმიტრი უზნაძე წერდა: „ფსიქიკური მოვლენები, განცდები შემეცნება, გრძნობა, ნებელობა, სურვილი, ინტერესი, მისწრაფება, და, საერთოდ, ყოველი სულიერი მოძრაობა, ყოველი აქტი, რაც კი ოდესმე ქცევაში გამოვლენილა დაკვირვების ობიექტი გამხდარა - ყველაფერი ეს სიტყვიერ სიმბოლოშიც ასახულა. ადამიანის პიროვნების ყოველი თავისებურება, ყოველი თვისება ან მთლიანი პიროვნული სტურქტურა, თუკი ის ობიექტურად გამოვლინდა და ამით მეორე ადამიანის დაკვირვების საგანი გახდა, უთუოდ, კრიტიკული აღქმის, განხილვისა და შეფასების ობიექტიც გახდება და, მაშასადამე, მეტყველების სიმბოლოშიც აისახება, როგორც სახელდებული მოვლენა. ... ფსიქიკა, რომელიც სხეულთან ერთად ერთ მთლიანს წარმოადგენს, შეუძლებელია ამ სხეულის ობიექტურად გამოვლენილ პროცესებსა ან აქტებში არ ჩანდეს ...“ (უზნაძე 1964: 19).

ვფიქრობთ, რომ დიმიტრი უზნაძის მეცნიერული მიგნების მხატვრული დადასტურებაა მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შექმნილი ანდრო კაიშაური. არ ღირს დავა იმის შესახებ, რომ ანდრო კაიშაური ვერ გაჩნდებოდა იმ ცოდნის გარეშე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ამას ემატება მიხეილ ჯავახიშვილის პირადი გამოცდილება: „თვით ის ფაქტი, რომ მიხეილ ჯავახიშვილი უკვე თითქმის გაუცხოებულ ეროვნულ

გარემოცვაში იშვა, თავისთავად, საქართველოს ტრაგედიის სამწუხარო ნიშანია (იმ დროისათვის ქვემო ქართლის ისტორიული მიწა-წყალი უკვე ჰკარგავდა თავის პატრონს: მკვიდრდებოდა სხვა ეროვნული ძალა, რომელსაც თავისი წესი, არსებობის თავისი ნორმები შემოჰქონდა; იგი უცხო იყო თავისი სულიერი ყოფით, რწმენით, ადათით და ტრადიციებით. ამასთან – აღჭურვილი გამძლეობის საოცარი უნარით და სხვათა დოვლათის მიტაცების ნება-სურვილით!) მისი უშუალო მშობელი უძველესი ქართული მიწა იმას მოსწრებოდა, რომ იქ დარჩენილი თითქმის ერთადერთი ეროვნული სოფელი წერაქვი, განგების ნებით, ქრისტიანულ ოაზისად ქცეულიყო. (მართალია, მალე მას გვერდით ამოუდგება მეორე ქართული ბორცვი – თვით მიხეილის მამის მიერ დაარსებული ახალი.... მაგრამ რა ამინდი უნდა შეჰქმნას ორმა პატარა კუნძულმა მუსულმანურ ოკეანეში?!). თუმც ეს კია, რამდენადაც ვიწრო, შემოზღუდული იყო ამ ოაზისთა სივრცე, იმდენად დამუხტული იყო მათი ეროვნული შინაგანი ძალა, პოტენცია “ (მერკვილაძე გ., მნათობი, 1990,#3).

ადვილად მივალთ დასკვნამდე, რომ ენა მწერლისთვის იყო ერთ-ერთი უპირველესი ფაქტორი, რომლის საშუალებითაც, ვლინდება ერის იდენტობა ან კიდევ, უფრო მეტიც, ენა თავად არის ეს იდენტობა, რომელსაც ეფუძნება ადამიანი, როგორც ინდივიდუალური, რთული მოვლენა, მაგრამ მაინც საერთო მოზაიკის - ერის შემადგენელი ნაწილი.

სამშობლო ასოცირდება მშობლიურ ენასთან, მის ფლობასთან. ალვა ჯაფარიძე, მოთხრობაში „ხუთი ამბავი“,სიამაყით აღნიშნავს, რომ „ჩემთვის მკვდარსა და ეხლა მკვდრეთით აღდგენილ ქართულზე..“ შეუძლია საუბარი.

საინტერესოდ წარმოაჩენს ეს პერსონაჟი ოჯახის წევრების დამოკიდებულებას ქართული ენისადმი. „...ჩემს დედ-მამასა და ცოლსაც ქართულსა და ქართველს ვერ გააგონებდით (დედა რუსია და რუსის ქალივე შერთო ვაჟს, ქართველი მამა რუსის გენერლად იქცა)“.მწერალმა აქ წარმოაჩინა რუსეთის, იმპერიის დამოკიდებულება ქვეყნის მიმართ. ეროვნულის დაბრუნება მათში სწორედ ქართულის სწავლებით იწყება. „ჩემი ქართული ენის ნაფლეთები შევასწავლე ჩემს ქალიშვილს... ქართული სახელი მზეხა დავარქვი ... ჩემი სიდედრი დიდხანს ურჩობდა, მაგრამ ბოლოს ისიც მოტყდა: საქართველოს ისტორია გადაიკითხა და ნინო-თამარ-ქეთევანი წმინდანებად

ადიარა“(ჯავახიშვილი1973: 16). ქართულმა ენამ „დაკარგული ოჯახი“ ისტორიასა და რწმენას დაუბრუნა.

ეს რაც შეეხება მხატვრულ ტექსტს, მაგრამ აქვე მოვიხმობთ ამონარიდს ჯავახიშვილის 1906 წელს შექმნილი წერილიდან „ავტონომია, ფედერაცია და ეროვნული საკითხი“, ციტატა შედარებით ვრცელია, მაგრამ მისი ზომაზე მეტად შემცირება სათანადო წარმოდგენას ვერ შეუქმნის მკითხველს, ამიტომ მოვიხმობთ შედარებით სრულ ამონარიდს: „საჭიროა მოკლედ მაინც გავითვალისწინოთ ბუნდოვანი სიტყვა „ეროვნება“. ხალხის ერთი ჯგუფი ემორჩილება სხვადასხვა ისტორიულ და ბუნებრივ პირობებს და ყოფა-ცხოვრებისა და ჩვეულებათა განსაკუთრებულ ფორმებს იჩენს. ჯამი ეროვნების სულიერ და მატერიალურ შემოქმედებისა შეადგენს ეროვნულ კულტურას, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის და ჰქმნის განსაზღვრულ ერთობის შეგნებას. შინაარსი ამ კულტურისა შეიძლება სულ სხვადასხვანაირი იყოს. ერთი ერის კულტურა ცოტად თუ ბევრად შესამჩნევად განსხვავდება მეორე ერის კულტურისგან“ .

როგორც ვხედავთ, მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური სტილი ისეთი „ამაღელვებელი“ საკითხზე მსჯელობისას, როგორცაა ეროვნულობა, სრულად დაცლილია ყოველგვარი პათეტიკისგან, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენ ვხედავთ კრიტიკული აზროვნების კლასიკურ ნიმუშს. ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია ეპოქის ფონის გათვალისწინებით. მწერალი აგრძელებს: „ზოგიერთი ერის შემოქმედება გამოიხატება უფრო სარწმუნოებაში, განსაკუთრებულ ეროვნულ ეკლესიის შემქნაში. სარწმუნოებრივ ერთობისა და ეკლესიის ორგანიზაციის შეგნებას სხვადასხვა პირობების ზეგავლენით შეუძლიან ასეთი საზოგადოებრივი ჯგუფი მჭიდროდ შეკრას ერთ მთლიან ერთეულად , – (აქ ავტორს მაგალითად მოჰყვს სომხების მაგალითი - ხაზი ჩვენია,ნ. ბ.) მაგრამ ეროვნული ეკლესია მაინც იშვიათი შემთხვევაა. უფრო ხშირად საზოგადოების შემაერთებელ ელემენტს შეადგენს ენა. თუ ირლანდიელები და სამხრეთ ამერიკელები არ ვიანგარიშეთ, საერთო კანონად შეიძლება ვაღიაროთ, რომ ერთი ეროვნების ყველა წევრი ლაპარაკობს ერთ და იმავე ენაზე, რომელიც სხვა ეროვნების ენისგან ცოტად თუ ბევრად განსხვავდება.... სადაც შემაერთებელ ელემენტად ენა არ არის, იქ იმის მაგიერობას ეწევა საერთო ისტორიული ტრადიცია, ან ეროვნული თავისებურების სხვა ფორმები, მაგრამ ასეთ ელემენტებით შეერთებული ერთეული

ისეთი ძლიერი არ არის, როგორც ის ერი, რომელსაც საერთო ენა აქვს. ასეთ საზოგადოებრივ ჯგუფებს უმეტეს ნაწილად სხვა უფრო ძლიერ ერის მონობა მოეღოს“ (ჯავახიშვილი 1980: 340-341).

ჩვენ ზემოთ მკითხველის ყურადღება მივაქციეთ პერიოდს, რომელშიც იქმნებოდა მისი პუბლიცისტიკა, როგორც ვხედავთ, ავტორი ევროპულ ღირებულებებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში ამკვიდრებს. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ნაკლებ მნიშვნელოვანია, იყო თუ არა ეს მხოლოდ „ვიწრო“ პარტიული ინტერესების გატარება იმ პერიოდში, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში.

„მიხეილ ჯავახიშვილსაც იტაცებდა ორნამენტული ფრაზა, ისევე, როგორც მოდერნისტული სექსის მისტიკა.

ასე რომ, პოეზიისა და პროზის შერწყმით ოციან წლებში შეიქმნა ახალი ქართული რომანი და ნოველა”(სიგუა 2014: 156).

ამ პერიოდში ჯერ კიდევ არსებობდა ქვეყნის სწორად განვითარების იმედი. მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური ძვრები საკუთარ წესებს კარნახობდა ჯერ კიდევ შემორჩენილ იმპერიებს, მათ შორის რუსეთსაც. ეს იყო შიგნიდან დაწყებული რღვევა, რომელსაც ცალკეული ქვეყნები თავიანთ სასარგებლოდ მხოლოდ განსაკუთრებული სიფრთხილითა და დიპლომატიით თუ გამოიყენებდნენ. სწორედ ეს მცდელობა იგრძნობა მიხეილ ჯავახიშვილის ნააზრევში. მხოლოდ ფაქტები - მსოფლიო მაგალითები და ამ მაგალითების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები. თითქოს საგანგებოდ ცდილობს მოთოკოს „შინაგანი რადიკალიზმი“, რომლითაც სავსეა მისი შემოქმედება ან რომელიც ახასიათებს „საბჭოთა რეჟიმთან“ ურთიერთობისას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში, როგორც ხატოვნად ამბობდნენ, კომუნიზმის ჯერ კიდევ აჩრდილი დაძრწოდა და ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ იმედს, რომ ეს იდეოლოგია აფსურდულობის გამო დამარცხდებოდა. სამწუხაროდ, რა და როგორ განვითარდა ვიცით, მაგრამ ამას წლები დასჭირდა. ეს წლები კი მიხეილ ჯავახიშვილმა საზოგადოებრივ ასპარეზზე საქმიანობას მოახმარა.

ჯავახიშვილის მხატვრულ სტილს მიჩვეული მკითხველისთვის რთულად დასაჯერებელია, რამდენად პრაგმატულია იგი საზოგადოების განვითარებისთვის აუცილებელი საკითხების შეფასებისას: “მთელ ქვეყანაზე არც ერთი ბიუროკრატი

სძულთ ისე ძლიერ, როგორც სძულთ რუსი მოხელეები პოლონეთსა, ფინლანდიასა და კავკასიაში,“ - ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტს, რომ ავტორი თითქოსდა, შეგნებულად ერიდება ამ ჩამოანთვალში საქართველოს ხსენებას. მკითხველმა საკუთარი თავი „კავკასიაში“ უნდა მოიაზროს - „გარუსების პოლიტიკის გამო რუსეთის მთავრობამ პოლონეთსა და კავკასიაში დღემდისაც არ შემოიღო ერობა და დამოუკიდებელი სასამართლო. ყველა დემოკრატი, ვისაც კი სწამს, რომ ხალხი კი არ უნდა ემსახურებოდეს დაწესებულებას, არამედ დაწესებულება - ხალხს, ადვილად გაიგებს, რომ შეუძლებელია ერობისა და თავისუფალ სასამართლოს ხმარება იქ, სადაც აკრძალულია სამშობლო ენის ხმარება. ასეთ შემთხვევაში პრინციპები გვერდზე უნდა გადაიდოს და პრაქტიკულ მოსაზრების ძალით მოხდეს ადმინისტრაციულ დაწესებულებათა ნაციონალიზაცია. თუ ასეთ დაწესებულებებში ისევ რუსული ენა დარჩა, ეს რეფორმა საუკეთესო იარაღი იქნება გარუსების მოტრფიალეთათვის...“ (ჯავახიშვილი 1980: 43).

დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება გაგვიძნელდეს ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოთ სხვადასხვა პარტიული ინტერესების გამტარებლებთან პოლემიკაში შესულ მიხეილ ჯავახიშვილს, მაგრამ მისი მთავარი აზრი ერთია, იგი საქართველოს ავტონომიის მომხრეა. იმდროინდელი მოცემულობის გათვალისწინებით ეს იყო ეროვნულად მოაზროვნეების პროგრამა მაქსიმუმი. როგორც დღეს ირკვევა, სწორედ ამ იდეას შეეწირა ილია ჭავჭავაძე, ასე რომ, გასაკვირი არაა, რომ მისი სულიერი მემკვიდრე სვამდეს მსგავს შეკითხვას ცხარე კამათში: „მე მინდა ჩვენებურ ცენტრალისტებს ერთი კითხვა მივცე, როგორ ჰგონიათ მათ, საქართველომ რომ ავტონომია მოიპოვოს, ისეთსავე დემოკრატიულ წყობილებას დაარსებს, როგორიც ფინლანდიამ დაარსა, თუ ევროპის შაბლონურ ორ პალატიან სეიმსა?... მე მგონია, რომ საქართველო ფინლანდიას არ ჩამორჩება და იქნება რეფერენდუმიც შემოიღოს. შეიძლება ბევრი ჩემს აზრს არ დაეთანხმონ, მაგრამ იმაზე ვერ იტყვიან უარს, რომ ავტონომიური საქართველო ცენტრალისტურ რუსეთზე გაცილებით უფრო დემოკრატიულად მოეწყობა...“ (ჯავახიშვილი 1980: 392).

ამ შემთხვევაშიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორ და რაში ხედავდა საქართველოს განვითარების გეგმას მეოცე საუკუნის დასაწყისში მწერალი და იყო თუ არა მისთვის ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პრობლემა მწვავე ქვეყნის

თვითგამორკვევის ამ ეტაპზე და მეორე, რა ფუნქცია მიანიჭა ამ საქმეში ენას და რატომ? პასუხი ამჯერადაც ნათელია.

„ქართული სახელმწიფოს ისტორიის მანძილზე დიად იდეას წარმოადგენდა ეროვნული თავისუფლების იდეა. იგი ქრისტიანობასთან ერთად გახდა ეროვნული იდენტობის მოპოვებისა და შენარჩუნების აუცილებელი პირობა“ (ნემსაძე 2009: 85). ტრადიციული სახელმწიფოები ძირითადად მრავალეთნიკურია.ეთნიებს შორის განსხვავება ქრება, თუ მათ შორის არ არის რელიგიური დაპირისპირება. ხშირად „იდენტობებიც ისეა აგებული“, რომ განმსაზღვრელი რელიგიაა, ეს ძირითადად ეხება აღმოსავლეთის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. აღმოსავლური ქრისტიანული ტრადიციით კი ღვთის წინაშე ყველა ენა თანასწორია (ბოლქვაძე 2010: 13).

საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილის ქართული ეკლესიის მიმართ, რა როლს ანიჭებდა იგი მის ფუნქციონირებას ეროვნული იდენტიფიკაციის თვალსაზრისით. ერთია, როგორი იყო მისი, პიროვნული რწმენა და უფალთან დამოკიდებულება - ეს მკაცრად ინდივიდუალური საკითხია, მაგრამ როგორი იყო მისი, როგორც საზოგადო მოღვაწის, აზრი ამ საკითხთან მიმართებით?

ამ მხრივ საინტერესო მასალებს ვაწყდებით იმდროინდელ პუბლიცისტიკაში. 1906 წლის 25 ივნისით დათარიღებული ერთ-ერთი წერილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ეხება.

ჯავახიშვილის პოზიცია პირველივე აზრაცებიდან ნათელია. იგი მხარს უჭერს ავტოკეფალიის აღდგენას ითვალისწინებს რა, ქართული ეკლესიის ისტორიულ როლს ქვეყნის განვითარების საქმეში. ამასთან, განსაკუთრებით აფასებს იმდროინდელი საეკლესიო მოღვაწეების როლს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ზუსტად აღნიშნავს რუსული პოლიტიკის მავნებლურ გეგმებს ამ მიმართულებით. წერილში ვკითხულობთ: „რუსეთის მთავრობა და სინოდი ეხვევიან და ეკლესიის დახმარებით სხვა ერების გარუსებას ცდილობენ. როცა ვხედავთ, რომ ეკლესია მათ ხელში მძლავრი და ბოროტი იარაღია თავიანთ საზიზღარ პოლიტიკის განსახორციელებლად, ჩვენი პროტესტი უნდა განვაცხადოთ ანაფორაში გამოწყობილ რუსიფიკატორების წინააღმდეგ და ვეცადოთ, ეს იარაღი მათ მოვუსპოთ“ (ჯავახიშვილი 1986: 325).

რუსიფიკატორული პოლიტიკის ობიექტური შეფასება მიხეილ ჯავახიშვილისგან, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ ყოფილა. ამ წერილში ყურადსაღებია მწერლის დამოკიდებულება იმდროინდელი მოღვაწეების მიმართ, მას მხედველობის მიღმა არ რჩება მაშინდელი სამღვდელოების მაღალმოქალაქებრივი დონე და შეგნება, სწორედ ამიტომ მოითხოვს იგი ამ მოვლენის სათანადოდ დაფასებას და, რაც მთავარია, სწორი პოზიციის დაკავებას ქართული ინტელიგენციისგან საშვილიშვილო საქმეში.

ავტორი შემდეგნაირად აღწერს ვითარებას: „განმანთავისუფლებელ მოძრაობაში ქართველმა სამღვდელოებამ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა“ - ამ შეფასებას კი მოსდევს მათ მიერ განხორციელებული ქმედებათა მცირე ნუსხა, როგორც ჩანს, იმ პერიოდისთვის განსაკუთრებით აქტუალური ფაქტების აღრიცხვა: „გვახსოვს შარშანდელი ისტორია თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ქართველ სამღვდელოებას საქმიანად კი მიაყენეს შეურაცხყოფა, გვახსოვს ეპისკოპოსების ლეონიდისა და კირიონის დემონსტრაციული დასწრება შმიდტის პანაშვიდზე, გვახსოვს ქართველ მღვდლების დაპატიმრება, გვახსოვს ყოველივე ეს და თამამად ვამბობთ, რომ მათ სამართლიანად დაიმსახურეს მთელი რუსეთის მოწინავე პრესისა და საზოგადოების ყურადღება“ - საბოლოოდ კი სამართლიანად საყვედურობს განზე გამდგარ ქართულ ინტელიგენციას: „ეს არის რევოლუციონური გადაწყვეტილება (იგულისხმება სინოდთან კავშირის გაწყვეტა), ეს არის პასიური პროტესტი ანაფორაში გამოწყობილ ჟანდარმერიის წინააღმდეგ. მაგრამ ვის ან რის იმედი აქვს ჩვენს სამღვდელოებას? ხალხისა? ხალხი ჩუმად არის.... პარტიები მათ ყურადღებას არ აქცევენ და ხშირად მასხრად იგდებენ. ინტელიგენციასა? მაგრამ რა შეუძლიან ჩვენს დამონავებულს, ლაჩარს და მოთმინებით გაჟღენთილ ინტელიგენციასა? დღეს თუ ხვალ ქართველი სამღვდელოება თავის გადაწყვეტილების შესრულებას შეუდგება და ჩვენ მოვალენი ვართ, მორალური დახმარება გავუწიოთ მათ“ (ჯავახიშვილი 1986: 326).

როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილი პირუთვნელად ამხელს მეფის რუსეთის პოლიტიკას და მის „ანაფორიან ჟანდარმერიას“. როგორც ჩანს, ერთმორწმუნეობის არგუმენტი სრულიადაც არ აკამყოფილებდა მის მოქალაქეობრივ პოზიციას, ამასთან, სათანადოდ აფასებს ქართული სამღვდელოების ქმედებას, ამ მხრივ მისი პოზიცია ისევ და ისევ ემყარება მის უმთავრეს პრინციპს, რომ ქვეყნის არსებობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შეფასებისას უმოქმედობა ლალატის ტოლფასია და გამართლება არ აქვს,

სწორედ ამიტომ აღნიშნავს, იგი ცალკეულ პირთა დამსახურებას და ღვაწლს, რაც მთავარია, მისთვის ავტოკეფალიის საკითხი ქვეყნის ეროვნული თვითგამორკვევისთვის უმთავრესია, მიუხედავად იმისა, რომ ჯავახიშვილის ეს წერილი თითქოსდა, პრაგმატული და მშრალია, აშკარად იგრძნობა ემოციური დამოკიდებულება.

ამ პერიოდში გამოსული მისი პუბლიკაციების ნახევარზე მეტი ტრიალებს ეროვნული საკითხების ირგვლივ, სხვადასხვა კუთხით, მაგრამ ერთი და იმავე სათქმელით. 1906 წელს აქვეყნებს მცირე პუბლიკაციას „პატარა ფიქრები“, რომელშიც მკაცრად აკრიტიკებს დეპუტატ წერეთლის ერთ-ერთ ინტერვიუს, რომელშიც იგი ავტონომიის საკითხებს ეხება და მიიჩნევს, რომ: „საზოგადოდ ჩვენ გვწამს, რომ ყოველ ეროვნებას უნდა ჰქონდეს უფლება თვითგამორკვევისა, მაგრამ კავკასიისათვის ჩვენ არ გვინდა ავტონომია „ამ მოსაზრებას მიხეილ ჯავახიშვილი, არც მეტი არც ნაკლები „ქართველების ინტერესების მსხვერპლად შეწირვას“ უწოდებს და ამბობს: „ზემოხსენებული წერილი ეროვნულ საკითხზეა დაწერილი და მისი ავტორი სერიოზულად ამტკიცებს, ვითომ „იქ, სადაც დემოკრატიული რესპუბლიკა არსებობს, ეროვნული ჩაგვრა მინიმუმამდეა მისული“ და მაგალითად მოჰყავს შვეიცარია, სადაც „ეროვნულ ჩაგვრას თითქმის სულ არ აქვს ადგილი“. აი, როგორ ხსნიან ისტორიას ეკონომიური მატერიალიზმის მოძღვრების მომხრენი..... ზემოთ ხსენებული წერილის ავტორს იმედი აქვს, რომ „იქ (დემოკრატიულ რესპუბლიკაში), სადაც მსხვილ ბურჟუაზიას ფრთები აქვს შეკვეცილი, ეროვნების პოლიტიკური უფლებები საკმაოდ უზრუნველყოფილია“.... ნეტა, რომელ „დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ აქვს მსხვილ ბურჟუაზიას ფრთები შეკვეცილი? საფრანგეთში ან ამერიკაში? მაგრამ შეცდომას და უმეცრებას ჯანი გავარდეს, ავტორი ირწმუნება, რომ რუსეთი დემოკრატიის გზაზე უფრო შორს წავა, ვიდრე შვეიცარიის რესპუბლიკაო. სერიოზულად ვამტკიცებ, რომ ეს ადამიანი დღემდის მთვარეზე ცხოვრობდა, ან პირიქით, - მთვარეზე ასვლას ცდილობს...“ ჯავახიშვილის ტონი სარკასტულია, იცნობა მისი მანერა „გაანადგუროს“ მოწინააღმდეგე საკუთარი არუგმენტებით. ბოლოსთვის მოიტოვებს იმ მთავარს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლამაც შეიწირა კიდევ უკვე სხვა რეალობაში - „მაგრამ ევრიკა! მიზეზი ასეთი ჯამბაზობისა თვითონ ავტორმა გამოგვიმჟღავნა: „შემოკრბით პროლეტარიატის დროშის ქვეშო!“ თქვე კაი კაცებო, ბარემ თავიდანვე მაგ დევიზით

დაიწყებდით წერილს, თორემ ჯერ მკითხველს აწვალვით ულოლიკობით, უმეცრებით, სიყალბით და მერე ეუბნებით პროლეტარიატის დროშის ქვეშ შემოიკრიბეთო“ - ამ კომენტარით გასაგებია მისი დამოკიდებულება მომავალი „გამარჯვებული რეჟიმის“ მიმართ და დასკვნით ნაწილში საბოლოოდ ნათელყოფს წერეთლის გამოსვლის ალოგიკურობას (სამწუხაროდ, ისტორიამ დროებით სხვანაირად ინება, მაგრამ საბოლოოდ სიმართლე, მაინც ჯავახიშვილის მხარეს აღმოჩნდა) .

ამ პოლემიკიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ თვალნათლივ ვლინდება მიხეილ ჯავახიშვილის იმდროინდელი პოლიტიკური ორიენტირი. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო მოიპოვებდა თუ არა საქართველო იმ ვითარებაში ავტონომიას, შეძლებდა თუ არა ქვეყნის მცირე, მოაზროვნე ნაწილი დაპირისპირებოდა იმ ტალღას, რომელიც შთანთქმას უპირებდა ადამიანთა უპირატეს და უპირველეს უფლებას, ყოფილიყო თავისუფალი. ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამდენი წლის გასვლისა, გავლილი კატაკლიზმებისა, დღეს მოპოვებული დამოუკიდებლობისა ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს შეკითხვები, რომელზეც ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია ჩამოყალიბებული, არგუმენტირებული პასუხი - ევროპა თუ რუსეთი? ეს შეკითხვა აქაც იკითხება და პასუხიც პირდაპირია. მიხეილ ჯავახიშვილისთვის არ არსებობს დოგმატური, შაბლონური მიდგომები იგი ერთნაირად ობიექტურად ხედავს რუსეთსაც და ევროპასაც თავისი პლუს - მინუსებით და მისთვის ამოსავალი წერტილი საკუთარი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის უპირატესი მდგომარეობაა, ვფიქრობთ, მისი ეს „პასუხი“ ამ ჯერ კიდევ აქტუალურ შეკითხვაზე, თითქოსდა, ანბანური ჭეშარიტებაა, მაგრამ მაინც გამოადგება დღევანდელ ვითარებაში ქვეყნის მესვეურთ.

ვფიქრობთ, მისი მოქალაქეობრივი პოზიციის და საზოგადოებრივი აზროვნების სტილის გასაცნობად, თუ როგორ საზოგადოებას მიიჩნევდა ჯავახიშვილი მართებულად მე-20 საუკუნის დასაწყისში, საინტერესოა მისი პუბლიკაცია „შვიდი თავისუფლება“.

ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- 1.პიროვნების ხელშეუხებლობა;
- 2.რწმენის და სინდისის თავისუფლება;
- 3- 4 . სიტყვის თავისუფლება;
5. თავისუფლება კრებისა;

6. კავშირგაბმულობის თავისუფლება;

7. გაფიცვის თავისუფლება.

პირველი უფლების დასკვნით აზვაცში ვკითხულობთ: „იმ ქვეყნებში, სადა პიროვნების ნამდვილი ხელშეუხებლობაა, შეუძლებელია რაც ჩვენში ეხლა ხდება: იქ ვერ იფარფაშებს უბრალო ჩაფარი, ყაზახი, პოლიციელი ან აფიცერი, რომელთაგან თვითეული ჩვენში ნამდვილი მეფეა და მთელ ხალხს თავის ქეიფზე ათამაშებს. გუბერნატორი იქ ვერ გამოსცემს საგანგებო წესებს, რომლის ძალითაც უბრალო დანაშაულობისათვის კაცს სიცოცხლეს უსპობენ. შეუძლებელია იქ ტყუილ-უბრალოდ საომარ დროის წესების გამოცხადება, ხალხის დახოცვა და ქუჩაში ხალხის უდიერი ჩხრეკა, ცემა-ტყეპა და ყველა ის, რაც ჩვენებურს კაცს კარგა აქვს გაცნობილი“ (ჯავახიშვილი 1986: 330).

წერილი 1906 წლით თარიღდება და ამის მიუხედავად ჩვენი ქვეყანა დღესაც შორსაა აქ აღწერილი რეალობისგან, არადა ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა სკრუპულოზური სიზუსტით აღწერილი. ნიშანდობლივია, რომ ჯავახიშვილი იყენებს შედარებას განსხვავების ილუსტრაციისთვის, ის, რაც ანბანური ჭეშმარიტება იყო იმდროინდელი პროგრესული სამყაროსთვის, მაშინაც და ახლაც მოსაპოვებელია საქართველოსთვის. მეორე - სინდისისა და რწმენის თავისუფლება“ - ვკითხულობთ: „ყველას თავისუფლად შეუძლიან თავის რწმენა, აზრი იქონიოს, თავის რჯულს მისდიოს, შეუძლია სწამდეს ღმერთი, უარჰყოს იგი, ერთი სიტყვით, თავის აზრის, რწმენის და რჯულის საქმეში არავის უნდა დაეკითხოს, არავის შეუძლია ძალით მოახვიოს ესა თუ ის რწმენა და რჯული. მით უმეტეს, არავის შეუძლია ამა თუ იმ აზრის, ან რჯულის გულისთვის შეაწუხოს, ან სდევნოს ვინმე. ყველა ეს სინდისის საქმეა და მისი შეზღუდვა, შევიწროება არავის შეუძლია“ (ჯავახიშვილი 1986: 330-331).

სწორედ ამ უფლების სრული უგელებელყოფის დემონსტრირებას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი. როგორც ჩანს, ამ პერიოდში უკვე რეალური იყო ის საშიშროება, რომელიც მოელოდა მეფის რუსეთის იმპერიაში „დაჭერილ“ ქვეყნებს. რაც შეეხება დღევანდელობას, ვერც ამ უფლებაზე ვიტყვით, რომ სრულყოფილად სრულდება დღევანდელ დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში. მესამე- მეოთხე უფლება: „ყველას თავისუფლად შეუძლია თავისი აზრი, რწმენა გამოსთქვას, დაწეროს ან დაბეჭდოს. ამისთვის ყველას თავისუფლად შეუძლია სტამბა იქონიოს დაჰბეჭდოს

ყოველგვარი წიგნები. ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო მთავრობის რაიმე ნებართვა“ (ჯავახიშვილი 1986: 331).

რა თქმა უნდა, ჯავახიშვილი ამ ფუნდამენტური უფლების რეალურ განხორციელებას ვერ მოესწრო, პირიქით, სწორედ მისმა არარსებობამ შეიწირა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ამ მხრივ ნამდვილად უპირატესი მდგომარეობა გვაქვს. თავისუფლება კრებისა - ამ უფლების შესახებ ნათქვამი ერთ-ერთი ფრაზა ყველაზე უკეთ გამოხატავს ჯავახიშვილის აზროვნების სტილს და მანერას: „კრების თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის, რადგან ხალხს თვითმოქმედებას აჩვენებს“ (ჯავახიშვილი 1986: 332).

კავშირგაბმულობის თავისუფლება - ვკითხულობთ: „თუ რაიმე მიზნის მისაღწევად რამდენიმე კაცს შეერთება, შეკავშირება სურს, არავის შეუძლიან ამის დაშლა. კავშირების შედგენა ერთობ ესაჭიროებათ მუშებს და გლეხებს და საზოგადოდ მათ, ვინც სხვადასხვა მეპატრონეთაგან არის დაჩაგრული და შევიწროებული...“ (ჯავახიშვილი 1986: 332). ამ უფლების ხაზგასმაც მაშინდელი მდგომარეობითაა განპირობებული.

გაფიცვის თავისუფლება - ეს უფლება, ჯავახიშვილის აზრით, მჭიდროდ უკავშირდება ზემოთ დასახელებულს (კავშირგაბმულობის უფლებას) : „თუ გაფიცვის თავისუფლება არ არის, მაშინ კავშირების თავისუფლება ფუჭი სიტყვა იქნება, და ხალხს არ მოუტანს სარგებლობას, რომლის მოტანაც შეეძლო, ერთმა მუშამ მუშაობა აღკვეთოს, მეპატრონე მაშინვე დაითხოვს, მაგრამ თუ მრავალი მუშა, მთელი კავშირი სწყვეტს მუშაობას, მაშინ მეპატრონე იძულებულია დაუთმოს“ (ჯავახიშვილი 1986: 333).

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ განსაზღვრული შვიდი მთავარი უფლება კარგად აჩვენებს, თუ როგორ საზოგადოებაზე ფიქრობდა იგი, რაში ხედავდა განვითარებას. ეს ჩამონათვალი არათუ იმდროინდელ მოთხოვნებს პასუხობდა, არამედ დღევანდელობასაც ზუსტად ერგება, რადგან უმთავრესი ღირებულებები არ იცვლება. ჩვენი საკვლევი თემისთვის ეს მასალა საინტერესო აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ ჯავახიშვილისთვის უმთავრესი ადამიანია, რომელსაც აქვს უპირატესი უფლება - ნების თავისუფლება, რომ მისი წართმევა ან რაიმე ფორმით იგნორირება ძალადობაა და ძალადობა თავის მხრივ სისასტიკეს წარმოშობს. ეს ჩამონათვალი კი თავისთავში აპრიორულად მოიაზრებს ეროვნულ

თავისუფლებას, რომ ყველა ერს აქვს უფლება იცხოვროს და განვითარდეს ისე, როგორც
ამას ხალხი ისურვებს, იმპერიებისა და რეჟიმების გარეშე.

თავი IV. ნიჰილიზმი, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელის შემშლელი ფაქტორი

ჩვენი საკვლევი თემისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მივიჩნით ყურადღება გაგვემახვილებინა საქართველოს ისტორიის ურთულეს და საკმაოდ ვრცელ პერიოდზე, რომლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაც, როგორც უწყვეტი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი. ამ პერიოდში გაჩენილი ეროვნული ნიჰილიზმის ფესვები კიდევ უფრო შორს იყო, ვიდრე მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლები და, რაც მთავარია, მისი გამოძახილის და ახლებური ინტერპრეტაციების მომსწრეები ვართ დღესაც.

მისი ფესვები შეიძლება შორეულ წარსულშიც ვეძებოთ, ცალკეულ მოღვაწეთა შეფასებებში, მაგრამ ფაქტმა, როგორც თვალში საცემმა მოვლენამ, თავი განსაკუთრებული სიმძაფრით მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში იჩინა. რა თქმა უნდა, რომ ეროვნულ ნიჰილიზმს ნიადაგიც შესაბამისი დახვდა და ეს უპირველესად იმპერიის დიად ზრახვებში შედიოდა, როგორც ილია იტყოდა, „ახლად დაჭერილ ქვეყნებს„ უპირველესად თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილი უნდა გაქრობოდათ სამარადჟამოდ. სადაც ძალამ არ გასჭრა, იქ ხერხი იხმარეს და ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად შეარყიეს ქართული ეროვნული თვითშეგნება. რაც მთავარია, ეს ყველაფერი, ხშირ შემთხვევაში, ისევ და ისევ ქართველ მოღვაწეთა ხელით მოახერხეს. დღევანდელი გადმოსახედიდან რთულია დაზუსტებით ვამტკიცოთ მართლა სჯეროდათ თავიანთი მოსაზრებების იმ ადამიანებს, თუ მხოლოდ და მხოლოდ დაკვეთას ასრულებდნენ და ისიც გაუზარებლად, მაგრამ ფაქტია, რომ ამ თემაზე პოლემიკა დიდხანს გაგრძელდა. ამას ადასტურებს ილია ჭავჭავაძის რიგი წერილებისა, რომლებშიც ის დაუნდობლად ამხელდა მსგავსი მოსაზრებების აფსურდულობას და ხშირ შემთხვევაში არც მწარე სატირას ერიდებოდა, არ არჩევდა, არც მოწინააღმდეგის საზოგადოებრივ სტატუსს და არც მის წარმომავლობას, ერთნაირი სიმკაცრით ეკიდებოდა ეროვნული ნიჰილიზმის ყველა უმნიშვნელო გამოვლინებას.

მის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წერილში, „კატკოვის პასუხად“ ვკითხულობთ: „ყველაზე საშიშარი და საზიზღარი ბეზღობა ის ბეზღობაა, რომელსაც საგნად მთელი ერი ჰყავს, ნამეტნავად იმისთანა ერი, რომელიც „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“

ყოველ ღონეს მოკლებულია, რომ თავი იმართლოს, თავის გულის ნადები, სულის წყურვილი საქვეყნოდ გამოჰფინოს. ამისთანა ერის წინაშე ერთი გაცვეთილი მახეზღარი უფრო შემძლებელია და ღონიერი, ვიდრე მთელი ერი. იმიტომ, რომ მახეზღარს ყოველივე იარაღი ხელში აქვს და დაბეზღებული კი იარაღაყრილია“ (ჭავჭავაძე 1977:301-302). კატკოვის მსგავსნი ბევრნი იყვნენ იმ ეპოქაში და არც ახლა განვიცდით მათ ნაკლებობას, ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ილია ჭავჭავაძის პოზიცია, რომელშიც ნათლად ვლინდება ის საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, განსაზღვრავს საკვლევი თემის მთავარ აქტუალობას. „საგნად მთელი ერი ჰყავს“ - ვფიქრობთ, ილიას ამ ფრაზაში უნდა ვეძებოთ დასმული შეკითხვების პასუხი, რატომ ირჩევენ რიგ შემთხვევებში საგნად „მთელ ერს“, რაც უნდა დარწმუნებულები ვიყოთ ვინმე კატკოვის მოსაზრებათა აფსურდულობაში, მით უმეტეს, რომ მას მოჰაექრედ ილია შეხვდა და სათანადო პასუხიც გასცა ორი საუკუნის წინ, ამით თავს მაინც ვერ დავიმშვიდებთ, რადგან მოვლენა და მისი გამოძახილი შემდგომ პერიოდებში პოულობდა საკვებს და დღემდე მოაღწია. ფაქტია, ამ წერილის შინაარსის გადმოცემისგან თავს შევიკავებთ, გასაგები მიზეზების გამო, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ერთი შეხედვით თითქოსდა, უმნიშვნელო საკითხს ეხებოდა ეს პოლემიკა - არც მეტი არც ნაკლები სპექტაკლის რეკვიზიტებს, დროშას. ჩნდება კითხვა? რატომ გახდა ეს მოვლენა საკამათო თემა, ერთი მხრივ, ვინმე კატკოვმა, რატომ გადაწყვიტა თავისი მაღალი ყურადღება მიექცია ამ ფაქტისთვის და მეორე მხრივ, რატომ არ დატოვა ილიამ მისი გამოსვლა უპასუხოდ - „ჩვენ ამ მასხარაობას მასხარა კაცისას ყურსაც არ ვათხოვებდით, რომ ბეზღობა მარტო ამაზედ შემდგარიყო და მახეზღარს არ შეეგინებინოს, უპატიურება არ მიეყენებინოს მთელ ქართველობისთვის და მის ეროვნობის ღირსებისთვის..... გაცვეთილის კაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება მისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის უმწიკვლელად დაცვისთვის - არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან დედამიწის ზურგზედ სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, - იმის ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ“ (ჭავჭავაძე 1977: 305)

ყურადღებას იქცევს ილიას გამოთქმები: „ეროვნობის ღირსებისათვის“, „როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას“, „მთელი ერი“ - ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძე ერს, როგორც მოვლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, იმის მიუხედავად, რა ისტორიულ - პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფება ქვეყანა, ფაქტია, ამ დროს სახელმწიფოებრიობაზე საუბარი არ იყო. გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, რომ პუბლიცისტისთვის ეს საკითხი ყურადღების მიღმა რჩებოდა, ისტორიამ დაადასტურა, რომ ჭავჭავაძემ შეგნებული ცხოვრება, მხოლოდ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენას შეაღია და საბოლოოდ ემსხვერპლა კიდეც ამ მიზანს, მაგრამ მისი შეხედულებები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ სახელმწიფო, როგორც მოვლენა, მხოლოდ ტერიტორულ-გეოგრაფიული მოცემულობა არ გახლავთ, ფაქტია, რომ მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს ეროვნული იდეოლოგიის შენარჩუნება გაღვივება წარმოადგენდა. დღევანდელი გადმოსახედიდან ისიც ადვილი შესამჩნევია, რომ გონიერი მტერი, ყოველთვის ამ იდეოლოგიურ საყრდენს ებრძოდა, ამას აკეთებდა ყველა შესაძლო ხერხის გამოყენებით და განსაკუთრებით ხალხში ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვით.

მიხეილ ჯავახიშვილი წერილში „ცოცხლებს მაინც ვუშველოთ!“ ყურადღებას ამახვილებს ქართულ საზოგადოებაში გარვცელებულ მცდარ შეხედულებაზე: „ბევრსა ჰგონია, რომ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ქართველობა სამარის პირას იდგა, ხოლო მეცხრამეტე საუკუნეში აღსდგა მკვდრეთით ... სწორედ მეცხრამეტე საუკუნეში დაკვარგეთ ათას წლობით შექმნილი კულტურული ფასი და გავლენა, გავანიავეთ, ვინ უწყის, რაოდენის სისხლითა და მსხვერპლით შექმნილ-შეგროვილი მამულ-დედული და ნივთიერი განძეული“ (ჯავახიშვილი 2001: 481).

ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსს თავი ვერ დააღწია არაერთმა მოღვაწემ. რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს, მის შესახებ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არასდროს დანებებულა ამ განცდას, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება შეიძლება თავისუფლად მივიჩნიოთ ქვეყნის ბედის სიმბოლურ გააზრებად, მისი პერსონაჟები, რომლებითაც არასდროს იხიბლებოდა მკითხველი, შეიძლება დავუკავშიროთ იდენტობა, სტატუს დაკარგულ და, შესაბამისად, ღირსება აყრილ ქართველობას.

მწერალი მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას უკავშირებს ეროვნულ ცნობიერებაში მომხდარ ცვლილებებს. რუსეთის რეჟიმმა გახრწნა ქართველი თავადაზნაურობის ნაწილი: „ასი თაობის მიერ დანთხეული სისხლი და ჩაყრილი ძვლები ფულად აქციეს.ეს ფული ერთ-ორ წელიწადში ნიავს მისცეს, წყალში გადაყარეს“ (ჯავახიშვილი 2001: 482).

პუბლიცისტის აზრით, განიავებული მშობლიური მიწის ბედი ენამაც გაიზიარა. საზარელმა რეალობამ კი ბევრს სასო წარუკვეთა. მიხეილ ჯავახიშვილი თავის შემოქმედებაში აღწერს უნუგემო მდგომარეობას, მაგრამ არ ემორჩილებას მას: „მაშინ ავყვეთ ისტორიის ფეხისხმას, ვაწარმოთ კანონი აუცილებლობისა,დავამტვრიოთ კალმები, დავიდუმოთ ენა, დავიკრიფოთ გულხელი და ვთქვათ: მორჩილ ვარ შენი, ბედო უღმობელო, რამეთუ არა არს ძალა შენდა ძლევად..., მაგრამ ამას არ ვიტყვი, რადგან ვიცი, რომ ჩემთა წინაპართა მრავალჯერ სძლიეს ბედი, მრავალჯერ გადალახეს იგი, მრავალჯერ აღსდგნენ მკვდრეთით და ეხლანდელ თაობამდე მოიტანეს დაფლეთილი ეროვნული დროშა, მოიტანეს, ჩაგვაბარეს და გვიანდერძეს: ატარეთ იგი და შემდგომ თქვენისა მომავალ თაობას გადაეცით“ (იქვე: 482-483) .

მისი ტექსტების საფუძველს არასდროს წარმოადგენს ეროვნული კომპლექსი, აქ უფრო სხვა შემთხვევაა, ისევ და ისევ მხილებაა, რომ თეიმურაზი შეიძლება იყო კიდევ იმდროინდელი ქართველის კრებითი სახე, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მკითხველს არასდროს დავიწყებია მისი მამის ავთანდილ ხევისთავის სახე - მართალია, ფრაგმენტული, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი, რომ დაკვირვებული თვალი და გონი, აუცილებლად მიაგნებდა ამ რომანში გადარჩენის გზას, აქედან გამომდინარე, იმასაც ადვილად დაინახავდა, რომ თეიმურაზი მხოლოდ დროის მიერ შექმნილი სახე იყო - ლანდი და თავისთავად ამ ლანდის არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ჩრდილს თუ მიაყენებდა ქართველის, როგორც ეთნოსის წარმომადგენელს და არამც და არამც არ გახდებოდა მისი ერთადერთი გამომხატველობითი ფორმა. მიხეილ ჯავახიშვილისთვის, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თეიმურაზ ხევისთავიც, ჯაყოც და მარგოც დროებითი მოვლენებს წარმოადგენდნენ, მაგრამ იმ მასშტაბისას, რომელსაც აუცილებლად უნდა მიექცია მწერლის ყურადღება, ამ ნაწარმოების შესახებ ოთარ ჩხეიძე წერდა: „ამ რეალისტურ ნაწარმოებში (იგულისხმება „ჯაყოს ხიზნები“), ამ ყოვლად რეალურ, ყოვლად ყოფითსა თუ ჩვეულებრივ სიტუაციებში, თუ გნებავთ,

ყოვლად ბანალურ სიტუაციებში, ბევრი რამ უფრო სიმბოლურია, სიმბოლური და მეტაფორულია, გაზღაპრებულობაზე თუ მითოლოგიზირებაზე რო არაფერი ითქვას; როგორღაც უცნაურად აქ თითქოს პირიქითაა ყველაფერი: თუ სხვაგან მეტაფორებსა და სიმბოლოებში, ალეგორიებსა და მითოსურ სიტუაციებში კითხულობენ რეალურ სახეებსა, აქ რეალურში, რეალურსა და შიშველ სახეებში, ნატურალისტურობამდე გამიშვლებულ სახეებში, ამოიკითხება პირიქითა ანთუ გაიაზრება პირიქითა, მეტაფორული და სიმბოლური სურათები გაიაზრება, – ასე პირიქითაა მეთქი ყველაფერი; ეს არაა პატარა ხელოვნება, ეს დიდი ხელოვნებაა, დიდოსტატობა სწორედაც ეს აარეალისტურ რომანში” (ჩხეიძე 2009: 1).

კრიტიკოსის სწორედ ამ მოსაზრებამ გვიბიძგა, რომ განსხვავებული კუთხით დაგვეჩინა ავთანდილ ხევსთავის სახე. მას კი ამ მხრივ განსაკუთრებული მისია ერგო თავის ეპოქაში, ალბათ, სწორედ ამიტომ სწერდა გიორგი ლეონიძის ძმა, ლევან ლეონიძე – „წინ ილია და ყაზბეგი მიგიძღვიან და უკან „ვისრამიანი“ მოგტირის... მას შემდეგ, რაც შენ საქართველოს სალაროში გადახვედი, შენ ჩვენ გვეკუთვნოდა შენი თვითეული ნაბიჯი ტყვეს ნაბიჯია. ილიას შემდეგ დაილექა ჩვენმა ცხოვრებამ დამხოლოდ შენ წაგვჭიდე ყურში ხელი და სარკესავით დაგვანახე ჩვენი არსებობის ნალექი... საქართველოს ხავსში ცეცხლად ჩაჰვარდი და ნუ ჩაჰქრები“ (ჯავახიშვილი 2001: 181).

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესო ტექსტია „ქართველები ჟენევაში“, რომელიც ყურადსადები მასალაა, როგორც ისტორიული თვალსაზრისით, ისე მიხეილ ჯავახიშვილის მიდგომათა დასაზუსტებლად. მასში ავტორი სწორედ ეროვნული ნიჰილიზმის თემატიკას ეხება და იმდენად დაწვრილებით, რომ ერთმანეთის განასხვავებს არა მხოლოდ სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებს, არამედ თვით მამაკაცებსა და ქალებს. საკითხავია, რატომ გადაწყვიტა მიხეილ ჯავახიშვილიმა სქესობრივი ნიშნით ერთმანეთისგან მათი გაცალკეება? ამას შეიძლება ის ახსნაც ჰქონდეს, რომ იმ დროს ქალთა გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე და პოლიტიკაში ჩაბმა ახალი ხილი იყო, ან კიდევ ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისთვის განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ქალების დამოკიდებულება სამშობლოს მომავლისადმი. წერილში ვკითხულობთ: „პრინციპიალურ კამათის დროს ისინი მამაკაცებზე უფრო ცხარედ და თავგამოდებით უარყოფდნენ და ჰკიცხავდნენ არა თუ რა იმ ეროვნულ საქმეს. არამედ ეროვნების არსებობასაც კი. მაგრამ უნდა გენახათ იგივე

ქალები ცალკე და ჩამოგეგდოთ ლაპარაკი იმავე ეროვნებაზე. ასეთ ლაპარაკს რომ ზომიერი ქართველი ლიბერალი დასწრებოდა, რომელსაც ჩვენში ყველგან და ყოველშემთხვევაში ნაციონალისტს ეძახიან, ის მათთან შედარებით კოსმოპოლიტიდანი ტერმინაციონალი გამოჩნდებოდა, ამ მხრით ქართველ ქალებში საოცარის ჰარმონიით უერთდებოდნენ ერთმანეთს უპრინციპო, შაბლონიური კოსმოპოლიტიზმი და უსაზღვრო სიყვარული ქართველი ერისა, ვულგარული, დაჟინებული უარყოფა” (ჯავახიშვილი 2001: 471). ამავე წერილში აყალიბებს იგი თავის შეუვალ დამოკიდებულებას მსგავსი მოვლენისადმი, რომელშიც არც ემოციური დატვირთვის გამოვლენას ერიდება: „ასეთი ტიპი ყველგან მოიძებნება. ერთი მათგანი ცხარე კამათის დროს გამოტყდა და აღიარა: ძალიან ვნანობ და ვწუხვარ, რომ ბედმა ქართველობა აღირსა; მე პრინციპიალურად უარვყოფ საზოგადოდ ეროვნებასო, და სხვ., მაგრამ ამ ახირებულმა - „პრინციპიალურად“ ეროვნების მტერმა - ცოტა ხნის შემდეგ სინანული გამოაცხადა იმის გამო, რომ ის ბედმა რუსად არ დაჰბადა. მისი მეორე ამხანაგი ქართველთა კოლონიის ერთ-ერთ კრებაზე იძულებული იყო, რადგან ლაპარაკმა მოიტანა, წარმოეთქვა სიტყვა ქართველი, მაგრამ ამ საზარელ სიტყვის თქმა ვერ გახედა და აირჩია: -ჩვენ, ჩვენ.... წვალობდა ორატორი - და სხვა სიტყვას ეძებდა. - ჰა, სთქვი რაღა, ქართველები-თქო, მიეშველა მეორე ქართველი, მაგრამ ეს სიტყვა მაინც ვერ ათქმევინეს, ბოლოს დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ, ორატორმა იპოვა სხვა სიტყვა და განაგრძო - ჩვენ კავკასიელებიო“ (ჯავახიშვილი 2001: 474).

ამ ეპიზოდის მოყვანის შემდეგ ავტორი ყოველგვარი შელამაზების გარეშე აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ხსნის რა მსგავსი მოვლენის არსს, მის საწყისად იმდროინდელ რუსეთში მცხოვრებ ებრალებში გაჩენილი ნიჰილიზმს მიიჩნევს და ამბობს: „გაჩნდა საკმაოდ გავრცელებული ტიპი, რომელსაც სცხვენია და ეთაკილება ებრაელობა. თუ ეროვნებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ის ან ხმას არ იღებს და მალავს თავის ტომობას, ან თავის თავს რუსს ეძახის და თავისი ერის დასაცავად ხმას არ ამოიღებს. არ ვიცი სხვები რა აზრისანი არიან ასეთ ტიპზე, მაგრამ პირადად მე მძაგს და მეზიზღება ასეთი ლაჩარი და ორპირი იეზუიტი, რომელიც თავის ორგულ პოზიციას პრინციპიალურად და თეორიულადაც კი ასაბუთებს. მე მესმის ფსიხოლოგია ზემოხსენებული ებრაელისა და ვიცი, საიდანაც გაჩნდა ის, მაგრამ არ ვიცი და არ მესმის, რამ წარმოშვა და საიდან გაჩნდა ტიპი ჩვენში.

საქართველოში არ არის ის ნიადაგი, რომელმაც რუსეთში აღზარდა მთელი თაობა თავის თავის უარმყოფელ ისრაელისა და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ დღეს კანტიკუნტად მოძებნება ისეთი ქართველი, რომელსაც სცხვენია წარმოსთქვა სიტყვა, ქართველი“, ხვალ თუ ზეგ ასეთი ადამიანი თითოთ საჩვენებელი გახდება“ (ჯავახიშვილი 2001: 476).

აღსანიშნავია, რომ ამ დამოკიდებულებას ჯავახიშვილის შემოქმედებაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ განწყობის გამომხატველია სწორედ თეიმურაზ ხევისთავი. იგი ნახუცარ ივანესთან საუბრისას ამბობს: „ჩემი უუდიდესი და უუმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ... საქართველოში დავიბადე. ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამსაჯა-მეთქი, როცა ქარრთველად გამაჩინა“ (ჯაყოს ხიზნები). იმ ვრცელი დიალოგის ეს მცირე ეპიზოდი სრულად ეხმიანება ზემოთ ხსენებულ წერილში ნახსენებ შემთხვევას. ნიშნადობლივია, რომ პუბლიცისტურ ტექსტში ნახსენები გამომსვლელი ქართველი შეგნებულად დიდხანს ეძებს სხვა სიტყვას, რომლითაც ჩაანაცვლებს ქართველს, „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟი კი სწორედ სიტყვა - ქართველზე უკიდებს ენას. ამ ტექსტის მკვლევართა აზრით, ავტორი შეგნებულად მიმართავს ამ ხერხს, ეს ე.წ. „ლოგონერვოზი“, იმ სიტყვაში იჩენს თავს, რომლის მიმართაც განსაკუთრებით მგრძნობიარეა პერსონაჟის ქვეცნობიერი. მწერალი ისეთივე დაუნდობელია პერსონაჟისადმი, როგორც მისი პროტოტიპებისადმი.

1925 წელს რომანის საჯარო განხილვისას თეიმურაზს „კლასობრივ ხორცმეტად“ მოიხსენიებს. მისი შეფასებით, თეიმურაზ ხევისთავობა, როგორც მოვლენა, პასიური ბოროტებაა, რომელიც საშიში იყო ეროვნული ცნობიერებისათვის, რაკილა ეს პერსონაჟი სრული ანტიპოდი გახლდათ საკუთარი სახელოვანი წინაპრების, გნებავთ კონკრეტულად ნაწარმოების მიხედვით და გნებავთ ლიტერატურული ხაზის მიხედვით. ფაქტია, რომ თეიმურაზი ერთმნიშვნელოვნად დაცემას განასახიერებს, მაგრამ საინტერესოა, როგორ წყვეტს ამას ავტორი - ეს დაცემა ერთმნიშვნელოვნად ქვეყანას განასახიერებს, თუ მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული დეგრადაციაა? ან, იქნებ, ორივე ერთად? თუმცაღა, ერთი მეორეს, ალბათ, არ გამოირიცხავს. მაშინ საინტერესოა, რა იწვევს თეიმურაზის პასიურობას. მკითხველი, მას უკვე იმ მდგომარეობაში გაიცნობს, რის მერეც თითქმის აღარფერი უკვლია ხიზნობამდე.

ამას მხოლოდ ნელ-ნელა, ფრაგმენტულად გვაწვდის ავტორი და, თითქოს, საგანგებოდ ტოვებს ადგილს მკითხველისთვისაც, მან თავად უნდა აღმოაჩინოს, რა იყო ის არსებითი, რის გამოც თითქოსდა, იმდროინდელი ყველა ამსოფლიური სიკეთით შემკული თეიმურაზ ხევისთავი იქცა ნაკაცარად. არაერთ მიზეზთან ერთად უმთავრესი წარსულთან კავშირის გაწყვეტა გახლდათ, რაც არც მეტი არც ნაკლები სრულიად ყოფითი მიზეზებით იყო განპირობებული - მოუცლელიობა, საქმეები, საქმეები, რომლის გამოც თეიმურაზს დრო აღარ რჩებოდა ის მუხტი შეეგრძნო, რასაც მისი ადგილ-მამული ატარებდა. დიადი იდეების და ნათელი მომავლის ილუზიებში მყოფის ტრაგედია ის გახლდათ, რომ სიყვარულის ნაკლებობის სენი შეეყარა, უფრო სწორად, ჩათვალა, რომ ნაშინდარი მოცემულობა გახლდათ, რომელიც პატრონის გარეშეც ისევე გააგრძელებდა არსებობას, როგორც მანამდე, მაგრამ თეიმურაზზე იშვიათი სიცხადით გამართლდა ძველი ქართული ანდაზა და „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ.“

ისეთი ცნობილი მოღვაწე, როგორც ნიკო ნიკოლაძე გახლდათ, ეროვნული დამოუკიდებლობის იდეას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა, მიაჩნდა, რომ ამ იდეის განვითარებას შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიყენებინა ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობისთვის: „ეროვნულ მისწრაფებათა გადაჭარბებას შეუძლია მიიყვანოს საქართველო იმ სასაკლაოზე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს (1863 წელს აჯანყებული პოლონელების დასჯა რუსების მიერ) და სადაც მთლიანად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზებს (ჩერქეზთა აჯანყების ჩახშობა) (ნიკოლაძე 1962: 265).

დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ ნიკო ნიკოლაძის მოსაზრება რადიკალურად უპირისპირდებოდა ილია ჭავჭავაძისას, რომლისთვისაც ეროვნული დამოუკიდებლობა უპირველესი საზრუნავი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ შეხედვით, ორივე მოღვაწე თანხმდებოდა, რომ ხალხს დამოუკიდებლობისათვის მომზადება სჭირდებოდა. ნიკოლაძე წერდა: „თუ მართლა გვიყვარს მამული და გვინდა მისი მსახურება ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით - სამართლიანი ეკონომიკური წყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით - მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩაუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა... მარტო ჩვენ ძალას მივუძღოთ, მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც " (იქვე: 338).

რაც შეეხება იმდროინდელ საზოგადოებას, შემდეგნაირად აფასებდა: „საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისთვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას... კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულიად არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტ-ნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორ ტიპს - სათნო აზიზ-მაზიზებს, ერთი მხრივ, და არა კეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს - მეორე მხრივ (ნიკოლაძე 1985; 432).

ივანე ჯაბადარის („ნარ-დონის“) ნებსით თუ უნებლიე გამოსარჩლებამდე ნიკო ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ეროვნული ნიჭილიზმის დაძლევის ასპექტით მეტად მნიშვნელოვანი პუბლიცისტური ესსე: „მამულის სიყვარული და მსახურება“ (1879 წ). „მიზამდვის პერიოდი ერთობ გრძელი იყო ჩვენში.. მაგრამ დღეს ამ უბედურ მიზამდველობის პერიოდი გათავდა, დავიწყებთ შემდგომს ისტორიულ პერიოდს, პერიოდს ჩვენის თვისტომობისკენ დაბრუნებისას“ (იქვე: 310-311), - აცხადებდა ნიკო ნიკოლაძე და აქვე აანალიზებდა, „თუ რამ დასცა ჩვენი მამული“ (იქვე: 322).

მისი დაკვირვებით, მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში ქართველობა მტერს მისივე ტოლ-სწორი ტექნიკური და ტაქტიკური საშუალებებით ებრძოდა, ხოლო რაოდენობრივ უთანაბრობას აბალანსებდა თვისებრივით - ეროვნული ხასიათის სიმტკიცით, თავდადებით, რწმენით. ახალმა დრომ მტერს ტექნიკური აღჭურვილობა გაუუმჯობესა. ჩვენი ციხეები ევროპაში ნაშოვნი ზარბაზნებით შეიმუსრა „და ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამნაირი მანქანა სადმე არსებობდა“ (იქვე: 324).

დამოკიდებულება: „რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრედ ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდამ გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ მომეტებულ მტერს, მას აქეთ ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა თუ არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ“ წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად

იხატებოდა. აი, მარტო მაშინ გაგვიჯდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისგან შემდგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს" ... („უცხოელების შემოსევას გარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა“ (იქვე: 329).

მიხეილ ჯავახიშვილის ეპოქის ლიტერატორთა და საზოგადო მოღვაწეთაგან ერთ-ერთი საინტერესო პიროვნება გერონტი ქიქოძემ, რომელიც ათასცხრასიანი წლების დასაწყისში გამოჩნდა ასპარეზზე, 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა წერილი „ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“. მასში განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდა მწერლის მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მრწამსი.

უპირველესად ეს გახლდათ ეროვნული თვითშეგნების, ტრადიციების, მრწამსის მნიშვნელობის წინ წამოწევის, ქართველი ერის თავისებურების კულტურის „ეროვნული სულის“ ძიებისა და წარმოჩენის ტენდენცია. ერთ-ერთ წერილში - „გეოგრაფიული ოცნებები“ იგი წერდა: „ვინ იცის, შეიძლება გეოგრაფიული რუკის შეცვლას ადამიანის სულიერი რუკის შეცვლაც მოჰყვეს, რადგან ახალი ფორმაციის ადამიანს ნაკლები განძეულობა და ნივთები ექნება, ვიდრე ძველს ჰქონდა, მოსალოდნელია, რომ მისი სული შიგნით მოტყდება, რათა იდუმალ სიღრმეში დაკარგული სიმდიდრის საანაზღაურო აღმოაჩინოს“ (ქიქოძე 1975: 53)

ქიქოძის აზრით, ქართველი ერი თავისი სულიერი ფორმაციით მეტად თავისებური ფენომენია, ისევე როგორც ქართული ენა, რომელიც მსოფლიო ენათა არც ერთ ოჯახს არ მიეკუთვნება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს ბევრი საერთო ჰქონდათ, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კულტურებთან, ოღონდ წმინდა ქართულთან შესისხლხორცებული. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ წერილში „ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა“ წერდა: „ეროვნული სულის ინდივიდუალობა არსად არ იხატება ისე ნათლად, როგორც ხელოვნებაში.... ბიზანტიელებს მოზაიკა უყვარდათ, ჩვენ ფრესკებს ვაძლევდით უპირატესობას, რადგან მეტი ემოცია და ფანტაზია გვქონდა. განა ბეთანიის ან ტიმოთეს უბნის ნახატები ბიზანტიური ნიმუშების ასლები არიან? რომელ ბიზანტიელ მხატვარს შეეძლო ამდენი სულიერი სიცოცხლის და მოძრაობის გადმოცემა? მხოლოდ ქართველს შეეძლო ასეთი სიყვარულით თევზებისა, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახვა ნეტარ და ტანჯულ ადამიანების გვერდით“ (ქიქოძე 1975: 55).

1910 წელს გრიგოლ რობაქიძე კიტა აბაშიძეს წერდა: „ჩემი „გარემო“ .. საქართველო და ქართველობაა. ეს გარემო კი, ჩემის უცნაური გრძნობით, საშინელ ავადმყოფ სხეულს წარმოადგენს.. ქართველობაში აღარ არის იდეა მთელის, რომელიც პირველი ჰქმნის მოვლენასა და საგანსა: აღარ არის იდეა საქართველოსი და ქართველობისა.. მთელი აღარ არის, - ნაწილნი მთელობენ; ნაწილთ მთელობა არ შეუძლიათ - ერთი მეორეს სჭამენ; აქედან - შური, მძულვარება, კინკლაობა, სულის პროვინციალობა და სხვადასხვა“ (რობაქიძე 1984: 157).

1913 წელს ესეში „ერის სული და შემოქმედება“ თითქმის იმეორებს მეგობრისადმი მინაწერს: „საქართველო აღარ არის მთელი და როგორც ცოცხალი არსი, იგი ქართველში არ არსებობს; სამაგიეროდ დარჩენილან ნაწილნი და ნაწილნი თვითონვე ცდილობენ მთელობას. საქართველო მე ვარ - აი, ფსიხიური განცდა ქართველისა. ეს საბედისწერო მოვლენა ჰქმნის იმ საშინელ ტრალიზმს, რომელიც შავი მოჩვენების სახით თანა სდევს ყოველს ჩვენ ფეხის გადადგმას: შური, მძულვარება, გაუტანლობა, და ქუჩის, როგორც სიცოცხლის სიმბოლოს გამეფება“ (რობაქიძე 1984: 316). „მთელის დაკარგვამ,“ გრიგოლ რობაქიძის აზრით, ქართველობა მიიყვანა ილიას მკვლელობამდე: „დავკარგეთ მთელი ჩვენს არსებაში და მით თავზე ხელი ავიღეთ: და, რასაკვირველია, თავზეხელაღებულნი, ტყვიით განვგმირავდით იმ ადამიანს, ვინც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს სახე იყო ჩვენი თავისა?!“ (რობაქიძე 1984: 316).

მიხაკო წერეთელი ეროვნული ნიჰილიზმის გამოხატულებად მიიჩნევდა ქართული ენისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას. მის მიერ აღწერილი დედა ენის გასაჭირი ქართულ ინტელიგენციაში ფესვგადგმული ნიჰილიზმის დაურიდებელი მხილებაა: „იგი რაღაც უცნაურ ტიპად ხდება, სულიერ არარაობად... ქართველი ინტელიგენტი ქართულ წრეში, სადაც მარტო ქართულად ლაპარაკობენ, საცოდავია, რადგან ქართული ნაკლებად იცის, არ იცის რიგიანად აგრეთვე თავისი ლიტერატურა, ხალხური შემოქმედება და სხვა, მაგრამ იგი აგრეთვე უცხოა ამავე მიზეზით რუსთა და ევროპელთა შორისაც. იგი მართლაც „ორთა შუა რამ გამოძწევდელია“ (წერეთელი 1990: 20).

რაც შეეხება ამ პერიოდის ფრიად ოდიოზურ პიროვნებას, ნოე ჟორდანიას, რომელსაც ბედმა თუ შემთხვევითობამ ჯერ პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არგუნა ბედმა, ხოლო მერე უცხოეთში დევნილობაში ყოფნა და აღსასრული, მის შესახებ

ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული შეხედულებები ნაკლებად არსებობს საზოგადოებაში, ფაქტია, რომ სოციალ-დემოკრატებმა, ე.წ. „მენშევიკთა“ ფრთამ მარცხი განიცადა, ხოლო ეს მარცხი და, შესაბამისად, ბოლშევიკებთან დაპირისპირება, თითქოსდა ისტორიის წინაშე გამამართლებელ საბუთად ექცა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პირს, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს ასე. რა განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ მრწამსს, რა ამოძრავებდა როგორც პიროვნებას, კეთილშობილური იყო თუ არა მისი ზრახვები და მხოლოდ როგორც პოლიტიკოსმა ვერ ივარგა ვერც მან და ვერც მისმა გუნდმა. ამის გარკვევა შეიძლება ჯერ კიდევ მომავლის საქმე იყოს, მაგრამ ერის მეხსიერებაში იგი რჩება და, სავარაუდოდ, ყოველთვის დარჩება კაცად, რომელსაც მიეწერება ილიას მკველობასთან დაკავშირებული მოარული ფრაზა: „ხეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა“ და, ამასთან, თავად ილიას დამოუკიდებულება ამ ბანაკისადმი, თუმცა, მხოლოდ მსგავს ციტატებზე დაყრდნობა არ იძლევა სათანადო საფუძველს, ამიტომ მოვიხმობთ ვრცელ ამონარიდს ნოე ჟორდანიას ერთ-ერთი ცნობილი წერილიდან „ქართველი ნაციონალისტები“, რომელიც 1904 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად ჟენევაში, ა-ს ფსევდონიმით.

წერილი საკმაოდ ვრცელია. მის ერთ-ერთ მონაკვეთში ვკითხულობთ: „ამგვართ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ქართველ მუშათა მოძრაობას თავიდანვე ერთი მტერი ყავდა და ახლაც ყავს - ესენი არიან ქართველი ნაციონალისტები. ამათთვის ნაციონალიზმი, ერის უფლებების დაცვა, არის მხოლოდ ის პირბადე, რომლითაც საზოგადოებაში გამოდიან და თავის კლასიურ ბატონობას იცავენ. ესენი ვერ ბედავენ პირდაპირ თქვან: ჩვენ ბატონნი ვართ და თქვენ მსახურნიო. არა, მათ ხერხს მიმართეს, ერის უფლებები ფართ იშველიეს და გაიძახიან: ჩვენ რა, მხოლოდ ერის ინტერესები გვალაპარაკებსო! დაწყებული მელიქოვებით, ამილახვრებით, ამირეჯიბებით, ჭავჭავაძეებით..... ყველანი ერთსა და იმავეს ღაღადებენ: ჩვენ ქართველი ერისთვის ვმუშაობთო. ნამდვილათ კი ეს „ქართველი“ ერი ერთისთვის ნიშნავს ქართველი თავადაზნაურობის ბატონობას, მეორესთვის - ქართველი ბურჟუაზიის უფროსობას, ხოლო მესამესთვის - ყველასი ერთად მორიგებას და მით კაპიტალისტური საძირკვლის გამაგრებას“. ამ ჩამონათვალში ყველასი ერთად მორიგება და კაპიტალისტური საძირკვლის გამაგრება მიგვაჩნია მოვლენად, რომელსაც განსაკუთრებული გააფთრებით ებრძოდნენ სოციალ-დემოკრატები, ვინ იყო ამ იდეის ავტორი ყველას

კარგად მოგვეხსენება. ავტორი აგრძელებს: „ისინი ვითომ ქართველობის საერო ინტერესს იცავენ, მარა, როგორც დავინახეთ, ამ ინტერესს იცავს ქართველი სოციალ-დემოკრატია. მაშ რატომ ისინი არ გვიერთდებიან ჩვენ? იმიტომ, რომ ჩვენ სოციალისტები ვართ, გვსურს მათი სამფარველო კლასები მოვსპოთ და მის ნანგრევებზე საერთო ძმობა ავაშენოთ და აი, ამის შიშით განზე გამდგარან და ჩვენს ხალხს იწვევენ შემოგვიერთდითო! პროლეტარიატი მათთვის იარაღია, საშუალებაა ნაციონალისტური აზრების განსახორციელებლათ და მით სოციალიზმის ძირიანათ ამოსაგდებათ” (ჟორდანიას 1990: 33-34).

ამ ამონარიდიდან გასაგებია, როგორ ხედავდა საქართველოს მომავალს ნოე ჟორდანიას, მისთვის მთავარი საყრდენი სოციალური კლასი გახლდათ. საერთო კონტექსტის გათვალისწინებით ისიც გასაგები ხდება, რამ გამოიწვია არსებული დაპირისპირება, რომ პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა მისი შეხედულებები და ქვეყნის მომავალი ბედიც, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც უდავო ფაქტია, რომ დღევანდელი ქართული სახელმწიფო იმ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა. შესაბამისად, ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ მისი ღვაწლის დაკნინების ან ისტორიული შეფასებებისგან, ეს ისტორიკოსთა საქმეა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე საინტერესო ნამდვილად იყო, რა დოზით და რა ფორმით იზიარებდა ნოე ჟორდანიას იმ პერიოდში არსებულ ეროვნულ ნიჰილიზმს. ამ კუთხით, კი ფაქტია, რომ მან ეროვნული სოციალიზმის სადარაჯოზე დააყენა და სწორედ ამ ყოველივეს უწოდებდა არჩილ ჯორჯაძე „დამქსაქსველ ძალას“. მისი შეფასებით ეს არის „გარეშე პოლიტიკური ძალა და შინაურობაში აღზრდილი კოსმოპოლიტური მიმართულების „წიწილები“ (ჯორჯაძე 1989: 68).

საუბარი ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილით შემთხვევით არ დაგვიწყია, ეს არც იმდენად ქრონოლოგიურობის დაცვის სურვილით ყოფილა განპირობებული, რამდენადაც იმის საილუსტრაციოდ, რომ ეროვნული ნიჰილიზმი შეიძლება ისეთ წვრილმანებში გამოვლინდეს, როგორც თეატრალური წარმოდგენის რეკვიზიტებია და, როგორც ჩანს, მისი წაყრუება უპატიებელი შეცდომაა, უპატიებელი უცხოთვისაც და საკუთარი ერის წარმომადგენლისთვისაც, თუმცა, ერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება მიზანმიმართული ბოროტება იყოს, მეორეში - მხოლოდ გულუბრყვილობა, მაგრამ მისი წაყრუება არამც და არამც არ შეიძლება. ჩვენი მოსაზრების კიდევ ერთ

დადასტურებად მოვიყვანთ ციტატას ზვიად გამსახურდიას ღია წერილიდან, რომლის ადრესატიც სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი გიორგი ქავთარაძე გახლდათ. წერილი ეხება სპექტაკლ „დიდოსტატის მარჯვენას“, ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ეროვნული ნიჰილიზმის საკითხს ეხება: „დავიწყით იმით, რომ თქვენი მეფე არაფრით არა ჰგავს, არც ისტორიულ გიორგის, არც „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირს.... მისი ექსცენტრიზმი თქვენი ნოვაციაა.... ასეთი მეფე საქართველოს არასოდეს ჰყოლია და არც საერთოდ, არც ერთ კულტურულ ქვეყანას. მეფე კეთილშობილების მაგალითი იყო მუდამ და არა უხამსობის, უგუნურობის, პათოლოგიურობის, როგორც თქვენი „მეფე“, რომელსაც თავზე გვირგვინის ნაცვლად, რაღაც ლენტი აქვს შემოჭერილი (ესეც ალბათ გასამახარავებლად და დასამცირებლად) შემოსილია მეფისთვის არაშესაფერისად..... მაყურებელზე ტაკიმასხარას შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე მეფისა. ასეთი რამით თქვენ შეიძლება ვინმეს აამოთ, მაგრამ ვერასგზით ვერ აამებთ ჭეშმარიტ საქართველოს. ეს შეურაცხყოფაა ჩვენი ისტორიისა, ეს არის ჩვენი მტრების წისქვილზე წყლის დასხმა, რომელნიც ნიადაგ ცდილობენ ჩვენი ისტორიის გაბაიზურებას, ნიველირებას. დღეს საერთო ტენდენციაა ჩვენი ისტორიის გმირების და წმინდანების ლაფშიამოსვრა, რაც ერის ფსიქიკაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს, უქმნის მას საკუთარი არასრულფასოვნების გრძნობას, აძლიერებს ეროვნულ ნიჰილიზმის და ინდეფერენტიზმს....“ (გამსახურდია 1991: 530 - 531).

ზემოთ მოყვანილ მსჯელობა გარკვეულწილად ეხმიანება ერთ ეპიზოდს მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „ხუთი ამბავი“. ალვა ჯაფარიძე ახალგზრდებთან საუბრისას ხაზს უსვამს ერთგულებას „წინაშე მეფისა თუ სხვა რომელიმე მთავრობისა, რომელსაც შეჰფიცე, წინაშე ოჯახისა.... წინაშე მშობლებისა...“. მეფის წინაშე მოვალეობა და ერთგულება - ესეც სისხლსა და ხორცში გამჯდარი ჰქონდათ ქართველებს და ეროვნულ თვისებას წარმოდგენდა, ვინაიდან ბაგრატიონები სამშობლო-საქართველოსთან ასოცირდებოდნენ. „ბაგრატიონთა სამეფო დინასტია არის იესიან-დავითიან-სოლომონიანი, სწორედ ასე იწყება ქართველ მეფეთა ბრძანება განკარგულებანი: „ჩვენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონმან მეფეთა მეფემან“. ქართველი ბაგრატიონები ებრაელ მეფეთა შთამომავლებად თვლიდნენ თავს, რადგან იესეც, ძეც მისი-დავითი, სოლომონიც - ძე დავითისა, სახარებაში

მოხსენებულნი არიან ქრისტეს წინაპართა შორის. მაშასადამე, ქართველი ბაგრატიონები და ქრისტე ნათესავები არიან. ეს კი ქართული სამეფო დინასტიის განსაკუთრებულობას მოწმობდა. ამასთან ერთად, ქართველი მეფეები გარკვეულ პერიოდში „მესიის მახვილად“ იწოდებოდნენ. ისინი დამცველნიც არიან და გამავრცელებელნიც ქრისტეს მოძღვრებისა. ქართული ჰაგიოგრაფია ასეთ აზრს ატარებდა: თუკი საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა „ ქართული ის ენაა, რომლითაც უნდა ელაპარაკოს უფალი კაცობრიობას მეორედ მოსვლის ჟამს, ბაგრატიონები კი ქრისტეს ნათესავები არიან, ცხადია, ქართველი ხალხი საგანგებო , განსაკუთრებული მისიის მქონეა. იგი მოვალეა ეს მისია აღასრულოს. ქართული ეკლესია (სამეფო ხელისუფლება) ისტორიულ ასპარეზზე ამ იდეით წარმართავს, ამოქმედებს ქართველ ხალხს“ (ბოლქვაძე 2010 : 27).

ჩვენ მიერ ქვეთავში განხილული მასალები შესაძლებლობას გვაძლევს დავსვათ შემდგომი საკვლევე კითხვა: იყო თუ არა ეროვნული ნიჰილიზმი მოვლენა, რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებდა ერის, როგორც ერთი მთლიანი სხსეულის არსებობის დასუსტებას? მიიჩნევდა თუ არა მას საზოგადოება საშიშ მოვლენად? როდის, როგორ და რა შესაძლებლობებით უპირისპირდებოდა მას? ცნობილი ფაქტია, რომ ჩვენში მწერლობას ყოველთვის იმაზე მეტი ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე პირველადი დანიშნულება - მიანიჭოს ადამიანებს ხელოვნების ნიმუშებით მოგვრილი სიამოვნება.

მწერლობა ყოველთვის გამოხატავდა ეპოქას, მის სისუსტეებსა და ძლიერ მხარეებს. საზოგადოებაში ავრცელებდა იდეოლოგიას და ეს იდეოლოგია, ზოგჯერ თავად მწერლის სუბიექტური ხედვა გახლდათ, ზოგჯერ კი, (უფრო ხშირად) პოლიტიკური დაკვეთა იყო. არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირმა, როგორც ტოტალიტარულმა რეჟიმმა ხელოვნების ეს დარგი პირდაპირ სამსახურში ჩააიყენა, იძლეოდა დაკვეთებს და ღებულობდა შედეგებს.

სხვადასხვა მოღვაწეთა შეხედულებებზე დაყრდნობით დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვა წინასწარ განსაზღვრული გახლდათ და ამ მიზანს საუკეთესოდ სწორედ მწერლობის წარმომადგენლები შეასრულებდნენ, ისევე როგორც პირიქით. სწორედ ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა რეჟიმი მათ, ვინც ოდნავ მაინც მიუღებელი იყო სისტემისთვის. დღევანდელ თაობებს შეიძლება წარმოუდგენელ ამბად ეჩვენებოდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ქვეყანამ ის

პერიოდის გამოიარა, როდესაც მეზობლები ერთმანეთის ოჯახებში მოსმენილი ე.წ. „ანეგდოტების“ გამო ასმენდნენ.

დღეს შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ რეჟიმის წარმომადგენლები განსაკუთრებული გონებამახვილობით ვერ გამოირჩეოდნენ, როდესაც ასეთ ფაქტებზე დაყრდნობითაც კი გამოჰქონდათ განაჩენი, ისიც ცნობილია, რომ ასეთი ერთი და ორი შემთხვევა არ ყოფილა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ადამიანთა ბედი სწორედ მსგავს შემთხვევითობებზე იყო დამოკიდებული. შესაბამისად, ეს ყოველივე ადასტურებს რამდენად მნიშვნელოვანია სიტყვა, როგორც იარაღი. მით უფრო, მხატვრული სიტყვა - მწერლობა, რომლის წარმომადგენლებსაც განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა რეჟიმი და რამდენად მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევდა სწორედ ეს სიტყვა მის არსებობას და დროში ხანგრძლივობას.

თუმცა, ეს ბრძოლა, რა თქმა უნდა, რთული იყო და ფიზიკურ დონეზე მოგებული რჩებოდა ის, ვის ხელშიც ძალაუფლება იყო. თუმცა, არსებობდნენ ისეთები, ვისაც არანაირი შიშის გამო არ უთქვამს თავის უმთავრეს მოვალეობაზე, რასაც იმდროინდელი ეპოქა უყენებდა, უარი არ უთქვამს ისეთ ზედროულ ჭეშმარიტებებსა და ღირებულებებზე, როგორც იყო ადამიანი, სამშობლო და მისი მომავალი არსებობა.

რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს და თავში დასმულ შეკითხვას, როგორი იყო მისი დამოკიდებულება ეროვნული ნიჰილიზმისადმი, პასუხი ერთმნიშვნელოვანია, იგი არასდროს შეგუებია ამ მოვლენას, პირიქით. ყოველთვის მძაფრი კატეგორიულობით ეწინააღმდეგებოდა მის გამოვლინებებს, რადგან კარგად ესმოდა მისი მავნებლობა, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიღებდა შედეგს და ეს შედეგი იქნებოდა ყველაზე რთულად დასაძლევნი ქვეყნის მომავალი თაობებისთვის. მიხეილ ჯავახიშვილს კარგად ესმოდა, რომ ნებისმიერ რეჟიმს აუცილებლად დაუდგებოდა ლოგიკური დასასრული და ამ მხრივ არც სისხლიანი საბჭოთა კავშირი იყო გამონაკლისი, მაგრამ ისიც ზუსტად იცოდა, რომ ბევრად რთულად გამოსასწორებელი იქნებოდა ერში დანერგილი ნიჰილიზმი, რადგან, პირველ რიგში, სწორედ ეს ფაქტი არ მისცემდა ერს ბრძოლის და წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას. ამიტომ იყო, რომ მისი პუბლიცისტიკის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ მოვლენის არსის გააზრებასა და მისი უსაფუძვლობის დადასტურებას წარმოადგენდა ისევე, როგორც მხატვრული შემოქმედება. თუმცა, ამ მხრივ შეიძლება მკითხველისთვის

ცნობილი ფაქტია, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში არსებობს ისეთი ტექსტები, როგორცებიცაა „ქალის ტვირთი“ ან თუნდაც, „არსენა მარაბდელი“, რომანი, რომელმაც არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია, თუმცა მისია შეასრულა, საბჭოთა რეჟიმის წინაშე ე.წ. ხარკი მოიხადა. ვრცელ ციტირებებს, რა თქმა უნდა, მოვერიდებით, თუმცა ერთ-ერთ მათგანს, მკითხველისთვის ცნობილ ფრაზას მოვიხმობთ არსენას და ზაალ ბარათაშვილის ცნობილი დიალოგიდან, როდესაც იგი თავს დაეცემა ყოფილი ბატონის სასახლეს და საკუთარ პირობებს წაუყენებს ნაბატონარს: „ - იმავე განჯინაში ძველი დროშა გიყუდია. თავადები დაბერდით, დაძაბუნდით და ველარ ატარებთ. ჩვენ კი ეს არის ახლა დავიბადენით, მკლავიც გვიჭრის, გულიც გვერჩის და თქვენზე უკეთაც მოვუვლით. იძლევი თუ არა?

-ვიძლევი, ვიძლევი! - თითქმის სიხარულით ჩამოსძახა მეწინავე დროშის გუშაგმა.... ზაალიც ხვნეშით ჩამოჰყვა და ხალთაში გახვეული დროშა არსენას მიაჩეჩა. მიაჩეჩა და თითქმის სირბილით გაბრუნდა.

- აგრე. მაღიანად გაიმეორა არსენამ, დროშა მხარზე გაიდო, ლურჯა მოატრიალა და თავისიანებს მიაძახა, მომყევით“ (ჯავახიშვილი 2014: 62).

ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთში სათანადო სიმძაფრით ვლინდება ნაწარმოების მთავარი სათქმელი და თითქოს, უმთავრესი დაპირისპირების მიზეზი. რა თქმა უნდა, რთულია არ დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ ზაალ ბარათაშვილი საკმაოდ სუსტ პიროვნებად გამოიყურება, როგორც ამ მონაკვეთში, ისე მთელი ნაწარმოების მანძილზე. არაფერი მასში ძველი დიდებულებისა აღარ ჩანს. მეორე მხარეა, ემთხვევა თუ არა, მიხეილ ჯავახიშვილის შექმნილი პერსონაჟი მის რეალურ პროტოტიპს? რადგან ამ შემთხვევაში რთულია მწერლმა თავია არიდოს საბოლოო მიზანს, რომლის გამოც ქმნის ამა თუ იმ პერსონაჟს.

ისტორიული რომანები კი ზედმეტ მხატვრულობას, შემოქმედებით ფანტაზიას ხშირად სწირავენ რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს. ეს არაერთხელ მომხდარა როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ლიტერატურაში და ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითს ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“ წარმოადგენს, რომელშიც გრიგოლ ხანძთელს არაფერი აქვს საერთო მის ისტორიულ პროტოტიპთან.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ ზაალ ბარათაშვილის მხატვრული სახე იგივე მოვლენაა, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილმა შექმნა პერსონაჟი, რომელმაც სწორედ ამ

შესაძლო უზუსტობის გამო გამოიწვია პოლემიკა მკითხველში, რადგან ამ ნაწარმოებში მიხეილ ჯავახიშვილი ჩვეული დაუნდობლობით ამხელს ქვეყნის მანკიერს და მისთვის არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელს ეხება საყვედური.

ვერ დავეთანხმებით გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ამ ტექსტით მიხეილ ჯავახიშვილი მიზნამიმართულად აკნინებდა თავადაზნაურობის როლს ქვეყნის ისტორიაში. რომანის ამ მიმართულებით ანალიზი საინტერესოდ გვეჩვენება, რადგან ვფიქრობთ, რომ სწორედ აქ არის პასუხი, თვითდაუნებურად ჩადგა თუ არა მიხეილ ჯავახიშვილი მათ რიგებში, ვინც ეროვნული ნიჰილიზმის გადრმავებას შეუწყო ხელი ისეთი ნაწარმოებებით, როგორებიც დასახელებული რომანი, „ჯაყოს ხიზნები“ და „კვაჭი კვაჭანტირაძე“ გახლდათ? არადა, ფაქტია, რომ მან დანის პირზე გაიარა ზაალ ბარათაშვილის, კვაჭის, თეიმურაზის სახეების შექმნით. თითქოსდა, სრული საფუძველი მისცა მკითხველს ოდესღაც ილიას მისამართით ნათქვამი სიტყვები: „ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია“, მის შესახებაც გაემეორებინათ და სათანადო არგუმენტებიც დაეძებნათ საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში. თუმცა, ჩვენ ამჯერად გავიზიარებთ ბატონი გივი მაღულარიას აზრს, რომელიც წერილში „კვაჭი კვაჭანტირაძის სინდრომი“ წერდა: „მიხეილ ჯავახიშვილს მოვლენების ობიექტურად, აწონილ-დაწონილად შეფასება უყვარდა და ვიწრო, ტენდენციური და კორპორაციული რომ არ გამოჩენილიყო, მოქმედების განვითარებაში არ ერეოდა, საკუთარ შეხედულებებს არავის ახვევდა თავს. მისთვის უცხო იყო სხვების მოტყუება, სინამდვილის რომანტიკულ ბურუსში გახვევა. იმ ნაკლს, იმ სიბრიყვესა და უგუნურებას, რაც დასანახი და გამოსამზეურებელი იყო, ნათლად, მთელი სიგრძე-სიგანით ხედავდა და ისეთი ფერებით მოსავდა, როგორსაც იმსახურებდა. ამიტომაც არ გაურბოდა ამ სინამდვილეს, სადაც დამაიმედებელი არაფერი ჩანდა“ (ლიტ.საქ. 1993, გვ.14).

ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის შესახებ საუბრისას განსაკუთრებული მნიშვნელობის წერილად მივიჩნით მიხეილ ჯავახიშვილის ე.წ. პასუხი ნიკოლო მიწიშვილის ცნობილ ესეზედ, რომელმაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია იმდროინდელ საზოგადოებაში და არანაკლებ აქტუალურობას იჩენს დღევანდელ ნიჰილიზმით ცნობილ ეპოქაშიც.

„მასალები ლექციისთვის“ 1927 წელს დაიწერა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის ვრცელი პასუხი, რომელსაც თითქოს, ერთი კონკრეტული ადრესატი ჰყავს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ შინაარსობრივად მისი მნიშვნელობა სცდება კონკრეტული მოვლენისადმი მწერლის რეაქციას და დღეს განსხვავებულ ფუნქცია იძენს.

დასაწყისში ავტორს არაერთი ამონარიდი მოჰყავს მიწიშვილის წერილიდან. თანდართულ კომენტარებში ზუსტად ისახება ამ ორ ავტორს შორის არსებული არსებითი განსხვავება დამოკიდებულებებსა და შეფასებებში. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ „ერთი შეხედვით, მიხეილ ჯავახიშვილი არ მიეკუთვნებოდა იმ მწერალთა რიგს, რომელსაც არ ახასიათებდა სკეპციზიზმი. შეიძლება ითქვას, რომ „ჯაყოს ხიზნების“ ავტორისგან შეიძლება წარმოუდგენლადაც კი მოგვეჩვენოს ის შეფასებები, რომელსაც ამ წერილში ვხვდები. არადა, ფაქტია, რომ იგი შესაშური რადიკალურობით უპირისპირდება ნიკოლო მიწიშვილს და საპასუხო წერილის შექმნის მიზეზსაც თავადვე ხსნის: „პოეტიც სტირის და მოსთქვამს (მიწიშვილი) „არც არაფერი ვყოფილვართ, არც ეხლა ვართ, არც შემდეგში ვიქნებით“. არ ვიცი, იქნება ამან სხვა ვინმე დააფრთხო . მე კი წერილი ჩავიკითხე და მივაწერე: „რამ შეგაშინა მაგრერიგად, ძმობილო? რას მაშინებ, რით მაშინებ! შენი არც მეშინიან და არცა მჯერა“. მაინც გავიფიქრე: „ამ კაცის რწმენა ექვის ჭიებს შეუჭამიათ, ხოლო ეს სენი შავი ჭირივით გადამდებია. ისედაც მრავლად არიან საკუთარის აჩრდილით დაშინებულნი. სხვებიც დასწერენ, გაიმეორებენ, აჰყვებიან ერთმანეთს, აგლოვდებიან და ცოცხალ ხალხს საქვეყნოდ პანაშვიდს აგვიგებენ“. აი, ამან ამაღებინა კალამი ხელში"(ჯავახიშვილი 2001:).

ჯავახიშვილის აზრით, არა კონკრეტულად რომელიმე მოღვაწის, პოეტის, ხელოვანის კერძო აზრია საგანგაშო, არამედ, ის თუ რა რეაქცია შეიძლება გამოიწვიოს ამ აზრმა. მისთვის მსგავში მასშტაბის პესიმიზმი გაუმართლებელია, მაშინ, როდესაც საქმე ეროვნულ თვითშეგნებას და თვითგამოხატვის ფორმებს ეხება, რადგან ზუსტად განსაზღვრავს შესაძლო შედეგებს, რომელსაც ნებლიეთ თუ უნებლიეთ შეიძლება ჩვენვე ვუკეთებდეთ პროვოცირებას: „ათჯერ და ასჯერ უთხარით ვინმეს ჩააგონეთ და დააჯერეთ, რომ მისი მშობლები ლოთები იყვნენ, მისი პაპა და ბებია - ავაზაკი და მეძავი, ხოლო დანარჩენ წინაპრებად ველურები, ათაშანგიანები, უვიცები, კრეტინები და უბადრუკნი ჰყავდა. დააჯერეთ, რომ თვითონ ისიც, ასეთი წინაპრების ღვიძლი

შვილი, არაფრის არაფერია - ლატაკი, გონჯი, დაავადებული, უზნეო და უმეცარი. მრავლად შეუშხაპუნეთ ამ ჯანმრთელ ადამიანს ეჭვის ბაქტერიები, ჩაუნერგეთ მტკიცე რწმენა თავის თავის არარაობისა და შემდეგ თვალი ადევნეთ. ეს ადამიანი სულიერად მოიშლება, მოიღუნება, მოტყდება და დაავადდება. ამ სენს ჰქვია ნებისყოფის აბულია. ჰგდია ჯანსაღი ვაჟკაცი და თითსაც ვეღარ იქნევს, ჰგდია და ელოდება სიკვდილს, ზოგჯერ კი მოლოდინის უნარიც აღარ აქვს“ (ჯავახიშვილი 2001: 645) .

ფაქტია, რომ მიხეილ ჯავახიშვილს, არა კონკრეტულად ნიკოლო მიწიშვილის ეს წერილი აშფოთებს, არამედ მისი პათოსი და დამოკიდებულება, რომელმაც შეიძლება წლების შემდგომ მოიტანოს სავალალო შედეგი. ფაქტია, რომ მსგავსი დამოკიდებულება დღეს კიდევ უფრო მეტად გაძლიერებულია ქართულ საზოგადოებაში, მისი დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ადვილად იკვებება წარსულის და მისი მნიშვნელობის, შესაბამისად, მომავლის იმედის უარყოფელი პათოსი. გადახედეთ დღევანდელ საზოგადოებას, განსაკუთრებით მომავალ თაობას, რომელსაც თითქმის აღარ გააჩნია საკუთარი ქვეყნის, როგორც ერთი მთლიანობის გადარჩენის რწმენა და ადვილად დავრწმუნდებით, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შიში ნამდვილად გამართლდა. ამიტომ განსაკუთრებით ყურადსაღებია, რა მიაჩნდა მას ამ იდეოლოგიის მთავარ დანიშნულებად: „ვიცი, რატომ შესცქერიან ალმაცერად ზოგიერთები ჩვენს წარსულს და მომავალსაც. ჩვენი წარსული ზოგჯერ მართლა საზარელია, იგი სავსეა შავი ფურცლებით, საზღაპრო საზიზღრობით. ყოველნაირი ლენცოფა და შხამიანი ბალახი უხვად არის გაბნეული ჩვენს გზაზე: ურთიერთის ჭამა და მუხანათობა , ლალატი, მზაკვრობა, „ყიყვი და ეშმაკი. მაგრამ ამის გამო ჩვენი წარსულისა და საკუთარი თავის დაფასების დროს საღი მსჯელობის უნარს ნუ დაგვარგავთ და უკიდურესობაში ნუ გადავვარდებით. გავიხსენოთ და დავიხსომოთ ერთი კანონი, რომელსაც ვერავინ გაექცევა : დავრდომილს, დამარცხებულ სხეულში და ტანზედაც მუდამ ჩნდება ათასნაირი შხამი, ბაცილა, მუწუკი, ჭირი. ჩვენი შინაური რღვევა და აღრევაც, მზაკვრობა და მუხანათობაც, „ყიყვიც და ეშმაკიც“ მუდამ შედეგი იყო ჩვენი დამარცხებისა გარეშე მტრისგან. ძარღვგადაჭრილი, იმედდაკარგული და გამწარებული ორგანიზმი იწყებს თავის ღრღნას და ჭამას. ამიტომ მოსდევდა ჩვენს დამარცხებას ანარქია, სიმშვილი, ეპიდემია, ზნეობრივი გახრწნა განდგომა, კონდოტიერობა და დაშლა პროვინციებად. გამარჯვებული მუდამ ხელს უწყობს ამას:

შლის, არღვევს, აქეზებს, ერთმანეთზე უსევს და ამრავლებს „ყიყვს და ეშმაკს“. და ჩვენს ისტორიაში წითელი ზოლებივით მოჩანს გამარჯვებული მტრის მომუშავე მკლავი და ამით და მხოლოდ ამით აიხსნება რომ საქართველო მუდამ დაქსაქსული იყო“ (ჯავახიშვილი 2001: 651).

ვკითხულობთ ამ საკმაოდ ვრცელ ამონარიდს წერილიდან და თითქოს, გასული საუკუნიდან ვღებულობთ პასუხს დღეს აქტუალურ პრობლემებზე, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე. თითქოს მიხეილ ჯავახიშვილი საბჭოთა იმპერიის დაშლასაც მოსწრებოდეს და ჩვენს დამოუკიდებლობის წლებსაც, თითქოს ამ ბოლო 25 წლის შედეგებს აღნუსხავდეს ჩვენ თვალწინ. სწორედ ეს ჭირს დღეს ახალ დამოუკიდებლობა მოპოვებულ ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შედგა სახელმწიფოდ, რადგან მტერი სწორედ იმავე მეთოდებით მუშაობს ჩვენ წინააღმდეგ, როგორც ეს არაერთგზის უკეთებია საუკუნეების მანძილზე, მით უმეტეს, რომ არც თავად შეცვლილა და არც მისი მიზნები და დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი. სწორედ ამიტომ გვაქვს დაკარგული ტერიტორიები, შეუძღარი სახელმწიფო სტრუქტურები და ბედის ანაბარა მიტოვებული ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, როდესაც ერთადერთ საზრუნავად ოჯახის გამოკვება, ესე იგი, პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ქცეულა. გვიჭირს ამ უბედურების სათავის გააზრება და გაანალიზება, რომ ეს ხელოვნურად გამოწვეული მდგომარეობაა, რომელიც რაც უფრო დიდ ხანს გაგრძელდება დროში, მით უფრო წარმატებით მიაღწევს დაინტერესებული მხარე მიზანს.

სწორედ ამ ყოველივეს თავიდან ასაცილებლად გვთავაზობს ჯავახიშვილი გამოსავალს, იქნებ ჯერ კიდევ არ იყოს გვიან მისი მოსაზრების რეალურ ცხოვრებაში გააზრება და გაზიარება: „უეჭველად საჭიროა სიმართლის აღდგენა, ანგელოზის მოძებნა და პოვნა, თორემ არ ძალუძს უანგელოზო ცხოვრება და განვითარება არც ცალკე პიროვნებას, არც ეროვნებას, არც რომელიმე მის ნაწილს. ბუნებაში ცარიელი ადგილი არ არსებობს. ამიტომ ვინც (ერმა თუ პიროვნებამ) თავისი გულიდან ანგელოზი განდევნა ან დაჰკარგა, მან განთავისუფლებული ადგილი ეშმაკს დაუთმო. ხოლო ვისაც მარტო ეშმაკი დარჩა, თვითონაც გაეშმაკდა - გონებითაც, სისხლითაც და სულითაც. რწმენა ვინმესი ან რამესი - ქრისტესი, მაჰმადისა, ეროვნებისა, პროგრესისა ან თუნდაც რომელიმე კერპისა - აი, მხოლოდ ეს რწმენა და განვითარებული გონება ასხვავებს

მეტყველ ადამიანს ურწმუნო პირუტყვისგან. სრულს ურწმუნობას ისევ სატანიზმი სჯობია. ძველი ქალაქების - სუზისა და პერსეპოლისის ნანგრევებზე დღესაც დარჩა ერთი მუჭა ხალხისა, რომელიც სატანას სცემს თავიანთს. ურწმუნობას კი ფეხდაფეხ მოსდევს სკეპციზი და ცინიზმი... უფრო უარესიც - ზნეობრივი გახრწნა, ეროვნულ - ფიზიკური დეგენერაცია, ასნაირი ბოროტება, ავაზაკობა და ისევ უსახელო სიკვდილი“(ჯავახიშვილი 2001: 652).

ვიდრე დეტალურ განხილვას შევუდგებოდეთ, გვინდა ჩვენი საკვლევი თემისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას ერთგვარი ლიტერატურული ექსკურსით გავცეთ პასუხი. რა თქმა უნდა, მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოზიცია, როგორც მწერალს, მიხეილ ჯავახიშვილს ეკუთვნის. თუ ვივარაუდებთ, რომ მწერლობა, ლიტერატურა, პოეზია იმ რეალობის ნაყოფია, რომელ რეალობასაც ეკუთვნის და ნიადაგის გარეშე ვერ ჩნდება, მაშინ საინტერესოა, როგორ სურათს იძლევა ჩვენი ლიტერატურა, როგორ „ვითარდება“ ქართული ხასიათი ან რა არის ამ ხასიათის უმთავრესი შტრიხი. რომელი პერსონაჟები და ავტორები ქმნიან ჩვენს აზროვნებაში ჯაჭვს და აქვს თუ არა ამ „სვლას“ დასასრული?

ამ მონახაზის იდეის ბიძგის მიმცემად იქცა აკაკი ბაქრაძის ფრაზა : „თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომართმევთ, ავთანდილის შორეულ პროტოტიპად დავით აღმაშენებელი მიმაჩნია“ - ხომ არ ნიშნავს მისი ეს კომენტარი იმას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სხვა საქართველოში ვერ შეიქმნებოდა? ხომ არ იგულისხმება, რომ რუსთაველი შორეული წინაპრების ისტორიას გადმოსცემდა პოემაში, მათ ხასიათს ხვევდა ლიტერატურულ საბურველში. ასე რომ, ამ ჯაჭვს იწყებს ავთანდილი - თავისუფლების, მოყვასისთვის თავგანწირვის, სიყვარულის და მეგობრობის უდავო სიმბოლო. შემდგომ საუკუნეებში, ე.წ. აღორძინების ხანის მწერლები გურამიშვილი და სულხან-საბა პერსონაჟს არა, მაგრამ განწყობის კვალს მაინც ტოვებენ, რომელსაც აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას დაკვირვებული მკითხველის თვალი - „დაჯაბდნენ გულად მამაცნი, მძლეთა მეზრძოლთა მძლეველნი“, გურამიშვილი რუსთაველის ცნობილი ფრაზის „მძლეთა მეზრძოლთა მძლეობის“ თავისებურ ცვლილებას გვთავაზობს და ხასიათში მომხდარ დეგრადაციაზე აკეთებს აქცენტს. მათ შემდგომ გამოჩნდება „მერანის“ ავტორი, რომელიც „ბედი ქართლისაში“ საინტერესო „გადახვევას“ გვთავაზობს - „მორბის არაგვი არაგვიანი“ - ვინ არის ის ქართველი,

რომელიც რაც უნდა გზასა ეშურებოდეს, მაინც არაგვის ჭალების სილამაზით მოხიბლული სიმღერისა და გამომძინების სიამოვნებაზე თავს უარს არ ეტყვის და დაგვიანებულ, გაფუჭებულ საქმეზე დარდითაც არ შეიწუხებს თავს? ეს უსახელო პერსონაჟი, თითქოს კიდევ უფრო „შორსაა წასული“ , თუმცა, მისი ქცევა ჯერ კიდევ მომხიბვლელობის საბურველშია გახვეული, ეს ჯერ მხოლოდ თავზეხელაღებულობაა და არა თავაშვებულობა და უდარდებლობა, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება ჩვენს ხასიათში.

(ამ უსახელო პერსონაჟის შესახებ ეს მოსაზრება გვხვდება როსტომ ჩხეიძისთან) სამწუხაროდ, ტემპი აშკარად მატულობს და ილიასთან უკვე ლუარსაბ თათქარიძე გამოჩნდება - ტიპი, რომელიც მრავალს ჰგავდა და მრავალი იმსგავსებდა, პერსონაჟი, რომლის შექმნის გამო ათასგზის დავემეთ ილია, რადგან მას მოვლენას სახელი დაარქვა, მიგვანიშნა, რომ ლუარსაბის ცხოვრების სტილი, ხასიათი კარგს არაფერს გვიქადდა - „მაშ , რაზედ დგას აგრე ცუდად?“- გვიკთხავს ავტორი და დარწმუნებით გვიპასუხებს: „იმიტომ, რომ ქართველია“ - ეს უკვე უპასუხისმგებლობაა, უზრუნველობით მოსული უპასუხისმგებლობა, რომელიც უპირველესად ეზოს და სახლს შეემჩნა, თათქარიძის სახლს უკვე „ღობე აქვს მორღვეული“, მაგრამ ლუარსაბს ჯერ კიდევ ვერ „შეუვარდები“ სახლში ადვილად, თუმცა „ღობის მორღვევა“ უკვე ნიშანია, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენდა სამწუხაროდ, გაჩნდება მისი ლიტერატურული მემკვიდრე, მიხეილ ჯავახიშვილის თეიმურაზი - ნათავადარი, ნავექილარი, ნაკაცარი...., რომელსაც ჯაყო მოუღებს ბოლოს და თითქოს ამაზე უარესი ვედარაფერი მოხდება, თითქოს დასრულდა პროცესი, მაგრამ ,სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული ლიტერატურა იცნობს ვაჟა გიგაშვილის ტექსტს - „ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“.

შეიძლება ჩვენი ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდი იყოს, მაგრამ არსებობის უფლება ნამდვილად გააჩნია, ისევ და ისევ ლიტერატურის დანიშნულების კანონზომიერებიდან გამომდინარე. ასე რომ, ავტორი, რომლის პერსონაჟის ერთ -ერთი ყველაზე ძლიერი სილის გაწვნა იყო ქართული ეროვნული თვითშეგნებისთვის, და შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება კიდევ უფრო მეტად მკაცრი იყო შეფასებისას, რადგან ლუარსაბ თათქარიძისგან განსხვავებით, რომელიც სიზარმაცის მეტაფორადაც იქცა ჩვენს აზროვნებაში, პატივყარილი და დამცირებული თეიმურაზის მიღება და საკუთარ მესთან იდენტიფიცირება ვერასდროს მოახერხა ქართველმა.

ეროვნული ნიჰილიზმის შესახებ პოლემიკისას არგუმენტად სხვა მრავალ მიზეზთა შორის მიხეილ ჯავახიშვილი იშველიებს მეტად საინტერესო მოსაზრებას და ეს არაა მხოლოდ ისტორიული ექსკურსი და მასზე დაფუძნებული შეხედულებები. იგი ამბობს: „ნუ მეტყვიან - ფიზიკური ჯიში ანგარიშში ჩასაგდები არ არისო. კულტურების მსოფილო გამოფენაზე ანტროპოლოგიურ ჯიშინობასაც ისეთივე ფასი აქვს, როგორც სულისა და გონების ამა თუ იმ ნაყოფს, რადგან დახვეწილი ჯიშიც დიდი კულტურის შედეგია. ვისაც ჰხიბლავს ელინის პროფილი, რომაელის შუბლი ან ასურელის კუნთი, მას ქართველის თვალი და ცხვირიც მოაჯადოებს. ოღონდ ჩვენს თვალტანადობას სათანადო გატანა სჭირდება მსოფლიო გამოფენაზე... და თუ პოეტი ვერ ხედავს ძველი ბრინჯაოსგან გამოკვეთილი ქართველის ტიპს (იგულისხმება მიწიშვილი - ხაზი ჩვენია ნ.ბ) ან იმის ნაცვლად კრეტინი ელანდება - ეს მისი დაბინდული თვალის ან ნატკენი გულის ბრალია. ჩვენს ფიზიკურ აღნაგობაში განუყრელად ჩაღვრილია ბიოლოგიური გამძლეობაც. მარტო ეს ერთი მაგალითი ნათლად ამტკიცებს ჩვენს უბერებლობას: მარტო წინა აზიაში, ჩვენს გვერდით და გარშემო ოციოდე დიდი ერი და სახელმწიფო დაიღუპა, ზოგნი კი მიიღვივნენ და დაიშრიტნენ. ეს ერები რიგ-რიგად გვფლობდნენ. შემდეგ ბატონები რიგ-რიგად დაგვეხოცნენ, ჩვენ კი ისევ ფეხზე ვდგევართ“ (ჯავახიშვილი 2001: .646).

მიწიშვილის წერილის შესახებ, რა თქმა უნდა, ჯავახიშვილის შემდგომ ბევრი დაწერილა, არაერთხელ შეფასებულა და გადაფასებულა მისი კონკრეტული შინაარსი საზოგადოებისთვის აღარანაირ სიახლეს აღარ წარმოადგენს, მაგრამ ფაქტია, რომ მსგავს იდეოლოგიას ჯიუტად ქმნიდნენ და ემსახურებოდნენ საბჭოთა იმპერიაში. სხვადასხვაგვარი იყო ამ მოღვაწეთა პროგრამა და საზრუნავი. ბევრმა მათგანმა ძალა და უნარი ეროვნული ნიჰილიზმის ქადაგებასა და დანერგვას შეაღია. პარტიათა გაუთავებელ იდეოლოგიურ ბრძოლასა და პრაქტიკულ საქმიანობაში არცთუ ისე ადვილი იყო სწორი ეროვნული ორიენტირის პოვნა. ეროვნულ საკითხში ერთგვაროვანი არ იყო არა თუ ქართველ მარქსისტთა ორიენტაცია, არამედ თვით მენშევიკთა შორისაც იგი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იღებდა და მძაფრი პოლემიკის საგანი ხდებოდა (მაგალითად, თუ ჟორდანიას, წერეთლის, ჩხეიძის ჯგუფი უგულვებელყოფდა ეროვნულ მომენტს რევოლუციაში, ჯიბლაძე--რამიშვილის თანამოაზრეთა კონცეფციაში იგი, გარკვეულწილად, პრივალირებდა კიდეც).

მიხილ ჯავახიშვილისათვის ეროვნული საკითხი მთავარი იყო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კვლავ ვიმეორებ, დასაშვებად ვთვლი, რომ საამისო ბიძგი მან ბავშვობაშივე მიიღო, ეროვნული ყოფის თვალსაზრისით სრულიად გაუბედურებულ გარემოცვაში რომ იზრდებოდა. კაცმა რომ თქვას, ამ თვისებებში სულიერი გაორებისათვის დამახასიათებელი საპირისპირო პოლუსებიც ილანდება. ჩვეულებრივ შემთხვევაში აქ მართლაც შეიძლება ვივარაუდოთ ხასიათთა -ანტიპოდთა შეუთავსებლობა. მაგრამ ჩვენ ხომ საქმე გვაქვს უჩვეულო მოვლენასთან – მრავალმხრივი პიროვნების სულიერი ფორმირების ფაქტთან, ვისი ცნობიერებაც სწორხაზოვნად არ ვითარდება და ვისი შემეცნებითი ფენომენიც წინააღმდეგობათა ჭიდილში შობილ გამთლიანებულ მსოფლგანცდას ემკვიდრება.

მსჯელობისას ვეცადეთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობასთან გვეპოვა პარალალები, კიდევ ერთხელ დაგვენახა იგივე მიზეზები, რა მიზეზებმაც განსაზღვრა ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა, ჯავახიშვილის მოსაზრებების საფუძველზე დაგვესაბუთებინა, რომ ეს ყველაფერი ისტორიული წარსულის გამოცდილებაა და რომ ეს წარსული ისევ და ისევ საბჭოთა იმპერიას უკავშირდება, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია ჩვენს თანამედროვეობაში.

ძლევამოსილი კავშირის ნოსტალგია ჯერ კიდევ არაერთ ადამიანს აწვალებს ეს კი მხოლოდ ეკონომიკური „კეთილდღეობით“ ვერ აიხსნება. მიზეზები ჩვენს თანამედროვეებსაც უძებნიათ და უძებნიათ მაშინაც, როცა რეჟიმი უკვე კარგავდა „დიად“ შესაძლებლობებს. ქართველ სოკრატედ წოდებულ მამარდაშვილის აზრით, „როცა უტოპიის დევნაში ისტორიიდან და დროიდან ამოვარდები, იკარგება სასიცოცხლო ძალების ნორმალური ურთიერთგაცვლის გრძნობა, ადამიანთა შორის ურთიერთობის შეგრძნება, რაც ადამიანისა და მისი ბუნების ისტორიულ სტრუქტურას ქმნის. რევოლუციის შემდეგ სსრკ-ში ყველაფერი არანორმალური გახდა; ეს იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთგვარი კოლექტიური თვითმკვლელობა. ქვეყანა აღმოჩნდა „ცხოვრების მიღმა“ და ყოველივე ამან დიდი დაღი დაასვა ლიტერატურას, სოციალურ მოვლენებს, ყველას და ყველაფერს“ (მამარდაშვილი 2003: 114).

ამ დაღში უპირველესად საკუთარი იდენტიფიკაციისადმი დამოკიდებულება იგულსხმება, უფრო ზუსტად, ერმა დაკარგა საკუთარი თავის რწმენა, რაც შესაბამისად აისახა თვითგამოხატვის ზემოთ ხსენებულ ფორმებში, თუმცა მისივე აზრით,

„სიცოცხლის მოკვლა არ შეიძლება. ყველაზე საშინელი რეჟიმი, როგორც საბჭოთა რეჟიმი იყო, თავისი საშინელებებით ნაცისტურ რეჟიმსაც რომ ვერ შეედრება, მანაც კი ვერ შეძლო სიცოცხლის განადგურება, რადგან სიცოცხლე ტროტუარს ამოხეთქავს, როგორც ზოგიერთი ყვავილი“ (მამარდაშვილი 2003: 102).

რა ფორმით, სად და როდის „ამოხეთქავს“ ერის შინაგანი მუხტი ჯერ კიდევ გაურკვეველია, რადგან, როგორც ისევ და ისევ მამარდაშვილი ამბობდა, თავის დროზე: „ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე თხევადი საწამლავივითაა, რომელიც ბევრად უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე ცენზურა და ავტორების დევნა. ის შიგნიდან გლრდნის. ის შიგნიდან იჭრება ტვინში და ეს ძალზე მომხიბლავია, რეალურად გიზიდავს. საიდან მოდის ეს ხიბლი? იქიდან, რომ ასეთი აზროვნება ნებას იძლევა თავი ჭკვიანი გეგონოს, დაიჯერო, რომ ყველაფერი გესმის, თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე“ (მამარდაშვილი 2003: 103).

სწორედ ეს ტოტალიტარული აზროვნება წამლავდა საზოგადოებას, რომლის სივრცეშიც მოუხდა ცხოვრება მიხეილ ჯავახიშვილს, ამას ეფუძნებოდა ეს გაუთავებელი შეგონებები, საწინააღმდეგო გამოსვლები, უარყოფები, დამომღვრები, რომელიც ეხებოდა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებას და მის პიროვნებას. იყო ეტაპები, როდესაც რეჟიმი თითქოსდა, ურიგდებოდა ჯავახიშვილის არსებობას, მაგრამ მაშინ, როდესაც განსაკუთრებული ძალით ამოხეთქავდა მისი განსხვავებულობა, მაშინვე ამოქმედდებოდა რეპრესიული მანქანა. ფსიქოლოგიური წნეხი, რომელსაც განიცდიდნენ სოციალიზმისგან შორს მყოფი მწერლები, ე.წ. წარსულის გადმონაშთები და რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა. შედეგები შემზარავი იყო, რადგან ზოგი თვითმკვლელობით ასრულებდა სიცოცხლეს, ზოგისთვის ხელისუფლებას გამოჰქონდა განაჩენი და ამას ისევ და ისევ მათივე „კოლეგების“ სახელით ახერხებდა.

1932 წელს, მწერალთა სახლში გამართულ „პროზის საწარმოო თათბირზე“ ჯავახიშვილის შესახებ ბესარიონ ჟღენტმა განაცხადა: „ჯავახიშვილი ისეთი მწერალია, რომელმაც თავისი პირველი ნაწარმოებებით გამოგვათქმევინა იმედი, რომ იგი მივიდოდა რევოლუციონურ სინამდვილესთან და გახდებოდა საბჭოთა მწერლად. მაგრამ კლასთა ბრძოლის შემდეგმა განვითარებამ ჯავახიშვილი აშკარა მემარჯვენე ბანაკში მოაქცია. იგი არათუ არ განვითარდა, არამედ პირიქით, „უკან წავიდა“..... ალი არსენიშვილის აზრით: „გაზვიადებულია ის ყურადღება, რომელიც თათბირმა

გამოიჩინა მ. ჯავახიშვილისადმი. ჯავახიშვილი არ არის ისეთი დიდი მწერალი, რომ საჭირო იყოს ამდენი ლაპარაკი მის შემოქმედებაზე.

ჯავახიშვილის შემოქმედებაში არის ორი პერიოდი: ერთი რევოლუციამდე, მეორე – რევოლუციის შემდეგ. ჯავახიშვილი სავსებით დარჩა იმ დონეზე, რომელიც მას ახასიათებდა თავის შემოქმედების პირველ პერიოდში. ჯავახიშვილი ახლაც იმ მეშჩანურ წუმპეში ცურავს, რომელიც გაბატონებული იყო მის პირველ მოთხრობებში“... მიხეილ ჩიქოვანი: „არსენა მარაბდელში“ მიჩქმალულია კლასთა ბრძოლა. მ. ჯავახიშვილის ენა არის ფეოდალურ-არისტოკრატიული კლასის ენა. რატომ არ შეიძლება ჯავახიშვილი მივიჩნიოთ ენის საუკეთესო ოსტატად, რადგან მისი ენა არ არის მუშათა კლასის ენა. ჯავახიშვილი სენსაციების მწერალია. სენსაციებს კი დიდი გასავალი აქვს მეშჩანურ წრეში“... პ. ჩხიკვაძე: „ჯავახიშვილი თვითონ არ თვლის თავის თავს თანამგზავრად. მან გამოაქვეყნა ისეთი ნაწარმოებები, როგორც არის „გივი შადური“, „დამპატიჟე“, „კურდღელი“ და ბოლოს „არსენა მარაბდელი“, რომლებიც არამც და არამც არ ჩაითვლება თანამგზავრულ ნაწარმოებებად. „არსენა“ არის აშკარა ნაციონალისტური ნაწარმოები. ნაციონალისტურ ნაწარმოებს კი თანამგზავრულად ვერ ჩავთვლით“....

დღეს ეს ყველაფერი შეიძლება აფსურდის თეატრადაც კი გვეჩვენებოდეს, მაგრამ ფაქტია, რომ იმდროინდელი საზოგადოება ასეთი დირექტივებით ცხოვრობდა. ამ მოვლენის შესახებ წერდა რევაზ ჩხარტიშვილი: „ არავითარი გადახვევა არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. პოეტი ზუსტად მიჰყვება პარტიის გენერალურ ხაზს, ამუშავებს გენერალურ თემას, ფლობს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, იყენებს დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდს და წერს პროლეტარული პოეზიის უბრწყინვალეს ნიმუშებს, შეუმცდარსა და იდეოლოგიურად გამართულ ლექსებს. მიხეილ ჯავახიშვილს კი დაუჩემებია: ჩემი გარდაქმნა არც თქვენ მოგიტანთ სარგებლობას და არც მეო. ზუსტად ამასვე იმეორებს კ. გამსახურდიაც: მე ისეთ წრეში აღვიზარდე, ჩემი გარდაქმნა ძნელიაო, სარგებლობას ვერ მოგიტანთო. ვერ მოიტანს და ნუ მოიტანს! სარგებლობის მომტანის მეტი რა ჰყავს პროლეტარულ მწერლობას! იმდენი დამკვრელი მუშა და გლეხი გაიწვიეს მწერლობაში, ვის რაში სჭირდება ჯავახიშვილი და გამსახურდია!“ (კრიტიკა 1992: №2–3).

მიხეილ ჯავახიშვილმა არათუ სარგებელი ვერ მოუტანა პროლეტარიატს, არამედ ღიად დაუპირისპირდა ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებს, როდესაც საფრთხის წინაშე დადგა ქართული ეროვნული კულტურა, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სწორედ ეს ეპიზოდია აღწერილი „მონანიებაში“. ამ საბედისწერო გაბრძოლების შესახებ კი, მწერლის ქალიშვილი, ქეთევან ჯავახიშვილი იგონებს: „ახლა უკვე ზუსტად აღარ მახსოვს, ყოველი წვრილმანი, მაგრამ ის კი დამამახსოვრდა, რომ საქმე ეხებოდა მეტეხის პლატოზე არსებულ ეკლესიას, რომელიც წმინდა შუშანიკის სახელთან იყო დაკავშირებული. 1937 წელს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთმა პირმა გადაწყვიტა დაენგრია არქიტექტურის ეს უძვირფასესი ძეგლი.... ამის შესახებ წერილობითი განკარგულებაც კი გამოიტანეს. ამ ცნობამ ძალზე ააღელვა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია და მათ რიცხვში მამაც. ასეთმა დამოკიდებულებამ ისტორიული ძეგლებისა და ეროვნული საუნჯის მიმართ, მდგომარეობიდან გამოიყვანა და შეაშფოთა.... „ როგორც ვიცით, ცარიელი შეშფოთებით მიხეილ ჯავახიშვილი ვერ დაკმაყოფილდებოდა და ამიტომ რამდენიმე ადამიანთან ერთად, მათ შორის იმყოფებოდა დიმიტრი შევარდნაძე ეახლა ამ მთავრობის წარმომადგენელს, „საფუძვლიანად დაუსაბუთეს მას, რომ ეს ეკლესია წარმოადგენს ქართული არქიტექტურის იშვიათ ნიმუშს და მისი ხელის ხლება ყოვლად დაუშვებელია..... მამა შინ რომ დაბრუნდა, სახეზე ფერი არ ედო. მან იგრძნო, რომ გაიმარჯვა და საშვილიშვილო საქმე გააკეთა, შეუნარჩუნა საქართველოს ისტორიული ძეგლი, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ თავისი თავი საფრთხეში“ (ჯავახიშვილი 2000: 550-551).

ქართული მწერლობის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და მისის განვითარებისთვის მებრძოლმა მოამაგემ მიხეილ ჯავახიშვილმა ღრმა და წარუშლელი კვალი დააჩნია მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურას. მის მხატვრულ ნიჭიერებას და შემოქმედებით ენერჯიას მუდამ ასაზრდოებდა „მოქალაქეობრივი პათოსი, განუყოფელი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, თანამედროვეობის მოთხოვნილებასთან, ეპოქის მასულდგმულებელ იდეებთან. მიხეილ ჯავახიშვილის გამოჩენა ყველაზე დიდი და მოულოდნელი სენსაცია იყო ოციანი წლების ქართულ მწერლობაში“ (ნიჭარაძე 1982: 80).

იქნებ სიმბოლოზობა არაფერ შუაში იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ფიზიკური სიცოცხლე, პირდაპირი მნიშვნელობით, ქართული ეროვნულობის გამომხატველ ერთ-ერთ სიმბოლოს, მეტეხის ეკლესიას შეწირვია ზვარაკად.

დასკვნები

1. მ.ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი თანამედროვეთა ინტერესს დღესდღეობით, ვფიქრობთ, ორი ძირითადი ასპექტი განსაზღვრავს: პირველი, მათში ზუსტად ირეკლება მაშინდელი საქართველოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოების მისწრაფება და განწყობილება, შთამბეჭდავად აღიქმება იმ პოლიტიკური ვითარების მთელი სიმწვავე, როცა საფუძველი ეყრებოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას: ასე რომ, მათი მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება მწერლის ეროვნულ მსოფლმხედველობაზე, მის მოქალაქეობრივ და პატრიოტულ პოზიციაზე. მეორეც, მ.ჯავახიშვილის იმდროინდელ პუბლიცისტიკას, როგორც დავინახეთ, წმინდა ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად, არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა. მწერლის ბევრი წერილი თავისი სულისკვეთებით, საკითხთა გააანალიზების სიღრმითა და მასშტაბურობით, უაღრესად თანამედროვედ აღიქმება დღევანდელ ვითარებაშიც. მათი გაცნობა ნათლად გვარწმუნებს იმაში, რომ პუბლიცისტის მიერ იმხანად დასმული და განსჯილი მრავალი პრობლემა დღესაც მწვავედ დგას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხშედგმული საქართველოს წინაშე.

2. დღევანდელი გადმოსახედიდან ისიც ადვილი შესამჩნევია, რომ გონიერი მტერი, ყოველთვის ამ იდეოლოგიურ საყრდენს ებრძოდა, ამას აკეთებდა ყველა შესაძლო ხერხის გამოყენებით და განსაკუთრებით ხალხში ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვით.

ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსს თავი ვერ დააღწია იმდროინდელმა არაერთმა მოღვაწემ. რაც შეეხება მიხეილ ჯავახიშვილს, მის შესახებ ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი არასდროს დანებებულა ამ განცდას, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება შეიძლება თავისუფლად მივიჩნიოთ ქვეყნის ბედის სიმბოლურ გააზრებად, მისი პერსონაჟები, რომლებითაც გარკვეული მიზეზების გამო ნაკლებად - იხიბლებოდა ქართველი მკითხველი, შეიძლება დავუკავშიროთ იდენტობა, სტატუსდაკარგულ და, შესაბამისად, ღირსება აყრილ ქართველობას, მისი ტექსტების საფუძველს არასდროს წარმოადგენს ეროვნული კომპლექსი. ფაქტია, რომ მსგავსი დამოკიდებულება დღეს კიდევ უფრო მეტად გაძლიერებულია ქართულ საზოგადოებაში, მისი დღევანდელი სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობიდან

გამომდინარე ადვილად იკვებება წარსულის და მისი მნიშვნელობის, შესაბამისად, მომავლის იმედის უარყოფელი პათოსი. ასე რომ ადვილად დავრწმუნდებით, მიხეილ ჯავახიშვილის შიში ნამდვილად გამართლდა.

3. ის, რაც მიხეილ ჯავახიშვილის ყოველდღიური რეალობა იყო ჩვენი თანამედროვეობისთვის ისტორიაა. მხოლოდ ვიწრო, დაინტერესებულ საზოგადოებას თუ აქვს დღეს წარმოდგენა, როგორი ენით წერდა „ივერია“ ან „მომამბე“ ან და რომელ მწერლებსა და ჟურნალისტებს უჩიოდა მიხეილ ჯავახიშვილი, მაგრამ ფაქტია, დღევანდელი გადმოსახედიდან, ჩვენც თამამად შეგვიძლია გავიმეოროთ მწერლისავე განაცხადი, ამ საკითხთან დაკავშირებით.

4. როგორც ვხედავთ, ჯავახიშვილი პირუთვნელად ამხელს მეფის რუსეთის პოლიტიკას და მის „ანაფორიან ჟანდარმერიას“. როგორც ჩანს, ერთმორწმუნეობის არგუმენტი სრულიადაც არ აკამყოფილებდა მის მოქალაქეობრივ პოზიციას, ამასთან, სათანადოდ აფასებს ქართული სამღვდელოების ქმედებას, ამ მხრივ მისი პოზიცია ისევ და ისევ ემყარება მის უმთავრეს პრინციპს, რომ ქვეყნის არსებობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შეფასებისას უმოქმედობა ლალატის ტოლფასია და გამართლება არა ქვს, სწორედ ამიტომ აღნიშნავს, იგი ცალკეულ პირთა დამსახურებას და ღვაწლს, რაც მთავარია, მისთვის ავტოკეფალიის საკითხი ქვეყნის ეროვნული თვითგამორკვევისთვის უმთავრესია.

5. მნიშვნელოვანია ის, რომ მისთვის განსაკუთრებით საშიში მოვლენაა ე.წ. პროვინციალიზმი ენაში. იგი არამც და არამც არ ეწინააღმდეგება კუთხურობას, პირიქით, სათანადოდ აფასებს დიალექტის როლს ენობრივი პროგრესისთვის, რა თქმა უნდა, ზღვარდადებულს და სისტემატიზირებულს, მაგრამ ამ ყველაფერთან ერთად მისთვის მიუღებელია პროვინციალიზმი, როგორც მოვლენა, რომელსაც, მისი აზრით, ნებით თუ უნებლიეთ ამკვიდრებდნენ მისი თანამედროვე მწერლები. დაბეჯითებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი ენის განვითარებაში კილოკავებს უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს. განიხილავს განვითარების სხვადასხვა ეტაპს, ძირითადად ეყრდნობა მკვლევართა მიერ მანამდე გამოთქმულ მოსაზრებებს ასკვნის, რომ განუსაზღვრელი მნიშვნელობის მიუხედავად ვერც ერთი კილო მნიშვნელობით ვერ აღემატება სალიტერატურო ქართულს, რომელიც ქვეყნის ისტორიულ - პოლიტიკურმა ცენტრმა ჩამოაყალიბა ენობრივი კანონზომიერების საფუძველზე.

6. თვალნათლივ ვლინდება მიხეილ ჯავახიშვილის იმდროინდელი პოლიტიკური ორიენტირი. მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, მოიპოვებდა თუ არა საქართველო იმ ვითარებაში ავტონომიას, შეძლებდა თუ არა ქვეყნის მცირე, მოაზროვნე ნაწილი დაპირისპირებოდა იმ ტალღას, რომელიც შთანთქმას უპირებდა ადამიანთა უპირატეს და უპირველეს უფლებას ყოფილიყო თავისუფალი.

ისიც აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამდენი წლის გასვლისა, გავლილი კატაკლიზმებისა, დღეს მოპოვებული დამოუკიდებლობისა ჩვენს საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს შეკითხვები, რომელზეც დღემდე არ გაგვაჩნია ჩამოყალიბებული, არგუმენტირებული პასუხი - ევროპა, თუ რუსეთი? ეს შეკითხვა აქაც იკითხება და პასუხიც პირდაპირია. მიხეილ ჯავახიშვილისთვის არ არსებობს დოგმატური, შაბლონური მიდგომები, იგი ერთნაირად ობიექტურად ხედავს რუსეთსაც და ევროპასაც თავისი პლუს - მინუსებით და მისთვის ამოსავალი წერტილი საკუთარი ქვეყნისთვის, საქართველოსთვის უპირატესი მდგომარეობაა, ვფიქრობთ მისი ეს „პასუხი“ ამ ჯერ კიდევ აქტუალურ შეკითხვაზე, თითქოსდა, ანბანური ჭეშარიტებაა, მაგრამ მაინც გამოადგება დღევანდელ ვითარებაში ქვეყნის მესვეურთ.

7. იგი მხარს უჭერს ავტოკეფალიის აღდგენას ითვალისწინებს რა, ქართული ეკლესიის ისტორიულ როლს ქვეყნის განვითარების საქმეში. ამასთან, განსაკუთრებით აფასებს იმდროინდელი საეკლესიო მოღვაწეების როლს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, ზუსტად აღნიშნავს რუსული პოლიტიკის მავნებლურ გეგმებს.

8. მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტური სტილი ისეთი „ამაღელვებელ“ საკითხზე მსჯელობისას, როგორცაა ეროვნულობა, სრულად დაცლილია ყოველგვარი პათეტიკისგან, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენ ვხედავთ კრიტიკული აზროვნების კლასიკურ ნიმუშს. ეს განსაკუთრებით ხაზგასასმელია ეპოქის ფონის გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, იგი ევროპულ ღირებულებებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში ამკვიდრებს. ამ პერიოდში ჯერ კიდევ ჰქონდათ ქვეყნის სწორად განვითარების იმედი. მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ - პოლიტიკური ძვრები საკუთარ წესებს კარნახობდა ჯერ კიდევ შემორჩენილ იმპერიებს, მათ შორის რუსეთსაც. ეს იყო შიგნიდან დაწყებული რღევა, რომელსაც ცალკეული ქვეყნები თავიანთ სასარგებლოდ

მხოლოდ განსაკუთრებული სიფრთხილითა და დიპლომატიით თუ გამოიყენებდნენ. სწორედ ეს მცდელობა იგრძნობა მიხეილ ჯავახიშვილის ნააზრევში. მხოლოდ ფაქტები - მსოფლიო მაგალითები და ამ მაგალითების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები.

9. 1921 წლის გასაბჭოების შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილს მოუწევს მოღვაწეობა ავად თუ კარგად გააგრძელოს, ეროვნულ იდენტობაზე საუბარები მხატვრულ ტექსტებში ინაცვლებს, ოღონდ აქაც თითქმის იმავე პუბლიცისტური სიმწვავეით. მოთხრობაში „ხუთის ამბავი“ ნათავადარ ალვა ჯავარიძის ამბავში, ნათლად ვლინდება მწერლის დამოკიდებულება.: არაერთი „მთავრობის“ სამსახურმა მოუწია, მოვალეობებიც ჰქონდა და ვალდებულებებიც, მით უმეტეს, მისი პროფესიის ადამიანს, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, სად გადიოდა ჯავახიშვილისთვის უმთავრესი პიროვნული ღირებულებები და რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ მხრივი ეროვნულობისა და საკუთარის განცდა და ამ განცდის სიმძაფრე.

10. მიხეილ ჯავახიშვილი საკუთარ შემოქმედებაში გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს ქალს. ქალთა საკითხის შეფასებისას. აშკარაა ავტორის დამოკიდებულება, რომ თავისუფლება, ვისიც არ უნდა იყოს იგი, უპირველესად გააზრებული აუცილებლობაა ქართველი ქალის პიროვნული თვითდამკვიდრების საქმეში. მისი ეს ხედვა კი საინტერესოდ უკავშირდება ეროვნული იდენტობის პრობლემას. მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, ქალის როლის განუზომელობას უტყუარი ალღოთი გრძნობს და სწორედ ამიტომ, რომ ამ სუსტი სქესის წარმომადგენლის უფლებებს იცავს ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან კარგად იცის, რომ ქალის შინაგანი ძალის დათრგუნვა, ქვეყნის სასიცოცხლო ძალის დათრგუნვას გამოიწვევს, ხოლო მისი აღზევება და სწორი მიმართულების მიცემა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ იქცევა ოჯახის და სახელმწიფოს განვითარების გზაზე. სწორედ ამ მოსაზრების დადასტურებაა როგორც მისი პუბლიცისტური წერილები, ისე შემოქმედება, რომელმაც მანამდე უცნობი კუთხით წარმოაჩინა ქალი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე 2003: აბაშიძე ი., ზარები ოცდაათიანი წლებიდან, თბილისი, 2003
2. აბაშიძე 1977: აბაშიძე ი., თხზულებანი ორ ტომად, ტ.2,თბილისი, 1977
3. აბაშიძე 1962: აბაშიძე კ., (1870-1917),ლიტერატურათმცოდნე,კრიტიკოსი, პუბლიცისტი;თბილისი
4. აგლაძე 1991; აგლაძე შ., მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თბილისის, 1991
5. აგლაძე 2011; აგლაძე შ., მიხეილ ჯავახიშვილის წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, თბილისის, 2011
6. ამირეჯიბი 1997: ამირეჯიბი შ., წიგნი მეორე , საქართველოს გ.ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი 1997
7. ასათიანი 2002: ასათიანი გ., ნიკო ლორთქიფანიძე , თხზულებათა ოთხტომეული, ტ.3, თბილისის , 2002
8. ასათიანი 1988: ასათიანი გ., საუკუნის პოეტები , თბილისი,1988
9. არველაძე 2004: არველაძე ბონდო, მიხეილ ჯავახიშვილის „საქმის“ გამოძიება ,თბ.2004,
10. არველაძე 1996: არველაძე ბონდო, წამება მიხეილ ჯავახიშვილისა, დოკუმენტური მოთხრობა,ბოროტების ჯურღმულებში, რა ხდებოდა ჩვენს ჯოჯოხეთში, თბილისი 1996
11. ბარნოვი 1089:ბარნოვი გ.,ქართველი კაცის სულის ისტორია,თბილისი,1989
12. ბარნოვი 1976: ბარნოვი გ. , წერილები , 1976
13. ბაქრაძე 2011: ბაქრაძე ა.,ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე, საოჯახო ბიბლიოთეკა,თბილისი,2011
14. ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბილისი, 1990 ;
15. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე ა.აკაკი ბაქრაძე სკოლას, თბ.2004 წელი;
16. ბაქრაძე 1980:ბაქრაძე ა.,ნიკო ნიკოლაძე/გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, თბილისი 1980
17. ბენაშვილი 1959: ბენაშვილი დ.,მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება,თბილისი,1959;

18. ბერდიაევი 2001: ბერდიაევი ნ., ადამიანის ბედი თანამედროვე სამყაროში,თბილისი, 2001
19. ბოლქვაძე 2010: ბოლქვაძე თინათინ ,ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა:ილიას „ივერია“, თბილისი, 2010 წ.
20. ბრეგაძე 2013 : ბრეგაძე კ. ,დედაენა როგორც ეროვნული იდენტობის საფუძველი გურამ რამიშვილის თეორიაში,შედარებითი ლიტერატურის კრებული,2013 წ
21. ბუაჩიძე 1976: ბუაჩიძე თ., წარსული და თანამედროვეობა, თბ.1976
22. გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდები (კრებული),თბ.2008
23. გამსახურდია 1991:გამსახურდია ზ., წერილები,ესეები,თბილისი, 1991
24. გამსახურდია1965: გამსახურდია კ. რჩეული თხზულებანი, ტ.7, თბ.1965
25. გენძეხაძე 2002: გენძეხაძე ც., ენა, მიწა და ეროვნული ცნობიერება (მიხ.ჯავახიშვილის „მიწის ყივილი“),ლიტერატურული ძიებანი, XXIII.თბილისი, 2002
26. გოგებაშვილი 1989: გოგებაშვილი ი., თხზულებათა სრული კრებული, თბილისი,1989
27. გოგებაშვილი 2011:გოგებაშვილი ი., წერილები, თბილისი, 2011
28. გოგოლაძე-გაბუნია2005:გოგოლაძე-გაბუნია მ., მწერალთა ბიოგრაფიები,თბილის,2005
29. გომართელი 1925:გომართელი ივ., კრიტიკული წერილი; თბილისი 1925
30. გომართელი 1971: გომართელი ივა., რჩეული თხზულებანი, ტ,2, თბ.1971
31. გვერდითელი 1977: გვერდითელი გ., მიხეილ ჯავახიშვილი, თბილისი,1977;
32. გრიგალაშვილი 2004: გრიგალაშვილი ნ.თანამდევნი სული (ტომი II),თბილისი 2004
33. დემეტრაძე 2005: დემეტრაძე დ., მ.ჯავახიშვილის მოღალატური საქმიანობის შესახებ, 17.08.1937.,„ლელოვარი“ , თბილისის , 2005
34. დემეტრაძე 1929: დემეტრაძე დ.,მ.ჯავახიშვილის მოღალატური საქმიანობის შესახებ, 1937.თბილისი, 1929
35. დვალისხილი 2015: დვალისხილი თ.,სიმართლე ჩემთვის სიცოცხლეზე მეტია, ქუთაისი,2015
36. ვართაგავა 1958: ვართაგავა ი., კრიტიკული წერილები, 1,თბილისი,1958

37. ზალდასტანიშვილი 1994; ზალდასტანიშვილი ს., საქართველო 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1994
38. თევზაძე 2006: თევზაძე გ., განჯადობა, თბილისი, 2006
39. თევზაძე 1082: თევზაძე დ., ქართული საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა, თბილისი, 1982
40. თეთრუაშვილი 2002: თეთრუაშვილი ლ., ღირებულებათა გადაფასება მიხეილ ჯავახიშვილთან, ანუ კვაჭი ჩვენი თანამედროვე, „საუნჯე“, N3-4, 2002
41. თოდუა 2004: თოდუა ვ., მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და სალიტერატურო კრიტიკა, თბილისი, 2004
42. იმედაშვილი 1925: იმედაშვილი ი., მოგონებები, თბილისი, 1925
43. იოვაშვილი 1963: იოვაშვილი დ., ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, თბილისი, 1963
44. კაკანკავა 1985: კანკავა გ., ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1985
45. კასრაძე 1962: კასრაძე დ., ლიტერატურული პორტრეტები, თბილისი, 1962
46. კვანჭილაშვილი 1989: კვანჭილაშვილი ტ., ათი მწერალი, თბილისი, 1989
47. კვანჭილაშვილი 1974: კვანჭილაშვილი ტ., ლიტერატურული წერილები და პორტრეტები, 1974
48. კვანჭილაშვილი 1976: კვანჭილაშვილი ტ., ლიტერატურა და ცხოვრება, თბილისი, 1976
49. კვანჭილაშვილი 1960: კვანჭილაშვილი ტ., მიხეილ ჯავახიშვილის ადრინდელი პუბლიცისტიკა, თბილისი, 1960
50. კვანჭილაშვილი 1979: კვანჭილაშვილი ტ., პარტია და ლიტერატურა, თბილისი, 1979
51. კვანჭილაშვილი 1987: კვანჭილაშვილი, ტ., მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, მეორე გამოცემა, თბილისი, 1987;
52. კვაჭანტირაძე 2001: კვაჭანტირაძე მ., წერილები ლიტერატურაზე, თბილისი 2001
53. კობახიძე 1943: კობახიძე გ., ხმა დასახვრეტთა საკნიდან ქართველი ერი, 1943, 3-4
54. კოტეტიშვილი 1959; კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს) თბილისი 1959
55. კუპრეიშვილი 1992: კუპრეიშვილი ნ., ოცინი წლების ლიტერატურული დებიუტები, ლიტერატურა და ხელოვნება, N1-2, 1992

56. ლასხიშვილი 1992: ლასხიშვილი გ.,მემუარები,თბილისი, 1992
57. ლემონჯავა 1993: ლემონჯავა ნ.,მწერლის ენის საკითხები,თბილისი:1993
58. მამარდაშვილი 2003: მამარდაშვილი მ.,აზრები, ქუთაისი, 2003
59. მარკოზაშვილი 2003:მარკოზაშვილი შალვა, ჩვენი მწერლების სილუეტები, 2003
60. მეტრეველი 2007: მეტრეველი რ.,ღვაწლისა და წამების გვირგვინით
შემკული,თბილისი,2007
61. მიწიშვილი 1927:მიწიშვილი ნ., მასალები ლექციისათვის, პუბლიცისტიკა,
თბილისი,1927
62. ნემსაძე 2009: ნემსაძე ა.,და,იდენტიფიკაციის პრობლემა ოთარ ჭილაძის
რომანებში ,თბილისი, 2009.
63. ნიკოლაძე 1985: ნიკოლაძე ნ.,თხზულებანი , ტ.VII, თბილისი, 1985
64. ნიკოლეიშვილი 2003:ნიკოლეიშვილი ავ., ანტისაბჭოური სულისკვეთების
გამომხატველი ქმნილება, თბილისი,2003
65. ნიჟარაძე 1982: ნიჟარაძე შ., ლიტერატურული-ენათმეცნიერული ნარკვევები,
თბილისის, 1982
66. ჟორდანია 1990: ჟორდანია ნ.,რჩეული ნაწერები,“საქართველო“,1990
67. რობაქიძე1984: რობაქიძე გ., კრებული, მიუნხენი, 1984
68. სიგუა 2014: სიგუა ს., მოდერნიზმი, თბილისი, 2014
69. სიგუა 2007:სიგუა ს., მხატვრული აზროვნება:გენეზისი და სტრუქტურა,
(მონოგრაფია), 2007.
70. სურგულაძე 1984: სურგულაძე ზ.,მ.ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო
ენის საკითხები, თბილისი, 1984
71. სურგულაძე 1970:სურგულაძე ა.,ერის ცნება და რევოლუციამდე
საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის
ეტაპები,თბილისი,1970
72. ტოროშელიძე 1934: ტოროშელიძე მ.,ქართული ლიტერატურა,თბილისი,1934
73. ჯონსი 2018: სტივენ ჯ.,სოციალიზმი ქართულ ფერებში,(თარგმანი
ნ.ჩხეიძის),თბილისი,2018

74. ჯონსი 2007: სტივენ ჯ., ქართული ეროვნული იდენტობის განვითარება, თბილისი, 2007
75. სურმანიძე 2005: სურმანიძე რ., მფარველი ანგელოზები, ბათუმი, 2005
76. სუხიტაშვილი 1988: სუხიტაშვილი ნ., იდიომების, განმარტება მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში, თბ. 1988
77. უზნაძე 1964: უზნაძე დ., შრომები, თბილისი, 1964.
78. ფრომი 2015 : ფრომი ე., ფსიქოანალიზი და რელიგია ,დოგმატი ქრისტიანულ, თბილისი, 2015
79. ქადაგიძე 2002: ქადაგიძე ი., პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხი მიხეილ ჯავახიშვილის, „გივი შადურის “მიხედვით, თბილისი, 2002
80. ქიქოძე 1958: ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, „საბჭოთა მწერალი“, 1958
81. ქიქოძე 1956: ქიქოძე გ., მოგონებები, განთიადიდან შემოდგომამდე, თბილისი, 1956
82. ქიქოძე 1975: ქიქოძე გ., წერილები, თბილისი, 1975
83. ქიქოძე 1929: ქიქოძე, გ., შემოქმედება თუ თვითმკვლელობა, ტფილისი. 1929;
84. ლლონტი 1957: ლლონტი შ., ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურება, სოხუმი, 1957
85. ყანჩაშვილი 2005: ყანჩაშვილი ., ზნეობრივი გმირის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანების მიხედვით, თბილისი, 2005
86. ყიფიანი 2006: ყიფიანი მ., ლიტერატურული წერილები, თბილისი, 2006
87. ყორანაშვილი 1999: ყორანაშვილი გ., მიხეილ ჯავახიშვილი, თბილისი, 1999
88. შავგულიძე 1968: შავგულიძე, ნ., ჩანჩურადან არსენამდე, თბილისი, 1968
89. შარაძე 1993: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. II, თბილისი, 1993
90. შენგელია 2005: შენგელია ქეთევან, ქართველ მწერალთა შემოქმედებითი მიმართება ვაჟა-შაველასთან, თბილისი, 2005
91. შოშიაშვილი ნ.: ტრადიციული სახელმწიფო და ნაციონალური სახელმწიფო. Read more at: <http://european.ge/nukri-shoshiashvili-tradiciuli-da-nacionaluri-saxelmwifo/> Copyright © European.ge
92. შუბითიძე 2009: შუბითიძის ვ., მონოგრაფია “ნიკო ნიკოლაძე- კაცი-სახელმწიფო”, ჟურნალი “ისტორიულ მემკვიდრეობაში” N9, თბილისი, 2009

93. ჩიქოვანი...2014 :ჩიქოვანი ნ., ჩხაიძე ი., წერეთელი ი., მაცაბერიძე დ.
 ,კაკიტელაშვილი დ., იდენტობის ნარატივები საქართველოში: მრავალეთნიკური
 ქართველი ერის სათავეებთან (1860-1918) . თბილისი, 2014 წ
94. ჩხარტიშვილი ... 2004: ჩხარტიშვილი მ.,მანია ქ., ქართველთა ნაციონალური
 კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში,“ივერია“ და მისი
 მკითხველი საქართველო, თბილისი,2004
95. ჩხარტიშვილი 2017: ჩხარტიშვილი რ., ორი ეპოქის მიჯნაზე,თბილისი, 1993.
96. ჩხეიძე 2009: ჩხეიძე ო., ისევ „ჯაყოს ხიზნები“,
<http://burusi.wordpress.com/2009/07/04/otar-ckheidze/>
97. ციციშვილი 2005: ციციშვილი გ., მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და
 ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-
 გამუქების წინააღმდეგ, თბილისი, 2005
98. ციციშვილი 2003: ციციშვილი გ.,იორგი, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული
 მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ,
 თბილისი, 2003
99. ძიგუა 2009: ძიგუა მაია, ინტელიგენცია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში,
 თბილისი,2009
100. ძიგუა მ., ინტელიგენციის პრობლემა მიხეილ ჯავახიშვილის რომანებში,
 თბილისი , 2005 წელი;
- 101.წერეთელი 1990: წერეთელი მ.,ერი და კაცობრიობა, თბილისი.1990
- 102.წიფურია 2010: წიფურია ბ., მოდერნისტული გამოცდილება საქართველოში,
 თბილისი, 2010
- 103.წიფურია 2001: წიფურია ბ.,მიწასთან დაბრუნება, კრიტერიუმი N 4, თბილისი,
 2001
- 104.წიქარიშვილი 2004: წიქარიშვილი ლ., წმინდა წერილისეული სახე-მოდელების
 გააზრებისათვის (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების
 „მიხედვით);სჯანი:ყოველწლიური ლიტერატურულ-თეორიული სამეცნიერო
 ჟურნალი,საქართველოს მეცნიერებათა აკადემია,შოთა რუსთაველის
 სახ.ლიტერატურის ინსტიტუტი,წ.ტ.V, გვ.131-146თბილისი, 2004

- 105.წიქარიშვილი 2004: წიქარიშვილი ლ., მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები; ფილოლოგიის მეცნიერებათაკანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი 2004 წელი.
106. წიქარიშვილი ლ., „ბედი ქართლისა“ და მიხეილ ჯავახიშვილი (ეროვნული ნიჰილიზმის დაძლევისათვის) <http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.14&d=HASHa2298505a1b28ea24ece0d.3>=1>
- 107.წიქარიშვილი 2003: წიქარიშვილი ლ., არ არის ტრაგედია გარეშე გამომსყიდველი მსხვერპლისა,, გაზეთი „ჩვენი მწერლობა“ N 14(144)-15 (145), თბილისი, 2003
108. ჭავჭავაძე 1977: ჭავჭავაძე ი. ,თხზულებანი ორ ტომად, ტ.2,თბ.1977;
- 109.ჭავჭავაძე 1986: ჭავჭავაძე ი.,რჩეული ნაწერები ხუთ ტომად,თბილისი,გამომცემლობა საბჭოთა საქართველო,1986წ.
- 110.ჭავჭავაძე 1991: ჭავჭავაძე ი.,ტომი მე-5, თბილისი,1991
- 111.ჭუმბურიძე 1974:ჭუმბურიძე , ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, მეორე გამოცემა,თბილისი,1974;
- 112.ხარჩილავა 1989: ხარჩილავა ე.,სისხლიანი ქრონიკები, თბილისის, 1989წ.
- 113.ხუნდაძე 1927:ხუნდაძე ს., მონოგრაფია,თბილისი, 1927
- 114.ხუნდაძე 1927: ხუნდაძე ს.,სოციალიზმის ისტორისათვის საქართველოში,I,თბილისი,, 1927
- 115.ხომერიკი 2008:ხომერიკი მ.,მიხეილ ჯავახიშვილი -უნიკალური დოკუმენტების ფონზე, თბილისი, 2008
- 116.ხომერიკი 2008: ხომერიკი მ., მიხეილ ჯავახიშვილის ნამდვილი გვარის დადგენის საკითხისათვის, თავი1,2 თბილისი,2008,
- 117.ხომერიკი 2009: ხომერიკი მ., მიხეილ ჯავახიშვილი და პოლიტიკა, თავი 11, თბილისი,2009
- 118.ჯავახიშვილი 1924: ჯავახიშვილი მიხეილ ,ადამაშვილი,მოთხრობები, ტ.1ტფ.1924;
- 119.ჯავახიშვილი 1964:ჯავახიშვილი .მ,მე-6 ტომი, ბილისი.1964

120. ჯავახიშვილი 1973: ჯავახიშვილი მიხეილი, თხზულებანი რვა ტომად, მოთხრობები. ტ. III, თბილისი, 1973
121. ჯავახიშვილი 1980: ჯავახიშვილი მ., წერილები, თხზულებანი, ტ. VI, თბილისი, 1980
122. ჯავახიშვილი 2005: ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკიდან , 2005
123. ა) ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკიდან ჩანაწერები, თბილისი, 2011.
124. ჯავახიშვილი 2007: ჯავახიშვილი მ., წერილები, 2007
125. ჯავახიშვილი 2001: ჯავახიშვილი მ., წერილები , 2001
126. ჯავახიშვილის პირადი არქივი, ავტობიოგრაფი;
127. ჯავახიშვილი 1989: ჯავახიშვილი ქ., მიხეილ ჯავახიშვილი (ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი), თბ., 1989 „მიწის ყვილის: ერთი ახალი პროტოტიპის შესახებ;
128. ჯავახიშვილი 2000 : ჯავახიშვილი ქ., მოგონებები მამაზე, 2000
129. ბ) ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი მ., ცოფიანი , თბილისი. 2011
130. ჯავახიშვილი 1991: ჯავახიშვილი ქ., მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება. თბილისი, 1991
131. ჯავახიშვილი ... 1989: ჯავახიშვილი ქეთევან. გენძეხაძე ე., მიხეილ ჯავახიშვილი ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1903-1985წწ), თბილისი. 1989;
132. ჯალიაშვილი 2016: ჯალიაშვილი მ., მიხეილ ჯავახიშვილი ნეორეალიზმი , როგორც მოდერნიზმის ალტერნატივა, კერძო „ზნეობის გარდამოხსნა“ , თბილისი 2016
133. ჯიბლაძე 1959: ჯიბლაძე, გ., კრიტიკული ეტიუდები, მესამე ნაწილი, თბილისი, .1959;
134. ჯორჯაძე 1990: ჯორჯაძე ა., სამშობლო და მამულიშვილობა , თბილისი 1990
135. ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა., წერილები, თბილისი 1989
136. ეროვნული თვითმართველობა 1905
137. ე. „მნათობი“ 1924, #2;
138. ე. „დროშა“, 1924, #16-17;
139. ე. „ახალი კავკასიონი“, 1925, #1-2;

140. აღმანახი „წიგნის მეგობარი“, 1925, #1;
141. ჟ. „დროშა“, 1925, #24;
142. გაზ. „კომუნისტი“, 1925, #216;
143. ჟ. „მნათობი“, 1925, # 2, #3, #4;
144. გაზ. „კომუნისტი“, 1925, #13, #152;
145. ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 1925, #11; #16;
146. ჟ. „ახალი გზა“, 1925, #16; #17;
147. ქართველ მწერალ ქალთა სამხატვრო სალიტერატურო აღმანახი; 1925, #1;
148. ჟ. „მერცხალი“. 1926, #3;
149. ჟ. „მნათობი“, 1926, #4, # 7;
150. გაზ. „კომუნისტი“, 1926, #273, 1927 #71;
151. ჟ. „მემარცხენეობა“, 1927, #1;
152. გაზ. „მუშა“, 1927, #13;
153. ჟ. ქართული მწერლობა“, 1927, #2;
154. ჟ. პროლეტარული მწერლობა“, 1928, #3-4;
155. მიხეილ ჯავახიშვილის არქივი, უბის წიგნაკის ჩანაწერები, გამოსაცემად მოამზადებული ფილ. მეც. კანდიდატის ქ-ნ ეთერ შარაშენიძის მიერ.,/საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ტექსტოლოგიის განყოფილება 1097, 1098);